

თამაზ კიკნაძე

იდუმალი სამყაროს ბილიკებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ კიკნაძე

იდუმალი სამყაროს ბილიკებით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1977

551. 42 (C41)
551. 44(47. 922)
ბ 499

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში განხილულია მღვიმეთა და გამოქვაბულთა შემსწავლელი მეცნიერების — სპელეოლოგიის განვითარების ეტაპები, ისტორია, გადმოცემულია მსოფლიოს ხალხთა ლეგენდები, დაკავშირებული მღვიმეებთან. ცალკეული თავი მიძღვნილია პირველყოფილი ადამიანის მიერ მღვიმის საცხოვრებლად გამოყენების, მისი განვითარებისა და პალეოლითური მღვიმური მხატვრობისადმი.

გადმოცემულია ავტორისა და მისი თანამოლაშქრეების ექსპედიციების თავგადასავლები საქართველოს მღვიმეებში.

წიგნი მეცნიერულ-მხატვრული ხასიათისაა და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

70300 —276

К ———————— 387—77
М 601 (08)—77

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ყველაზე უმშვენიერესი გრძნობა ბლიბლიოთეკა
დაკავშირებულია იდუმალის განცდასთან“

ა. აინშტაინი

წიგნი პირველი

სპელეოლოგიური ანგანი

(წინასიტყვაობის მაგიერ)

Stillicidi casus lapidem cavat[1]

ლუკრეციუსი

Gutta cavat lapidem[2]

ოვიდიუსი

„ადამიანის ფიქრისა ერთი საქებური თვისება — მოვლენათა მიზეზის ძიებაა, როცა ადამიანის ფიქრი კითხულობს: „რად? რისთვის? საიდან და როგორ?!“ ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა. სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსვლა“. ეს სიტყვები ადამიანისა და ბუნების დიდ მესაიდუმლეს ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. ჩვეული ლაკონიურობით და ღრმა სიბრძნით გამოხატა ჩვენი ერის სასიქადულო შვილმა სწორედ ის, რაც გონების განვითარების გარიჟრაჟიდანვე განაპირობებს ადა-

---

[1] ლათ. წვეთი ვარდნით კლდეს ხვრეტს.
[2] ლათ. წვეთი ქვას ხვრეტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიანის ლტოლვას გარემომცველი სამყაროს ღრმად შეცნობისა
უამრავ კითხვის ნიშანზე პასუხის გაცემისაკენ, ბუნების გამოცა-
ნების ამოხსნისაკენ.

დედამიწის ასაკს მეცნიერები 5—6 მილიარდ წელს ანგარიშობ-
ენ, ადამიანი კი სულ რაღაც 1-2 მილიონი წელია, რაც წარმოიშ-
ვა: სწორედ ამიტომ უწოდებენ დედამიწის განვითარების უკანას-
კნელ, მეოთხეულ პერიოდს ანთროპოგენსაც, ანუ ადამიანის წარ-
მოშობის პერიოდს. თუ დედამიწის ასაკს დღე-ღამეს შევადარებთ,
ადამიანის არსებობის ხანა ორწუთნახევარი იქნება. მხოლოდ
უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე შეძლო ადამიანმა სამყაროს
ზოგიერთი საიდუმლოს ამოცნობა და ზოგი მათგანი თავის სამსა-
ხურშიც კი ჩააყენა.

მაგრამ ყველაზე ადრე, განვითარების პირველ საფეხურებზე
ადამიანმა თავისი ბედი დაუკავშირა მღვიმეს, რომელიც მის თავ-
შესაფრად, ბინად და შემოქმედებით სახელოსნოდაც კი იქცა.
ამაზე მეტყველებენ მღვიმეთა ჭერსა და კედლებზე მიკვლეული
ნახატები, თიხის ქანდაკებები, სხვადასხვა ნაკეთობანი. მღვიმეში
შეიძლებოდა თავის დაცვა სიცივისა და ნადირთაგან, განსაკუთ-
რებით დიდი გამყინვარების ეპოქაში, რამაც კიდევ უფრო დააჩ-
ქარა ჩვენი შორეული წინაპრების „გადასახლება“ ღია სადგომები-
დან მღვიმეებში.

მას შემდეგ მრავალი ათასი წელი გავიდა და დღეს ცოდნით
შეიარაღებული თანამედროვე ადამიანი — ჰომო საფიენსი—მღვი-
მეებში დაცული ნაშთებით აღადგენს პირველყოფილი ადამიანის
ცხოვრების წესებს, იერს, საქმიანობას და სხვ. შეიქმნა მეცნიერე-
ბის სპეციალური დარგიც — სპელეოლოგია, რომელიც სულ უფ-
რო და უფრო ვითარდება.

შეიძლება დაისვას კითხვა, რა არის სპელეოლოგია, მეცნიერება
თუ სპორტი? გამოჩენილი ფრანგი სპელეოლოგის ნორბერ კასტე-
რეს სიტყვით „თუ სპელეოლოგია სპორტია, იგი მეცნიერებაცაა,
თანაც მრავალფეროვანი და წარმტაცი მეცნიერება“. დიახ, სპე-
ლეოლოგია მეცნიერების ისეთი დარგია, რომელიც მჭიდროდ
არის დაკავშირებული სპორტთან და სპორტის არც ერთი სახეობა
არ არის ისეთ მჭიდრო კავშირში მეცნიერებასთან, როგორც სპე-
ლეოსპორტი სპელეოლოგიასთან.

როდესაც ადამიანი მიწისქვეშა სასახლეებში მოგზაურობს, იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1. პირველყოფილ ადამიანთა ნადირობა ირმებზე.

ვერ ფარავს აღფრთოვანებას, განცვიფრებას, რასაც ეს იდუმალი სამყარო იწვევს თავისი ზღაპრული მორთულობით, განუმეორებელი სილამაზით, ზოგჯერ კი პირქუში სიდიადით. ბუნებრივია, რომ ადამიანს ასეთი მოგზაურობის დროს დაებადოს კითხვა, როგორ ჩნდება მღვიმე? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავეცნოთ „კარსტის“ ცნებას. ეს მეცნიერული ტერმინია და წარმოდგება სერბიულ-ხორვატული სიტყვიდან „კრას“, ხოლო ეს უკანასკნელი კი სახელია კირქვებით აგებული პლატოსი, რომელიც დინარის მთებში, იუგოსლავია-იტალიის საზღვართან მდებარეობს. აქ უამრავი წკვარამი, შახტი და მღვიმეა. ეს რაიონი 1918 წლამდე შედიოდა ავსტრიის იმპერიაში და გერმანულის ზეგავლენით სახელწოდება „კრასი“ იქცა „კარსტად“; 1945 წლამდე ის ეკუთვნოდა იტალიას და სახელწოდებაც შეიცვალა — „კარსო“-თი. იმ პროცესებს, რაც მღვიმეების ან ზედაპირული ფორმების წარმოშობას იწვევს, დღეს მსოფლიოს უმეტეს ნაწილში კარსტს, ან კარსტულ პროცესებს უწოდებენ, იტალიასა და ესპანეთში — კარსოს, ხოლო იუგოსლავიაში და ჩეხოსლოვაკიაში — კრასს.

კარსტული პროცესი გეოლოგიური მოვლენაა და მისი განვითარებისათვის საჭიროა ოთხი უმთავრესი პირობის არსებობა, აუცილებელია რომ იყოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ხსნადი ქანი (ქვამარილი, თაბაშირი, ანჰიდრიდი, კირქვა, დოლომიტი და სხვ.).

2. ქანი უნდა იყოს წყალგამტარი.

3. წყალი უნდა მოძრაობდეს.

4. წყალს უნდა ჰქონდეს გახსნის უნარი.

ამ ოთხი უმთავრესი პირობის გარდა შეიძლება დავასახელოთ ქანების მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობა, კლიმატური პირობები, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და ხასიათი, ქანების ნაპრალიანობა და ფორიანობა, მათი წოლის პირობები და სხვა მრავალი.

დედამიწის ზედაპირზე მდინარეები ჭრიან ხეობებს, რაც გამოწვეულია ძირითადად მექანიკური გამოფიტვით. ამ პროცესს მეცნიერები ეროზიას უწოდებენ. მიწის ქვეშ და ზედაპირზე, ხსნადი ქანებით აგებულ რაიონებში მიწისქვეშა ხეობების, მღვიმეების, შახტების, უფსკრულების, ზედაპირული კარსტული ფორმების წარმოშობაში მთავარი როლი ეკუთვნის ქანების გახსნას წყლის მიერ, რაც ცნობილია კოროზიის სახელით. მაგრამ ყველა ქანი ერთნაირი სისწრაფით როდი იხსნება წყალში, და არც ყველა წყალს აქვს გახსნის უნარი. მაგალითად, გრანიტის ნატეხი რომ ქიმიურად სუფთა წყალში ჩავაგდოთ, რაც არ უნდა დიდხანს ვადევნოთ თვალი, ცვლილებას ვერ შევნიშნავთ, ხოლო 1 გრამი კირქვის გახსნას კი 10 ლიტრი წყალი დასჭირდება. სულ სხვა სურათს დავინახავთ, თუ კირქვის ნატეხს მოვათავსებთ გაზიან წყალში. გახსნა მით უფრო „სწრაფად" წავა, რაც უფრო მეტი იქნება წყალში ნახშირმჟავა.

ცნობილი საბჭოთა კარსტოლოგის, პროფ. გ. მაქსიმოვიჩის გამოთვლით, წყალში ხსნადი ქანებიდან დედამიწის ზედაპირზე ქვამარილს და სხვა მარილებს უკავია 4 მლნ კმ², თაბაშირს და ანჰიდრიდს — 7 მლნ კმ², კირქვებს და დოლომიტებს — 40 მლნ კმ². თუ გავიხსენებთ, რომ ხმელეთის ფართობი მთლიანად 149 მლნ კმ²-ია, ნათელი წარმოსადგენია, რომ დედამიწის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი, მესამედზე მეტი, მოქცეულია კარსტული პროცესების გავლენის ქვეშ.

ყველაზე საინტერესო და ლამაზი მღვიმეები ჩნდება კირქვებში. რა პროცესი მიმდინარეობს მღვიმეების ან სხვა კარსტული ფორმების გაჩენისას კირქვებში? როგორ ხსნის მას წყალი? კირქვა ანუ $CaCO_3$-ის მონოკარბონატი ნახშირმჟავას შემცველი წყლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოქმედებით იქცევა ბიკარბონატად — $Ca(HCO_3)_2$. ეს უკანასკნელი უფრო ადვილად ხსნადია, ვიდრე მონოკარბონატი. ქიმიურ რეაქციას, რომელიც ამ პროცესის დროს მიმდინარეობს, შემდეგი სახე აქვს:



ეს რეაქცია შექცევადია. წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში, ანუ წყალში გახსნილი კალციუმის კარბონატისა და თავისუფალი ნახშირმჟავას განსაზღვრული შეფარდების დროს, რასაც იწვევს ამ უკანასკნელის ზედმეტი შემცველობა, ნახშირმჟავა კალციუმი კადადის ხსნარში. წყალში ნახშირორჟანგის დიდი შემცველობისას ნორმალური წნევის პირობებში, კირქვის ხსნადობა იზრდება 7-ჯერ.

წყალი, რომელიც ატმოსფერული ნალექების სახით ევლინება კარსტულ რაიონებს, შთაინთქმება ნაპრალების საშუალებით, ხსნის მათ კედლებს, აფართოებს და მრავალი ათასეული წლის შემდეგ ჩნდება მღვიმე, ზოგჯერ რამდენიმე ათეული და ასეული კილომეტრის სიგრძის.

მღვიმეებს შეისწავლის კარსტოლოგიის დარგი, რომელსაც სპელეოლოგია ეწოდება, ხოლო მღვიმეთა მკვლევარებს სპელეოლოგებს უწოდებენ. მოკლედ გავეცნოთ ტერმინ „სპელეოლოგიის“ წარმოშობას, მის მნიშვნელობას, რას შეისწავლის და როგორი მეთოდები ვააჩნია მას.

ტერმინი „სპელეოლოგია“ პირველად იხმარა 1890 წელს ფრანგმა არქეოლოგმა ემილ რივერმა, რომელმაც გამოიყენა ბერძნული სიტყვები „სპელაიონ“ (მღვიმე) და „ლოგოს“ (შესწავლა, სწავლება), ე. ი. სპელეოლოგია მღვიმეთა შესწავლა ანუ მღვიმეთმცოდნეობაა.

1892 წელს ნიუსაკმა სცადა შემოეღო სპელეოლოგიის ნაცვლად „სპეოლოგია“. ეს მეცნიერიც ბერძნულ სიტყვა „სპეოს“ დაეყრდნო, მაგრამ ბერძნულში იგი ხელოვნური გამოქვაბულის აღმნიშვნელია და მან გავრცელება ვერ პოვა. ზოგიერთი გამონაკლისით მას ამჟამადაც ხმარობენ უცხოეთის მეცნიერები „ბიოსპეოლოგიის“ სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპელეოლოგია არის მეცნიერება მღვიმეთა შესახებ. იგი შეისწავლის წავლის მღვიმეთა გარემოს ფიზიკურ და ბიოლოგიურ ასპექტებს, მღვიმეთა წარმოშობის პირობებს, მათ ევოლუციას. უცხოელი მეცნიერები მას ხშირად ადარებენ ოკეანოგრაფიას (ბ. ყეზი, ვ. ჯორჯი, ფ. მური და სხვ.), რომელსაც საქმე აქვს განსხვავებულ, ზღვიურ გარემოსთან. ასევე სპელეოლოგიასაც გააჩნია თავისი გარემო, მიწისქვეშა სამყარო, რომლის გამოკვლევისათვის იგი იყენებს გეოლოგიურ, გეომორფოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ, ბიოლოგიურ, არქეოლოგიურ, გეოფიზიკურ და სხვა მეცნიერებათა მეთოდებს.

შეუძლებელია ადამიანმა იხილოს მღვიმეთა საოცრებანი და გულგრილი დარჩეს.

სპელეოლოგთა არმია ყოველწლიურად იზრდება. ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც მიიღებს მონაწილეობას სპელეოლოგიურ ექსპედიციაში, ავადდება მღვიმეთა სიყვარულით. ავტორი უკვე თხუთმეტი წელია იკვლევს საქართველოს მიწისქვეშეთს და წინამდებარე წიგნიც ამ სიყვარულის ნათელი დადასტურებაა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს წიგნი გაამრავლებს საქართველოს მღვიმეების მოყვარულთა რიცხვს და თუ ეს ასე იქნება, მიზანიც მიღწეულად ჩაითვლება.

საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები ჩვენი ერის საუნჯეა

„დღისით ვლეს და საღამო-ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი, კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი“.

შოთა რუსთაველი.

მადლიანია საქართველოს მიწა: თავისი ჩაის თვალწარმტაცი პლანტაციებითა და ვენახის ზვრებით, ციტრუსებითა და ხილით, სასარგებლო წიაღისეულის მრავალი საბადოთი, თერმული და მინერალური წყლებით, კავკასიონის თოვლმუზარადა ჭაღარა მწვერვალებით, ტყიანი მთებით, ზღვით, ჩანჩქერ-მდინარეებითა და მოკამკამე ტბებით. ყოველ ნაბიჯზე კულტურის ძეგლები — ტაძრები, ციხე-სიმაგრეები და ვინ მოთვლის ბუნების ყველა იმ სიკეთეს, რაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინსვლას, მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მათი ჯანმრთელობის გაკაჟებას და ესთეტიკურ ტკბობას ემსახურება.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გვერდით, თავისი ადგილი უკავია საქართველოს მღვიმეებსა და გამოქვაბულებს, რომელთა რაოდენობაც რამდენიმე ათასს აღწევს. ესაა ბუნების თუ ადამიანის ხელით შექმნილი იშვიათი სიდიადისა და სილამაზის ძეგლები, რომელთა ხილვაც მნახველში აღფრთოვანებას, აღტაცებას და კიდევ რაღაც გაურკვეველ გრძნობას იწვევს, დიადისა და მშვენიერის განცდაზე რომ არის ხოლმე დაფუძნებული.

ვიდრე დეტალურად გავეცნობოდეთ გამოქვაბულებს და მღვიმეებს, თვით ამ ტერმინების მნიშვნელობაში გავერკვიოთ. სპელეოლოგიური ტერმინებით მდიდარია ქართული ენა. ამ ტერმინებს ვხვდებით არა მარტო თანამედროვე წყაროებში, არამედ XI საუკუნიდან მოყოლებულ ლიტერატურულ ძეგლებშიც.

თანამედროვე ქართული ტერმინი „გამოქვაბული" წარმოდგება ძველი ქართული „ქვაბიდან", რითაც აღინიშნებოდა კლდეში ადამიანის მიერ ნაკვეთი სიღრუე. გამოქვაბულების ანუ ქვაბების გამოკვეთა (გამოქვაბვა) საქართველოს ტერიტორიაზე პირველივე საუკუნეებიდანაა ცნობილი, თუმცა, უფლისციხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი დიდებული კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქის აღმშენებლებს (ანუ გამომქვაბელებს) უდაოდ გარკვეული ტრადიცია უნდა ჰქონოდათ, ე. ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე კლდეში გამოკვეთის ხელოვნება დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

შემდგომ საუკუნეებში გამოქვაბულების კვეთა განპირობებული იყო ომებიანი ისტორიით. ჩვენი შორეული წინაპრები იძულებულნი იყვნენ მიუდგომელ კლდეთა ქარაფებში ეკვეთათ ციხე-ქალაქები, გამოქვაბული-სახიზრები, სამზერები, მონასტრებიც კი. და თუ დღეს ათასობით ტურისტი გაოცებული ათვალიერებს დიდებულ უფლისციხეს, კლდეში ნაკვეთ ციხე-ქალაქს, სადაც II საუკუნეში თეატრიც კი გამოუკვეთიათ ნიჭიერ უცნობ ხუროებს, ან საქვეყნოდ სახელგანთქმულ ვარძიის გამოქვაბულ სამონასტრო კომპლექსს, რომელმაც თამარ მეფის ფრესკაც კი შემოუნახა შთამომავლობას, ან კიდევ თეკნელას, გელსუნდას, რკონს, დავით გარეჯს და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენს, ისინი გონების თვალით ხედა-

ვენ ერის თავდადებულ შვილებს, უკვდავებაში გარდასულ ეროვნულ ბიბლიოთეკა ხუროთმოძღვრებს, ხედავენ ქართველი ერისა და მისი ხელოვნების ისტორიის ფურცლებს.



2. ირმის რქის შუბსატყორცნი. გვიანი პალეოლითი. მადლენური კულტურა.

ისევე, როგორც ყველა მეცნიერებას, სპელეოლოგიასაც გააჩნია თავისი ისტორია. ამ უკანასკნელ დროს საბჭოთა სპელეოლოგები იმითაც დაინტერესდნენ, თუ როდის და რომელ წყაროში იყო ნახსენები პირველად მღვიმე ან გამოქვაბული საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

1963 წელს გამოქვეყნდა ცნობილი საბჭოთა კარსტოლოგის გ. მაქსიმოვიჩის სტატია[1], რომელშიც იგი მიუთითებდა ნოვგოროდის

---

[1] Г. А. Максимович. О первом указании на карстовые пещеры на территории СССР. «Пещеры», вып. 3, Пермь, 1963.

I ქრონიკაზე, სადაც აღწერილია ალექსანდრე ნეველის შვილ-დიმიტრის, ნოვგოროდის თავად იაროსლავისა და ფსკოვის თავად დოვმონტის წინამძღოლობით რუსი ჯარის ბრძოლა გერმანელების, რიგისა და დერპტის ეპისკოპოსების ჯარების წინააღმდეგ 1268 წლის 18 თებერვალს. ამ ქრონიკაში ნახსენებია ერთ-ერთი გაუვალი მღვიმე: «И ту наехаша пещеру непроходну, в нейже бяше множество чюди влезше, и бяше нелзе ихъ взяти, и стояша три дни»... ავტორი გულისხმობს, რომ ეს მღვიმე მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ ესტონეთში, უხაკუს კარსტულ რაიონში.

1966 წელს იმავე კრებულის მე-7 ნომერში ესტონელი მკვლევარი ტ. რანდლა იძლევა ახალ ცნობებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მღვიმეთა პირველი მოხსენების შესახებ[1]. იგი ეყრდნობა ჰენრიხ ლატვიელის ქრონიკას, რომელშიც 1219 წლისათვის ნათქვამია, რომ: «...добыча ливонцев была очень велика, которые подземные пещеры харьюсцев, куда те спрятались, закрыли, и дни и ночи дым и огонь на пещерах делали, пока те все не задохнулись, как женщины, так и мужчины... Всего задохнувшихся людей обоего пола во всех этих пещерах было приблизительно тысяча душ». ტ. რანდლა და სხვა ესტონელი მკვლევარები ფიქრობენ, რომ აქ იგულისხმება ხუთი პატარა მღვიმე, განლაგებული ტალინის სამხრეთით 45 კილომეტრზე, კუიმეტსას რაიონში და ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მღვიმეები პირველად მოხსენებულია 1219 წელს.

ამ საკითხით დაინტერესებულმა, ჩვენ მივაკვლიეთ ახალ საინტერესო ცნობებს, საიდანაც ირკვევა, რომ მღვიმეები ანუ „ქვაბები“ უფრო ადრე ნახსენები ყოფილა საქართველოში. პრიორიტეტი ეკუთვნის XI საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეს ეფრემ მცირეს, რომელმაც მღვიმეები („ქვაბები“) მოიხსენია თავის ნაშრომში[2]. ეფრემ მცირეს ერთ ადგილზე უწერია: „...რჩეულთა შორის საწამებლად მართლმადიდებლობასა შინა განთქმულებისა წმიდანი

---

[1] Т. Э. Рандла. Новые данные о первом упоминании карстовых пещер на территории СССР. Сб. «Пещеры», вып. 6(7), Пермь, 1966.

[2] ეფრემ მცირე. „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჯსენების“. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. 1959.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



3. პრეისტორიული ცხოველების გამოსახულებანი მღვიმეში.

ტაძარნი წმიდათა შინა ადგილთა, ადგილი თხემისაჲ და ქუაბი ბეთლემისაჲ, ქუაბითურთ საბა წმიდისაჲთ და თორნით სჯიმონ წმიდისაჲთ".

ნოვგოროდისა და ჰენრიხ ლატვიელის ქრონიკებში აღწერილი მღვიმეების მდებარეობა დღევანდლამდე გაურკვეველია, ეფრემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირეს ნაშრომში მოხსენებული გამოქვაბულები თუ მღვიმეები დღესაც იმავე სახელწოდებებით არსებობენ.

„ქვაბები" ნახსენებია აგრეთვე ჯუანშერ ჯუანშერიანის ნაშრომში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" და ანონიმური ავტორის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", რომლებიც XI—XII საუკუნით თარიღდებიან (იხ. „ქართლის ცხოვრება"). სხვა მრავალთა შორის მათში ნახსენებია ცნობილი ხვამლის მიუვალი გამოქვაბული.

დიდი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კვლევის საგანი გახდა და ვერც სპელეოლოგები აუვლიან მას გვერდს. ამ დიდებულ პოემაში „ქვაბი" ორ ათეულზე მეტ ტაეპშია ნახსენები და მთავარ გმირთა მოქმედების ასპარეზიც ხშირად გამოქვაბულია.

სხვადასხვა ტიპის გამოქვაბულისა და მღვიმის აღმნიშვნელ ტერმინებს ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, ხოლო დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ნახსენებია საბა წმინდის, ხორხეჩის, ხვამლის და სხვა გამოქვაბულები და მღვიმეები. მღვიმეებს თავის შრომაში „კოლხეთის ანუ სამეგრელოს აღწერილობაში" იხსენიებს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.

საინტერესო ცნობები საქართველოს მღვიმეების შესახებ რევოლუციამდელ პერიოდში გვხვდება ძირითადად უცხოელი, რუსი მეცნიერებისა და მოგზაურების ნაშრომებში (კრაევიჩი, ჰ. აბიხი, ფ. დიუბუა დე მონპერე, ე. ფავრი, გ. რადე, ე. რეკლიუ, გ. კრონჰელმი, ს. სიმონოვიჩი, ლ. ბაცევიჩი, ა. სოროკინი, ა. შუგუროვი, ი. პანტიუხოვი, ა. უვაროვი, ი ლიხაჩოვი, ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, ე. მარტელი, ა. კრუბერი, ა. რეინჰარდი და სხვა).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართოდ გაიშალა გამოქვაბულებისა და მღვიმეების კვლევა. არქეოლოგიური და არქიტექტურული შესწავლის თვალსაზრისით ბევრია გაკეთებული გ. ჩუბინაშვილის, გ. ნიორაძის, ს. ზამიატნინის, ნინო ბერძენიშვილის, ბ. კუფტინის, ა. კალანდაძის, კ. მელითაურის, გ. ლომთათიძის, დ. თუშაბრამიშვილის, გ. გრიგოლიას, დ. ხახუტაიშვილის, გ. გაფრინდაშვილის, თ. ქარუმიძის, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის, ა. ვეკუას, ლ. მარუაშვილის, კ. ჯავრიშვილის და სხვათა მიერ. მღვიმეთა კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვით: ა. ჯანელიძეს, გ. ძო-

წენიძეს, ნ. კანდელაკს, ლ. მარუაშვილს, ნ. გვოზდეცკის, გ. ...
რიანს, ს. ნემანიშვილს, შ. ყიფიანს, ზ. ტინტილოზოვს, ...
ჯანაშვილს, გ. ჩანგაშვილს, ი. ბირშტეინს, ს. იუზბაშიანს, ე. ბოროუ-
ცკის, კ. მგელაძეს, ბ. გერგედავას, დ. ტაბიძეს, გ. გიგინეიშვილს,
ჯ. ჯიშკარიანს, რ. ჯანაშვილს, ზ. აძინბას და მრავალ სხვას.

საქართველოს გამოქვაბულთა და მღვიმეთა კვლევის შემდგომ განვითარებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან სპელეოლოგიური საბჭოს და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში კარსტოლოგიურ-სპელეოლოგიური ლაბორატორიის შექმნამ 1958 წელს. შემდგომ წლებში ამავე მიზნებს ემსახურებოდა სპელეისტიკის ლაბორატორიის დაარსება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

საქართველოს მღვიმეთა და მიუვალ გამოქვაბულთა კვლევაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მთამსვლელები: ლ. გოთუა, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გ. ყალაბეგიშვილი, აგრეთვე სპელეოსპორტსმენები: ჯ. ხომასურიძე, ვ. მაჩაიძე, ლ. მაჩაიძე, ა. მაჩაიძე, კ. რაქვიაშვილი, ტ. ანთიძე, კ. ტაბატაძე, თ. გორდეზიანი, რ. ჯანაშვილი, ი. ავდალოვი, რ. ნავერიანი, ლ. ქალდანი, რ. კახიძე, გ. სმირი, თ. სიხარულიძე, ნ. ერქომაიშვილი, ლ. ცისკარიშვილი, შ. კორძაძე და სხვები.

1962 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა სპელეოსპორტული კომიტეტი, რომელმაც დიდხანს ვერ იარსება.

საქართველოს მღვიმეებს და კარსტულ უფსკრულებს წარმატებით იკვლევენ მოსკოველი, ლენინგრადელი, ნოვოსიბირსკელი, კრასნოიარსკელი, ყირიმელი სპელეოლოგები. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს და 770 მეტრ სიღრმემდე დაიპყრეს მსოფლიოს ერთ-ერთი ღრმა კარსტული უფსკრული „თოვლიანი“ ბზიფის ქედზე, სოფ. დურიფშის ჩრდილოეთით.

საქართველოს გამოქვაბულები და მღვიმეები, გარდა თავისი ისტორიული მნიშვნელობისა, დიდი ესთეტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ძეგლებიცაა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ გამოჩენილი ფრანგი მწერლის, ალექსანდრე დიუმა-მამას აზრი, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში კავკასიაში იმოგზაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და შემდგომ გამოქვეყნებულ წიგნში „კავკასია“, აღწერა თბილისიდან ვლადიკავკაზში მოგზაურობის დროს, თბილისის მახლობლად დანახული მღვიმეები. იგი წერს: „...გზის ამ ნაწილზე ყველაზე დიდ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს მრავალრიცხოვანი გამოქვაბულები, რომელთაც ოთხკუთხა ხვრელები აქვთ და ვერავითარი კიბით ვერ მიუდგებით. მართალი გითხრათ, ამ გამოქვაბულებმა ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია... ადამიანის ხელითაა ეს გამოქვაბულები გამოთხრილი თუ ბუნებამ შექმნა ისინი? ბუნება ალბათ ასე წესიერად არ გამოთხრიდა მათ... ყველაზე უფრო სარწმუნოა, რომ ეს გამოქვაბულები კავკასიაში მცხოვრებ პირველ ტომთა სადგომები იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ მუხლი უნდა მოვიყაროთ ამ პირველყოფილი არქიტექტურის წინაშე“. ჯეიმს ოლდრიჯმა კი ასე გამოხატა თავისი აღფრთოვანება ვარძიის ხილვით: „დიდებულია, დიდებული თქვენი ვარძია. მე ბევრი ქვეყანა მინახავს, მაგრამ ამისთანა საოცრებას არ შევხვედრივარ. ნეტა რა ხელმა გამოკვეთა ეს გამოქვაბულები, რა ფუნჯმა მოხატა ეს ფრესკები“.

გავიხსენოთ თუნდაც უფლისციხის გამოქვაბულები. ეს ციხე-ქალაქი ამ საუკუნის დასაწყისში სპელეოლოგიის მამამთავრად აღიარებულმა ფრანგმა მეცნიერმა ედუარდ მარტელმაც მოინახულა და შემდგომ ვრცელი წერილი მიუძღვნა მას პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში. მარტელის მოგზაურობიდან 65 წლის შემდეგ უფლისციხეს შეორე გამოჩენილი ფრანგი სპელეოლოგი, აწ განსვენებული პროფესორი ჟან კორბელიც ეწვია.

როდესაც ჟან კორბელი საქართველოდან მიდიოდა, მითხრა: „გამეგონა, მაგრამ ახლა საკუთარი თვალით ვნახე ყველაფერი. თქვენ დიდი კულტურის მქონე ერი ხართ, და ბუნებასაც არაფერი დაუკლია საქართველოსთვის“.

უკანასკნელი 10—12 წლის მანძილზე საშუალება მქონდა გავცნობოდი დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის მღვიმეებს და აი როგორი სურათი წარმომიდგა თვალწინ:

ჩეხოსლოვაკიაში 30 მღვიმეა კეთილმოწყობილი, რომლებსაც ყოველწლიურად 2 მილიონამდე დამთვალიერებელი ჰყავს. შესასვლელი ბილეთის ღირებულება 8 კრონია საშუალოდ და მარტო ამ ბილეთებით სახელმწიფო წელიწადში იღებს 16 მილიონ კრონს.

იუგოსლავიის მრავალრიცხოვან კეთილმოწყობილ მღვიმეთაგან მარტო პოსტოინა იამა წელიწადში 7,5 მლნ მანეთ შემოსავალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს სახელმწიფოს. მას უკვე 11 მილიონზე მეტი ტურისტი ეწვია. პოსტოინას მღვიმეთა კომპლექსის მიდამოებში აშენებულია 3 უმაღლესი კლასის სასტუმრო 370 ადგილით და 3 კემპინგი 526 ადგილით.

საფრანგეთში კეთილმოწყობილია 43 მღვიმე. მარტო ერთ-ერთ მათგანს, კლამუზის მღვიმეს ყოველწლიურად 700 ათასზე მეტი კაცი ათვალიერებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კეთილმოწყობილ მღვიმეთა რიცხვმა კარგა ხანია 150-ს გადააჭარბა, ხოლო იაპონიის კუნძულ ხონსიუზე მდებარე აკიეს მღვიმეს წელიწადში 400 ათასზე მეტი მნახველი ჰყავს.

კარგად მოფიქრებულ ეკონომიურ გაანგარიშებაზეა დაფუძნებული აგრეთვე პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იტალიის, საბერძნეთის, ესპანეთის, გფრ-ის, შვეიცარიის, ბელგიის, ავსტრიის, თურქეთის, ლიბანის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების მღვიმეთა თუ გამოქვაბულთა გამოყენება ტურისტულ-ექსკურსიული მიზნებისათვის.

როგორც წესი, ამ მღვიმეებთან აგებულია სასტუმროები, კემპინგები, მოტელები, არის ავტომანქანების ფასიანი სადგომები, კარგადაა მოგვარებული რეკლამა, გზის მაჩვენებლები, იყიდება მღვიმურ თემატიკასთან დაკავშირებული სუვენირები, ბუკლეტები, გზამკვლევები, ფოტოსურათები, დიაპოზიტივები, ღია ბარათები და სხვ.

ახალი ათონის (ივერიის) მღვიმე, რომელიც თავისი მიწისქვეშა დარბაზებით ერთ-ერთი პირველია საბჭოთა კავშირში, კეთილმოწყობითი სამუშაოების დაწყებამდე სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ევროპის ზოგიერთ მღვიმეს. ვინც ადრე ყოფილა ამ მღვიმეში, ველარ აღფრთოვანდება მისი დარბაზების უმშვენიერესი ქვის ყვავილებით, იშვიათი კალციტური წარმონაქმნებით. რა მოხდა? მოხდა ის, რომ რაც გადაურჩა ცალკეულ სპელეოლოგიურ ექსპედიციებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც იშვიათ ინკრუსტაციებს ყუთებით მიეზიდებოდნენ საკუთარი „მუზეუმებისათვის", განადგურდა კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარებისას.

ახალი ათონის მღვიმის კეთილმოწყობა შესანიშნავი საჩუქარია ბუნების მოყვარულთათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4. ახალი ათონის (ივერიის) მღვიმის გეგმა: 1—9 მიწისქვეშა დარბაზები: 1. — აფხაზეთი. 2 — ქართველ სპელეოლოგთა. 3 — თიხიანი. 4 — კანიონი, 5 — სოხუმი, 6 — მოსკოვი, 7 — ივერია. 8 — თბილისი. 9 — ჰელიქტიტების.

მღვიმეები (გამოქვაბულებიც) ყველა ქვეყანაში არ არის. მათი არსებობა განპირობებულია გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, კლიმატური და სხვა ბუნებრივი თუ ისტორიული პირობებით (უკანასკნელი გამოქვაბულებისათვის). საქართველოს მრავალფეროვანი და უხვი მიწა-წყალი უმდიდრესია მღვიმეებით და გამოქვაბულებით. პირველნი თავმოყრილია ძირითადად დასავლეთ საქართველოში, მდ. ფსოუდან ლიხის ქედამდე, მეორენი კი ხშირად მთელ კომპლექსებს ქმნიან აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

სიცრუისა და ჰეშმარიტების ჰიდილი

(მღვიმე და არქეოლოგია)

„ჰეშმარიტება შეიძლება დროებით დაიფაროს, მაგრამ საბოლოოდ მისი დამარცხება შეუძლებელია“.

ავგუსტინე

ადაპიანი მღვიმესთან ოდითგანვეა დაკავშირებული. პირველყოფილი ადამიანისათვის, როდესაც მთელი მისი საქმიანობა და ფიქრი შემოიფარგლებოდა საარსებო საშუალებებისათვის ბრძოლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა და „ბინაზე“ არ ფიქრობდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ შორეულ ეპოქაში ადამიანები ბევრით არ განსხვავდებოდნენ ცხოველებისაგან. ამ მხრივ დამახასიათებელია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელების — შუმერების — შეხედულება ღმერთების შესახებ. მათი წარმოდგენით თავდაპირველად არ არსებობდნენ ადამიანები და ცხოველები, იყვნენ მხოლოდ ღმერთები, ისიც ველურნი, რომლებიც:

„არ ჰამდნენ პურს,
არ ეცვათ ტანზე,
ცხენებივით ღეჭავდნენ ბალახს,
გუბეებიდან სვამდნენ წყალს“[1].

ამ გადმოცემაში აშკარაა, რომ ღმერთებად გამოყვანილია ის პირველყოფილი ადამიანები, რომლებიც შუმერებზე ადრე, მრავალი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ...

დღეისათვის მეცნიერებაში შესწავლილია ოთხი გამყინვარება: გიუნცის, მინდელის, რისის და ვიურმის. ამათგან გიუნცის გამყინვარება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი არ არის.

გიუნცის გამყინვარებას ადგილი ჰქონდა ზედა პლიოცენში, რომელსაც გამოყოფენ აშელისწინა არქეოლოგიური სტადიის სახელწოდებით. ეს იყო 1—2 მილიონი წლის წინ. ამ დროს ცხოვრობდნენ ავსტრალოპითეკუსები და ლეკეის ადამიანები. მათი მატერიალური კულტურის ნაშთები ნაპოვნია სამხრეთ აფრიკაში, ტუნგის მღვიმეში. მინდელური გამყინვარება მოხდა ქვედა პლეისტოცენში. ესაა აშელის სტადია და მოიცავს 400 ათას — 1 მილიონ წლებს. ამ დროს ცხოვრობდნენ არქანთროპები: პითეკანთროპუსი, სინანთროპუსი, ატლანთროპუსი, ჰეიდელბერგელი ადამიანი. მატერიალური ნაშთები ნაპოვნია ჯოუკოუდიანის მღვიმეში ჩინეთში და იუგოსლავიის მღვიმეებში. ქვედა და შუა პლეისტოცენი მოიცავს მინდელ-რისული გამყინვარებათაშორისეულ ხანას და რისული გამყინვარების დასაწყისს. ესაა აშელის არქეოლოგიური სტადია (400 ათასი — 100 ათასი წელი). ამ დროს ცხოვრობდნენ პალეოანთროპები ანუ ნეანდერტალოიდები. მატერიალური ნაშთები მიკვლეულია აფთრის მღვიმეში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სპის მღვიმეში — ბელგიაში და კუდაროში — საქართველოში.

---

[1] С. Н. Крамер. История начинается в Шумере. М., 1965. გვ. 135 (ავტორის თარგმანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისული გამყინვარება კი მოიცავს შუა პლეისტოცენს ანუ მუს-ტიეს სტადიას, 100 ათასიდან 40 ათას წლამდე. ამ დროს ცხოვრობენ და ნეანდერტალიელი. მატერიალური ნაშთები ნაპოვნია საფრანგეთში — მუსტიეს მღვიმეში, საქართველოში — საგვარჯილეს, წონას, ჯრუჭულას მღვიმეებში. ვიურმის გამყინვარება მოიცავს ზედა პლეისტოცენს-ჰოლოცენს, როცა მყინვარებმა უკან დაიხიეს. ამ პერიოდში გამოყოფენ შემდეგ სტადიებს: ორინიაკს (40—30 ათასი წლები), სოლუტრეს (30—25 ათასი წლები), მადლენს (25—15 ათასი წლები). ამ სტადიებზე უკვე თანამედროვე ადამიანი იწყებს ცხოვრებას (ორინიაკიდან). მატერიალური ნაშთები მოპოვებულია საფრანგეთის მღვიმეებში (ორინიაკი, ლა-კავი, ლა-მადლენი), ესპანეთის (ალტამირა), საქართველოს მღვიმეებში (დევისხვრელი, თაროკლდე, საკაჟია, მღვიმევი, გვარჯილას-კლდე) და სხვ.

მეოთხეულ ეპოქაში დედამიწა დიდ გამყინვარებას მოუცავს. ღია სადგომებში ადამიანს გაუჭირდა ცხოვრება. შესადარებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მუდმივი თოვლის საზღვარი კავკასიონზე ზღვის დონიდან 2800—3400 მეტრის სიმაღლეზეა, გამყინვარებათა ეპოქებში კი იგი 1200—1300 მეტრით და უფრო მეტითაც ძირს ეშვებოდა.

ბუნებრივია, რომ სიცივით შეწუხებულმა ადამიანმა მყუდრო თავშესაფრის ძებნა დაიწყო. ასეთი იყო მღვიმე, რომლის მბრძანებელიც იმ შორეულ წარსულში ვეება დათვები, ლომები და აფთრები იყვნენ. ქვის იარაღით აღჭურვილმა ადამიანმა ფიცხელი ბრძოლების შემდეგ შეძლო მათი დამარცხება და დაიწყო ამ ბუნებრივი თავშესაფრის საცხოვრებლად მოწყობა. ჩვენს შორეულ წინაპარს გაუჩნდა ახალი საზრუნავი, რამაც მისი გონების ინტენსიური განვითარება გამოიწვია: მოასწორა მღვიმის იატაკი, ზოგან პრიმიტიული კედელიც კი ააგო. მღვიმეში ცეცხლის შენახვაც კარგად შეიძლებოდა თავის დაცვაც სიცივისაგან და ნადირთაგან. მღვიმეში მცხოვრებ ადამიანებს ტროგლოდიტებს უწოდებენ.

მას შემდეგ მრავალი ათასი წელი გავიდა და დღევანდელი ადამიანი — ჰომო საფიენსი — ანუ გონებრივი ადამიანი მღვიმეთა კულტურულ ფენებში დაცული მატერიალური ნაშთების მიხედვით აღადგენს თავისი შორეული წინაპრის ცხოვრების ხასიათს, ადათ-ჩვეულებებს, იერს და სხვა. დღეს ადვილია ამის თქმაც და დაჯერე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5. გეომეტრიული ფიგურები მღვიმეში, ჭიათურის მახლობლად.

ზაც, რადგან სხვა მეცნიერებათა კვალდაკვალ არქეოლოგიაც განვითარდა და ბიბლიური წარმოდგენებისაც დღეს აღარავის სჯერა.

რელიგიური მითები სამყაროსა და ადამიანის გაჩენაზე ფართოდაა ცნობილი ისევე, როგორც რელიგიურ ცრუშეხედულებათა წინააღმდეგ მებრძოლ დიდ მოაზროვნეთა სახელები. მთელი ტომებია დაწერილი ჯორდანო ბრუნოს, კოპერნიკის, კამპანელას, გალილეის და სხვათა შესახებ, რომლებმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიზიციას. რამდენი დიდი ადამიანის სიცოცხლე, ხანგრძლივი ბრძოლა და ენერგია დასჭირდა მეცნიერებას, რომ რელიგიის ბორკილები დაემსხვრია და კაცობრიობასთან ჭეშმარიტება მიეტანა[1].

XIX საუკუნე სხვადასხვა მეცნიერებათა ჩამოყალიბებისა და აღმავლობის ხანა იყო. აღმოჩენები აღმოჩენებს მოსდევდა. განსაკუთრებით დიდი აღმოჩენები მოხდა არქეოლოგიაში: გაშიფრეს ეგვიპტური იეროგლიფები, ბაბილონის ლურსმული დამწერლობა, აღმოაჩინეს ძველი ტროადის და ნინევიის ნანგრევები, შემდგომ კი ტუტანჰამონის აკლდამა და ოქროს სარკოფაგი. მაგრამ ეს ყველაფერი განვითარებული საზოგადოების, მთელი ცივილიზაციების მიერ იყო შექმნილი და მათი აღმოჩენა თუ შესწავლა ასე თუ ისე უფრო ადვილი საქმე იყო. მაგრამ რას წარმოადგენდა ადამიანი მისი გონების გარიჟრაჟზე, საიდან გაჩნდა იგი, როგორ ვითარდებოდა? ბიბლია ხომ ყველაფერს ღმერთს მიაწერდა და თვით სიტყვა ადამიც ხომ ძველებრაულ ენაზე წითელ თიხას ნიშნავს, საიდანაც ღმერთმა გამოძერწა იგი?

და აი, მე-19 საუკუნის დასაწყისში ადგილი აქვს ორ მეტად საინტერესო შემთხვევას:

1809 წელს გამოჩენილმა ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ჟან ლამარკმა გამოაქვეყნა წიგნი „ზოოლოგიის ფილოსოფია", რომელშიც ძალზე დამაჯერებელი დებულებები მოჰყავდა ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობის შესახებ. იგი წერდა, რომ მაიმუნის გადაქცევა ადამიანად განპირობებული იყო ცვალებადი გარემოს გავლენით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მაგრამ პროგრესული მეცნიერის ეს შეხედულებები თანამედროვეებმა უარყვეს.

უცნაური დამთხვევა იყო, რომ ამ წიგნის გამოსვლის წელს დაიბადა ჩარლზ დარვინი, რომელსაც წილად ხვდა ძირფესვიანად დაემსხვრია მანამდე არსებული შეხედულებები და აღმოეჩინა ბუნებრივი შერჩევის კანონი, შემდეგ კი ჩამოყალიბებულიყო ახალი, პროგრესული მიმდინარეობა — დარვინიზმი, რომელზეც მოგვიანებით კ. ტიმირიაზევმა თქვა: ეს იყო ყველაზე ღრმა რევოლუცია, რომელიც კი ოდესმე მომხდარა ბუნებისმეტყველებაშიო.

პარადოქსია, მაგრამ დარვინი ღვთისმეტყველი იყო. გემ „ბიგლით" (რომელზეც იგი სრულიად შემთხვევით მოხვდა სხვის ნაცვ-

---

1 იხ. ავტორის წერილი „ღმერთებთან ბრძოლა", ჟურნ. „ცისკარი", № 10, 1972 წ.

ლად) სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ იგი მეგობრულ
დასკვნამდე, რომ მცენარეთა და ცხოველთა ყველა სახეობა განიც-
დის განუწყვეტელ ცვლას. დარვინის თეორიის წინააღმდეგ, რომე-
ლიც საბოლოოდ ანადგურებდა ბიბლიურ წარმოდგენებს, სასტი-
კად გაილაშქრეს რელიგიამ და მისმა მიმდევარმა მეცნიერებმა.
დარვინს ლანძღავდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეე-
შალათ მისი თეორიის გავრცელებისათვის.

დარვინმა გამოთქვა აზრი, რომ ადამიანის ერთ-ერთი წინაპარი
იყო ხეზე მცხოვრები ტყის მაიმუნი ანუ დრიოპითეკი, რომლის ნაშ-
თები იმ დროისათვის აღმოაჩინეს დედამიწის სხვადასხვა ნაწილში.
დარვინის შეხედულებას მიემხრო მეორე გამოჩენილი ბუნებია-
მეტყველი ერნსტ ჰეკელი, რომელმაც წამოაყენა ჰიპოთეზა პითე-
კანთროპის ანუ ადამიანის მსგავსი მაიმუნის არსებობის შესახებ.
იგი, მისი აზრით, გარდამავალი სახეობა უნდა ყოფილიყო მაიმუნსა
და ადამიანს შორის.

ჰეკელის მიმდევარმა, ამსტერდამის უნივერსიტეტის დოცენტმა
ევგენი დიუბუამ 1889 წელს კუნძულ იავაზე აღმოაჩინა პითეკანთ-
როპის ჩონჩხის ნაშთები, რითაც დამტკიცდა დარვინისა და ჰეკელის
შეხედულებათა სისწორე.



6. 1. ბამოსახულებები კედელზე მცირე აკადემიის მღვიმეში (ყირიმი).
2. მეზოლითის ეპოქის გაფერადებული ქარგვალები. 3. ყიზილ-ქობის
პერიოდის თიხის ჭურჭელი მცირე აკადემიის მღვიმედან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ადრე, 1848 წელს, გიბრალტარის კლდის ჩრდილო კალთაზე იპოვეს ნეანდერტალელის პირველი თავის ქალა, მაგრამ იგი უყურადღებოდ დატოვეს. იგივე დაემართა 1856 წელს ნეანდერტალის ხეობაში აღმოჩენილ ნაშთებსაც. მხოლოდ 1859 წლიდან, დარვინის ნაშრომის გამოცემის შემდეგ მიიპყრეს ამ ნაშთებმა მეცნიერთა ყურადღება და მათ ირგვლივ დიდი კამათიც გაჩაღდა.

მაგრამ ოცოდე წლის წინათ ევგენი დიუბუას ნახსენები აღმოჩენიდან 1868 წელს, საფრანგეთში, მდ. ვეზერის ხეობაში გაჰყავდათ რკინიგზა. ამავე სახელწოდების სოფლიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით, კრო-მანიონის მღვიმეში მუშებმა ცხოველთა ძვლებთან და პრიმიტიულ ქვის იარაღთან ერთად იპოვეს უძველესი ადამიანების ნაშთები. ეს იყო ახალგაზრდა მამაკაცის, მოხუცის, ქალის და ბავშვის ჩონჩხები. როგორც ჩანდა, ძალიან შორეულ წარსულში, მრავალი ათასი წლის წინათ, ამ მღვიმეში ტრაგედია დატრიალებულიყო.

ეს დიდი აღმონაჩენი შეისწავლა ლუი ლარტემ და განაცხადა, რომ კრო-მანიონის მღვიმეში მცხოვრები ადამიანები მიეკუთვნებოდნენ უძველეს მონადირეთა ტიპს. დასაწყისში ისინი ამ მღვიმეს იყენებდნენ თავშესაყარ ადგილად და ნადავლის გასაყოფად, შემდგომ კი მუდმივად აქ ცხოვრობდნენ. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა გამოჩენილი ფრანგი არქეოლოგი და ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბუშე დე პერტი, რომელმაც დააფგინა კრო-მანიონის მღვიმის ადამიანთა ნაშთების სიძველე. მისი ხელნაწერები და წიგნები დაწვეს. ხელისუფალნი 7 წლის შემდეგაც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ვინმე ვიქტორ მენიეს წიგნის გამოქვეყნებისათვის, რომელშიც აღწერილი იყო ბუშე დე პერტის დიდი და თავდადებული მოღვაწეობა, მისი შეხედულებები ადამიანთა მოდგმის სიძველის შესახებ.

მაგრამ მეცნიერების განვითარებას ცეცხლი და ბორკილები ვეღარაფერს დააკლებდა. სწორედ ამ პერიოდში მთელი მსოფლიო ტრიუმფით მოიარა ჩარლზ დარვინის წიგნმა „სახეობათა წარმოშობა“, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მეცნიერებაშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ რელიგიისა და მეცნიერების „შერიგებას“. ამისათვის ხშირად ფალსიფიცირებასაც მიმართავდნენ. აი ერთი მაგალითი: 1911 წელს ინგლისში, პილტდაუნში, ვეჭილმა და მოყვარულმა კოლექციონერმა დაუსონმა იპოვა თანამედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვე ტიპის ადამიანის თავის ქალა და პრიმიტიული ქვის ბასრი
რომელიც მაიმუნისას წაგავდა. მაშინვე გამოაქვეყნეს სენსაციური
ცნობები, რომ ეს იყო თანამედროვე ადამიანის ტვინის მქონე და
მაიმუნის ყბიანი არსება, რომელიც ინგლისის ტერიტორიაზე ცხოვ-
რობდა მეოთხეული ეპოქის დასაწყისში. ქვეყნდებოდა წერილები
სათაურებით: „პირველი ინგლისელი", „პილტდაუნელი ადამიანი".
ხოლო მეცნიერებმა მას „დაუსონის ეოანთროპი" (ბერძნ. „ეოს" —
რიჟრაჟი, „ანთროპოს" — ადამიანი) უწოდეს. 40 წლის მანძილზე
ეს ამბავი კამათის საგნად იქცა და მას 400-ზე მეტი სამეცნიერო
და საჟურნალო წერილი მიეძღვნა. ამ პერიოდის მანძილზე ბრიტა-
ნეთის მუზეუმის ამ ექსპონატს დასავლეთის ზოგი მეცნიერი იყენ-
ებდა დარვინის წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი მაი-
მუნისაგან კი არ წარმოიშვა ხანგრძლივი და თანდათანი ევოლუციის
გზით, არამედ რაღაც ზებუნებრივი, ღვთიური ძალისაგან. ინგლისე-
ლი თეოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა და
არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა იგი ცხოველისაგან წარ-
მოშობილიყო. საბჭოთა მეცნიერები ყოველთვის ეჭვის ქვეშ აყენ-
ებდნენ ამ „აღმოჩენის" ჭეშმარიტებას. და აი, 1953 წელს ეს
„უდიდესი მეცნიერული ღირებულების მონაპოვარი" ბრიტანეთის
მუზეუმის სეიფიდან გამოიღეს, შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ თა-
ვის ქალა მართლაც პალეოლითელ ადამიანს ეკუთვნოდა, ყბა კი
თანამედროვე შიმპანზეს, რომელიც ხელოვნურად შეეღებათ, ადა-
მიანის ყბისათვის მისამსგავსებლად კბილების ფოსოები შემოეხერ-
ხათ და განამარხებულის სახე მიეცათ. ამავე წლის ნოემბერში ინ-
გლისის გაზეთები აჭრელდა სათაურებით: „უდიდესი მისტიფიკაცია
მეცნიერების ისტორიაში", „ვინ გააკეთა ყალბი ქვედა ყბა?" და სხვ.
ამ სიყალბის ავტორი ვერ დაადგინეს. მსგავსი მაგალითები ბევრი
ახსოვს არქეოლოგიას, როცა კაპიტალისტური სამყაროს ვაიმეცნიე-
რები ფალსიფიცირებულ არქეოლოგიურ მონაპოვრებს იყენებდნენ
არა მარტო რელიგიური მრწამსის განსამტკიცებლად, არამედ ჰიტ-
ლერის, მუსოლინის და სხვათა ფაშისტური პოლიტიკის გამართლე-
ბისათვის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ პრუსიის მეფის
ფრიდრიხ II ცინიზმით სავსე სიტყვები; როდესაც მან პოლონეთის
ტერიტორიის დიდი ნაწილი მიიტაცა, ჰკითხეს, რითი ასაბუთებს ამას.
ფრიდრიხმა უპასუხა: „რისთვის არსებობენ ჩემი ისტორიკოსები?
ისინი ჰოძებნიან რაიმე არგუმენტს, რითაც დამტკიცდება ჩემი უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებები ამ ქვეყანაზე". ეს სუფთა პოლიტიკური დემაგოგიაა. მაგრამ ამ საკითხის განხილვა შორს წაგვიყვანდა. დავუბრუნდეთ ისევ პირველყოფილ ადამიანს, რომელმაც დიდი გამყინვარების ეპოქაში მღვიმეებს მიაშურა.

დაახლოებით 100 ათასი წლის წინათ ადამიანის ფიზიკურ აგებულებაში, ევოლუციის შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. უძველესი მაიმუნ-ადამიანები (პითეკანთროპები) ამ დროისათვის უკვე ადამიანებად იქცნენ. ისინი დღევანდელ ადამიანებთან შედარებით ძალზე პრიმიტიულნი იყვნენ, თუმცა კი თავისი ბიოლოგიური ორგანიზაციით ძალიან ახლოს იდგნენ მასთან. ისინი იყვნენ ჯმუხები და დაბალი ტანის. მათ ნეანდერტალელები უწოდეს (ადგილის მიხედვით, გერმანიაში, დიუსელდორფთან, სადაც 1856 წელს მათი ნაშთები ნახეს). გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ნაპოვნია ნეანდერტალელთა ოცზე მეტი სამარხი, მათ შორის რ ოდეზიაში, იავაზე და სხვაგან. საინტერესო იყო არქეოლოგ დ. თუმანიშვილის მიერ ჯრუჭულას მღვიმეში აღმოჩენილი ნეანდერტალოიდის ნაშთები. კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, პირველყოფილი ადამიანის მიერ კარსტული მღვიმეების საცხოვრებ-



7. მღვიმეში ნაპოვნი ძვალზე გრავირებული ჩრდილოეთის ირმის გამოსახულება.

ბლად გამოყენების მაგალითები მრავლადაა. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კარსტული მღვიმის საცხოვრებლად გამოყენების პირველი შემთხვევა დადასტურებული იყო კუდაროს და წონას მღვიმეებში 1955—1959 წლებში, აგრეთვე ყარაბალის ერთ-ერთ მღვიმეში, სოფ. აზოხთან. „ყველაზე ადრეული პერიოდი, რომლის შესატყვის მასალებს გვაწვდის კავკასიის ამ უძვე-

ლეს და უმაღლეს მღვიმეთა ქვედა კულტურული ფენებიდან აშელი (დაახლ. 150 ათასი — 200 ათასი წლის წინანდელი).

ჯერჯერობით პირველყოფილი ადამიანის მიერ საცხოვრებლად გამოყენებული მღვიმეების რიცხვი საქართველოში ოცდაათს აღწევს, მაგრამ სპელეოლოგთა ბოლო წლების გამოკვლევები გვაფიქრებინებს, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენები შეიძლება მოხდეს რაჭის მღვიმეებში (შქმერისა და შაორის მიდამოებში).

ა. კალანდაძის და გ. გრიგოლიას ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან მოგვყავს საქართველოს იმ მღვიმეთა ცხრილა, რომლებიც ქვის ხანის ადამიანის მიერ საცხოვრებლად იყო გამოყენებული:

ქვედა პალეოლითი	ზედა პალეოლითი	ეპიპალეოლითი
ა) აშელი	1. დევის ხვრელი	1. ბუბას კლდე (წონა)
1. ბუბასკლდე (წონა)	2. საკაჟია	2. კუდარო I
2. კუდარო I	3. მღვიმევი	3. ქვედი
ბ) მუსტიე	4. ვაჭევი	4. რგანი (გვარჯილას კლდე)
	5. შუქრუთი	
1. ბუბასკლდე (წონა)	6. რგანი (გვარჯილას კლდე)	5. ჯრუჭულას ეხი
2. კუდარო I		6. საგვარჯილე
3. შაგით ხოხი	7. სამერცხლე კლდე	7. ჭახათი
4. ქვედი	8. ბნელი კლდე	8. ქვაჭარა
5. ჯრუჭულა	9. საგვარჯილე	9. ცივი მღვიმე
6. სამგლე კლდე	10. ჭახათი	10. კეპ-ბოლაზი
7. ჭახათი	11. ოქუმი	11. იაშთხვა
8. საგვარჯილე	12. მუქავა	12. ეძანი
9. ეწერფერდი	13. ღუმურიში	13. ზურტაკეთი
10. ბზიფი	14. ქვაჭარა	
11. წოფი I	15. სვანთა სავანე	
	16. ანუხვა	

ზემოთ საუბარი გვქონდა ნეანდერტალელ და კრომანიონელ ადამიანებზე. მაგრამ მათაც ხომ ჰყავდათ თავიანთი წინაპარი? ეს იყო სინანთროპი[2]. ჯერ კიდევ 1918 წელს, პეკინის სამხრეთით მდებარე სოფ. ჯოუკოუდიანთან, ამავე სახელწოდების კირქვული პლატოს მღვიმეებში შვედმა გეოლოგმა გ. ანდერსონმა მიაკვლია სი-

---

[1] ა. კალანდაძე და გ. გრიგოლია. „პირველყოფილი ადამიანის მღვიმე — საცხოვრისთა შესწავლის ზოგადი სურათი საქართველოში". სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. გამომცემლობა „მეცნიერება", 1969 წ.

[2] სინანთროპი ნიშნავს მაიმუნის მსგავს ჩინელ ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანთროპის ნაშთებს. 9 წლის შემდეგ ჩინელმა მეცნიერმა პემ ამავე რაიონის ერთ-ერთ მღვიმეში აღმოაჩინა სინანთროპის თავის ქალა და ქვის იარაღი. სინანთროპი თუმცა საკმაოდ განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისგან, მაგრამ იგი უკვე ხმარობდა ცეცხლს. ეს აღმოჩენა ადამიანის წარმოშობის მატერიალისტური მოძღვრების ერთ-ერთი დიდი გამარჯვება იყო.

ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი ცდილობდა და ახლაც ცდილობს, რომ პირველყოფილ ადამიანს რელიგიური ცრურწმენები დააბრალოს თვით მისი წარმოშობის დროიდანვე. ამით ისინი ხაზს უსვამენ ღვთიურ საწყისს ადამიანში. როდესაც არქეოლოგები გაეცნენ ნეანდერტალელ ადამიანთა სადგომებს დრაჰენლოხის და პეტერსჰოლეს მღვიმეებში ალპებში, ისინი გაოცებულნი დარჩნენ დათვისა და სხვა ცხოველების უამრავი ძვლის დანაგროვებით. ნეანდერტალელთა იარაღის და ძვლების ნაშთები იმაზე მეტყველებდნენ, რომ ეს ძვლები ამ მღვიმეებში პირველყოფილმა მონადირეებმა მოიტანეს. მაგრამ გასაოცარი კიდევ ის იყო, რომ დრაჰენლოხის მღვიმის ორ დარბაზში აღმოაჩინეს 80 სმ სიმაღლის მქონე კედლები, რომლებიც კირქვის ფილებით იყო აგებული, მღვიმის კედლიდან 40—60 სმ-ის დაშორებით. სწორედ ამ კედლებს მიღმა იყო ძირითადად დაგროვებული დათვის თავის ქალას ძვლები. ღვთისმეტყველებმა ეს ფაქტები თავისებურად გამოიყენეს. გამოჩენილი არქეოლოგი აბატი ბრეილი ამტკიცებდა, რომ ეს დანაგროვები ნიშანია პირველყოფილ ადამიანებში დათვის რელიგიური კულტის არსებობისაო. მსოფლიოს მრავალმა პროგრესულმა მეცნიერმა, მათ შორის საბჭოთა არქეოლოგებმაც მტკიცედ დაასაბუთეს ამ მოსაზრების მცდარობა. აღნიშნული მღვიმეები მთებში მდებარეობენ და წარმოადგენენ პირველყოფილი ადამიანის არა მუდმივ საცხოვრებელს, არამედ დროებით სამონადირეო თავშესაფარს. სადაც ინახავდნენ ნანადირევის მარაგს. ასეთი და კიდევ სხვა ფაქტების ზეგავლენით თვით აბატი ბრეილიც კი იძულებული იყო ელიარებინა საკუთარი შეხედულების მცდარობა ამ ათიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ „ზოგადი ისტორიის" პირველ ტომში.

პირველ რელიგიურ რწმენათა ნიშნებს ვხვდებით ზედა პალეოლითელი ადამიანის სამარხებში. აქ. ჩონჩხის გვერდით პოულობენ შრომისა და ნადირობის იარაღებს, ზოგჯერ ცხოველთა ნაშთებსაც. ეს იმის ნიშანია, რომ გარდაცვლილის ახლობლებს სწამდათ საიქიო ცხოვრების არსებობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გამყინვარების პერიოდში, როდესაც ყინულის საფარის სისქემ ერთ კილომეტრს გადააჭარბა, ჰავა გამკაცრდა. ... გადაშენდა ცხოველთა და მცენარეთა მრავალი სახეობა. მათგან განსხვავებით ადამიანმა დაიწყო შეგუება ახალი საცხოვრებელი პირობებისადმი. მიაშურა მღვიმეს, უფრო განუვითარდა გონება და დაიწყო პრიმიტიული აზროვნება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო ღრმავდებოდა: ადამიანი უკვე უკვირდებოდა ბუნების მოვლენებს, ქუხილს, ელვას, მიწისძვრას, ქარიშხალს, წყალდიდობებს, მაგრამ არ შეეძლო ამ მოვლენათა მიზეზების ამოცნობა და ახსნა. ყველაზე ადვილი და ხელმისაწვდომი იყო ბუნების ძალთა გამოვლინებისათვის ადამიანის თვისებების მიწერა. ბუნებრივი მოვლენები პირველყოფილმა ადამიანმა ორად გაყო: კეთილი და ბოროტი. თანდათან ისწავლა ცეცხლის ხმარება, გააკეთა ნადირობისათვის და ნანადირევის დასამუშავებლად საჭირო იარაღები. უკვე დაიწყო ბუნების მკაცრ მოვლენათა „გულის მოგება" საჩუქრებით, ქებით. ის მსხვერპლს სწირავდა მზეს, რომ სხეული გაეთბო მისთვის. ნადირებს, რომ არ შებრძოლებოდნენ მათ ნადირობის დროს, თევზებს, რომ ისინი ბადეში მოხვედრილიყვნენ და სხვა. პირველყოფილი ადამიანის მიერ შესრულებული ცხოველთა სურათები მრავლადაა მიკვლეული მღვიმეთა ჭერზე და კედლებზე.

მატრიარქატის ეპოქაში პირველყოფილ ადამიანებს სწამდათ, რომ ქალი სიკვდილის შემდეგაც ზრუნავდა თავის შთამომავლობაზე.

ადამიანმა თანდათან თავი დაანება მომთაბარე ცხოვრებას. ჯგუფებად დასახლებულთ უფრო უადვილდებოდათ ნადირთაგან თავდაცვა, საკვების მოპოვება. დროთა განმავლობაში მოაშინაურეს ძაღლი, ღორი და სხვა ცხოველები. ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში მათ იმდენად დიდი ადგილი დაიკავეს, რომ გაღმერთების საგნებად იქცნენ. გვარების ტომებად გაერთიანებამ გამოიწვია ღმერთების დაყოფა, გაჩნდნენ მთავარი და მეორეხარისხოვანი ღმერთები.

შუმერების ღმერთების მაგალითიდან ჩანს, რომ შუმერებმა მათზე ადრე მცხოვრები ადამიანები ღმერთებად აქციეს, ე. ი. ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, ადამიანმა შექმნა ღმერთი. ტყუილად კი არა აქვს ნათქვამი ლ. ფოიერბახს, რომ რელიგია იბადება უვიცობის მარადიულ წყვდიადში, გაჭირვებაში, ტექნიკურ უილაჯობაში, უკულტურობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუნათლებელ ხალხს ეგონა, რომ მზის დაბნელების ბუნებრივი მოვლენა სამყაროს დასასრული იყო. რელიგიის მსახურნი ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ასეთი აზრის გავრცელებას. სახარებაში ნათქვამია, რომ დადგება დრო, როცა მზე ჩაქრება და მთვარე ველარ გაანათებს; ვარსკვლავები ჩამოცვივა; ეს იქნება სამყაროს დასასრული. ასეთ დასასრულს ისინი წინასწარმეტყველებდნენ 992 წელს, 1000 წელს, 1198 წელს და ა. შ. უკანასკნელ თარიღად გამოცხადებული იყო 1925 წელი. ეს კი, ბუნებრივია, აწყობდა ეკლესიას. ხალხი შიშით ელოდა აღთქმულ დროს, მაგრამ ის დროც გაივლიდა და ყველაფერი ძველებურად რჩებოდა; მზეც უხვად აგზავნიდა თავის ცხოველმყოფელ სხივებს, მთვარეც ანათებდა და არც ვარსკვლავები ცვიოდა ძირს.

ახლა ყველამ იცის მზის დაბნელების მიზეზი. ასე რომ, საზოგადოების განვითარება ობიექტურ კანონებს ემორჩილება, რაც შესანიშნავადაა ასახული ისტორიულ მატერიალიზმში. ამის საწინააღმდეგოდ, კაპიტალისტური სამყაროს ზოგიერთი არაპროგრესულად მოაზროვნე მეცნიერი უარყოფს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას და წარსულის მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობასაც. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ორი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის სიტყვები. 1961 წლის 14 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჩ. ბოულსმა ფერმერების ყრილობაზე განაცხადა: „კარლ მარქსის საწინააღმდეგოდ არ არსებობს ისტორიის გარდუვალი კანონები“[1], ხოლო იმავე წლის 2 მარტს სასტუმრო „უოლდორფ ასტორიაში“ გამართულ ოფიციალურ საუზმეზე წარმოთქმულ სიტყვაში ე. სტივენსონმა განაცხადა: „არსებობს ისტორიის უფრო ღრმა და გარდუვალი კანონები, ვიდრე მარქსისა და ლენინის მიერ გამოგონებული კანონები“[2]. ასეთი და მსგავსი პოლიტიკოსები და ვაიმეცნიერები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორია წარმოადგენს ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ფაქტების ქაოსს, და რომ პროგრესის იდეა სუბიექტურია, ხოლო უმთავრესია შემთხვევითობა, რომელზეც ყველაფერია დამოკიდებული. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი დღესაც ქადაგებს, რომ რწმენა ღმერთის არსებობაში თანამედროვე კაცობრიობას ისე სჭირდება, რო-

---

[1] «За рубежом», № 11, 1961 წ., გვ. 27.

[2] გაზეთი „Известия“, 1961 წ. 9 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც არასდროს. ამას ამტკიცებენ ჩვენს მაღალგანვითარებულ ეპოქაში, როცა თვითონ დავფრინავთ ღრუბლებს ზემოთ („ღრუბლთა სამყოფელში") და უფრო შორსაც — კოსმოსში.

ცნობილია, რომ კლასობრივი წყობილების ჩამოყალიბებასთან ერთად რელიგია გაბატონებული კლასების მიერ ექსპლოატირებულთა ყოვლად გაუმართლებელი ჩაგვრის იარაღად იქცა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას"[1].

ხელოვნების მარადისობის საწყისებთან

„ხვეულთ დიადება
ვხედავ — რა უხვია,
დრომ მას დიადემა
კრძალვით შეუხვია,
ნეტა ვინ მოჰქარგა..."

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

გასული საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი უდიდესი აღმოჩენების ხანა იყო კაცობრიობის ისტორიაში. ზედიზედ აღმოაჩინეს ბაბილონის და ნინევიის ნანგრევები, ასირიის მეფის, აშურბანიპალის ბიბლიოთეკა, რომ აღარაფერი ვთქვათ ფრანსუა შამპოლიონის მიერ ეგვიპტური დამწერლობის საიდუმლოების ამოცნობაზე (1822 წ.) და ზუსტად 100 წლის შემდეგ ჰოვარდ კარტერისა და ლორდ კარნარვონის მიერ ტუტანჰამონის აკლდამისა და სარკოფაგის აღმოჩენაზე. ამ პერიოდის შუაგულში მოხდა კიდევ ერთი საოცრების აღმოჩენა, რომელიც მაშინვე დავიწყებას მიეცა. რამდენიმე წლის შემდეგ იძულებულნი იყვნენ გაეხსენებინათ, გაიხსენეს კიდეც და მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. მაგრამ უმჯობესია თავიდან დავიწყოთ.

1840 წელს ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ერთ-ერთ მღვიმეში ვინმე ჯორჯ გრეიმ მიაკვლია ნახატებს. მღვიმის კედლები დაფარული იყო უცნაური ნახატებით. აქ ძირითადად გამო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. სოციალიზმი და რელიგია, თხზ., ტ. 10, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახული იყო ისეთი ცხოველები, რაზედაც ჯორჯ გრეის წარმოდგენა არ ჰქონდა. მან არ იცოდა, რომ ეს ეპოქის უდიდესი აღმოჩენა იყო, მით უმეტეს, რომ ამ აღმოჩენაზე 1000 წლით ადრე ინდოეთისა და ჩინეთის ცივილიზებული ხალხები მღვიმეებს ხელოვნურად ალამაზებდნენ. გავიდა რამდენიმე წელი და მღვიმურ მხატვრობას მიაკვლიეს ჩრდილოეთ აფრიკის მღვიმეებშიც. ხოლო შემდგომ საფრანგეთის ზოგ მღვიმეში მიაგნეს ძვლების მრავალ ნატეხს, რომლებზეც ცხოველები იყო ამოტვიფრული.

1865 წელს გამოქვეყნდა განცხადება, რომ მღვიმურ ნახატებს, რომელთა გადატანაც შეიძლებოდა, შეისყიდდა ლუვრის მუზეუმი პარიზში. ეს ხელოვნება მონათლეს „პრიმიტიულ ხელოვნებად", მაგრამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, როგორც საფრანგეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მრავალმა ყალბისმკეთებელმა მოკიდა ხელი ამ „პრიმიტიული ხელოვნების" „ნიმუშების" დამზადებას, რათა ისინი ლუვრის მუზეუმისათვის მიეყიდათ, როგორც პირველყოფილი ხელოვნების ნიმუშები. მაგრამ არც თუ ისე ადვილი იყო ცნობილ მუზეუმში მომუშავე მეცნიერების მოტყუება.

მეცნიერთა უმრავლესობა ისედაც სკეპტიკურად უყურებდა ადა-



8. დასავლეთ ევროპის მღვიმეები, რომლებშიც წარმოდგენილია პირველყოფილი ადამიანის მხატვრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის არსებობას დიდი გამყინვარების ეპოქაში და აქედან გამომდინარე, იმდროინდელი ხელოვნების არსებობისაც არავის სჯეროდა. ზოგიერთი იმ აზრისაც იყო, რომ მღვიმეებში მიკვლეული ნახატები იულიუს კეისრისა და რომაული ლეგიონების მიერ დამარცხებულ გალებს ეკუთვნოდათ, რომლებიც მღვიმეებსაც აფარებდნენ თავს.

1868 წელს, საფრანგეთში, შემთხვევით, რკინიგზის გაყვანისას აღმოაჩინეს კრო-მანიონის მღვიმე, სადაც ქვის ხანის იარაღები, ჩონჩხები და ძვალზე ამოტვიფრული ნახატები იპოვეს. შემდეგ წელს კოპენჰაგენში გამართულ ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე მეცნიერები გამოვიდნენ მნიშვნელოვანი მოხსენებებით ქვის ხანის იარაღებისა და ძვალზე ამოტვიფრული ნახატების შესახებ, რომლებსაც გამყინვარების ეპოქას მიაკუთვნებდნენ.

სწორედ ამ პერიოდში ცნობილმა არქეოლოგმა გაბრიელ დე მორტილემ განაცხადა, რომ „მღვიმური კედლის მხატვრობა არის ხელოვნების განვითარების ბავშვობა და არა ბავშვური ხელოვნება". მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა მაინც უარყოფდა ამ ნახატების სიძველეს და მას ისტორიულ ეპოქას ან ყალბისმქმნელთა თანამედროვე ნამუშევრებს მიაკუთვნებდნენ.

თითქოს უცნაური დამთხვევა იყო, რომ სწორედ კრო-მანიონის მღვიმის აღმოჩენის წელს ერთი ესპანელი მონადირე ძაღლით მისდევდა მელას და უცებ, ალტამირის ბორცვთან ძაღლი გაქრა. მონადირემ მიაგნო ნაპრალს, საიდანაც ძაღლის წკმუტუნი ისმოდა. კაცი ძლივს შეძვრა ვიწრო ნაპრალში, ხოხვით წავიდა წინ, მაგრამ მალე გზა დახვავებულმა ლოდებმა გადაუღობეს. ლოდებს შორის დარჩენილ ვიწრო ხვრელებში კარგად მოჩანდა, რომ მღვიმე გრძელდებოდა და ფართოვდებოდა. მონადირე უკან გამობრუნდა და თანასოფლელებს უამბო მღვიმის არსებობის შესახებ, მაგრამ ამით არავინ დაინტერესებულა და ეს ამბავიც მალე მიივიწყეს.

გავიდა კიდევ 7 წელი, და ერთხელ, ჩვეულებრივი საუბრის დროს ერთმა სოფლელთაგანმა ახსენა მღვიმე.

— რა ადგილზეა მღვიმე? — იკითხა მიწათმფლობელმა დონ მარსელინო სანტიაგო ტომაზო სანც დე სანტუოლამ.

— თქვენი სახლის მახლობლად. — იყო პასუხი.

სანტუოლას და ალტამირის ბორცვს ანუ მაღალი ჰორიზონტის ბორცვს რამდენიმე წლის შემდეგ მთელი მსოფლიო გაიცნობს, ამ მღვიმეზე დაიწერება უამრავი სამეცნიერო და პოპულარული წერი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი და იგი შევა არქეოლოგიის ყველა ანალებში: ახლა კი, ზევით მოყვანილი საუბრის შემდეგ სანტუოლა ცდილობს მღვიმეში შესვლას და ამისათვის ლოდებისგან შესასვლელის განთავისუფლებას. მაგრამ ლოდები მძიმეა და იგი იწყებს მათ ძირში მიწის ჩიჩქნას, რათა დარწმუნდეს, რამდენად ღრმადაა ლოდები მიწაში ჩაფლული. და სწორედ ამ ჩიჩქნის დროს მოყვარული არქეოლოგი პოულობს ცხოველთა უცნაურ ძვლებს. იგი მიდის მადრიდში, თავის მეგობარ, არქეოლოგიის ცნობილ პროფესორ ხუან ვილანოვასთან და უჩვენებს ძვლებს. ვილანოვას დასკვნით ეს ძვლები ეკუთვნის დიდი ხნის წინ გადაშენებულ დომბას, გარეულ ცხენს და გიგანტურ ირემს. თანაც გაოცებას იწვევდა ის გარემოება, რომ ძვლები გახლეჩილი იყო სიგრძეზე, თითქოს ვიღაცას სურდა ძვლის ტვინის ამოღება.

მართალია აღმოჩენა ფრიად საინტერესო იყო, მაგრამ არც ერთ მათგანს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. მაგრამ 1878 წელს სანტუოლა მოხვდა პარიზში გამართულ მეორე მსოფლიო გამოფენაზე და იქ, მრავალ ექსპონატს შორის ნახა პირველყოფილი ადამიანების შრომის იარაღები: საფხეკები, ქვის დანები, საჭრისები და სხვა. და რაც ყველაზე უფრო საინტერესო იყო სანტუოლასთვის —ცხოველთა ძვლები, ისევე სიგრძეზე გახლეჩილი, როგორც ალტამირის მღვიმეში ნაპოვნი. საშობლოში დაბრუნებისთანავე, 1879 წლის გაზაფხულზე სანტუოლამ დაიწყო მღვიმის შესასვლელის ლოდებისგან გაწმენდა. იქვე, მღვიმის პირველივე მოზრდილ დარბაზში წააწყდა დათვის ჩონჩხს და კედელზე რაღაც შავი შენიშნა, თითქოს საღებავით გატარებული ზოლები, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

სანტუოლა ყოველდღე მუშაობს მღვიმეში და მის კოლექციას ემატება ქვის ხანის იარაღები. ერთ დღეს სანტუოლას პატარა გოგონამ მარიამ სთხოვა წაეყვანა მღვიმეში და დიდი ხვეწნის შემდეგ დაითანხმა.

და აი, მარია მამას მხარზე აზის და მღვიმის ჭერს ისე ათვალიერებს. ცნობისმოყვარე პატარა გოგონამ მამას ყურადღება მიაქცევინა ჭერზე ცხოველის მსგავს გამოსახულებას. აღმოჩნდა, რომ მღვიმის ჭერზე და კედლებზე შავი და წითელი საღებავებით დომბას მრავალნაირი სურათი იყო შესრულებული. ცხოველთა ფიგურები ბუნებრივი ზომისა იყო და გამოირჩეოდა შესრულების უჩვეულო მანერით, რეალისტურობით და მაღალი ოსტატობით. სანტუოლა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყოვნებლივ ეწვია მადრიდში ხუან ვილანოვას და წამოიყვანა ალტამირის მღვიმის საოცრებათა სანახავად.

მარიას მიერ აღმოჩენილი დომბების ფიგურების ქვედა ფენაზე მეცნიერებმა მიაკვლიეს ნახშირით შესრულებულ უფრო პრიმიტიულ ნახატებს; მოპირდაპირე კედელზე კი დაინახეს ბუნებრივი სიდიდის ორი ფაფარაყრილი ცხენის გამოსახულება, რომელთა შორის მოჩანდა ადამიანის საღებავიანი ხელის ანაბეჭდი და ორი კედელზე მიდებული ხელის კონტური. ცნობა ამ უდიდეს აღმოჩენებზე ჯერ ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა, შემდეგ კი მადრიდის გაზეთებშიც დაიბეჭდა სათაურით: „პირველყოფილი ადამიანის მიერ შესრულებული ნახატები“! და აი, სანტანდერის პროვინციას, სოფელ სანტილიანა-დელ-მარას და ალტამირის მღვიმეს ისე გაუვარდათ სახელი, რომ მას თვით ესპანეთის მეფეც კი ეწვია და ფორთხვით გაიარა მღვიმის ვიწრო ნაწილი, დარბაზამდე. ამ მღვიმის შესასვლელთან დღესაც მოჩანს იმდროინდელი წარწერა „ალფონს XII“.

1880 წელს, ხუან ვილანოვას რჩევით სანტუოლამ გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო ალტამირის მღვიმის ქვის ხანის იარაღები და მხატვრობა. წიგნს ერთვოდა რეპროდუქციებიც, რომელიც საფრანგეთიდან მოწვეულმა ყრუ მხატვარმა გააკეთა. მაგრამ წიგნის გამოსვლისთანავე სანტუოლას მოწინააღმდეგეებმა მთელი კამპანია გააჩაღეს. ისინი ცილს სწამებდნენ არქეოლოგს, რომ მან ფრანგ მხატვარს გააკეთებინა მღვიმის კედლებზე ყალბი ნახატები, რომელთა რეპროდუქციებიც წიგნშია დაბეჭდილი. იმის საწინააღმდეგოდ, რომ ნახატები პირველყოფილ ადამიანს ეკუთვნოდა, სანტუოლას მტრებს ორი ძირითადი არგუმენტი მოყავდათ:

1. პირველყოფილი ადამიანი გორილას მსგავსი იყო და არ შეეძლო რაიმეს დახატვა.

2. როგორ გაძლებდნენ ნახატები სინესტით გაჟღენთილ მღვიმეში ათასეულ წლებს.

რამდენიმე თვის შემდეგ ლისაბონში გაიმართა ანთროპოლოგთა და არქეოლოგთა საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც ალტამირის მღვიმის მხატვრობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხუან ვილანოვა. მისი განცხადებით მღვიმის მხატვრობა არ შეიძლებოდა ყალბი ყოფილიყო, რადგანაც ათასეული წლების წინ გადაშენებულ ცხოველთა ანატომიის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო თანამედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვე მხატვარს ასე დეტალურად და დამაჯერებლად გამოეხატა ისინი.

მაგრამ კონგრესის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ხელოვნების სამშობლოდ ეგვიპტე ითვლება და უფრო ადრინდელ ხელოვნებაზე ლაპარაკი ზედმეტიაო.

იმედგაცრუებული სანტუოლა და ვილანოვა სამშობლოში დაბრუნდნენ და საფრანგეთის ერთ სამეცნიერო ჟურნალს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც სთხოვდნენ, რომ კომპეტენტური თანამშრომელი მოევლინებინათ ნახატების სიძველის დასადასტურებლად. მალე ჩამოვიდა ვინმე ინჟინერი გარლე, რომელმაც ერთი თვალი გადაავლო ნახატებს და თავისი აზრი ასე გამოთქვა: „მე მგონია საკმარისი დამაჯერებლობით დავამტკიცე, რომ ნახატები სავსებით თანამედროვე წარმოშობისაა. ყველაზე მეტად სარწმუნოა, რომ ისინი გაკეთებულია ბატონ სანტუოლას მიერ მღვიმის პირველ და მეორე მონახულებას შორის, 1875—1879 წლებში“.

ისევ ცილისწამება. გაზეთები აქვეყნებდნენ კარიკატურებს სანტუოლაზე. მალე მას ვილანოვაც ჩამოშორდა.

1888 წელს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენის ავტორი ესპანელი დონ მარსელინო სანტიაგო ტომაზო სანც დე სანტუოლა გარდაიცვალა. 1893 წელს გარდაიცვალა ხუან ვილანოვაც.

ალტამირის მღვიმე დავიწყებას მიეცა.

1878 წელს საფრანგეთში, მარის დეპარტამენტში მდებარე შაბოს მღვიმეში შირომ მიაკვლია ალტამირის მღვიმის მსგავს ნახატებს, მაგრამ ეს აღმოჩენაც უყურადღებოდ დარჩა.

ვილანოვას გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საფრანგეთში, მდ. ვეზერის ხეობაში, ადგილ ლე-ეიზის მახლობლად მდებარე ლა-მუტის მღვიმეში არქეოლოგმა ემილ რივერმა აღმოაჩინა ნახატები. მაგრამ ეს აღმოჩენა მთლიანად მას არ ეკუთვნოდა. ეს ის ემილ რივერი იყო, რომელმაც 15 წლის წინათ ლისაბონის კონგრესზე არ დაიჯერა სანტუოლას აღმონაჩენის სიძველე. ლა-მუტის მღვიმის ნახატები იმითაც არის საინტერესო, რომ ზოგჯერ რომელიმე მღვიმე მთლიანად გამოკვლეული ჰგონიათ, სინამდვილეში კი იგი მალავს თავის საიდუმლოებებს. აი, ამის დამადასტურებელი სინამდვილეც:

ლა-მუტის პატარა მღვიმე ეკუთვნოდა ერთ გლეხს. ამ მღვიმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის 13 წლის მანძილზე აწარმოებდა გათხრებს ფრანგი არქეოლოგი დალო, რომელსაც ძირითადად მღვიმის იატაკი და მასში მოპოვებული ნივთები აინტერესებდა. სამუშაოების დამთავრების შემდეგ გლეხმა მღვიმეში ცხვრის ფარეხი მოაწყო, შემდეგ კი პატარა დუქანიც გახსნა და მღვიმეს საწყობად იყენებდა. ეს მღვიმე გზის პირას იყო. ერთხელ აქ გამოიარა ცნობილმა არქეოლოგმა ემილ რივერმა, რომელმაც სთხოვა გლეხს ნება მიეცა მღვიმის დათვალიერებისა. რივერს ხელში ჯოხი ეჭირა და მღვიმის კედლებს უკაკუნებდა. ერთმა კედელმა მისი ყურადღება მიიქცია. ჯოხით მიაწვა და კედელი გაიხვრიტა, რადგან კლდის ნაცვლად აქ იყო ათასეული წლების მანძილზე გამაგრებული მიწა. რივერმა გააფართოვა ხვრელი, შეიხედა და დაინახა, რომ მღვიმე ამ მიწის კედლის მიღმაც გრძელდებოდა, მაგრამ მეცნიერს ეჩქარებოდა და გლეხს სთხოვა არავინ შეეშვა მღვიმეში მის დაბრუნებამდე.

გავიდა რამდენიმე დღე და რივერი არ გამოჩენილა. ცნობისმოყვარე გლეხმა დაუძახა ორ თანასოფლელ ჭაბუკს, რომლებისთვისაც მოყვარული სპელეოლოგები შეიძლებოდა გვეწოდებინა. ბიჭებმა გააფართოვეს ხვრელი, გადაძვრნენ და როცა სანთელი გამოელიათ, უკან დაბრუნდნენ და უთხრეს გლეხს, რომ მღვიმის კედლებზე ნახეს ცხენებისა და სხვა ცხოველების ნახატები. გლეხი წავიდა რივერთან და აცნობა ნახატების აღმოჩენის ამბავი.

რივერს მღვიმეში თვალწინ წარმოუდგა მოხატული კედლები, ძვლით ამოფხაჭნილი ნახატები.

სწორედ იმ ხანებში ბორდოში მიმდინარეობდა „ცოდნის პროგრესის საფრანგეთის საზოგადოების“ სხდომა, რომლის მონაწილეები რივერმა მიიპატიჟა ლა-მუტის მღვიმეში.

— ეს არ შეიძლება ყალბი იყოს. — ამბობს ცნობილი არქეოლოგი პიეტი.

— ასეთივე ნახატები ვნახე პიერ-ნონ-პიერის მღვიმეში, — ამტკიცებს სწორედ ის დალო, რომელიც 13 წლის მანძილზე აწარმოებდა კვლევებს ლა-მუტის მღვიმეში და ნახატები ვერ ნახა.

ამის შემდეგ გულმოდგინედ შეუდგნენ უკვე ცნობილი მღვიმეების კედლებისა და ჭერის გამოკვლევას. მალე საფრანგეთსა და ესპანეთში რამდენიმე ათეულ მღვიმეში აღმოაჩინეს მსგავსი ნახატები. ზოგ მათგანზე გადაკრული იყო კალციტის ქერქი, ზოგიც მოთავსებული იყო სტალაგმიტის ქვეშ. ამ უკანასკნელთა წარმოშობას კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ათასეული წელი სჭირდება. ეჭვები საბოლოოდ გაიფანტა და მღვიმური ნახატების სიძველე დადასტურდა.

ფართო გამოხმაურება ჰპოვა პიეტის მოწაფის, აბატ ბრეილის, მისი მეგობრის, კაპიტნისა და მოყვარულ-არქეოლოგ დ. პეიერონის 1901 წლის აღმოჩენებმა ფონ-დე-გომის მღვიმეში დორდონში, ვეზერის ხეობაში. მანამდე მათ გამოიკვლიეს ლე-კომბარელის მღვიმე ამავე ხეობაში, სადაც მიაკვლიეს კედელზე ამოკვეთილ ცხოველთა გამოსახულებებს. ზოგან საღებავიც წაესვათ ხაზებზე: შავი, მოყავისფრო-მოწითალო. ამ მღვიმეში მანამდე რივერი იყო, მაგრამ ნახატებს ვერ მიაგნო.

დეტალური შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ ლე-კომბატელის მღვიმეში სამასამდე ნახატია. აქაა გამოხატული გარეული ცხენები, დომბები, ირმები, დათვები, მამონტები, ლომები, მარტორქები, მელიები, თევზები და სხვა. ბრეილი დაუღალავად შრომობს და ქაღალდზე გადააქვს ნახატები.

ვიდრე ბრეილი ძალზე შრომატევად სამუშაოს ასრულებდა, პეიერონს, რომელიც ადგილობრივი მკვიდრი იყო, გაახსენდა, რომ მთის მეორე მხარესაც შენიშნა მღვიმე და წავიდა მის დასაზვერად. ამ მღვიმეშიც სურათების „გალერეა" აღმოჩნდა, მხოლოდ უფრო შთამბეჭდავი და ფერებიანი, ვიდრე ლე-კომბატელში. ფონ-დე-გომის მღვიმეს სახელი გაუვარდა. აქ გამოსახულია ოთხმოცი დომბა, ოთხმოცი ცხენი, ოცდასამი მამონტი, ჩვიდმეტი ირემი, სხვა მრავალი ცხოველი. ფონ-დე-გომის მღვიმის ნახატები პალეოლითის ეპოქის საუკეთესო ქმნილებებს მიეკუთვნება და თარიღდება შუამაღლენური პერიოდით.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ესპანეთს, ალტამირის ანუ მაღალი ჰორიზონტის ბორცვს. 21 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სანტუოლამ და ვილანოვამ სცადეს გამოჩენილი მეცნიერების სამსჯავროზე გამოეტანათ თავიანთი დასკვნები ალტამირის მღვიმის მხატვრობის შესახებ. მაშინ ამ ნახატების სიძველის ყველაზე დიდი წინააღმდეგი იყო საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი არქეოლოგი კარტალიაკი, რომელმაც უარი განაცხადა სანტუოლას და ვილანოვას მიწვევაზე საკუთარი თვალით ენახა ეს მღვიმე. ახლა კი, როდესაც ევროპის მრავალ მღვიმეში აღმოჩნდა ასეთი ნახატები და დადასტურდა მათი სიძველე, კარტალიაკი მიხვდა თავის დიდ შეცდომას, რომელიც მის მიერ გამოცემულ წიგნში აღიარა. მეცნიერი

ამით არ დაკმაყოფილდა; იგი აბატ ბრეილთან ერთად ეწვია სანტუ-ოლას ქალიშვილ მარიას (რომელმაც პირველმა დაინახა პირველყოფილი ადამიანის ნახატები) და ბოდიში მოუხადა გარდაცვლილი მამის სახელის ეჭვქვეშ დაყენების გამო. მარიამ უთხრა მეცნიერებს, რომ რამდენიმე წლის წინ სხვა მახლობელ მღვიმეშიც ნახეს ისეთივე ნახატები. კარტალიაკის კითხვაზე, თუ რატომ არ აცნობეს ეს ამბავი მეცნიერებს, მარიამ უპასუხა: „ხალხს ეშინოდა, რომ თქვენ კვლავ არ დაიჯერებდით“.

ალტამირის ამ მეორე მღვიმეში ნანახმა ნახატებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ იყო ასორმოცდაათზე მეტი ნახატი, რომელთა შესახებ შემდგომ ერთმა ხელოვნებათმცოდნემ თქვა: „აქ ლაპარაკია ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალზე, მწვერვალზე, რომელიც მრავალი ასეული და შესაძლოა ათასეული წლების მანძილზე ერთხელ გვხვდება. როდესაც ფიდიუსი აქანდაკებდა თავის უკვდავ ფიგურებს აკროპოლისთვის, როდესაც მიქელანჯელო სიქსტეს კაპელას ხატავდა, როდესაც ლეონარდო და ვინჩი თავის მონა ლიზას და სხვა შედევრებს ქმნიდა — ეს ანალოგიური მწვერვალები იყო. მასში გამოხატულება ჰპოვა ყოველივე საუკეთესომ, რის მოცემაც ამა თუ იმ ეპოქას შეეძლო“.

სანტუოლას და მისი ქალიშვილის მიერ ალტამირის მღვიმის აღმოჩენიდან 30 წლის შემდეგ, ცნობილმა არქეოლოგმა აბატ ბრეილმა ემილ კარტალიაკთან ერთად შეადგინა მღვიმის ნახატების ალბომი, რომელიც მონაკოს პრინცმა ალბერტმა გამოსცა.

პალეოლითური მხატვრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად ითვლება გამოჩენილი არქეოლოგის გრაფ ბეგუანისა და მისი სამი ვაჟიშვილის მიერ 1912 წელს საფრანგეთის პირენეებში, ტუკ დ' ოდუბერის მღვიმეში მიკვლეული ნახატები. აქ, ათი ათას წელზე მეტი ხნის სტალაქტიტების ქვეშ ნახეს დომბის ორი თიხის ქანდაკება, ადამიანის შიშველი ფეხის ნაკვალევი და სხვა მრავალი გამოსახულება. მათვე, ამავე რაიონში 1914 წელს აღმოაჩინეს მღვიმე, რომელსაც ტრუა ფრერი (სამი ძმის) მღვიმე უწოდეს. ეს მართლაც საოცრება იყო: ხუთი ათასამდე გამოსახულება. მათ შორის „ჯადოსნის“ ცნობილი ფიგურა ნიღაბში და ირმის რქებით. ზოგი მკვლევარის აზრით იგი ჯადოსანი კი არა, რომელიღაც ღმერთის გამოსახულებაა, თუმცა შეუძლებელია, რომ იმ შორეულ წარსულში უკვე ჰყოლოდათ ღმერთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913 წელს საფრანგეთშივე, ქვემო პირენეებში მდებარე ისტ-
ურიცის მღვიმეში მიაგნეს კონტურულ ნახატებს ქვაზე და ძვალზე,
ფერწერულ და პეტროგლიფურ გამოსახულებებს, რომლებიც ორი-
ნიაკული და მადლენური პერიოდებით დაათარიღეს. აქვე ნახეს
ხუთმეტრიანი რელიეფი ჩრდილოეთის დიდი ირმის და სხვა ცხო-
ველთა გამოსახულებებით.

1923 წელს ცნობილმა ფრანგმა სპელეოლოგმა ნორბერ კასტე-
რემ მონტესპანის მღვიმის კედლებზე აღმოაჩინა დომბას, ირმებისა
და მამონტების გამოსახულებანი. აქვე ნახა გამოუმწვარი თიხისგან
გაკეთებული დათვის ქანდაკება, რომელსაც შუბების ნატყორცნი
ეტყობოდა. მათ დაუდგინეს 20 ათასი წლის ასაკი.

მიუხედავად იმისა, რომ პალეოლითური მხატვრობა მრავალ
მღვიმეში აღმოჩნდა, ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა ალტა-
მირის მღვიმის გალერეას. და აი, 1940 წელს შემთხვევით აღმოაჩი-
ნეს ლასკოს მღვიმე, რომელსაც ალტამირის მღვიმეზე უფრო მე-
ტად გაუვარდა სახელი.

ხშირად დიდი აღმოჩენები შემთხვევით ხდება და აღმომჩენე-
ლებიც არც არქეოლოგები და არც მეცნიერების სხვა რომელიმე
დარგის წარმომადგენლები არიან. ძირითადად ისინი მწყემსები, მო-
ნადირეები, უფრო ხშირად კი პატარა, ცნობისმოყვარე ბიჭუნები
და გოგონები არიან, რომლებსაც გეკლბერი ფინის და ტომ სოიე-
რის მსგავსად ყველაფერი აინტერესებთ და თავგადასავლების მო-
ყვარულებიც არიან.

1940 წელი. საფრანგეთის მიწაზე გერმანელი ფაშისტები დაა-
ლაჯებენ. აი, ისინი ერთ პატარა ქალაქ მონტინიაკშიც შევიდნენ. ქა-
ლაქის მოსახლეობა შიშით ძრწოდა და ამას გამეფებული შიმშილიც
თან ერთვოდა. რამდენიმე მოსწავლემ მახლობელ სოფელში გაპარ-
ვა გადაწყვიტა, რომ დედებისა და პატარა და-ძმებისათვის სანოვა-
გე ეშოვათ. თან პატარა ძაღლი ჩუპოც ახლდათ. მიდიოდნენ მალუ-
ლად, რათა გერმანელების პატრულს არ გადაყროდნენ. უეცრად
ჩუპო წინ გაიქცა, რაღაც ორმოში ჩახტა, ტოტებით და ბალახ-ბუ-
ლახით რომ იყო დაფარული, მერე ამოძვრა და ყეფა დაიწყო, ბი-
ჭებს უძახდა.

„ალბათ საჭმელს წააწყდა“ — გაიფიქრა უფროსმა ჟაკმა. ორ-
მოში ჩასასვლელი გაასუფთავეს და ჟაკი ჩაძვრა. ცოტაოდენი ფორ-
თხვის შემდეგ ბიჭმა იგრძნო, რომ ხვრელი გაფართოვდა და წამოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომა შეიძლებოდა. „იქნებ სანოვაგის საიდუმლო საწყობია“ ფიქრობდა მოშიებული ჟაკი, მაგრამ სიბნელეში არაფერი ჩანდა. ჟაკი ამოძვრა და ბიჭებს ქალაქიდან ნიჩბები და ფარანი მოატანინა.

მალე სამმა ბიჭუნამ ვიწრო ხვრელი დასძლია და წინ ვეებერთელა დარბაზი შეხვდათ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მღვიმის კედლებზე ირმების, მარტორქების და ხარების გამოსახულებები დაინახეს, იქვე კი დამფრთხალი ცხოველები მდინარეში მიცურავდნენ. გამოეხატათ აგრეთვე ნადირისაგან დაჭრილი მონადირე. ასე აღმოჩნდა ლასკოს მღვიმე. პირველყოფილი ადამიანის სამხატვრო გალერეით, რომლის „გამოფენა“ ალტამირის მღვიმეზე გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ჭკვიანი ბიჭები ჟაკის მეთაურობით საიდუმლოდ ინახავდნენ ამ უდიდეს აღმოჩენას, ვიდრე საფრანგეთი არ გაათავისუფლეს გერმანელი ფაშისტებისაგან. ამჟამად ლასკოს მღვიმეს აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

ლასკოს მღვიმის მხატვრობას „ისტორიულამდელ სიქსტეს კაპელას“ უწოდებენ.

ლასკოს მღვიმის პალეოლითური მხატვრობა რამდენიმე ფენითაა წარმოდგენილი და სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება. აბატი ბრეილი ამ ნახატებს ათარიღებდა XIV—XIX ათასწლეულებით ჩვ. წ-მდე. უკანასკნელ ხანს ლერუა-გუარანმა რადიონახშირბადის მეთოდით დააზუსტა მათი ასაკი და XV ათასწლეულს მიაკუთვნა ჩვ. წ.-მდე.

1953 წელს სიცილიაშიც აღმოჩნდა პალეოლითური მხატვრობა. აქ, პალეგრინოს მთებში შემთხვევით აფეთქდა სამხედრო საწყობი და გამოჩნდა ადრეას მღვიმე, რომლის კედლები მოხატული იყო ზედა პალეოლითელი მხატვრის მიერ. მრავალფიგურიანი კომპოზიციის გარდა, რომელიც რიტუალურ ცეკვას ჩამოჰგავს, აქ ნახეს გარეული ცხენების, ირმების, დომბების გამოსახულებანი. შესრულების ტექნიკით ეს პეტროგლიფები წააგვანან საჰარისა და ჩრდილოეთ აფრიკის კლდეებზე აღმოჩენილ გამოსახულებებს, ხოლო სტილის მიხედვით საშუალო ადგილი უკავიათ აღმოსავლეთ ესპანეთისა და ფრანკო-კენტაბრიულ პალეოლითურ ხელოვნებებს შორის. ანდორას მღვიმის პეტროგლიფებს ათარიღებენ X ათასწლეულით ჩვენს წ-მდე.

დიდ ხნის მანძილზე პალეოლითური მღვიმური მხატვრობა მხოლოდ დასავლეთ ევროპის (საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნილებად მიაჩნდათ. გამონაკლისს წარმოადგენდა 1902 წელს არქეოლოგ მაკალისტერის მიერ იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვისკენ მიმართულ კირქვებში მდებარე ტელ-ჯეზერის მღვიმეში მიკვლეული ქვის ხანის ნახატები. ამ მღვიმის კედლებზე გამოსახული იყო ძროხების, ხარების და ირმების ფიგურები და ძალიან წააგავდა დორდონის (საფრანგეთი) მღვიმის ნახატებს. მაგრამ 1959 წელს პალეოლითური ნახატები აღმოაჩინეს საბჭოთა კავშირშიც, ურალზე, კაპის მღვიმეში.

მაგრამ მღვიმეები მხატვრობით არა მარტო ევროპაში (ჩვენ უკვე ვახსენეთ ტელ-ჯეზერის და კაპის მღვიმეები), არამედ სხვაგანაც ვკრებდება. მაგალითად, კუბის არქიპელაგის კუნძულებზე მრავლადაა მღვიმეები თავისებური, ერთის შეხედვით, უცნაური ნახატებით. უმეტესი მათგანი გამოხატავს კონცენტრულად განლაგებულ წრეხაზებს (დე ისლას, ფინლაის, დელ ინდიოს, პაცერატო ფრანსეს მღვიმეები კუნძულ პინოსზე, დე ამბრასიოს მღვიმე კუბაზე).

ფრიად საინტერესო ნახატებს მიაკვლიეს დე ისლას მღვიმეში. ცენტრალური გამოსახულება მღვიმის თაღზე შედგება 56 ფიგურისაგან, რომელთაგან 28 შესრულებულია წითელი, ხოლო 28 — შავი ფერებით. გარეთა ფიგურებს ელიფსის მოხაზულობა აქვს, შიგნითა ფიგურები კი აბსოლუტურად მრგვალია. შიგნითაა კონცენტრული წრეხაზების 9 ჯგუფი, რომლებიც კვეთენ ძირითად 56 ფიგურას. კუბელი ეთნოგრაფი ფერნანდო ორტისი ფიქრობს, რომ ეს ფიგურები გამოხატავენ „კოსმოგონიურ და ასტრონომიულ თემას", რადგან მათ აქვთ მთვარის იერსახე, როგორც წარმოედგინათ კუბის აბორიგენებს.

კუბიტასის მთიანეთის ჩრდილო ფერდობის ერთ-ერთ მღვიმეში, ჯამაგუეის პროვინციაში შავი საღებავით გამოხატულია დაშნებით და შუბებით შეიარაღებული მეომრები. ეს ნახატი ასახავს კუბელი ინდიელების დაპყრობას ესპანელების მიერ. მსგავსი ნახატებია აღმოჩენილი სამხრეთ ამერიკის მღვიმეებში, გვიანას ზეგანზე, ანდებში და კარიბის ზღვის კუნძულებზე.

ავღანელი და ამერიკელი არქეოლოგების ექსპედიციამ ჩრდილო ავღანეთში, აკ-კუპრუკის მღვიმის ზედაპალეოლითურ შრეში აღმოაჩინა ოვალური პატარა ქვა ადამიანის თავის სკულპტურული გამოსახულებით. მკაფიოდაა გამოკვეთილი ადამიანის თვალები, პირი, ცხვირი, ერთი ყური, წვერი და თავსამკაული. ამ აღმოჩენამდე, ახ-

ლო აღმოსავლეთის უძველეს ქვის ქანდაკებად (მე-9 ათასწლეულ-ჩვენს ერამდე) მიაჩნდათ ადამიანის პრიმიტიული გამოსახულებები „ნატუფის“ კულტურის სადგომებიდან პალესტინაში. აკ-კუპრუკის მღვიმეში ნაპოვნი ქანდაკების ასაკი, განსაზღვრული რადიონახშირბადის მეთოდით შეადგენს დაახლოებით 20000 წელს ჩვენს ერამდე. მას მეტოქეობას უწევს მხოლოდ მამონტის ეშვზე ამოჭრილი სკულპტურული გამოსახულება დოლნი ვესტოვიცის (ჩეხოსლოვაკია) სადგომიდან, რომლის ასაკი დაახლოებით ასეთივეა.

ბორნეოზე, სარავაკის მღვიმეებში აღმოჩენილია „სიკვდილის ხომალდები“. ბორნეოს მკვიდრთ, რომლებიც ქვის ხანაში ცხოვრობდნენ, სწამდათ, რომ მღვიმეებში დაკარგული მდინარეები საიქიოში მიედინებოდნენ და ასეთი ხომალდებით გარდაცვლილთა სულები მიცურავდნენ. მღვიმეთა კედლები აქ დაფარულია ამ ხომალდებისა და სიკვდილთან დაკავშირებული ნახატებით.

დავუბრუნდეთ კაპის მღვიმეს. 1959 წელს ზოოლოგმა ა. რიუმინმა, ბაშკირეთში, ბელორეცკის რაიონში მდებარე კაპის მღვიმეში აღმოაჩინა პალეოლითური მხატვრობის ნიმუშები. მიუხედავად იმისა, რომ კაპის, ანუ შულგან-ტაშის მღვიმე 200 წელია რაც ლიტერატურაში იხსენიება, ა. რიუმინამდე არავის აღუნიშნავს აქ ნახატების არსებობა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ არც ერთი მღვიმე არ შეიძლება ჩაითვალოს ბოლომდე გამოკვლეულად. შემდგომ, 1960—1964 წლებში კაპის მღვიმის მხატვრობა საფუძვლიანად გამოიკვლია ცნობილმა საბჭოთა არქეოლოგმა ო. ბადერმა, რომელმაც დაამტკიცა ა. რიუმინის მრავალრიცხოვანი სენსაციური წერილების მცდარობა; კერძოდ, რიუმინი პალეოლითურ მხატვრობას მიაკუთვნებდა ძირითადად „რელიეფურ გამოსახულებებს“, რაც, ო. ბადერის აზრით, წყლის მიერაა შექმნილი, აგრეთვე ნახშირით ნახატებს, რომელთაც ო. ბადერი თანამედროვე ტურისტთა „შემოქმედებად“ თვლის. ამ უკანასკნელის ექსპედიციამ კაპის მღვიმის ჭერსა და კედლებზე ოცდაათზე მეტი ცხოველის გამოსახულება აღმოაჩინა და შეისწავლა. აქ წითელი საღებავით კონტურულად და სილუეტურად გამოსახულია შვიდი მამონტი, ორი მარტორქა, ორი ცხენი, სხვადასხვა სქემატური ნიშნები და ანთროპომორფული ფიგურები.

1973 წლის სექტემბერში ო. ბადერთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში, სპელეოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესზე ყოფნისას შევი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყვეთ, რომ ამ მღვიმეში კიდევ მამონტის ორი გამოსახულება აღ-
მოეჩინათ.

მხატვრობის ტექნიკით კაპის მღვიმის ნახატები ახლოს დგას
მადლენის ეპოქის მონოქრომულ ნახატებთან, რომლებიც შესრუ-
ლებულია ამოკვეთის გარეშე ნიოს და ფონ-დე-გომის მღვიმეებში
საფრანგეთში. კაპის მღვიმის ნახატებს ადრემადლენური პერიოდით
ათარიღებენ.

პ. ხაროშიხმა ანგარისპირა მღვიმეებში მიაკვლია ნახატებს, რომ-
ლებიც ახალი ქვის ხანის გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება. აქაა
გამოსახული ადამიანთა ფიგურები, გაქცეული ირმის გამოსახულე-
ბა. არის აგრეთვე ხარების, ირმების ამოკვეთილი კონტურული გა-
მოსახულებანი.

1965 წელს საბჭოთა არქეოლოგმა ა. ოკლადნიკოვმა შორეულ
აღმოსავლეთში, „მძინარე მზეთუნახავის“ მღვიმეში აღმოაჩინა სტა-
ლაქტიტებზე ამოკვეთილი მამაკაცთა ქანდაკებები, რომლებიც, რო-
გორც ფიქრობენ, ტუნგუსების წინაპრების მიერაა შესრულებული.

არსებობს შეხედულება, რომ ჭიათურის რაიონში და აფხაზეთ-
ში, სოფ. ანუხვას მიდამოებში მდებარე აგცას მღვიმეებში მიკვ-
ლეული სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურები პალეოლითის
ეპოქას მიეკუთვნება.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია ევროპის
პირველყოფილი ხელოვნების ქრონოლოგია.

საქართველოში აურაცხელი რაოდენობითაა მღვიმე. უმეტესი
მათგანი შეუსწავლელია ან ზერელედაა შესწავლილი. ეჭვგარეშეა,
რომ დეტალური კვლევა ჩვენი მიწა-წყლის მღვიმეებშიც აღმოაჩენს
პალეოლითურ მხატვრობას. ამის საწინდარია არქეოლოგ დ. თუშ-
აბრამიშვილის მიერ იმერეთის მღვიმეებში მიკვლეული ნეანდერტა-
ლელი ადამიანის ნაშთები, ნ. ბერძენიშვილის, ა. კალანდაძის, გ.
გრიგოლიას და სხვა ქართველ არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი და
შესწავლილი ქვის ხანის ადამიანთა ნაბინავრები, სადაც დიდი რა-
ოდენობითაა მოპოვებული პალეოლითური იარაღი.

პალეოლითელი ადამიანის მხატვრობის ნიმუშების აღმოჩენა კი-
დევ მრავალ ქვეყანასა და მღვიმეშია მოსალოდნელი. ამის საწინდა-
რია ამ ხუთიოდე წლის წინ ესპანელი სპელეოლოგების მიერ კენტა-
ბრიის მთებში აღმოჩენილი მღვიმე, რომლის კედლები დაფარული
იყო ქვის ხანის დროინდელი ფერადი ფრესკებით. ეს იყო უკანასკ-
ნელი 100 წლის მანძილზე ჯერჯერობით ერთ-ერთი ბოლო აღმო-
ჩენა პალეოლითის მხატვრობისა.

ევროპის პირველყოფილი ხელოვნების ქრონოლოგია (ვ. მირიმანოვის მიხედვით)

მიახლოებითი დათარიღება	პერიოდებ	მობილური ხელოვნება	ფერწერა, პეტროგლიფები და რელიეფები
დაახლ. XXXV ათასწლეული ჩვ. წ-მდე	შატელპერონული	ჭდეები ძვალზე და ქვაზე, სამკაულის პირველი საგნები	
დაახლ. XXX ათასწლეული ჩვ. წ.-მდე	ორანიაკული	პირველი გამოსახულებები, ამოკვეთილი და საღებავებით დახატული ქვის ფილებზე: ბელკაირი, ლა ფერასი, ისტიურიცი	
დაახლ. XXV ათასწლეული ჩვ. წ.-მდე	გრავეტული	ფილები ამოკვეთილი და ფერწერული გამოსახულებები: ლაბატიუ, ისტიურიცი, ზემო ლოჟერი. პალეოლითური „ვენერები“.	პირველი გამოსახულებები მღვიმეთა კედლებზე: პერიონ-პერი, გარგა, ლა გრეზი.
დაახლ. XVIII ათასწლეული ჩვ. ნ.-მდე	სოლუტრეული	ამოკვეთილი და ფერწერული გამოსახულებანი ქვაზე და ძვალზე: ბურდელი, ელ-პარპალო, ისტიურიცი.	რელიეფები: როკ დე სერი და ბურდელი. ფერწერა და პეტროგლიფები მღვიმეებში: ლასკო, პეშ მერლი, ლა პასიეგა, ებუ, კაპის.
დაახლ. XV ათასწლეული ჩვ. წ.-მდე	მადლენურა (ადრეული)	„კვერთხები“, შუბსატყორცნები და სხვა დეკორირებული საგნები: ქვემო ლოჟერი ლა მადლენი, არიუდი, ბრიუნიკელი, ისტიურიცი, ელ კასტილიო	ფერწერა და პეტროგლიფები: ლა მადლენი, ალტამირა, ფონ დე გომი, კომბარელი, ბერნიფალი, მარსულა, ლე პორტელი, პინდალი, რუფინიაკი, ლაბასტიდი, ნიო, ტრუა ფრერი, მონტესპანი.
დაახლ. XII ათასწლეული ჩვ. წ-მდე	მადლენური (შუა)		
დაახლ. X ათასწლეული ჩვ წ-მდე	მადლენური (გვიანი)	გამოსახულებებით და ორნამენტებით დამშვენებული სხვადასხვა საგნები: ლა მადლენი, ვილეპინი, ისტიურიცი, ლიმეილი	ფერწერა და პეტროგლიფები: ტეიჟა, ლიმეილი.
მეზოლითი			
დაახლ. VIII ათასწლეული ჩვ წ.-მდე	აზილური (ადრეაზილური)	კენჭები სქემატური ნიშნებით: მას დ, აზილი	აღმოსავლეთ ესპანეთის კლდის ხელოვნება, აყვავება VIII-V ათასწლეულებში ჩვ. წ-მდე.
ნეოლითი		დეკორირებული კერამიკული ჭურჭელი, ქალების ქანდაკებები და ცხოველთა ფიგურები: იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, უკრაინა	სკანდინავიის ჩრდილოეთის უძველესი კლდის გამოსახულებანი, ონეგის ტბისა და თეთრი ზღვის პეტროგლიფები
დაახლ. IV ათასწლეული ჩვ. წ-მდე	(დ. საკლეთი ევროპა)		

როგორ წარმოიშვა პალეოლითური მხატვრობა იმ ეპოქაში, რომელ-
ცა პირველყოფილი ადამიანის მთელი გონება დატვირთული ბუნ-
ძირითადი საარსებო საშუალებებისათვის ბრძოლით? მას უნდა ეშო-
ვა საკვები, ნადირთა ტყავისაგან გაეკეთებინა ტანსაცმელი, ეპოვნა
პრიმიტიული თავშესაფარი. ამ ეპოქის ადამიანს განსაკუთრებით
გაუჭირდა, როცა დედამიწა დიდმა გამყინვარებამ მოიცვა. ჩვენი
შორეული წინაპარი იძულებული იყო მიეტოვებინა სადგომები ღია
ცის ქვეშ და მღვიმისთვის მიეშურებინა. ადამიანს ფიცხელი ბრძო-
ლების გადახდა დასჭირდა მღვიმეების იმდროინდელ მბრძანებლე-
ბთან: ლომებთან, დათვებთან, აფთრებთან. ადამიანმა დაამარცხა
ისინი და მღვიმეში დასახლდა. შემდეგ მოასწორა იატაკი, ზოგან,
შესასვლელში, კედელიც კი ამოაშენა, მაგრამ ამ პერიოდის ნახატები
ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

მღვიმეებში უძველესი ნახატები გაჩნდა ე. წ. „გონიერი ადამია-
ნის“ — კრომანიონელის გაჩენასთან ერთად, ე. ი. 30 ათას წელზე
მეტი ხნის წინ. ამ პერიოდის მღვიმური ნახატები უფრო პრიმიტი-
ულია, შესრულების ტექნიკა კი მარტივი — ხაზი, გატარებული თი-
ხაზე თითით; ცხოველის კონტური დეტალების გარეშე. მიუხედა-
ვად ამისა, ეს ნახატები ღრმად განზოგადებული სახეებია და ეჭვ-
გარეშეა, რომ კრომანიონელი ადამიანის პრიმიტიული გონებისათ-
ვის ეს ტიტანური სამუშაო იყო. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვე-
ნოს, მაგრამ ფაქტია, რომ დედამიწის სხვადასხვა რაიონში მიკვლე-
ული მღვიმური ნახატები მსგავსია ერთმანეთისა ტექნიკითაც და
შესრულების მანერითაც. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ადგილი
ჰქონდა ადამიანის გონების ერთნაირ განვითარებას, მის წინაშე
ცხოვრების მიერ წამოჭრილი პრობლემების ერთგვაროობას. ამიტო-
მაა, რომ კრომანიონელი ადამიანის ხელოვნება თავის ძირითად თა-
ვისებურებებში მდგრადია და იქმნება შთაბეჭდილება შესრულების
ერთი და იგივე, მკაცრად დადგენილი წესების არსებობისა.

კონტურული ნახატები იმაზე მეტყველებენ, რომ მათ უნდა
ჰქონოდათ განსაზღვრული, უფრო პრიმიტიული წინამორბედნი,
გარკვეული ტრადიცია, გამოცდილება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირ-
ველყოფილი ადამიანის შემოქმედების ამოსავალი წყარო ვეძებოთ
უფრო ადრინდელ ეპოქებში, კრომანიონელთა წინაპართა, ნეანდერ-
ტალელების ცხოვრების უძველეს ხანაში, რაც 100—40 ათასი წლის
წინანდელ პერიოდს მოიცავს.

კრომანიონელი ადამიანის შემოქმედების ძირითადი თემა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირთა მთელი გალერეაა. ერთი შეხედვით ამ უცნაურ და ურთულესულ „ახირებულობას“, რომელმაც მრავალი ათასი წელი გაუძლო, ახსნა-სი გამართლება აქვს. საქმე იმაშია, რომ იმდროინდელი ადამიანების ძირითადი საარსებო-სასიცოცხლო წყარო ნადირობა იყო, რომელიც მოიცავდა და შთანთქავდა პირველყოფილი ადამიანის მთელ ძალასა და გონებას. სწორედ ამან განაპირობა მისი შემოქმედების ურყევი სიუჟეტური ხასიათი.

შემდგომ ეპოქებში, ადამიანის გონების განვითარებასთან ერთად, სურათების „მღვიმურ გალერეას“ ემატება უკვე მონოქრომული და პოლიქრომული რეალისტური ნახატები. ცხოველთა გვერდით ჩნდება ადამიანთა ფიგურებიც, ხელების ანაბეჭდები, ამოტვიფრული ნახატები, ქანდაკებები. ამ ნახატების უმრავლესობა გამოხატავს ნადირობის სცენებს, ჯადოსანთა ფიგურებს, რაც უკვე რელიგიური კულტის ჩასახვასთანაა დაკავშირებული. ზოგ შემთხვევაში ცხოველთა გამოსახულებებს ან ქანდაკებებს ეტყობა შუბების კვალი; პირველყოფილი ადამიანები შუბებს სტყორცნიდნენ ცხოველთა გამოსახულებებს, რაც თითქოს წარმატების საწინდარი იყო ნადირობის დროს. აქ შეიძლება გავიხსენოთ ნორბერ კასტერეს მიერ მონტესპანის მღვიმეში მიკვლეული გამოუმწვარი თიხისგან გამოძერწილი დათვის ქანდაკება შუბების კვალით. პირველყოფილი ადამიანის შემოქმედებით ზრდაზე მეტყველებს საფრანგეთში, დე-ფონტალეს მღვიმეში 1950—1953 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვლის კოვზი. მისი სახელური გამოკვეთილია ნადირის თათივით, განიერი ნაწილი კი დაფარულია ამოტვიფრული ნახატებით. აქ გამოსახულია ჩრდილოეთის ირმის ფიგურები. კოვზის ასაკი 11—12 ათას წლად განსაზღვრეს.

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ბ. ჟეზი ზედა პალეოლითის მხატვრობას ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რუბენსის და პიკასოს შემოქმედებას ადარებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მსოფლიო ხელოვნების ამ ბუმბერაზი წარმომადგენლების შემოქმედების საწყისები ისევე, როგორც კაცობრიობის ისტორიაში შექმნილი მთელი ხელოვნების საწყისები სწორედ იმ შორეულ, გარდასულ ეპოქებიდან მოდის. იქიდან იღებს სათავეს ადამიანის შემოქმედებითი გონების განვითარება, მღვიმის კედელზე ჩვენი შორეული წინაპრის ღონიერი ხელით გატარებული ხაზიდან.

პირველყოფილი ადამიანის შემოქმედებითი „სახელოსნოები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩენილია ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, მონღოლეთში, საბჭოთა კავშირში, ავღანეთში, პალესტინაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, კუბაზე, ბორნეოზე, კარიბის ზღვის კუნძულებზე, ავსტრალიაში და სხვ. სპეციალისტთა გაოცებას იწვევს ამ ძალზე შორეული, პირველყოფილი მხატვრების მიერ გამოყენებული საღებავებისა და ფერების მსგავსება, თუმცა შესრულების მანერა და გამომსახველობითი ხერხები ზოგჯერ განსხვავებულია. აქ ძირითადად გამოყენებულია ოთხი ფერი: ყვითელი, წითელი, შავი და თეთრი. რატომ ხმარობდა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანი მხოლოდ ამ ოთხ ფერს? ეს ჯერჯერობით საიდუმლოებითაა მოცული. არსებობს მოსაზრება, რომ პირველყოფილი ხელოვანი თავის შემოქმედებაში იყენებდა იმ საღებავებს, რომლებიც ბუნებაში თავისუფალ მდგომარეობაში მოიპოვებოდა. ზოგიც ამის მიზეზს რიტუალურ სიმბოლიკაში ეძებდა.

საინტერესოა საბჭოთა მეცნიერის ა. ფორმოზოვის ჰიპოთეზა. მისი აზრით ჩვენი შორეული წინაპრები მოკლებულნი იყვნენ ამ ოთხი ფერის გარდა სხვა ფერების აღქმის უნარს. ჰიპოთეზის ავტორმა შეისწავლა ძველი ტექსტები და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ ტექსტებში ხმარებული სიტყვები „ლურჯი“ და „მწვანე“ ძალზე „ახალგაზრდად“ გამოიყურებიან თითქმის ყველა ხალხების ხმარებაში, ვიდრე „შავი“, „ყვითელი“ და „წითელი“. აქვე გამოირკვა, რომ ამჟამადაც, დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები ზოგიერთი ტომის ენაში იხმარება მხოლოდ სამი ფერი — შავი, წითელი და თეთრი, ხოლო ავსტრალიის არუნტას ტომის აბორიგენები ერთი სიტყვით აღნიშნავენ ლურჯ, მწვანე და ყვითელ ფერებს. გასაოცარი ის არის, რომ მიუხედავად ამისა ეს ხალხები შესანიშნავად არჩევენ ყველა ფერს. ა. ფორმოზოვის აზრით, ამ წინააღმდეგობის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ გარდასულ შორეულ ეპოქებში, როდესაც იმდროინდელი ადამიანები აღიქვამდნენ მხოლოდ იმ ოთხ ფერს, რასაც მათ ნახატებზე ვხედავთ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ საიდუმლოების ფესვები დაკავშირებულია ადამიანის ბიოლოგიური ევოლუციის ჯერ კიდევ გამოუკვლევ და ჩვენთვის უცნობ მომენტებთან. თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემებით დადგენილია, რომ ბავშვი თავის გონების გარიჟრაჟზე ჯერ ხედავს წითელ და შავ ფერებს, და მხოლოდ მოგვიანებით ლურჯს და მწვანეს. თანამედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვე ადამიანის თვალი თუ ძირითადი ფერების ასზე მეტ ბრ-ხეობას არჩევს, რამდენიმე საუკუნის წინათ მცხოვრები ადამიანები გაცილებით ნაკლებ ნაირსახეობებს აღიქვამდნენ.

„...აქამდე ჯერ ისევ მიმდინარეობს კამათი პირველყოფილი ხელოვნების წარმოშობის პრობლემისა და მისი როლის ირგვლივ ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებაში, — წერს გამოჩენილი საბჭოთა არქეოლოგი და კაპის მღვიმის პალეოლითური მხატვრობის მკვლევარი ი. ბადერი, — უკვე ეჭვგარეშეა დამტკიცებული, რომ უძველესი ხელოვნება წარმოიშობოდა ყველგან, სადაც კი პირველყოფილი საზოგადოება განვითარების განსაზღვრულ დონეს მიაღწევდა, რომ არ არსებობდნენ „ნიჭიერი" და შემოქმედებისადმი „უნიჭო" ტომები. მაგრამ რამ აიძულა პირველყოფილი ადამიანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველად აეღო ხელში ფუნჯი ან საჭრეთელი? რატომ ვხედავთ პირველყოფილ ფრესკებზე მხოლოდ ოთხ ფერს?.. ...რატომ გავიდა ათასწლეულები, ვიდრე ადამიანი ცხოველთა გვერდით საკუთარ თავს გამოხატავდა? ყოველ წელს მოაქვს ქვის ხანის ისტორიის ახალ-ახალი ფაქტები, და როგორც ყოველთვის ხდება მეცნიერებაში, ახალ ფაქტებს ყოველთვის თან სდევს ახალი აღმოჩენები, ჰიპოთეზები, პრობლემები".

ეჭვგარეშეა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარე სპელეოლოგიური გამოკვლევები არაერთ ფურცელს შემატებენ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟის მატიანეს.

მღვიმე, ლეგენდები, პოეზია და ხელოვნება

„სად შეიძლება განიცადო ისეთი მღელვარე წუთები, მიიღო ესთეტიური ტკბობა, თუ არა მ

ნ ო რ ბ ე რ ტ კ ა ს ტ ე რ ე

როდესაც ადამიანი მღვიმეში შედის, პირველი განცდა უკუნი სიბნელის შეგრძნებაა. შედით მღვიმეში, ჩააქრეთ ფარანი და ყურადღებით წყვდიადს. რაღაც ჯადოსნური მელოდია ისმის. ვინ უკრავს, ან რა საკრავზე? ეს წყლის წვეთების ხმაა, ჭერიდან იატაკზე რომ ეცემიან თანაბარი შუალედებით, ან გამჭოლი ნიავი ეხება კალციტის თხელ, გამჭვირვალე ფირფიტებს, კედლიდან რომ გამოშვერილან. სილრმიდან საუბარი, რაღაც გუგუნი ისმის. აქ კი თქვენს მეტი არავინ არის. მაშ რა ხმაურია? სადღაც, მღვიმის სილრმეში მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წისქვეშა მდინარე მიედინება, ან ჩანჩქერი ეშვება. კედლიდან მღვიმის მაღალი თაღები მრავალჯერ აძლიერებენ ამ ხმებს, კედლები ირეკლავენ და მთლიანობაში თითქოს ზებუნებრივ „მღვიმურ სიმფონიას“ ქმნიან. ხანდახან ჭერს ლოდი მოსწყდება და ზავთით ჩაექანება წყვდიადში. ასე იყო იმ შორეულ ეპოქაშიც. როდესაც დედამიწის დიდი გამყინვარებისგან შეწუხებული ჩვენი წინაპარი, პირველყოფილი ადამიანი მღვიმეს ეწვია და შიგ დასახლდა...

აანთეთ ფარანი და თვალს მოგჭრით მიწისქვეშა დარბაზების ზღაპრული მორთულობა. სინათლემ მარადიულ წყვდიადს გამოსტაცა ჭერიდან ლოლუებივით ჩამოშვებული სპილოსძვლისფერი სტალაქტიტები; მათ შესახვედრად იატაკიდან ძველებური შაქრის თავებივით აღმართულან სტალაგმიტები. ზოგან ისინი ერთმანეთთან შეზრდილან და ქათქათა სვეტიც წარმოუქმნიათ. კედლებზე ბრილიანტებივით ელვარებენ კალციტის ყვავილები. ცალკეული კრისტალები. დარბაზის ფსკერზე ვეებერთელა ლოდები დახვავებულა. მოშორებით ტბა კამკამებს და მის წყალში სარკესავით მოჩანს სტალაქტიტების ხშირი ტყით მოფენილი ჭერი.

სწორედ მღვიმეთა იდუმალმა სამყარომაც განაპირობა იმ უამრავი ლეგენდის არსებობა, მსოფლიოს ხალხებს რომ მოეპოვება. ხშირად ეს ლეგენდები ძალზედ გულუბრყვილოა. ზოგი მათგანი დაკავშირებულია რელიგიასთან, მითოლოგიურ გმირებთან და სხვა. გავეცნოთ ზოგიერთ ასეთ ლეგენდას და აგრეთვე იმასაც, თუ როგორ იყენებდა მღვიმეს ან მასთან დაკავშირებულ თქმულებას ზოგიერთი მწერალი, მხატვარი თუ მუსიკოსი თავის შემოქმედებაში.

ძველ ბერძნებს ეგონათ, რომ მღვიმეებში ცხოვრობდნენ ძლიერი ტიტანები. მათივე წარმოდგენით გარდაცვლილთა სული შთაინთქმებოდა ვეებერთელა მღვიმეთა სიღრმეში, სადაც მიედინებოდნენ პირქუში მდინარეები კოკიტი და აქერონტი და იყო აიდის საშინელი სამეფო. მათ მიწისქვეშა სამყაროს ქალღმერთიც ჰყავდათ — ჰეკატა.

ბერძნული მითოლოგია განსაკუთრებულად იყო დაკავშირებული მღვიმეებთან. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ თავიანთი უმთავრესი ღმერთის— ზევსის დაბადების ადგილად მიაჩნდათ მღვიმე კუნძულ კრიტოსზე. ერთ-ერთი მითის მიხედვით, ზევსის დედის, ქალღმერთ რეას ქურუმები — ქურეტები ამ მღვიმეშივე მალავდნენ პატარა ზევსს, რომ მის მამას, კრონოსს, ჩვეულებისამებრ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეჭამა ახლად დაბადებული შვილი. ეს თქმულება გადმოცემული აქვს ჰესიოდეს (VIII-VII ს. ს. ჩვ. წ-მდე) თავის თხზულებაში „თეოგონია“.

ბერძნულ მითოლოგიაში ეს ლეგენდა ასეა გადმოცემული[1]: სამყაროს ოდესღაც მართავდა კრონოსი თავის მეუღლე რეასთან ერთად. კრონოსმა დედის, გეას რჩევით მოკლა მამა — ურანი, რომელიც თავის შვილებს — ციკლოპებს და ჰექსაკონქეირებს — ყრიდა უძირო უფსკრულში — ტარტარში, საიდანაც შეუძლებელი იყო დაბრუნება. გეამ ვეღარ აიტანა დედამიწის სიღრმეებიდან ამომავალი კვნესა შვილებისა და ჯერ კიდევ დედამიწის ზედაპირზე მყოფი უმცროსი შვილი კრონოსი დაითანხმა მამა მოეკლა. სასიკვდილოდ დაჭრილმა ურანმა დასწყევლა კრონოსი და უწინასწარმეტყველა, რომ მასაც შვილი წაართმევდა ძალაუფლებას და მოკლავდა. კრონოსი მამასავით პირქუში და ეჭვიანი იყო. იგი დაბადებისთანავე ყლაპავდა შვილებს. უკვე ხუთი შვილი გადაყლაპა ტიტანმა, როცა დაიბადა მეექვსე, ზევსი, ქალღმერთმა რეამ კრონოსს გახვეული ქვა მიუტანა და მანაც გადაყლაპა იგი შვილის ნაცვლად. რეა ჩამოვიდა დედამიწაზე, გაემართა კრიტოსის კუნძულისკენ და აქ, იდაის მღვიმეში გადამალა ოქროს აკვანში მყოფი ზევსი.

ჰომეროსის „ოდისეაში“ მთავარი გმირის, ოდისევსის ერთ-ერთი საინტერესო თავგადასავლის -ასპარეზს მღვიმე წარმოადგენს. ესაა ოდისევსის და მისი თანამგზავრების შეხვედრა ცალთვალა პოლიფემთან — ციკლოპთან კიკლოპების კუნძულზე. მსგავსი სიუჟეტები მრავლადაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორში, მათ შორის ქართულ ხალხურ ეპოსშიც[2].

ძველი ევროპელების წარმოდგენით მღვიძეებში ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ჯუჯა არსებანი — გნომები, რომლებიც სხვადასხვა ძვირფას მეტალს ადნობდნენ და ამუშავებდნენ. ასეთი მითი გამოიყენა შესანიშნავმა ამერიკელმა კინორეჟისორმა უოლტ დისნეიმ თავისი ბრწყინვალე მულტიპლიკაციური ფილმისათვის „ფიფქია და შვიდი გნომი“.

ბურიატები ზოგ მღვიმეს საშინელი ღმერთის, მთების მბრძანებლის სამყოფელად თვლიდნენ. ასეთ მღვიმესთან ხშირად იმართე-

---

[1] Ян Парандовский, Мифология. Верования и легенды греков и римлян. Перевод с польского. 1971.

[2] მ. ჩიქოვანი. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. 1971.

ბოდა საკულტო ცერემონიები. ბაიკალის ტბის ნაპირას მდებარე ბაიდინის მღვიმის წყალი ადგილობრივ მკვიდრებს სამკურნალო წყლად მიაჩნდათ, რადგან მათი წარმოდგენით ამ წყალში ბინადრობდა კეთილი სული. ძველად ამ კეთილი სულის გულის მოსაგებად მღვიმის ფსკერზე მოჩუხჩუხე ნაკადულში ვერცხლის ფულს ყრიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული ჩინეთის მღვიმეებთან. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ ქალაქ იუან-ცზიან-ჩენის მახლობლად, იუნანის კირქვის მთებში მდებარეობს დიდი გველეშაპის (დრაკონის) მღვიმე. მის ერთ კედელში ღრმადაა ჩარჭობილი დაჟანგული ხმალი. ამ მღვიმეში ოდესღაც მეფე — დრაკონი ცხოვრობდა. მის ყოველ გამოსვლას თან დიდი უბედურება სდევდა წყალდიდობის სახით, რომელიც ანადგურებდა მოსავალს. პატარა მწყემსმა დანაიმ გადაწყვიტა დრაკონს შებრძოლებოდა. მჭედელს ჯადოსნური ხმალი გამოაჭედინა და შეიარაღებული მღვიმეში შევარდა. ცხარე ბრძოლაში ბიჭმა გაიმარჯვა, მაგრამ უკან მობრუნებულს გამოსასვლელი დიდი ლოდით გადაკეტილი დახვდა. მწყემსმა ლოდს ხმალი დაჰკრა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, ხმალი კი ღრმად ჩაიჭედა ლოდში. დრაკონის ცოლმა სამაგიერო გადაუხადა ქმრის სიკვდილისათვის, გამოსასვლელის ამოქოლვით. ყოველ წელს, მოსავლის აღების შემდეგ, დრაკონის მღვიმესთან მართავენ დანაის დღესასწაულს.

აღდგომის კუნძული ვულკანური წარმოშობისაა. აქ ბევრია ლავის გაცივებისას ვეებერთელა გაზის ბუშტულების შედეგად გაჩენილი მღვიმე, ისევე, როგორც საქართველოში მდ. ქციისა (ხრამის) და მისი შენაკადების ხეობებში. აღდგომის კუნძულის მკვიდრთ სწამთ, რომ თითოეულ მღვიმეს იცავს აკუ-აკუ, ზებუნებრივი სული, რომელიც ადამიანებს არ ეჩვენება. ყოველ ოჯახს აქვს „საკუთარი“ მღვიმე თავისი აკუ-აკუთი. აქვეა ანა ო კეკეს მღვიმე, რომელიც ქალიშვილთა კანის გაფერმკრთალების უწმინდეს ადგილად ითვლება. ამ მღვიმეში მრავალი დღით ამწყვდევენ ქალიშვილებს, რათა მათ საკულტო დღესასწაულისთვის კანი გაუფერმკრთალდეთ.

ერთ-ერთი რუსული ლეგენდა მოგვითხრობს ქალაქ კიტეჟზე, რომელსაც ამშვენებდა ოქროსფრად მოელვარე გუმბათიანი ეკლესიები, ლამაზი თეთრი სახლები. ერთ დღეს, ეს ქალაქი, თათართა ურდოების შემოსევის დროს ჩაიქცა და მიწაში გაქრა. ნაქალაქარზე

გაჩნდა ტბა, რომლის სიღრმიდან ახლაც კი ისმის ზარების რეკვის ყრუ ხმა. გადმოცემით, ქალაქ კიტეჟის ქვეშ დიდი მღვიმეები იყო, რომელთა გათხელებულმა თაღებმა ველარ გაუძლეს ქალაქის სიმძიმეს და ჩაინგრნენ. არავინ იცის, სად მდებარეობდა ეს ქალაქი. ამ თქმულებას თავისი ნიჭის ნაწილი მიუზღეს მწერლებმა კოროლენკომ და მელნიკოვ-პეჩორსკიმ, მხატვრებმა ვასნეცოვმა და რერიხმა, კომპოზიტორებმა რიმსკი-კორსაკოვმა და ვასილენკომ. აქვალანგისტებმა მრავალი ტბის ფსკერი გამოიკვლიეს, მაგრამ ქალაქ კიტეჟის კვალს ვერ მიაგნეს. სკეპტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ ქალაქი კიტეჟი არც არსებობდა.

ყირიმში, ქემალ-ემერეკის მწვერვალის მახლობლად მდებარეობს ბასმანის მღვიმეები. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ აქ, მთიელთა დამარცხების შემდეგ უცხო ტომებთან უთანასწორო ბრძოლაში, მთიელებმა ბასმანის ერთ-ერთ მღვიმეში გადამალეს წმინდა რელიქვია — ოქროს აკვანი. „ძლიერო სულნო! მე გთხოვთ მხოლოდ ამ ადამიანებს უჩვენოთ ის ადგილი, სადაც ჩვენი ხალხის აკვანი ინახება, რომლებიც დაიწყებენ მის ძებნას ჩემი ხალხის, მისი დიდების სახელის, მისი დაუთრგუნველი სულის აღორძინებისათვის". — ასე ამბობდა ლეგენდის მიხედვით მთიელი წინამძღოლი, როდესაც ოქროს აკვანი გადამალეს.

ეს ლეგენდა რაღაცით ეხმაურება ქართულ თქმულებას, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა ლექსი „ბაზალეთის ტბა". მხოლოდ აქ ოქროს აკვანის გადამალვის ადგილად მღვიმის ნაცვლად ტბის ფსკერია.

საინტერესო ცნობებს ვხვდებით „არგონავტიკაში"[1], სადაც მღვიმე რამდენჯერმეა ნახსენები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან არგოს გზა გადიოდა ჯერ ეგეოსის ზღვის ჩრდილო ნაპირის გასწვრივ, შემდეგ დღევანდელი ბულგარეთის, რუმინეთის, ყირიმის სამხრეთი სანაპიროს, კავკასიის შავიზღვისპირა რაიონების გასწვრივ კოლხეთამდე. ეს სანაპიროები ძირითადად კირქვებითაა აგებული და ამიტომ მღვიმეებიც მრავლადაა. აპოლონ როდოსელს ნახსენები აქვს დიქტეს მღვიმე კუნძულ კრეტაზე, იდეის მღვიმე და სხვა. იგი წერს, რომ მედეამ და იაზონმა ქორწინების ღამე გაატარეს მღვიმეში, რომელსაც ახლაც (ა. როდოსელის ცხოვრების პერიოდში— თ. კ.) მედეას მღვიმეს უწოდებენო.

---

[1] Аполлон Родосский, Аргонавтика. Перевод Г. Ф. Церетели. Изд. «Мецниереба», 1964.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„და დღევანდლამდე უწოდებენ მედეას მღვიმეს,
სად ფერიებმა შეაერთეს მათი გულები“.[1]

როგორც ცნობილია, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, განრისხებულმა ზევსმა პრომეთე კავკასიონზე მიაჯაჭვა. პროფ. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ სასჯელის მოხდის ადგილად (პრომეთეს, იგივე ამირანის) უფრო ხშირად მღვიმე ან გამოქვაბულია მითითებული. იგი ამბობს, რომ სტრაბონის დროს და უფრო ადრეც კოლხიდაში არსებობდა მიჯაჭვული გმირის თქმულების ისეთი ვარიანტი, სადაც დასჯის ადგილად მღვიმე იყო მიჩნეული. სტრაბონი აღიარებს რა პრომეთეს მითის კოლხურ წარმოშობას, აღნიშნავს, რომ პრომეთე მღვიმეში იყო მიჯაჭვული[2]. უკანასკნელი წერს თავის „გეოგრაფიაში“: „ამ მითს ამტკიცებს კავკასიონისა და პრომეთევსის შესახებ (ამბებიც): ესენი გადმოაქვთ პონტოდან აქ მცირე მიზეზით, რაკი-ღა ხედავენ, რომ პაროპამისადეში არის წმინდა გამოქვაბული და მიუთითებენ (თითქოს) აქ ყოფილიყოს მიჯაჭვული პრომეთევსი“[3].

ამირანის მითის მსგავსს აღწერს პროფ. მ. ჩიქოვანი კუნძულ ლუსონის (ფილიპინები) მკვიდრ ტაგალოგთა ფოლკლორიდან. აქ ამირანის მაგივრობას სწევს მეფე ლაკან-ადია (ქომაგი მეთაური), რომლის სამეფოშიც ყველა ბედნიერად ცხოვრობდა. მაგრამ დაბპყრობლებმა სძლიეს მეფეს, და ბორკილდადებული სან-მატეოს მთის გამოქვაბულში მიაჯაჭვეს.

საქართველოს მღვიმეებთან უამრავი ლეგენდაა დაკავშირებული. თვით მღვიმეთა სახელებიც: დევის ხვრელი. საჭინკია, საქაჯეკარი, საქაჯია და სხვ. ადგილობრივი მოსახლეობის მდიდარ ფანტაზიაზე მეტყველებს. ყველაზე მეტად ჩვენში მაინც ამირანის თქმულებაა გავრცელებული. ხალხური თქმულებები და გადმოცემანი ხშირად შთააგონებდა ქართველ მწერლებს და პოეტებს. გავიხსენოთ თუნდაც დიდი გალაკტიონის ლექსი „მშობლიური ეფემერა“.

მშობლიური ბუნების უბადლო მეხოტბემ ვაჟა-ფშაველამ კი თავის პოემაში „მთათა ერთობა“ გამოქვაბულში მიჯაჭვული ამირანი მთებთან ალაპარაკა:

---

[1] გ. წერეთლისეული რუსული თარგმანის გადმოქართულება ჩვენია (თ. კ.).
[2] მ. ჩიქოვანი. ქართული ეპოსი. „მეცნიერება“, 1965.
[3] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. 1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ხომ ხედავთ, რა ყოფაში ვარ,
ქვეყნის კეთილის მყოფელი. —
ხალხისთვის თავდადებული,
როგორც შვილისთვის მშობელი?!“

ამავე პოემაში ვაჟა-ფშაველა ხმარობს ძველ ქართულ სპელეოლოგიურ ტერმინებს „დარანი“, „ეხი“:

„ამ დროს გაისმა კლდიდანა
წყრომა და ჯაჭვის ჩქარანი,
გმირის ხმა ისმის მედგარი,
ზანზარებს კლდისა დარანი.
შიგ ორი თვალი ლაპლაპებს,
როგორც ორთქლმავლის ფარანი“.

ან კიდევ:

„მესმოდა ყოველი სიტყვა
მწირისგან თქმული ეხშია“.

ამირანის აფხაზური პროტოტიპია აბრსკილი, რომელიც განრისხებულმა ღმერთმა მღვიმეში მიაჯაჭვა. ეს ლეგენდა დაკავშირებულია ამავე სახელწოდების მღვიმესთან, რომელიც ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ჭლოუს მახლობლად მდებარეობს.

მღვიმეებზე მრავალი ლეგენდა მოიპოვება მთიულურ და სვანურ ხალხურ ეპოსებში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მთის მონადირეები ხშირად აფარებდნენ თავს მღვიმეებს. აი როგორაა ნათქვამი სვანურ თქმულებაში „მონადირე ჩორლა“:

„მხოლოდ ერთი კოჭლი თხა გადაურჩა,
რის კოჭლობითა და ცოდვილობით
დალის კლდემდე მიუღწევია თხას
მისდგომია დალის გამოქვაბულს.
გარეთ გამოცვივდნენ დალები...“

განძის შენახვის ეპიზოდებს მღვიმეებში მრავალი ლეგენდა აღწერს. ერთ-ერთი დიუმასაც აქვს გამოყენებული თავის წიგნში „გრაფი მონტე-კრისტო“, როცა იფის ციხიდან გამოქცეული კაპიტანი ედმონდ დანტესი ციხეში გაცნობილი მოხუცის გეგმით კუბძულ მონტე-კრისტოს ნაპირთან ჩაყვინთავს ზღვაში, გაცურავს სიფონს და თავს ამოყოფს მღვიმის დარბაზში, სადაც მეკობრეებს ოდესღაც განძი გადაუმალავთ. ერთ-ერთი ჩინური ლეგენდის მიხედვით კი ჩინეთის ჯარმა პამირზე, კალაკ-ტაშის მღვიმეში აურაცხე-

ლი განძი შეინახა. ჩვენმა მეცნიერებმა მთამსვლელებთან ერთად
მოაწყვეს ექსპედიცია ამ ლეგენდის შესამოწმებლად და დაადგინეს,
რომ კალაკ-ტაშის მღვიმეებში თუმცა კი შეინიშნებოდა ადამიანთა
ნაკვალევი, მაგრამ იქ განძი არავის უნახავს. ჩვენი ექსპედიციების დროს საქართველოს მრავალ მღვიმესა და გამოქვაბულში გვინახავს განძისმაძიებელთა ნაკვალევი, გადათხრილი იატაკი, ორმოები და სხვა.

მღვიმეში განძის პოვნის ამბავი ქართლის ცხოვრებაშიცაა გადმოცემული, იქ, სადაც აღწერილია ქართველთა პირველი მეფის, ფარნავაზის სიზმარი. ფარნავაზ მეფე სიზმარში ნადირობს დიღმის ველზე და ირემს გამოედევნება. მეფის ნასროლი ისრით განგმირული ირემი კლდის ძირას დაეცემა: „ხოლო კლდისა ძირსა იყო ქუაბი, რომლისა კარი ამოქნილ იყო ქუითა ძუელად.. შეჰქონდა დარღუევა შენებულსა მას. მუნ დაასხა წუიმა მძაფრი, ხოლო ფარნავაზ ალმოიღო ჩუგლოგი და გამოარღუია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა და მაშურალი წუიმისა მისგან. და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი მიუწვდომელი".

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი წერდა დღეს უკვე ცნობილ ხვამლის გამოქვაბულზე, რომ „ხომლის კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები"[1]. ვახუშტისავე ცნობით, როდესაც 1259 წელს საქართველოს სამეფო დავით მეხუთემ და მეექვსემ გაიყვეს, ხვამლის გამოქვაბულში გადანახული განძიც გაინაწილეს, ხოლო მეტი ნაწილი იქვე დატოვეს. ეს ძნელად მისადგომი გამოქვაბული ჯერ 1939 წელს, ხოლო შემდგომ 1945 წელს დაიპყრო ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციამ ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. განძი ვერ ნახეს, თუმცა ჯვალი კი ჩანდა. ამ ექსპედიციის მონაწილე გეოლოგი და არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე წერდა, რომ „...უკანა კლდოვან კედელზე შემორჩენილია (დაახლოებით 5×2 მ ფართობზე) წითელი საღებავებით გამოყვანილი ფრიად პრიმიტიული, არაპროპორციული ნახატები, რომლებიც ჩვენი დაკვირვებით, სვანური „ლიფანალის" (მიცვალებულებთან დაკავშირებულის) სა-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 157.

წესო ნახატებს მოგვაგონებს. 5 ცხენოსანი და მშვილდოსანი მეფეთა-
დირე, რომლებიც ისარს სტყორცნიან მიმრბენალ ნადირებს (ამათ-
გან ერთიღა შემორჩენილია)... „ლიფანალის“ რეპერტუარისადმი
მიმსგავსება არ უნდა იყოს შემთხვევითი; ბუნებრივი იქნებოდა,
თუ ლეჩხუმის მიჯნაზე, კლდეში მოწყობილ საჭურჭლის სახიზარის
დაცვას ხელისუფალნი სვანებს — იმ მხარეში უებრო მთამსვლე-
ლებსა და საქართველოს მეფეთა ერთგულ მეომრებს — დააკის-
რებდნენ“.[1]

მრავალი ლეგენდა არსებობს ყაზბეგის რაიონში მდებარე ბეთ-
ლემის გამოქვაბულზეც. იგი ჯერ კიდევ XI საუკუნის მეორე ნახევ-
რის მოღვაწის ეფრემ მცირეს ნაშრომში[2] მოიხსენება. თვით სახელ-
წოდება „ბეთლემი“ ქრისტიანული რელიგიის შედეგია, რადგან
ბიბლიური ლეგენდის მიხედვით იესო ქრისტე პალესტინაში, ბეთ-
ლემის მღვიმეში იშვა და მკვდრეთითაც იქვე აღსდგა. საქართვე-
ლოს ბეთლემის გამოქვაბული ნახსენები იყო აგრეთვე ვახუშტი
ბატონიშვილის ზემოთ მითითებულ შრომაში. დიდმა ქართველმა
პოეტმა ილია ჭავჭავაძემ გვერდი ვერ აუარა ამ იდუმალებით მო-
ცულ გამოქვაბულს და „განდეგილის“ სამოქმედო ასპარეზად აირ-
ჩია. და აი, ყაზბეგის მეტეოროლოგიური ობსერვატორიის თანამ-
შრომლებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ეს გამოქვაბული, რომელიც
შვეულ, ზღვის დონიდან 4100 მეტრ სიმაღლეზე. 400-მეტრიან
კლდეში მდებარეობდა. მოჩანდა გამოქვაბულის შესასვლელი და
გადმოკიდებული რკინის ჯაჭვი. ამჯერადაც შესანიშნავმა ქართველ-
მა მთამსვლელებმა ივაჟკაცეს და ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვა-
ნელობით დალაშქრეს იგი. გამოქვაბულში ნახეს IX-XIII საუკუნის
ვერცხლით მოჭედილი დროშის თავი, საეკლესიო ტახტი, ვერცხლის
ფული და სხვ.

მღვიმეები, გამოქვაბულები ხშირადაა გამოყენებული ბიბლია-
ში და სხვა რელიგიურ წიგნებში. მაგალითად, მოსე წინასწარმეტ-
ყველის I წიგნის XXIII თავში ნათქვამია, რომ დაქვრივებულ აბ-
რამს ხეთები დიდსულოვნად მოექცნენ, აჩუქეს საგვარეულო მღვი-

---

[1] გ. ლომთათიძე. ხვამლის ციხე-ქვაბი, როგორც არქეოლოგიური ძეგ-
ლი. სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესია. 1969 წ.

[2] ეფრემ მცირე. „უწყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისასა, თუ რო-
მელთა წიგნთა შინა მოიჯსენების“. 1959 წ., გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჰევრონში (ჰანაანში), აბრამმა კი თავისი ცოლი სარა დაასაფლავა მაჩპელახის მინდორზე მდებარე მღვიმეში და სხვ.

რელიგიურ თემას მიუძღვნეს თავიანთი ნახატები აღორძინების ხანის გამოჩენილმა მხატვრებმაც. საკმარისია გავიხსენოთ ლეონარდო და ვინჩის „მადონა მღვიმეში". ამ ნახატზე ჭერიდან ჩამოშვებულან სტალაქტიტები, კრისტალები. შორს, მღვიმის გასასვლელში მოჩანს ლურჯი ცა, წინა პლანზე კი მადონა, ორი ბავშვი და ანგელოზი (უფრთებოდ). სწორედ ამ ნახატში გამოიყენა ლეონარდომ ფიგურების პირამიდული განლაგება, რაც მაღალი აღორძინების ეპოქის ხელოვნებისათვის კლასიკურად იქცა.

მღვიმე მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორის შთაგონების წყაროდ იქცა. ცნობილი გერმანელი მუსიკოსი და კომპოზიტორი ფელიქს მენდელსონი 1829 წელს გართობისა და აქტიური დასვენების მიზნით შოტლანდიაში მოგზაურობდა. იგი მოყვარული მხატვარიც იყო და პეიზაჟების დასახატად თან ჰქონდა წაღებული მოლბერტი და ტილოები. მენდელსონის ბიოგრაფი შეიმ კაუფმანი წერს, რომ ზღვის პირას მდებარე ფინგალას მღვიმეს, რომლის ერთ-ერთ დარბაზში კალციტის ნაწვეთი ფორმები გიგანტურ ორღანს ჩამოჰგავდნენ, ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია კომპოზიტორზე; მას ტილოები, ხატვის ნაცვლად, საწოტო ქაღალდად გამოუყენებია და დაუწერია შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი უვერტიურა სათაურით „ფინგალას მღვიმე".

ორმოცი წლის მოგვიანებით მეორე დიდმა გერმანელმა კომპოზიტორმა რიჰარდ ვაგნერმა ნიბელუნგების მითიური მღვიმეები გამოიყენა რაინგოლდისა და ზიგფრიდის ადგილსამყოფელად. ერთ-ერთი მღვიმე ნიბელუნგების მეფის — ალბერიხის ბინა იყო, ხილო მეორე — მისი ძმის — მაიმის.

მღვიმეებთან დაკავშირებული პოემებიდან აღსანიშნავია ტეილორ კოლერჯის პოემა „ყუბლა ხანი" და უოდსვორტის „ფიდელიტი".

მღვიმეებს გვერდი ვერ აუარა დიდმა ინგლისელმა რევოლუციურმა რომანტიკოსმა პერსი ბიში შელლიმ. იგი, დრამაში „განთავისუფლებული პრომეთევსი", ხშირად იყენებს მღვიმეს იმ სცენების აღწერისას, რომლებიც კავკასიონის მთებში ხდება.

ფ. შილერს ლექსში „ელევზინური დღესასწაული", რომელიც 1798 წელსაა დაწერილი, გადმოცემული აქვს ბერძნული მითი: ქალ-

ღმერთი ცეცერა ოლიმპოდან ჩამოდის მოტაცებული პროზერპინა
ნას საძებნელად და ხედავს, რომ დედამიწაზე მხოლოდ ველური
ადამიანები ცხოვრობენ, ებრძვიან ერთმანეთს, არა სწამთ ღმერ-
თები:

„იმალებოდა ტროგლოდიტი, მფრთხალი, შიშველი,
კლდის მღვიმეებში, ველური და დაუნდობელი“...[1]

უ. შექსპირიც „მაკბეტში“ მე-4 მოქმედების I სცენის სამოქმედო
ასპარეზად ბნელ მღვიმეს ირჩევს, სადაც ჯადოქრები და მიწისქვე-
შა სამყაროს ქალღმერთი ჰეკატა, მაკბეტს მოაჩვენებენ მის მიერ
მოსყიდული მკვლელის ხელით მოკლული სარდლის ბანკოს და
სხვათა სულებს.

იოჰან გოეთემ, რომელსაც მარქსმა და ენგელსმა „უდიდესი გერ-
მანელი“ უწოდეს, ფაუსტისა და მეფისტოფელის სამოქმედო ასპა-
რეზად მე-14 სცენაში ტყე და მღვიმე გამოიყენა.

მღვიმეებმა განსაკუთრებული რელიგიური სახე მიიღო გასუ-
ლი საუკუნიდან აფხაზეთში, სადაც ახალი ათონის მონასტერი ააშე-
ნეს და ეს ადგილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან „წმინდა ადგილად“ იქ-
ცა. ამ რაიონში მრავლადაა კარსტული მღვიმე, რომელთაგან სიმონ
კანანიტის მღვიმე მონასტრის ბერ-მონაზვნებმა საკულტო ადგილად
გამოიყენეს. მღვიმეში დაკიდეს ხატები, გამოკვეთეს ჯვრები და
სხვა, ხოლო მახლობლად მოჩუხჩუხე კარსტული წყაროები „წმინ-
და წყლად“ მონათლეს. ქართველი სპელეოლოგი ზ. ტინტილოზოვი,
რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე იკვლევდა ახალი ათონის მი-
დამოებში მდებარე ანაკოფიის კარსტულ უფსკრულს, ასე აღწერს
ადგილობრივ მორწმუნეებთან შეხვედრებს: „ანაკოფიის უფსკრუ-
ლის კვლეკისას რამდენჯერმე მოვხვედრილვართ ადგილობრივ
ღვთისმოსავთა გარემოცვაში. ჯერ უნდობლად, ზოგჯერ ფარული
ზიზღითაც გვიყურებდნენ, ჩვენგან შორიახლოს სხდებოდნენ, შემ-
დეგ ჩვენთან პირისპირ შეხვედრას აღარ გაურბოდნენ, პირიქით,
დაგვიახლოვდნენ და საუბარშიც კი „ჩაგვითრიეს“, რა თქმა უნდა,
მათთვის საინტერესო საკითხებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი ათონის ღვთისმოსავებს ფანატი-
კური რწმენა აქვთ, თითქოს მიწისქვეშეთში ეკლესიები იყოს გა-
დამალული.

— მართალი გვითხარით, მიწისქვეშ გადამალული ეკლესიები

---

[1] ვ. ჟუკოვსკისეული რუსული თარგმანის გადმოქართულება ავტორისაა.

ხომ ნახეთ? რა მდგომარეობაშია ახლა ისინი, თქვენ ხომ რაიმ[illegible] ზიანი არ მიგიყენებიათ? გნომებს თუ შეხვდით — ჯუჯა ხალხს? მართალია, რომ მათ აქვთ გრძელი წვერი და მომღიმარი პატარა თვალები, ახურიათ მაღალი მახვილწვეტიანი ქუდები? გაგვიგონია,— გვიამბობენ ღვთისმოსავები, — მათ დიდ შრომისმოყვარეობაზე და საქმიანობაზე. ისინი მიწის ქვეშ ციხე-კოშკებს აშენებენ, უცნაურ კოლონადებს აქანდაკებენ, ხოლო სალი კლდეებიდან მოპოვებულ ოქროს საგულდაგულოდ ინახავენო სპეციალურ საცავებში. მათ, ვინც ამ ქონდრისკაცებს მოეწონებათ, ოქროს საუნჯისაკენ გზა გახსნილი აქვთო"[1]. და როგორ გაუცრუვდა იმედი ერთ-ერთ აქაურ ღვთისმოსავ ქალს მარიას, რომელიც ტინტილოზოვმა და მისმა თანამოლაშქრეებმა ანაკოფიის უფსკრულში ჩაიყვანეს და საკუთარი თვალით დაარწმუნეს ლეგენდების მცდარობაში. ნირწამხდარი მარია ტელეფონით გადასცემდა ზევით დარჩენილ თანამოაზრეებს, რომლებმაც იგი აქ ჩამოუშვეს ჭეშმარიტების დასადგენად: „არავითარი ეკლესიები აქ არ არის! ვერც ქონდრისკაცებს შევხვდი, ოქროს საცავებიც არ მინახავს! აქ არის დიდი დარბაზები, უკუნი სიბნელე, ტალახი, ქვები და სხვა არაფერი"[2].

იმედგაცრუებული მარიას ეს სიტყვები უაღრესად სუბიექტურია. დიახ, მღვიმეებში დიდი დარბაზები, უკუნი სიბნელე, ტალახი, ქვები და სხვა არაფერია?! აქაა მიწისქვეშა მდინარეები, მგრგვინავი ჩანჩქერები, კამკამა ტბები, სტალაქტიტ-სტალაგმიტების გაქვავებული ტყეები, მღვიმური მარგალიტები, კალციტის ვეება ფარდები. სვეტები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი საინტერესო რამ.

ახლა, როდესაც მღვიმეების შემსწავლელი მეცნიერება — სპელეოლოგია განვითარდა და მკვლევართა არმიაც გამრავლდა, აღარავის სჯერა მღვიმეებთან დაკავშირებული ლეგენდების, მაგრამ მღვიმე რომ ლეგენდების დაუშრეტელი წყარო იყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, ეს უდაოა და ფრიად საინტერესოც, როგორც ამა თუ იმ ხალხის ფოლკლორის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, და ხშირად გამოჩენილი მწერლების, პოეტების, დრამატურგების, მხატვრების, კომპოზიტორებისა და სხვა ხელოვანთა შთამაგონებელი.

---

[1] ზ. ტინტილოზოვი. „მღვიმე და ადამიანი", გამომცემლობა „მეცნიერება", 1966 წ., გვ. 31—32.

[2] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამურები — მღვიმეთა უწყინარი ბინადარნი

> გარდა იმისა, რომ ღამურები სიმპატიური ცხოველებია (ზოგიერთი სახეობის გამოკლებით), ისინი უაღრესად სასარგებლონიც არიან.
>
> უ ი ლ ი ა მ ჰ ო ლ ი დ ე ი

საქართველოს და ევროპის მღვიმეებში მოგზაურობისას ხშირად შეგვხვედრია ეს პატარა, უწყინარი ცხოველები, რომლებიც მღვიმეთა ჭერზე და შვერილებზე თავდაყირა ეკიდებიან და სძინავთ; ღამით კი გარეთ გამოფრინდებიან და დაუღალავად სპობენ ქინქლებსა და სხვა მწერებს. ზაფხულის დახუთულ საღამოებში მისვენებას რომ არ აძლევენ ადამიანს. გამოუცდელი კაცისთვის, რომელიც პირველად შედის მღვიმეში, ხშირად უცაბედი შეკრთომის მიზეზს ფარნის სინათლით გამოღვიძებული ღამურა წარმოადგენს, მღვიმურ დუმილში ფრთხიალით რომ ჩაუქროლებს სახეს.

მღვიმეში ყოფნისას ჩვენ ყოველთვის ფრთხილად ვეპყრობით ამ პატარა, უწყინარ ცხოველებს, რომლებიც თავისთვის არიან და ღამით დახარჯულ ენერგიას ღრმა ძილით ინაზღაურებენ. ღამურების თავშესაფარი მღვიმეებიდან შეიძლება დავასახელოთ კელასურის, ურთის, ივერიის, გუმას, საგუნიოს, ყუმისთავის, წყალტუბოს, სემის, ცუცხვათის, საჭინკიის, ცახის, უშოლთის, კიდობანას და სხვა მრავალი.

გარდა იმისა, რომ ღამურები მავნე მწერებს დიდი რაოდენობით ანადგურებენ, მათ სხვა სარგებლობაც მოაქვთ ადამიანისათვის. ზოგ მღვიმეში, სადაც ისინი ასეული წლების მანძილზე მრავალრიცხოვან კოლონიებად ცხოვრობენ, გროვდება გუანო, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ფოსფორს, აზოტს და ზედმიწევნით კარგ სასუქს წარმოადგენს. ზოგიერთ მღვიმეში კი ისეთი დიდი რაოდენობითაა დაგროვილი გუანო, რომ მათ სამრეწველო მნიშვნელობა ენიჭებათ. ასე მაგალითად, ამერიკის დიდი კანიონის დასავლეთ ნაწილში მდებარე გუანოს მღვიმედან (სახელწოდებაც იმიტომ მიიღო, რომ მასში დიდი რაოდენობითაა მშრალი გუანო) კანიონის მეორე მხარეს დაკიდებული ელექტროგზით ტომრებით გადააქვთ ეს სასუქი. ამ ელექტროგზის კაბელის სიგრძე თითქმის სამ კილომეტრამდეა. საბჭოთა კავშირის მღვიმეებიდან ყველაზე მდიდარია გუანოთი ბაჰარდენის მღვიმე თურქმენეთში. მხოლოდ ამ მღვიმეს ჩამოუვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება ევროპის უფსკრული ახალ ათონთან. აქ, ერთ-ერთ დარბაზში, რომელსაც „ტაძარი" ეწოდება (რომელიც მართლაც ტაძარს ჩამოგავს), გუანო პირამიდებადაა აღმართული. დიდი რაოდენობითაა გუანო აგრეთვე ყუმისთავის, ოტაფისთავის, აძაბას, გუმასა და მთისკალთის მღვიმეებში.

მაგრამ დავუბრუნდეთ ღამურებს. მაინც საიდან და როდის გავრცელდა შეხედულება მათი სისხლისმსმელობის შესახებ? უ. ჰოლიდეი ამბობს, რომ არსებობს ლეგენდა ვამპირების შესახებ, რომლის მიხედვითაც ვამპირს შეუძლია ადამიანად გადაიქცეს და ორივე შემთხვევაში ადამიანის სისხლით იკვებოს. ეს ლეგენდა ცენტრალურ ევროპაში დაბადებულა ოდესღაც, მაგრამ მისი დაკავშირება ღამურებთან წარმოიშვა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, როდესაც ესპანელებმა მიაღწიეს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკას. აქ ისინი წააწყდნენ სისხლისმწოველ ღამურებს, რომელთა მსხვერპლი ძირითადად შინაური პირუტყვი იყო. იყო შემთხვევები ვითომ, როდესაც ისინი მძინარე ადამიანზე სხდებოდნენ, თავისი ბასრი კბილებით უმტკივნეულოდ ხვრეტდნენ კანს და წოვდნენ სისხლს. ევროპაში დაბრუნების შემდეგ ესპანელებმა გაავრცელეს ხმა სისხლისმსმელი ღამურების შესახებ, რაც აშკარად გაზვიადებული იყო, მაგრამ ამის შემდეგ ბევრს ეშინია ღამურის.

ღამურის შესახებ მეცნიერებამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ იცის. რამდენიმე წლის წინ ეგონათ, რომ ღამურები 3—4 წელს ცოცხლობდნენ, მაგრამ ნ. კასტერეს მრავალი წლის დაკვირვებებმა გამოარკვია, რომ ისინი 25 წლამდე (ან იქნებ მეტიც) ცოცხლობენ. საოცარია ღამურას უნარი აბსოლუტურ სიბნელეში გზის გაგნებისა. მრავალმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ ღამურა ფრენისას არ ეხლება ახლოს გაბმულ ძაფებსაც კი. გამოირკვა, რომ ღამურას გააჩნია ბუნებრივი რადარი, ე. წ. სონარი. ღამურა ფრენის დროს გამოსცემს ადამიანის სმენისათვის მიუღწეველ მაღალი სიხშირის ბგერებს და არეკლილი ტალღებით „წარმოდგენა ექმნება" გზაზე მდებარე საგნის ან სხეულის მანძილზე და სიდიდეზე. იმავე ნ. კასტერეს ცდებით გამოირკვა, რომ ღამურას შეუძლია დაბრუნდეს თავის მღვიმეში 100—1000 კმ მანძილიდანაც კი.

ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, ზოგიერთისა კი გაოცებას იწვევს. ერთ ასეთ უცნაურ ამბავს აღწერს უ. ჰოლიდეი ღამურებთან დაკავშირებით, რომელიც მოგვყავს მისი წიგნიდან „თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასავლები მიწის ქვეშ". უ. ჰოლიდეი წერს, რომ „მეორე მსოფ-
ლიო ომის დროს ფრიოს მახლობლად მდებარე ორი მღვიმე, ღამუ-
რების ბუდობები. იქცა ერთ-ერთ ყველაზე ფანტასტიკური სამხედ-
რო ექსპერიმენტების არენად, რომლის მსგავსიც არასოდეს მომ-
ხდარა. ეს საქმე დაიწყო კბილის ექიმმა პენსილვანიიდან, ლაიტლ
ს. ადამსმა. მანამდე მან დაინახა ღამურების გამოფრენა კარლსბა-
დის მღვიმიდან. რა მოხდება, გაიფიქრა მან, რომ პაწაწინა, თერმი-
ტული ბომბებით აღჭურვილი მილიონობით ასეთი ღამურა გაუშვან
ღამისით, მზისით იაპონიის თავზე? ყოველი საკუთარი თავის პატ-
ივისმცემელი ღამურა შეძვრება მახლობელ ბნელ, ძნელადმისაწვდომ
ჭუჭრუტანაში, რომ დაელოდოს ბინდს. მილიონი ხანძრის მცირე
ნაწილიც კი გამოიწვევს ნგრევას იაპონიის მჭიდროდ განლაგებულ
ქარხნის შენობებსა და საცხოვრებელ სახლებში.

შეუძლია კი ღამურას ატაროს ასეთი ტვირთი? თავიდან დოქ-
ტორმა ადამსმა არც კი იცოდა რამხელებია ღამურები. მაგრამ მან
სერიოზულად გამოიკვლია საკითხი თავის ბოდვით იდეასთან ღა-
კავშირებით და წინადადებით მიმართა სამხედრო ხელისუფალთ.
დაიწყო ნამდვილი გამოკვლევა ფართო მასშტაბით.

მალე დაადგინეს, რომ ღამურას შეუძლია ატაროს საკუთარ
წონაზე დაახლოებით სამჯერ მეტი ტვირთი. ეს ნიშნავდა, რომ ჩვე-
ნი ღამურებიდან ყველაზე დიდებს შეუძლიათ წაიღონ მთელი გირ-
ვანქა. მაგრამ გამოირკვა, რომ ასეთი სახეობის ღამურები — იშვი-
ათია. ღამურების ერთადერთი სახეობა, რომელიც მრავლადაა და
საკმაოა ამოცანის გადასაწყვეტად — არის მექსიკური კუდიანი ღა-
მურა, დოქტორმა ადამსმა რომ დაინახა კარლსბადის მღვიმეში. მაგ-
რამ ასეთი ღამურის საშუალო წონა უნციის ერთი მესამედია (დაახ-
ლოებით 10 გრამი).

შეიძლება კი ცეცხლწამკიდი ბომბის გაკეთება, რომლის წონაც
უნციაზე ნაკლები იქნება? ადვილად. შეიძლება ასეთი ბომბის მი-
მაგრება ღამურაზე ქირურგიული დამჭერის და თოკის საშუალებით,
რომელიც დაჯდომის შემდეგ ღამურას შეუძლია გადაღრღნას? გა-
მოვიდა თუ არა საჭირო ეფექტი? შესანიშნავი! ერთი ღამურა გაი-
პარა ლაბორატორიიდან და დაუყოვნებლივ გადაწვა კარლსბადის
მახლობლად მდებარე დამხმარე საჰაერო ბაზის სამოსამსახურო შე-
ნობა.

მოამზადეს კონტეინერები, რომლებშიც მოათავსეს ათასობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამურა. რელე-ავტომატები აღებდნენ მათ საჭირო სიმაღლეზე პა-
რაშუტებით ჩამოგდებისას. გამოცდებმა უჩვენა, რომ ასეთი ხერხით
ჩამოგდებული ღამურები იფანტებიან წრის საზღვრებში, რომლის
დიამეტრიც 65 კილომეტრია.

ამ სამუშაოებზე დახარჯეს ორ მილიონამდე დოლარი. როგორც
ჩანდა, ყველაფერი მზად იყო მის გამოსაყენებლად 1944 წლის ბო-
ლოსთვის. შემდეგ მთელი სამუშაო ყოველგვარი ახსნა-განმარტე-
ბის გარეშე უცბად დახურეს, ხიროსიმამდე რამდენიმე თვით ადრე.
ღამურებმა დაკარგეს „სამხედრო გმირებად გახდომის შანსი“.

ასე რომ, საცოდავი, უწყინარი ღამურები თავისდაუნებურად
ნგრევისა და ხანძრების გამომწვევ იარაღად უნდა ქცეულიყვნენ. და
ის, ვინც საქართველოს მღვიმეებს ეწვევა, ეცადოს ნუ დაურღვევს
მყუდრო ძილს, მთელი ღამის მანძილზე ნაჯაფ ღამურებს. ისინი
ხომ ორიად სასარგებლონი არიან ადამიანისათვის.

საჩიფათო თავგადასავლები მღვიმეებში

ნურასოდეს გამოიყენებთ მღვიმეში
შემთხვევით ნაპოვნ თოკს.

უ. ჰ ო ლ ი დ ე ი

მღვიმეთა კვლევას და განსაკუთრებით უბრალო, ცნობისმოყვა-
რულ მოგზაურობებსაც მიწისქვეშ, მრავალი გაუთვალისწინებელი
ხიფათი სდევს თან. ამიტომ, როცა ადამიანი მღვიმეში შედის, მანამ-
დე გამოკვლეულიც რომ იყოს იგი, მაინც აუცილებელია წინდახე-
დულება, აუჩქარებლობა, ყოველი ნაბიჯის მოზომვა და სიფრთხი-
ლე. გამოუცდელ, მოყვარულ სპელეოლოგებზე რომ აღარაფერი
ვთქვათ, დიდი გამოცდილების მქონეთაც ხშირად შემთხვევიათ ფა-
თერაკები და ზოგჯერ მსხვერპლიც გამხდარან. რა ფათერაკებს შე-
იძლება გადაეყაროს მღვიმეში შესული ადამიანი?.. მოულოდნელი
ლოდცვენა ჭერიდან, რომელიც ზოგ მღვიმეში ცხვირის დაცემინე-
ბამაც კი შეიძლება გამოიწვიოს; წყალდიდობა, როდესაც მიწისქვე-
შა მდინარე წვიმის გამო ადიდდება და ზოგჯერ მთლიანად ავსებს
მღვიმეს; მღვიმეთა სიფონები; ვიწრო ნაპრალში გაჭედვა; ზოგ
მღვიმეში არსებული ნახშირორჟანგა გაზით ან საქონლის გახრწნი-
ლი გვამების სუნით მოწამვლა; ფეთქებადი აირების აფეთქება

ასანთის გაკვრისას; დამცველი თოკის გაწყვეტა და მრავალ[illegible]
ეს უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ნათელი გახდეს [illegible]
თხილის აუცილებლობა მღვიმეში სტუმრობისას.

აქ გვინდა მკითხველს გავახსენოთ მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ერთ-ერთი თავი, რომელშიც ეს დიდი მწერალი წიგნის გმირების, ტომისა და გეკის თავგადასავალს გამოქვაბულში აღწერს. ამ გამოქვაბულს (უფრო სწორად მღვიმეს) თვით მარკ ტვენი, როცა სამუელ კლემენსი იყო, ხშირად სწვევია და საოცარი სიზუსტით აქვს იგი აღწერილი, რაშიც კარგ სპელეოლოგობასაც ამჟღავნებს.

მართლაც რომ შესანიშნავად აღწერს მაკ-დუგალის მღვიმეს მარკ ტვენი ზუსტად 100 წლის წინ, როდესაც სპელეოლოგია ის იყო ფეხს იდგამდა როგორც მეცნიერება.

ცნობილი ამერიკელი სპელეოლოგი უ. ჰოლიდეი კალიფორნიის მღვიმეების აღწერისას აღნიშნავს, რომ მათთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. ალბათ, ამ რაიონში ყველაზე ცნობილია საბელის მღვიმე, რომელიც შასტას ტბის მახლობლად მდებარეობს. მრავალი წლის წინათ კალიფორნიის უნივერსიტეტის ჯგუფმა ამ მღვიმეში შეაგროვა ცხოველთა ძვლების მდიდარი კოლექცია, რომლებიც დიდი ხნის წინ გადაშენებულ სახეობებს ეკუთვნოდა. ამ მღვიმესთანაა დაკავშირებული ლეგენდა დაკარგული ქალიშვილისა, რომელსაც ინდიელთა ადგილობრივი ტომი ვინტუნები ყვებიან.

თითქოს ქალიშვილი, რომელიც ამ მღვიმის ორი ჯადოსნური ტბიდან დალევს წყალს, ულამაზესად იქცევა. მაგრამ ან ინდიელთა შიშია ძალიან დიდი მღვიმეთა წინაშე, ან მათი ქალიშვილები ჯადოსნური ტბების გარეშეც ულამაზესნი არიან. მოხდა გაუგონარი ამბავი, როცა ერთმა იმედდაკარგულმა მობერებულმა ქალწულმა გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს დაეძლია სიბნელის წინაშე შიში და მოეძებნა ეს ტბები. მან დაითანხმა მეგობარი ქალიშვილი გაყოლოდა მღვიმეში და ორივე მბოლავი ჩირაღდნებით გაემართნენ უცნობი სამყაროსკენ. ისინი შიშით მიდიოდნენ მღვიმის დერეფნებში და დარბაზებში. ბოლოს იპოვეს ერთი პატარა ტბა, საიდანაც ქალიშვილმა დალია წყალი. შესაძლოა მეორემაც იგივე გააკეთა, ლეგენდა ამაზე არაფერს ამბობს. შემდეგ მათ განაგრძეს გზა მოქანავე ჩირაღდნების ალის სუსტ სინათლეზე. უცბად, მეორე ქალიშვილმა გაიგონა პირველის ყვირილი და იგი მხედველობიდან გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სმენამდე ფხაკუნის ხმამ მიაღწია, შემდეგ დუმილი ჩამოვარდა, რომელიც მას უსასრულოდ მოეჩვენა. მოულოდნელად ქვემოდან საშინელი დარტყმის ხმა მოისმა. შეძრწუნებულმა ქალიშვილმა მიაღწია ჭის ნაპირს, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. ბარბაცით გამოაღწია დღის სინათლეზე და დასახმარებლად თავისი ტომის მამაც მამაცებს დაუძახა. მაგრამ მათაც ვერაფერი იღონეს. ასეთია ლეგენდა მღვიმეში დაკარგული ქალიშვილისა.

ამ ლეგენდას ჭეშმარიტება მოფინა სამეცნიერო ჯგუფმა დოქტორ მერიემის ხელმძღვანელობით, რომელმაც წარმატებით დაასრულა გათხრები ამ მღვიმეში და ის იყო ბანაკის აშლას შეუდგა, რომ ერთ-ერთი ამ ჯგუფიდან შეძვრა მღვიმის დაბალი შვერილის ქვეშ და კიდევ ერთი სიღრუე აღმოაჩინა. აქ იატაკის შუაში ღრმა ჭა იყო. მის ფსკერზე იპოვეს ორი ჩონჩხი. ერთი ჩონჩხი პუმისა იყო, რომელიც ალბათ სიბნელეში ჩავარდა ჭაში, მეორე ჩონჩხი კი ინდიელი ქალიშვილისა, როგორც ლეგენდიდან გამომდინარეობდა.

ზოგჯერ სპელეოლოგთა დაღუპვას იწვევს იმ ტექნიკურ საშუალებათა გაუმართავობა, რომლებსაც ისინი ხმარობენ. ნ. კასტერე თავის წიგნში „ოცდაათი წელი მიწის ქვეშ“ აღწერს ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის მარსელ ლუბანის დაღუპვის ამბავს. ჯალაბარი დაპროექტებული იყო მაქს კოზინსის მიერ, რომელიც პროფ. პიკართან ერთად საკუთარი კონსტრუქციის აეროსტატით ავიდა სტრატოსფეროს მაღალ ფენებში და მათ მიერვე კონსტრუირებული ბატისკაფით პირველად ჩაეშვნენ ოკეანის დიდ სიღრმეში. მაქს კოზინსი იყო იმ სპელეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, რომელმაც შეუტია მსოფლიოს ერთ-ერთ უღრმეს უფსკრულს პიერ-სან-მარტენს. აი, როგორ აღწერს ნ. კასტერე ამ ამბავს:

„1952 წლის ცხრა აგვისტოს კაშკაშა მზეზე ლუბანი მთლიან აღფურფილობაში პირველი უნდა ჩასულიყო უფსკრულში. ხალხის ტევა არ იყო: ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, კინოს წარმომადგენლები, ტურისტები, მწყემსები, კარაბინერები და ჟანდარმები — ყველა შეკრებილიყო უფსკრულის პირას და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ჩაშვებისათვის მზადებას.

ლუბანის შემდეგ უფსკრულის პირველ, ვერტიკალურ მონაკვეთში, რომლის სიღრმე 346 მეტრია, ჩაეშვნენ ცნობილი ვულკა-

ნოლოგი ჰარუნ ტაზიევი და სხვები. ხუთი დღის მიწისქვეშა ძებნა-კვლევის შემდეგ ლუბანმა კასტერეს ტელეფონზე აცნობა, რომ პროგრამა მთლიანად შესრულებულია, მაგრამ გრძნობა გადაღლას, თანაც აწუხებს ჰენ-მორტის უფსკრულში დაზიანებული მხარი და გადაწყვიტა ამოსვლა. კასტერეს ჯგუფს უნდა შეეცვალა ლუბანის ჯგუფი.

როდესაც ლუბანმა ამოსვლა დაიწყო, მოხდა უბედურება. ფოლადის ბაგირის დამჭერი ჭანჭიკი შეუმჩნევლად მოეშვა და ბაგირი ლუბანიანად მოწყდა...

„ოცდათექვსმეტი საათი გრძელდებოდა წამება და დამთავრდა იგი — სიკვდილით უფსკრულის ძირზე, სადაც ლუბანმა „გაატარა თავისი მამაცური ცხოვრების უკანასკნელი დღეები“, როგორც წერია მისი სიკვდილის ადგილზე ქვაში ამოკვეთილ ეპიტაფიაზე“ — წერს ნ. კასტერე.

ექსპედიციის ექიმმა მერეიმ ფოლადის ბაგირი საკუთარი ხელით მიამაგრა ჯალამბარს და წელზე მიბმული საკაცით გადაწყვიტა ჩასვლა უფსკრულში, ლუბანის გადასარჩენად. მაგრამ მისი ყოველგვარი ცდა, ეშველა საშინლად დამტვრეული ლუბანისათვის, უშედეგო გამოდგა.

ამ ტრაგედიიდან 17 წლის შემდეგ მე მომიხდა საფრანგეთში ყოფნა სპელეოლოგიურ ექსპედიციაში და ერთ-ერთი საქვეყნოდ ცნობილი მღვიმის, გულ დე ფუსუბის შესასვლელთან ჩემს მეგობრებთან ერთად ვნახე მარმარილოს მემორიალური დაფა, რომელზეც ეწერა, რომ აქ 1963 წელს დაიღუპნენ ცნობილი ფრანგი სპელეოლოგები ბერნარ რაფი და ჟან დიუპონი.

უილიამ ჰოლიდეი აღწერს აგრეთვე ერთი ჯარისკაცის თავგადასავალს, რომელმაც აღმოაჩინა მღვიმე აშშ-ს დასავლეთში, „სექვოიას“ ეროვნული პარკის მიდამოებში. მისი გადმოცემით ჯარისკაცთან წაეღო თოკები, სანთლები, ფარანი, თოფი და მარტოდმარტო შესულიყო მღვიმეში. მეორე დღეს იგი არ გამოჩენილა და მეგობრებმა ძებნა დაუწყეს. ძებნაში მიაგნეს მღვიმის ჩასასვლელს, რომელშიც თოკი ეშვებოდა.

მღვიმეში ჩასულს გზაზე ვიწრო ხვრელი შეხვედროდა და ფარანი, რომელიც მოძრაობაში ხელს უშლიდა დაეტოვებინა, გზას სანთლით ინათებდა. ხვრელის გავლის შემდეგ იგი ვეებერთელა დარ-

ბაზში გავიდა, რომლის ფსკერზეც დიდი ლოდები დახვავებულიყო. კედლებში რამდენიმე ხვრელი მოჩანდა. ერთი მათგანი გადადიოდა ღრმა ჭაში, რომელიც სანთლის მოციმციმე ალზე უძირო ჩანდა. ჩაგდებული ქვები რახრახით მიექანებოდნენ და საოცარ ხმას გამოაცემდნენ. ჯარისკაცი უკან გამობრუნდა და დაიწყო დატოვებული ფარნის ძებნა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. სანთელი კი ელეოდა. იგი დაიბნა, აღარ იცოდა, რომელი ხვრელით შემოვიდა დარბაზში. შიშით შეპყრობილმა დაიწყო სირბილი, სინათლის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. ვაითუ ამხანაგებმა ვერ მომაგნონ, ფიქრობდა იგი და აქეთ-იქით აწყდებოდა. საბოლოოდ შეეშინდა თავი არ მოეკლა და თოფი ღრმა ჭაში გადააგდო. სწორედ ამ დროს დაიწვა სანთელი და ჯარისკაცი აბსოლუტურ სიბნელეში დარჩა. ისტერიული ხარხარით იგი მიხოხავდა კედლების გასწვრივ და ეჩვენებოდა, რომ გავიდა დღეები, კვირეები....

ერთ-ერთი მაძებარი სანთლით შევიდა მღვიმეში და დაინახა ვიწრო ხვრელში დადგმული უკვე მბჟუტავი ფარნის სინათლე. მან აღარ განაგრძო გზა და რამდენჯერმე დაიყვირა. პასუხი ყრუდ მოესმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯარისკაცი ბარბაცით, შემოხეული ტანსაცმლით, დასისხლიანებული ხელებით, ქვითინით, თითქმის ჭკუაზე გადასული მიუახლოვდა გადამრჩენელს. იგი ძლივს გამოიყვანეს მღვიმიდან. ამის შემდეგ კარგა ხანს მკურნალობდნენ მას ნერვული შერყევისაგან.

ეს ამბავი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მღვიმეში, ისიც უცნობში, დაუშვებელია მარტოდმარტო შესვლა, თანაც სინათლის ერთი წყაროთი.

ხიფათი მკვლევარს ყოველ ნაბიჯზე ელის მღვიმეებში, ყოველი ნაბიჯი მოულოდნელობითაა აღსავსე და ზოგჯერ გამოცდილ სპელეოლოგთა ჯგუფებსაც კი ძლივს დაუღწევიათ თავი მოულოდნელობათა ჯაჭვისათვის, ზოგჯერ კი მსხვერპლიც გამხდარან.

ყველაზე საშინელი მაინც წყლის მოვარდნაა. ასე შეემთხვა ცნობილ ფრანგ არქეოლოგს გრაფ ბეგუენს თავის სამ შვილთან ერთად, რომლებმაც მღვიმეში პალეოლითური მხატვრობა აღმოაჩინეს. მათ მთელი ღამე უმოქმედოდ გაატარეს ტუკ დ' ოდუბერის მღვიმეში და შიშით ელოდებოდნენ უეცრად აწეული წყლის დონის დაკლებას, ხოლო ბერთარელის მღვიმეში კოკისპირული წვიმის გამო ადიდებულმა მიწისქვეშა ნაკადმა გაიტაცა და სადღაც, ნაპრა-

ლებში ამოახრჩო ორი სპელეოლოგი. მსგავსი მაგალითები მსოფ-
ლიო სპელეოლოგიური კვლევის ისტორიაში ბევრი მოიძებნება.
აი, როგორ აღწერს ზ. ტინტილოზოვი წყალდიდობას ოტაფისთავის
მღვიმეში, ოჩამჩირის რაიონში: „შესასვლელიდან 65-ე მეტრზე მი-
წისქვეშ მდინარე ტბას აჩენდა, რომელიც არსენ ოქროჯანაშვილმა
გადაცურა. მას მიჰყვა ჯუმბერ ჯიშკარიანიც და ორივე სიბნელეში
მიიმალა. 45 წუთი მათგან არავითარი ცნობა არ იყო და მდინარეში
მდგომთ მოესმათ შორეული ჩხრიალი. მათ მახლობლად ჩანჩქერი
გაჩნდა. ჭერიდან და კედლებიდან ნიაღვრები წამოვიდა. გარეთ კო-
კისპირულად წვიმდა და წყლის დონემ მატება დაიწყო.

„...ნეტავ რა დღეში არიან ჩვენი მზვერავები. შეიტყვეს თუ არა,
რომ საფრთხე გვემუქრება და საჭიროა სასწრაფოდ გარეთ გასვ-
ლა? იქ, სადაც ჩვენ ვდგევართ, დიდმა ჩანჩქერმა იწყო ვარდნა,
გვერდით გადავინაცვლეთ. მდგომარეობა სულ უფრო რთულდებო-
და. ბუნებრივია, ვღელავდით, მაგრამ ვგრძნობდით, ჩვენი ბედით
არა ნაკლებ შეშფოთებული იქნებოდა ექსპედიციის ხელმძღვანელი,
რომელიც შესასვლელთან გვდარაჯობდა... აბობოქრებულმა ტალ-
ღებმა სწრაფად გაგვისროლა გარეთ... საშინელი სეტყვანარევი წვი-
მა მოდიოდა, აღვართქაფებული მდინარე ღრიალით მოჰქუხდა
წყვდიადიდან. შესასვლელთან მთელი სოფელი შეკრებილიყო, მაგ-
რამ ვის შეეძლო ამ განსაცდელის ჟამს დაგვხმარებოდა... ძვირფასი
იყო ყოველი წუთი. მე და ბორისს უნდა გვეცადა შიგ შევბრუნე-
ბულიყავით, იქნებ როგორმე დავხმარებოდით გაჭირვებაში მყოფ
ამხანაგებს. ენით გამოუთქმელი სიძნელეების გადალახვით მივაღ-
წიეთ ჩვენს ძველ ადგილს, პატარა გუმბათოვან დარბაზს, რომელ-
ში ყოველი მხრიდან ღრიალით შემორბოდა ნიაღვრები. ბიჭები
კვლავ არ ჩანდნენ, არა და ტბის ადგილას, რომელიც მათ გადაცუ-
რეს, წყალი უკვე ისეთი სისწრაფით რბოდა, მასში შეცურებაზე
ფიქრიც კი არ შეიძლებოდა... წყლის დონე კვლავ და კვლავ მატუ-
ლობდა; ასეთ რთულ პირობებში თავს დაგვატყდა უსიამოვნება:
ბორისი კარნიზიდან წყალში ჩავარდა, სანათური დაუსველდა და
ჩაუქრა, ჩემი სანათურიც დანესტიანდა და საცოდავად ბჟუტავდა.
ჩვენ სულ უფრო ზემოთ მივფორთხავდით მღვიმის კედლებზე, მა-
გრამ წყალი ყველგან გვეწეოდა. ღრმა მორევთან წყლის დონემ იმ-
დენად აიწია, რომ ჭერამდე 40—50 სანტიმეტრი თუ იქნებოდა
დარჩენილი. დარბაზში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, ჩვენს სიცო-

ცხლეს საფრთხე დაემუქრა. საშინელ ღრიანცელში, რომელსაც ზეციერული
დაპირიდან მოჩხრიალე და ფსკერზე გამდინარე ნაკადები გამოსცემ-
დნენ, თითქოს ადამიანის ხმაც შემოგვესმა. ჩვენგან შორს, მდინა-
რის აზვირთებულ ტალღებში, მბეჟუტავმა შუქმა გაიელვა, სინათლე
თანდათან გვიახლოვდებოდა. — ეს არსენაა! — წამოიძახა ბორისმა.
მას ჯიბის სანათური კბილებით უჭირავს. ძლიერი ნაკადი მთელი
სისწრაფით მოაქანებს. ცოტა დაშორებით ჯუმბერი მოცურავდა,
თავდაპირველად იგი ვერც კი შევნიშნეთ. შუქი ჩაქრობია. ცალ
ხელში პლანშეტი უჭირავს. სტიქიონი მძვინვარებს. სჯა-ბაასის დრო
არ არის, წყლის სიღრმემ ორ მეტრს მიაღწია, კიდევ ცოტა და ალ-
ბათ მთელ გვირაბს წყალი გამოავსებს. ანგარიშმოუცემლად გადა-
ვეშვით აზვირთებულ მდინარეში და გავყევით დინებას. ბობოქარი
ტალღები განრისხებით გვახეთქებენ კედლებზე. მაგრამ მთავარია,
ყველანი ცოცხლები ვართ და წინ მივდივართ. მალე დღის სინათ-
ლეც შემოგვეგება. გულშემატკივარ აფხაზთა რიცხვი გაზრდილი-
ყო. კვლავინდებურად სეტყვანარევი წვიმა მოდიოდა".

ზოგჯერ, თავგადასავლების მოყვარულები მღვიმეში მოგზაურო-
ბის აღწერისას ანგარიშმიუცემლად მიუშვებენ ხოლმე ფანტაზიის
სადავეს. ასეთ აღწერებში ხშირია ყოვლად გაუმართლებელი, დაუ-
საბუთებელი გაზვიადებანი როგორც მღვიმის სიდიდისა, ისე მასში
მოგზაურობის დროს გადატანილი ფათერაკებისა. არის შემთხვევები,
როდესაც ასეთი რამ გამოცდილ სპელეოლოგებსაც ემართებათ ხო-
ლმე. ასეთი გაზვიადებული ფანტაზიაა გადმოცემული უილიამ ჰო-
ლიდეის წიგნში[1], სადაც ავტორი აღწერს საკუთარ და ძველი სპე-
ლეოლოგების თავგადასავლებს მიწისქვეშეთში.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში კალიფორნიის შტატში გა-
მოდიოდა მრავალი პატარა გაზეთი, რომლებსაც ერთმანეთში დიდი
კონკურენცია ჰქონდათ გაჩაღებული. ამ გაზეთების რედაქციებში
მუშაობდნენ ისეთი ცნობილი სიტყვამოსწრებული კალმოსნები,
როგორც მარკ ტვენი, ბრეტ გარტი და დენ დე კვილი (უილიამ
რაიტი). ეს გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ სერიოზული ტონით
დაწერილ ხუმრობებს და გამოგონილ ამბებს. ერთ დღეს გაზეთმა
„ინდეპენდენტემ" გამოაქვეყნა წერილი ახლადაღმოჩენილი „შესა-
ნიშნავი მღვიმის" შესახებ, რომელმაც დიდი გახმაურება ჰპოვა

---

[1] У. Холидей. Приключения под землей. Москва, 1963.

ხალხში და რედაქციამ მრავალი წერილი მიიღო მკითხველებისგან. გაზეთის მესვეურებმა ასეთი პასუხი გამოაქვეყნეს:

„...ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, პირადად დავსწრებოდით მღვიმის გამოკვლევას; დეპეშა გავუგზავნეთ საგრაფოს სამ მოქალაქეს, რომელთა სახელები, დარწმუნებულნი ვართ, საიმედო გარანტია იქნება ყველანაირი ცნობის ჭეშმარიტებისა, რომელსაც კი ისინი ჩათვლიან გვაცნობონ. ამ ჯენტლმენების გვარებია: ჯ. უ. ჯეიმსონი ფილდაუნიდან, უ. გ. სტოქსი აიონ-სიტიდან და დ. უ. მესონი ჯეკსონიდან, სამივე აღმოჩნდა (სასამართლოს საქმეებთან დაკავშირებით) ჯეკსონში. ისინი დაგვთანხმდნენ ჩაატარონ გამოკვლევა და გუშინ ჩვენ მივიღეთ ქვემოთ მოთავსებული ანგარიში მათი აღმოჩენების შესახებ.

პაინ-გროვი, 1874 წ. 10 მაისი".

ჩვენ შემოკლებით მოგვყავს ამ წერილის შინაარსი:

„ინდეპენდენტის" რედაქტორს.

თქვენის თხოვნით, ჯეიმსონმა, მესონმა და მე გადავწყვიტეთ გასულ პარასკევს ჩამოვსულიყავით აქ და ჩაგვეტარებინა შესანიშნავი მღვიმის გამოკვლევა, რომელიც ამას წინათ აღმოაჩინეს ლინკიტის რანჩოზე, დაახლოებით ორნახევარ კილომეტრზე აქედან... გუშინ მოვიმარაგეთ სანთლები, თოკები, წვრილი თასმა, კომპასი და სხვა. გზა რომ არ დაგვბნეოდა, მღვიმის შესასვლელთან ხეზე მივაბით ჩვენი თასმების ერთი გორგალი და ამ ბაწარს წინსვლასთან ერთად ვშლიდით; ეს იყო ჩვენი გზის მაჩვენებელი ძაფი და ამასთან ერთად განვლილი მანძილის ზუსტი გაზომვის შესაძლებლობასაც იძლეოდა"...

შემდეგ აღწერილია მღვიმის გვირაბები, დარბაზები:

„...აქ გვირაბი გადის გრძელ, მაგრამ საკმაოდ ვიწრო სიღრუეში, რომლის კედლები კირქვით კი არაა აგებული, არამედ მოყვითალო-მოყავისფრო და შავი რკინის მადნით. სიღრუეში შესვლისთანავე შევამჩნიეთ კომპასის მოქმედების ძალზე თავისებური დარღვევა: მისი ისარი შეუჩერებლად ირხეოდა იქით-აქეთ და ისე სწრაფად ტრიალებდა, რომ არ ჩანდა. ჩვენც რაღაც სიცივის უცნაური შეგრძნება აღგვეძრა, თითქოს კეფაზე იწყებოდა და ხელებისა და ფეხების თითებამდე ვრცელდებოდა. სიღრუეში მოძრაობასთან ერთად ეს უცნაური შეგრძნება გაძლიერდა და ბოლოს თითქმის აუტანელი გახდა... მე დამაკიწყდა მეთქვა, რომ ამ სიღრუის კედლებსა და ია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაკს, განსაკუთრებით დიდ ლოდებს მაგნიტური თვისებები ჰქონ-
და, რაც ჩვენი ჩრდილოეთისკენ გადაადგილებასთან ერთად უფრო
ძლიერდებოდა. მაგნიტურმა კლდემ, რომლისთვისაც ჩვენ უნდა ჩა-
გვევლო, ჩვენი ჯგუფის ერთ წევრთაგანს ხელიდან გამოგლიჯა ნა-
ჯახი და ოთხივეს საერთო ცდა ამაო აღმოჩნდა კლდიდან მის მოსა-
ცილებლად. შემთხვევით დაგდებული ჯიბის დანა იატაკზე დავტო-
ვეთ, რადგან არც ერთ ჩვენგანს არ ეყო თითებში ძალა მის ასაღე-
ბად. მესონი, რომელსაც ამ ლაშქრობისთვის ლურსმნებით მოჭე-
დილი ლანჩიანი სამთო ხამლები ეცვა, ძლივს მოდიოდა და როცა შე-
მთხვევით იატაკის განსაკუთრებულად დამაგნიტებულ ნაწილს და-
ადგა, უეცრად მიჯაჭვულივით იქცა და არ შეეძლო ადგილიდან და-
ძვრა. იგი იძულებული იყო ხამლებიდან ფეხები ამოეღო და ფეხ-
საცმელი ადგილზე დაეტოვებინა...

პატივისცემით უ. გ. ს ტ ო კ ს ი".

უ. ჰოლიდეი კომენტარს უკეთებს ამ წერილს და ამბობს, რომ
მისი დამწერი არ ზღუდავდა თავის ფანტაზიას. არც ერთი ზემოთ-
ხსენებული გვარი არ ყოფილა შეტანილი იმდროინდელ ცნობა-
რებში, თანაც, ავტორს არ უფიქრია როცა წერდა 3 კილომეტრი
სიგრძის ბაწარს რა წონა ექნებოდა, და ისიც, რომ ასეთი მაგნიტიზ-
მის მქონე მადნები ბუნებაში არ არსებობს.

ამით მთავრდება წიგნის ზოგადი ნაწილი და შევუდგეთ ჩვენი
თავგადასავლების აღწერას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი მეორე

წინაპართა გამოძახილი

(1960 წლის ექსპედიცია)

„ჩვენ მუხლი უნდა მოვიყაროთ ამ პირველ-
ყოფილი არქიტექტურის წინაშე“.
ალექსანდრე დიუმა (მამა)

ვიდექით უფსკრულის პირას და გაოცებულნი დავყურებდით კლდოვან კანიონს, რომელიც მოულოდნელად წარმოგვიდგა თვალწინ თავისი ცივი სიდიადით...

წყნარი ზღვის ზედაპირივით მოვაკებულ ტრიალ მინდორს გუგუნით შესევიან ტრაქტორები; შემოდგომით გადაყვითლებულ მიწას ფერს უცვლიან; თვალუწვდენ სივრცეზე გადაჭიმულა ნახნავი. ასე გგონია დასასრული არა აქვს მინდორს, მხოლოდ უკიდეგანო ველი, პატარა ხევიც კი არსად მოჩანს; სწორედ აქ, გომარეთის პლატოს შუაში უცბად წაადგები ღრმა ხეობას, გომარეთელები „ქარაფის თავს“ რომ ეძახიან. სადღაც, ქვევით, უფსკრულის ძირზე დუქმოგდებული მირბის ზურტაკეტი, თითქოს ორას-სამასი მეტრი სიმაღლის ბაზალტის კედლების განგრევა-გაფართოება მოუწადინებიაო;

ზურტაკეტის ხეობაში, შვეულ ფლატეებზე უამრავ გამოქვაბულს დაულია ხახა. ძალაუნებურად თვლას ვიწყებ: ...ათი, ოცი, ოცდა-ათი... ასი... რა ხელმა გამოკვეთა ამ მიუვალ კლდეებში? ამ უმკვრივეს ვულკანურ ქანებში? ნაწილი ზედ მდინარის პირასაა, ზოგიც მაღლა, სართულებად აწვდილა, ზოგიერთი კი არწივის ბუდესავით ავარდნილა კლდის მაღალ ნაწილში.

ორი წლის წინ შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისია აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თავმჯდომარეობით: შვიდიოდე თვის წინ დავიწყე მუშაობა ამ კომისიაში და აი, პირველი ექსპედიცია შეუდგა სამხრეთ საქართველოს გამოქვაბულთა შესწავლას.

ჩვენთან ერთადაა სოფ. გომარეთის მკვიდრი, ისტორიის მასწავ-
ლებელი და სკოლის დირექტორი ვასო მუჯირიშვილი, რომელიც
კარგად იცნობს თავის რაიონს და მის ისტორიას.

ქარაფის თავზე ვდგევართ და ხეობაში ჩასასვლელს ვეძებთ.

აი, ბილიკსაც მივაგენით, ცხენებიდან საჭურველი გადმოვტვირ-
თეთ, ზურგზე ავიკიდეთ და ფრთხილად ჩავდივართ. ვიწრო ბილიკი
ქარაფის შუა ნაწილს მიუყვება. მარჯვნივ, კლდისკენ იხრები, რომ
ზურგჩანთამ არ გადაგძლიოს უფსკრულისაკენ. „ბეწვის ხიდის" შე-
მდეგ დიდ გამოქვაბულთან ვჩერდებით. გამოქვაბულის წინ კლდის
შვერილია, რომელზეც ჩვენს მწვანე კარვებს ვშლით. ქვევით,
კლდის შუაგულიდან გამოჟდინარე წყალი ჩანჩქერად ეშვება მდი-
ნარისაკენ, ზემოდან კი გადმოკიდებული კლდე დაგვყურებს.

გამოქვაბულში შევდივართ. ჩვენს წინაპრებს გაუფართოვებიათ
იგი. მღელვარებით ვათვალიერებთ ყოველ კუნჭულს. შორეულ
დღეთა მოღაღადე კედლებს, ამოშენებული კედლები, სათოფურე-
ბი, ლოდსასროლები, ეკლესია, ბაზალტზე ამოკვეთილი ბოლნური
ჯვარი... ამ გამოქვაბულ-ციხესიმაგრის სამზერებიდან მოჩანს
ზურტაკეტის დაკლაკნილი ხეობა.

...და თითქოს ისმის ხმლების ჩახაჩუხი, ისრების წივილი, დაჭ-
რილთა კვნესა და გოდება...

გამოქვაბულები ჯგუფებადაა გამოკვეთილი. ზედა გამოქვაბუ-
ლები ძნელი შესაღწევია. მხოლოდ ალპინისტური ტექნიკის გამო-
ყენებით შეიძლება ასვლა. გული გვწყდება, ქვედა გამოქვაბულების
კვლევისას: მათი იატაკები განძის მაძიებლებს გადაუთხრიათ და
ვინ იცის, რას მიაგნეს და რა წარიტაცეს თან. მაგრამ გაოცებას სა-
ზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კოტე ჯავრიშვილი, ფრიდონ ნადა-
რაია და მე ზედა სართულებში ავედით: აქაც ამოეღწიათ ჩვენი
ისტორიის მეკობრეებს, აქაც ეფათურებინათ ბილწი ხელები, რითი
განსხვავდებოდნენ ისინი იმ ბარბაროსებისგან, აქ რომ ანთხევდ-
ნენ ჩვენი წინაპრების სისხლს, წვავდნენ და ანგრევდნენ...

ერთ-ერთი მარშრუტის დროს მაღლა კლდეში გამოქვაბულის
შესასვლელში ხის კასრის მსგავსი საგანი შევნიშნეთ. კოტე ჯავრი-
შვილი ადის კლდეზე, მე ქვევიდან ვიცავ თოკით.

— გამოუშვი თოკი! — მეძახის ზემოდან კოტე.

მალე გამოქვაბულში შედის და ათვალიერებს.

ხის კასრის მაგვარი საგანი სკა გამოდგა. ოდესღაც, ვინ იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის, ვიღაცას ველური ფუტკრებისთვის ხის ქერქისგან სკა გაეკეთებია. ვინ იცის, რა საშუალებებით ამოდიოდა ის მეფუტკრე ამ სიმაღლეზე?

რამდენიმე წლის შემდეგ ეს გამოქვაბული და სკა კინოეკრანზეც მოხვდა: კოტე ჯავრიშვილის სცენარის მიხედვით განსვენებულმა რეჟისორმა ირაკლი კანდელაკმა გადაიღო დოკუმენტური ფერადი ფილმი „ქართული ფუტკარი". სწორედ აქ აღწერილი გამოქვაბულის გადასაღებად ირაკლი კანდელაკმა დახმარება და ფილმში „მონაწილეობა" მთხოვა. ფილმის გადამღებ ჯგუფს ჯერ გამოქვაბულის მიგნებაში დავეხმარეთ და მერე ჩვენი ასვლაც გადაიღეს ამ ძნელად მისადგომ საფუტკრეში.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ზურტაკეტის ხეობაში გამოქვაბულთა 12 ჯგუფი დადგინდა. ქანები, რომლებშიც გამოკვეთილია ეს გამოქვაბულები, ვულკანური წარმოშობისაა და მათ დოლერიტებს უწოდებენ. ძალზე მკვრივი ქანებია, მაგრამ ცალკეულ ლავურ განფენებს შორის უფრო მყიფე და შედარებით ადვილად დასამუშავებელი ტუფის შრეებია. სწორედ ამ შრეთა გაყოლებაზეა განლაგებული გამოქვაბულები მრავალსართულად. ზურტაკეტის ხეობა საკმაოდ დაკლაკნილია და ესეც მიუღიათ მხედველობაში უძველეს ხუროებს: გამოქვაბულთა ჯგუფები განლაგებულია ისე, რომ ერთი ნაპირიდან მოჩანს ხეობის მოსახვევში, მეორე ნაპირზე განლაგებული გამოქვაბულთა ჯგუფი; შემდეგი ჯგუფი კვლავ საწინააღმდეგო ნაპირზეა, მოსახვევში. გამოქვაბულთა ჯგუფების ასეთი ზიგზაგისებური განლაგება ხელსაყრელი იყო სწრაფი სიგნალიზაციისათვის. როდესაც ხეობის თავში მტერი გამოჩნდებოდა, სხვადასხვა სიგნალი (ღამით ცეცხლი, დღისით კვამლი) სწრაფად გადაეცემოდა ხეობის ბოლოს.

„ზურტაკეტის ციხე-ხეობა" — ასე უწოდა კოტე ჯავრიშვილმა ამ რაიონს. მის შესწავლას მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა ქვემო ქართლისა და თრიალეთის სპელეოლოგიური რაიონის გამოქვაბულთა შემდგომი კვლევებისათვის.

ზევით, როგორც გომარეთელები იტყოდნენ, „ქარაფის თავზე", თვალუწვდენელ მინდვრებზე გაცხოველებული შრომა იყო გაჩაღებული. ხუთასკომლიან სოფელს „თავის მოსაფხანადაც" კი არ ეცალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფლის თავკაცები ექსპედიციას დიდ დახმარებას უწევდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გომარეთის საცდელი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთის უფროსი აგრონომი გერონტი ბერიშვილი თვალისჩინივით უვლის ახლადჩაყრილ ვაზს, სხვადასხვა ჯიშის ხეხილს. უნდა იხაროს ვაზმა, ხეხილმაც უნდა იხეიროს. ეს ადგილები ხომ განთქმული იყო ოდესღაც თავისი ღვინით, ხილით...

ტრაქტორების დგანდგარს ხშირად გომარეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ლადო მურჯიკნელის მანქანის ძრავის გუგუნიც უერთდება. დღე და ღამ შრომობენ კოლმეურნეები და თავმჯდომარეც დღე და ღამ თავს დასტრიალებს მათ. მას არც სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ესტატე სახუაშვილი ჩამორჩება. ჩვენ შევესწარით მის გულითად საუბარს კოლმეურნეობის მწყემსებთან:

— აბა, თქვენ იცით, ცხვარი ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველი მათგანი გამოფენისთვის ვარგოდეს.

ზურტაკეტი კი ჩხრიალებს, მირბის ქციისკენ. ოდესღაც, მილიონი წლების წინ, აქ არც ზურტაკეტი იყო და არც ქცია. მხოლოდ ზღვა, ზღვა. ზღვის ფსკერზე ვულკანები ბობოქრობდნენ, ისროდნენ ცეცხლოვან ლავას. ნაფრქვევი ისევ ფსკერზე ილექებოდა, ცივდებოდა, ქანებად იქცეოდა. დედამიწის ქერქი კი არ ისვენებდა, ბორგავდა, შფოთავდა. ზღვის ფსკერი დანაოჭდა, მთებად იქცა. ზღვა კი გაქრა. მერე გაჩნდნენ მდინარეები. ჯერ პატარები იყვნენ, სუსტნი, თანდათან გაიზარდნენ, მომძლავრდნენ და ჩაჭრეს ბაზალტი.

ათასი წლები ერთმანეთს მისდევდნენ. ღრმავდებოდა კანიონი. წყალი ჯობნიდა ქვას. ბაზალტებს ისღა დარჩენოდათ, რომ გველივით დაეკლაკნათ მდინარე, ვიწროებში ეწვალებინათ...

მიუვალ გამოქვაბულებში ავდივართ. რამდენი განსხვავებაა: ზევით, „ქარაფის თავზე", თანამედროვე ცხოვრება დულს, ქვევით კი, ხეობაში, წინაპართა ბრძოლისა და შრომის ამბავს გვიყვებიან ბაზალტის ლოდები, ციხე-ქვაბულები, კლდეში ნაკვეთი ლაბირინთები. და თითქოს ცოცხლდებიან ჩვენი გმირი წინაპრები, მუჯირიშვილებისა და მურჯიკნელების, ბერიშვილებისა და სახუაშვილების სახით. მათ საბრძოლო ყიჟინას ბანს აძლევს ზურტაკეტის ხეობა, მრავალჭირნახული და ბევრის მთხრობელი...

ჩვენი შემდეგი მარშრუტი მდ. ქციის სათავეებისაკენ იყო მიმართული. აქედან ქციის ხეობას უნდა ავყოლოდით ნახიდურამდე, დინების მიმართულებით.

დავბანაკდით სოფ. ბალანთაში. აქ სულ ორმოცდაათიოდე კომლიღა შემორჩენილა. იქვე, სოფელთან გამოქვაბულ-სახიზრებია

„ოქროს ქვაბების“ სახელით ცნობილი. მოშორებით ტაბაწყურიდ
ტაბის ყური მოღუშულა, აქოჩრილ ტალღებზე ქაფი მოუგდია.

„ტბა ტაბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახით სავსე“... — ასე ახასიათებს ამ მიდამოებს ვახუშტი ბაგრატიონი. სადღაა ტყე, ამაოდ ვეძებთ ერთ ხეს მაინც... მხოლოდ შიშველი ფერდობები შემოგვცქერიან, მოწყენილნი და შეცივნულნი. ბალანთელები გვიამბობენ: „...თურქობის ჟამს მტერმა ცეცხლს მისცა თავთავდამძიმებული ყანები. ხანძარი ტყეებს გადაწვდა, ყველაფერი გადანახშირდა. აღარც ირმის ჯოგები, აღარც ფრინველთ გალობა, მხოლოდ ყვავები დასჩხავიან შიშველ ფერდობებს“...

ადგილთა სახელებიც გვეღაღადებიან: მუხიანი, წაბლიანი, არყიანი... აღარც მუხები, არც წაბლები და არც არყები. ორი პანტაღა გადარჩენილა მინდვრის შუაში. ტრაქტორსაც ხშირად ამოყვება შავი ნახშირი ან დამწვარი კუნძი, როცა ყამირს ტეხენ.

ოქროს ქვაბების გამოკვლევის შემდეგ კვლავ გომარეთში ვბრუნდებით, ბარგს ცხენებზე ვტვირთავთ და ფეხით მივუყვებით ქციის ხრამს. გამჭვირვალე, ანკარაა მისი წყალი, რამდენჯერ კი წინაპართა გმირული სისხლით შეღებილი.

ჩათახში დიდი მშენებლობაა, უზარმაზარი გვირაბები გაყავთ ჰიდროელსადგურისათვის. ექსკავატორს სამარხები გადაუხსნია. დიდი მოკრძალებით დავცქერით გოლიათურ ჩონჩხებს, იშვიათი სილამაზის თიხის დოქებს, ჟანგით შეჭმულ საბრძოლო იარაღსა და სამაჯურებს. ვინ იცის, რომელი ვაჟკაცის გმირულ ხელს ეპყრა ეს იარაღი, რომელ ასულთა ნატიფ ხელებს ამშვენებდა ეს სამკაული, ოდესღაც, საუკუნეთა მიღმა...

ვბანაკდებით ქციის პირას, ხულუტის ციხესთან. ირგვლივ, ხეობაში დიდი ჭალაა. აქა-იქ გაველურებული ვაზი, მსხვილი, ძარღვიანი ტანით; ვეება კაკლის ხეები კიდევ უფრო აბნელებენ ღრმა ხეობას. ხეობაში გამეფებულ დუმილს მხოლოდ ქციის დუდუნი არღვევს. ვათვალიერებთ ხულუტის ციხეს, ორბელიანების საგვარეულო დედა-ციხეს. გაღმა ხომ ტანძიაა, სულხან-საბას მშობლიური სოფელი... ციხის ბურჯებს ხავსი მოსდებია, სინესტე და ნგრევაა გამეფებული. ჭალისკენ გადმომყურე ხის აივნის საცოდავი ნაშთებიღა შემორჩენილა. ამ აივანზე გადმოდგებოდა ხოლმე საქართველოს ტურფა ასული მანანა ორბელიანი და თვალყურს ადევნებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი ყურადღებისა და მოწონების დამსახურებისათვის თავგანწირულად მოჯირითე ვაქაცებს. როდესაც ერთ-ერთ ბურჯს ვათვალიერებდი, გამახსენდა საქართველოს ისტორიისა და აწმყოს დიდი მოსიყვარულის, მწერლისა და მთამსვლელის ლევან გოთუას ოცნება, გაეთხარა ხულუტის ციხე. მისი დასკვნით, როცა ისტორიულ წყაროებს გაეცნო, აქ, ერთ-ერთ ბურჯში ორბელიანთა საგვარეულო წიგნთსაცავი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ვინ იცის, რამდენ რამეს ინახავს ეს ადგილი...

პირდაპირ, ქციის გაღმა, კლდეებში სამზერი კოშკია აგებული. აქედან მთელი ხეობა მოჩანს. გვერდით სამი გამოქვაბულია, საბერველების სახელით ცნობილი. აქ მართლაც მუდმივად უბერავს გრილი ნიავი.

გული არ მითმენს ხულუტის ციხესთან ვიყო და ფიტარეთის ტაძარი არ მოვინახულო. ექსპედიციის ხელმძღვანელი კოტე ჯავრიშვილი ნებას მრთავს და ავთანდილ მაჩაიძესთან ერთად ვსხდებით ცხენებზე და დიდი ინტერესით ვათვალიერებთ დიდებულ ტაძარს. „მშვენიერნაშენებს, დიდგუმბათიანს“.

საღამოვდება.

ცხენებით ისევ უკან ვბრუნდებით. ვეებერთელა ქოფაკები ყეფით გვაცილებენ.

დალმართზე ბინდი ძლიერდება. რაღაც მემართება. თითქოს ვიღაც უხილავმა გადამისროლა საუკუნეთა მიღმა. თითქოს გაცოცხლდნენ წინაპართა ჩრდილები და ჩვენს წინ მიაგელვებენ ფაფარაყრილ რაშებს. სადავეს ვუშვებ, ცხენს დავჭყივი და ისიც თავგამეტებით მიქრის. ავთანდილსაც იგივე ემართება, თითქოს მოჯადოებულ სამყაროში მოვხვდით და მივქრიკართ ისტორიის გზაზე. მსურს დავეწიო ისრებივით გაჭრილ ჩრდილებს, მაგრამ ამაოდ. ცხენიც გაოფლიანდა. დაიღალა, ვჩერდები და ავთანდილს ველოდები.

უკვე სიბნელეში ბანაკს ვუახლოვდებით. ჩვენს გამყოლს და ცხენების პატრონს დიდი კოცონი დაუნთია და მოქანავე ალის სინათლეზე ჩამუქებული, ჩაფიქრებული მოჩანს ხულუტის ციხე...

ჩვენი ქარავანი ნელა მიუყვება ქციას დინების მიმართულებით. თითქოს ისტორიის ვეებერთელა წიგნს ვფურცლავთ. აქ ხომ ყოველ ქვას რაღაცის თქმა შეუძლია. და იწყება კვლავ გამოქვაბულები, დიდებული პირღებული და სამშვილდე-ორბეთი, ისევ ციხეები და გამოქვაბულები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სატანჯველში უნდა ყოფილიყო ხალხი, რომ ასეთი ბულები ეკვეთა? რამდენი შრომა და ჯაფაა დახარჯული, რამდენი სისხლია დაღვრილი. მათში ხომ ქართული ხუროთმოძღვრების, ქართული ხელოვნების, ჩვენი ერის ისტორიაა. და განა მტრის მახვილზე უარესი არ არის, როცა საუკუნეთა მძლევ ამ ქმნილებებს დღეს ზოგიერთი უგუნური თუ „შეგნებული“ გონიერი ბილწავს და ანადგურებს? სოფ. სამღერეთში უძველესი ტაძრის მშვენიერი, მოჩუქურთმებული ქვებით გომურის იატაკია მოგებული! ტაძრისთვის ქვის პერანგი შემოუცლიათ, და განა მარტო ამ სოფელში?

ყოველ ნაბიჯზე, ზურტაკეტისა და ქციის ნაპირებზე ნასოფლარებია. კოტე ჯავრიშვილმა ამ რაიონებში გამოყო გამოქვაბულთა ჯგუფები, მათი ტიპები და 1965 წელს იუგოსლავიაში გამართულ სპელეოლოგთა მე-4 საერთაშორისო კონგრესზე გააკეთა საინტერესო მოხსენება.

ამავე საკითხისადმი მიძღვნილ უფრო ვრცელ წერილში იგი წერს: „ზურტაკეტის ციხე-ხრამის ყველა თხუთმეტი ჯგუფის გამოქვაბულთა საერთო ტევადობას ჩვენ ვვარაუდობთ 12—15000 კაცს, მათგან არა ნაკლებ 3—5 ათასსა აქტიურ მებრძოლს (თარო სანგრების, ციხეებისა და სხვა საბრძოლო ქვაბების ტევადობის მიხედვით). გაცილებით უფრო ტევადია ქციის ციხე-ხრამი. აქ, არსებულ გამოქვაბულთა ყველა 17 ჯგუფში შეიძლებოდა არა ნაკლებ 25—30 ათასი ადამიანის გახიზვნა.

საუბედუროდ, ჩვენ არა გვაქვს ცნობები ამ რაიონების აღრინდელი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ერთადერთი ცნობა ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს ჩატარებული აღწერაა.

ამ აღწერით: ზურტაკეტ-გომარეთის 40 სოფელში 337 „თავი“ ცხოვრობდა („თავად“ ნაგულისხმევია დაბეგვრის ერთეული ანუ მებრძოლი), ე. ი. თუ ერთი თავის წილად ოჯახის კიდევ 4 წევრს ვივარაუდებთ, მოსახლეობა დაახლოებით 1700 კაცს შეადგენდა.

ქციაში 65 სოფელი იყო, 750 „თავი“ და მოსახლეობა, დაახლოებით 3800 კაცს შეადგენდა. ამგვარად, ციხე-ხრამთა ტევადობა გაცილებით (ზურტაკეტში რვაჯერ, ხოლო ქციის ხრამში შვიდჯერ) მეტია, ვიდრე 1721 წელს არსებული მოსახლეობა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ციხე-ხრამთა აგების დროს მოსახლეობა ბევრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ხშირი უნდა ყოფილიყო. ამას სხვათაშორის მოწმობს ნასოფლარების მიხედვით მოსახლეობის ვარაუდიც.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ციხე-ხრამები, ციხეებთან ერთად, სავსებით იტევდნენ ხეობის მთელ მოსახლეობას. ქციის ხრამისა და მდინარე ქციის აუზის სხვა ხრამების მღვიმე-გამოქვაბულთა ასეთი ზოგადი მიმოხილვაც კი ნათელყოფს, თუ რა გამჭრიახობით, ოსტატურად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ბუნებრივ პირობებს ქვეყნის თავდაცვისათვის და რომ ამ თავდაცვის ორგანიზაციაში გარკვეული ადგილი მღვიმე-გამოქვაბულებს ეჭირათ, რომლებიც ჩვენი ხალხის ნიჭმა, ცოდნამ და დიდმა შრომისუნარიანობამ სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენა"[1].

ჯოჯოხეთის კარიბჭესთან

(1960 წლის ექსპედიცია)

მღვიმეში იყო სიბნელე და სინესტე.
ე. ჰემინგუეი.

1958 წელი, 17 აპრილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ყალიბდება სპელეოლოგიური კომისია აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თავმჯდომარეობით.

1958 წელი. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში იქმნება კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორია დოცენტ შალვა ყიფიანის ხელმძღვანელობით.

ორივე ამ რგოლის შექმნა ნაკარნახევი იყო აუცილებლობით. ამ დროისათვის მთელს მსოფლიოში უკვე გაშლილი იყო გეგმაზომიერი სპელეოლოგიური კვლევები და ორჯერ ჩატარდა საერთაშორისო სპელეოლოგიური კონგრესი, 1953 წელს პარიზში და 1958 წელს იტალიის ქალაქ ბარიში. საქართველო სპელეოლოგიური თვალსაზრისით ამ დროისათვის ფაქტიურად შეუსწავლელი იყო, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ენთუზიასტი მეცნიერის, მოგზაურის თუ სპორტსმენის ძირითადად საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ კვლევებს.

მღვიმეებსა და გამოქვაბულებს არქეოლოგიური თვალსაზრი-

---

[1] კოტე ჯავრიშვილი. ქციის ხრამის მღვიმე-გამოქვაბულები. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები", ტ. II, 1963 წ.

სით აქტიურად იკვლევდა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წელს პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე გამოჩენილი ფრანგი სპელეოლოგის ნორბერ კასტერეს წიგნი „ათი წელი მიწის ქვეშ“, რომელსაც ცნობილი ქართველი გეოგრაფის და ქართული სპელეოლოგიის ერთ-ერთი პიონერის ლ. მარუაშვილის წინასიტყვაობა უძღოდა წინ.

სპელეოლოგიურმა კომისიამ თავიდანვე აქტიური მუშაობა გაიჩაღა. უკვე 1960 წელს მოაწყო პირველი სპელეოლოგიური სამეცნიერო სესია და გამოსცა პირველი სპელეოლოგიური კრებული „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“. ამავე წლის აგვისტოში საქართველოს ალპიური კლუბის მიერ მოეწყო სპელეოლოგიური ექსპედიცია.

მაშ ასე, პირველი სპელეოსპორტული ექსპედიციის ჩატარების ობიექტად შეირჩა არაბიკას კირქვული მასივი, რომელიც გაგრის ქედის დასავლეთ ნაწილს მოიცავს და წინასწარი მონაცემებით (ე. მარტელისა და ა. კრუბერის გამოკვლევებით) ფრიად საინტერესო მასივად წარმოგვიდგებოდა...

კარვის კალთა გადავწიე და მიდამოს გავხედე. არაფერი ჩანდა. მხოლოდ ნისლი, ნაცრისფერი, თვალისთვის გაუვალი. ნისლის საბურველში კი მთებს და ხეობებს ეძინათ.

მზე იღვიძებდა. ზარმაცი კაცივით არა ჩქარობდა. ნელა იწევდა ზევით. როცა ბერჭილის ქედს ასცდა და გადმოგვანათა, ნისლმა ჩაიწია, სანდრიფშის ხეობას ჩაუყვა, იქ აშოლტილ ფიჭვებს, ზამთრის თოვლისგან გაღუნულ, დაგრეხილ არყებს გამოედო და შედგა, თეთრი გველეშაპივით გაიწელა.

ასე იყო ყოველ დილით.

ჯუმბერ ხომასურიძე და ჭიჭიკო ჯანელიძე საუზმეს ამზადებდნენ, სხვებს წყალი მოქონდათ. წყარო ხევში იყო, ყინულივით ცივი. მის ყინულად ქცევას სულ ორიოდე გრადუსი უკლდა.

დანარჩენები თოკებს ვახვევდით, საველე ტელეფონების მუშაობას ვამოწმებდით.

მალე ექსპედიციის მთელი შემადგენლობა სახელდახელო სუფრას ვუსხედით, შემდეგ კი, ორ ჯგუფად გაყოფილნი სხვადასხვა მიმართულებით წავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი ალაგ-ალაგ ჩაღრმავებებში ჩარჩენილიყო და მაინც ყველაფერი თეთრად მოჩანდა: მთები და კლდეები კირქვის, ხეობებიც კირქვებში ჩაჭრილი.

ექსპედიცია, რომელსაც პროფესორი ლევან მარუაშვილი ხელმძღვანელობდა, პირველად იყო არაბიკის კირქვულ მასივზე.

პირველივე დაზვერვებმა დაგვანახვა, რომ სამოქმედო რაიონი კარგად იყო შერჩეული და ჩვენც მონდომებით შევუდექით ძებნას. თუ არ გამოცდის კაცი, ძნელად მიხვდება, რაოდენ ძლიერად და მოულოდნელად მოქმედებს აქ იმედის გაცრუება. ხშირად ვხვდებოდით ვიწროპირიან ჭებს, გულისფანცქალით ვიბამდით წელზე თოკს, ვეშვებოდით. ჭა ფართოვდებოდა, ჩვენს თვალწინ დიდი დარბაზები გადაიშლებოდნენ, მაგრამ... სულ რაღაც ორმოციოდე მეტრის სიღრმეზე ჭა თავდებოდა. ამაოდ ვეძებდით სიღრმის გასაგრძელებლად რაიმე ხვრელს...

ერთ დღეს დასაზვერად წასული ერთი ჯგუფი გახარებული დაბრუნდა. შორიდანვე დაგვიძახეს:

— მივაგენით!

მეორე დღეს ექსპედიციის მთელი შემადგენლობა ბერჭილის ქედის კალთაზე, ახლადაღმოჩენილი, ზღვის დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე მდებარე, უფსკრულის პირას იდგა და საიერიშოდ ემზადებოდა. უფსკრულს ვიწროდ დაეღო ხახა. რა მოგველის შიგ? კიდევ ხომ არ გაგვიცრუვდება იმედი?

ირგვლივ მოტიტვლებული ბორცვები აღმართულიყვნენ. შორს მთები მოჩანდნენ, ნისლმოხურულები.

შორიდან მოტანილი ხის ძელი უფსკრულის თავზე გავდეთ. ზედ პატარა ჭოჭონაქი დავამაგრეთ და კაპრონის ორმეტმილიმეტრიანი სისქის თოკიც გადავატარეთ. დაიწყო იერიში. თოკი არსენას ჩავაბით.

არსენას რიგრიგობით მიჰყვნენ ჭიჭიკო ჯანელიძე, ჯუმბერ ხომასურიძე, ზურაბ ტინტილოზოვი და ჯერი ჩემზე მოდგა. საველე ტელეფონი ზემოთ დარჩენილებს უფსკრულის ფსკერთან აკავშირებდა. ყველა ჩვენგანს სასტვენი ჰქონდა. წინასწარ ვიყავით შეთანხმებულნი: ერთი დასტვენა გაჩერებას ნიშნავდა, ორი — ჩამოვებას. სამი — ამოწევას.

ტელეფონით გვაცნობეს, რომ ადრე ჩაგდებული თოკის გრაგნილმა, რომელიც სიღრმეში გზის შემდგომი გაგრძელებისათვის იყო საჭირო, ფსკერამდის ვერ მიაღწია და საღლაც, შუა გზაზე გაიჩხირა.

თოკი წელზე გამოვიბი, ჩაშვება დავიწყე. ფარნის შუქზე ...
ლაპლაპებდნენ უფსკრულის კედლები. თავს ძლივს ...
თავბრუდამხვევ ტრიალს, რადგან დაჭიმული თოკი იგრიხებოდა.

სინათლის ზოლმა პატარა ლავგარდანზე დაგდებულ თოკს ჩაურბინა. სასტვენს ერთხელ ჩავბერე. გამაჩერეს, ლავგარდანი შორს იყო ჩემგან. დიდის გაჭირვებით მივაღწიე თოკის გრაგნილამდე, ძირს ჩავაგდე და მეც დავეშვი.

უფსკრულის სიღრმე 60 მეტრი იყო. მის ძირზე ზურაბი დამხვდა, დანარჩენები ვიწრო ხვრელის საშუალებით სიღრმისაკენ მიიწევდნენ.

რომ იცოდეთ, რა ძნელი იყო ვიწრო ხვრელში გაძრომა. უამრავი წვეტიანი შვერილები, პატარა, წვრილი, ბასრი სტალაქტიტ-სტალაგმიტები ტანსაცმელზე გვეჭიდებოდნენ. თითქოს არ სურდათ ფარდა აგვეხადა მიწისქვეშეთის საიდუმლოებისათვის. ჩვენ ხომ ადამიანთაგან პირველნი ვიყავით, რომლებმაც აქ ფეხი დავადგით და მრავალსაუკუნოვან მყუდროებაში შევიჭერით. საჭირო გახდა მეშახტეთა დიდი ფარნების, აგრეთვე მუზარადების დატოვებაც ხვრელის აქეთ. სივიწროვეს ისიც ემატებოდა, რომ ხვრელის ძირზე წყალი იდგა, ყინულივით ცივი; სხვა გზა არ იყო, შიგ უნდა ჩავწოლილიყავით.

მიწისქვეშა უფსკრულებში თითქოს დრო თავის მნიშვნელობას კარგავს. არ იცი რამდენ ხანს მიდიხარ, მიხოხავ, მიძვრები. აქ დრო დაძლეული სიღრმით განიზომება.

არ ვიცი, რა დრო იყო გასული, რომ წინიდან ზურაბის ხმა შემომესმა:

— არსენა ნაპრალში გაიჭედა!

ხმაში მღელვარება ისმოდა, და როგორ შეიძლება არ იღელვო, როცა ყველაზე სახიფათო, რაც შეიძლება სპელეოლოგს თავზე დაატყდეს, ეს ნაპრალში გაჭედვაა, როცა ვერც წინ მიდიხარ და ვერც უკან, მიშველებაც შეუძლებელია.

არსენას გამოხსნას ჭიჭიკო და ჯუმბერი ცდილობდნენ. არასასიამოვნო ამბავი ტელეფონით ვაცნობეთ ზევით მყოფთ, მაგრამ სიტყვიერი გამხნევების გარდა, მათ არაფრით შეეძლოთ შველა. ჭიჭიკომ და ჯუმბერმა ნახევარი საათი იწვალეს. შემოახიეს ტანსაცმელი არსენას და ძლივს გამოგლიჯეს იგი კირქვის „ბრჭყალებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია იმის გადმოცემა, თუ რას განიცდის ადამიანი კარსტულ უფსკრულში. წარმოიდგინეთ მთამსვლელის სიარული ღამით, როცა არ იცი სად რა ნაპრალი მოგელის, ან სად მოგიწყდება უჩინარი ლოდი.

წინსვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. მასიური კირქვა ისეთ ვიწრო ნაპრალს ქმნიდა, რომ რაც არ უნდა წვრილი და მოქნილი ყოფილიყო ადამიანი, შიგ ვერ გაეტეოდა.

უკან დაბრუნებისას უსიამოვნო ჟრუანტელს გვგვრიდა 60-მეტრიანი უფსკრულის ძირზე მდებარე ვიწრო ხვრელი, სადაც მუზარადები დავტოვეთ. ხვრელი ათასი ხელით გვეჭიდებოდა, გვახევდა ტანსაცმელს. ბრეზენტის ფხრეწის ხმა ტელეფონის საშუალებით ზედაპირზე მყოფებსაც გაეგოთ. ამ ხვრელს „ჯოჯოხეთის კარი" ვუწოდეთ.

ის იყო თავი დავაღწიე ხვრელს, რომ ზურაბის ხმა მომესმა:

— თამაზ, გავიჭედე!

სწრაფად ჩავბრუნდი. ზურაბი ყინულივით წყალში იწვა. შუბლიდან სისხლი სდიოდა. მივეხმარე, ძლივს ამოვიდა. უკან ჯუმბერი, ჭიჭიკო და არსენა მოყვებოდნენ.

ქანცმილეულები, სველები, ტალახიანები და სიცივისაგან გათოშილები უფსკრულის ძირზე შევიკრიბეთ. დაღლილ სახეებს მაინც გამარჯვების ღიმილი გადაკრავდა. ამ ჩასვლით ორჯერ გაიზარდა საქართველოს სიღრმით ჩაღწევების რეკორდი, ხოლო საბჭოთა კავშირის რეკორდს ჩვენს მიერ დაპყრობილი სიღრმე — 150 მეტრი, სულ რაღაც თხუთმეტიოდე მეტრით ჩამორჩებოდა.

დავიწყეთ ასვლა. ქვევიდან ვხედავდი, როგორ მიექანებოდა თოკზე დაკიდებული არსენა ზევით. იგი თანდათან პატარავდებოდა, მისი ფარნის სინათლეც სუსტდებოდა. არსენას ჭიჭიკო მიჰყვა, მერე ზურაბი, ჯუმბერი, ტელეფონით ვკარნახობდი ზევით მყოფებს, ამხანაგების აწევის ტემპებს.

— მოუჩქარეთ!.. ნელა!.. გააჩერეთ!.. ასწიეთ!..

ლოდგამობმული თოკი ჩემს ფეხებთან დაეცა. წელზე შევიბი, ყურმილს უკანასკნელად ჩავძახე:

— მზად ვარ! — და მოვწყდი ლოდებიან ფსკერს. ისევ თავბრუდამხვევი ტრიალი, ისევ კედელზე მიხლა...

ამხანაგები აღფრთოვანებული ყიჟინით შემეგებნენ „ბნელეთის უკანასკნელ მოციქულს". ეს აღტაცება ჩვენი მიღწევით და, რაც მთავარია, უხიფათო დაბრუნებით იყო გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ათი საათი იყო. ბერჭილის ქედზე შემომჯდარ ვარსკვლავები გარს ეხვეოდნენ და შესციმციმებდნენ.

ძალზე დაღლილი მეჩვენა იმ ამხანაგების სახეები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ჩვენი სიცოცხლე ხელთ ეპყრათ. არცთუ ისე ადვილია ხუთი კაცის ჩაშვება-ამოყვანა 20-სართულიანი შენობისხელა შახტიდან.

მწყემსებს ალბათ უკვირდათ, როცა ფერდობებზე მოძრავი სინათლეები დაინახეს — ეს ჩვენ ვბრუნდებოდით ბანაკში.

ჩვენი ექსპედიციის უფროსის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლევან მარუაშვილის წინასწარმეტყველება, გაგრის მასივზე ღრმა კარსტული უფსკრულების არსებობის შესახებ — გამართლდა.

საჭირო იყო ახალი უფსკრულის ძებნა. სადაზვერვო მარშრუტები არ წყდებოდა.

ერთხელ ზურაბი, დემურ ტაბიძე და მე ჩვენი ბანაკიდან ორიოდე კილომეტრზე წავაწყდით საინტერესო, თორმეტი მეტრის სიგანის მქონე ჩაღრმავებას, რომელიც თოვლით იყო ამოვსებული. აგვისტოს მხურვალე მზე და თოვლი?! როცა ახლო-მახლო მწვერვალებზეც კი აქა-იქ პატარა ნაგლეჯებიღაა შერჩენილი.

თოვლი მაგარი იყო და წვიმისაგან დაჩვრეტილი. დაჟინებით ვეძებდი ხვრელს და მივაგენი კიდეც. იგი შვეულად ეშვებოდა სიღრმისაკენ. იატაკად მყინვარქცეული თოვლი მიყვებოდა ხვრელს. ზურაბმა წერაყინით საფეხურები გაჭრა და ჩავედით. ფარნის სინათლემ დიდი, ჭერმაღალი დარბაზი დაგვანახვა, რომელშიც დიდებული სანახაობად იშლებოდა მიწისქვეშა მყინვარი. ჩვენ 40 მეტრის სიღრმეზე ვიყავით, შემდგომი ჩასვლა საკმაო თოკის უქონლობის გამო შევწყვიტეთ. გამოვბრუნდით.

ბანაკში მარშრუტიდან დაბრუნებული ამხანაგები გველოდნენ. ჯუმბერ ხომასურიძეს გემრიელი სადილი დაემზადებინა.

ჭიჭიკოს ხელში რაღაც ფრინველი ეჭირა. მივუახლოვდი, მიმინო იყო. თვალებს აბრიალებდა, თავს ირგვლივ ატრიალებდა და ჩემი ხელის მოძრაობას ადევნებდა თვალ-ყურს. ტყვედმყოფს არ სურდა თავისუფლების ადვილად დათმობა, გაფრენას ლამობდა. გაუსხლტა კიდეც ხელიდან, მაგრამ მაშინვე დედამიწას დაენარცხა. მიმინო ფრთაში დაეჭრა მწყემსის საფანტს.

ჭიჭიკომ მიმინო მე დამითმო. „ექიმბაშობას“ შევუდექი. საველე აფთიაქში პენიცილინი მოვძებნე, დავნაყე და ჭრილობაზე დავაყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე. მიმინო გაიტრუნა, თითქოს მიხვდა, რომ მისი მტერი არ ვიყავი. ორი დღის განმავლობაში არაფერს ჭამდა, მაგრამ შემეჩვია თანდათან. პატარა ჩიტებს ვუხოცავდი დიდი თოფით.

მე და ჯუმბერ დიდს — ასე ვეძახდით ხომასურიძეს, ხოლო ჯუმბერ ჯიშკარიანს — ჯუმბერ მცირეს, თუმცა ისინი ტანის სისრულით არ ჩამოუვარდებოდნენ ერთმანეთს — ერთ კარავში გვეძინა. ჩვენი კარავი სხვებთან შედარებით განაპირას იდგა. ჯერ კარგად გათენებული არ იყო, რომ კარავმა ზანზარი დაიწყო... გავიღვიძეთ. მიწისძვრაა?

ყველაფერს მივხვდით, როცა გარეთ გამოვიხედეთ. თურმე ჩვენ თხების საყვარელ დასასვენებელ ადგილზე ვიყავით დაბანაკებული და საძოვრებიდან დაბრუნებულებს, რასაკვირველია, გააოცებდათ უცბად გაჩენილი მწვანე ბორცვების დანახვა (ჩვენი კარვები მწვანე ფერისა იყო). უფრო გამბედავები ახლოსაც მოდიოდნენ და წინა ფეხებით ბრეზენტს ეყრდნობოდნენ, ყნოსავდნენ, ენას უსვამდნენ, ალბათ ფერი თუ ატყუებდათ, ბალახის ზვინი ეგონათ. ჯერ გვეზარებოდა თბილი საძილე ტომრების დატოვება, შიგნიდან ვებრძოდით თხებს, მაგრამ ზოგი მათგანი საპასუხო იერიშზე გადმოდიოდა თავისი ბასრი რქებით. კარავს საფრთხე ელოდა და ჩვენც რიგრიგობით ვძვრებოდით კარვიდან, „თავდამსხმელების“ მოსაგერიებლად.

ასე მეორდებოდა თითქმის ყოველდღე და ჩვენც „მაღვიძარას“ მოვალეობის არამკითხე შემსრულებლებს სასტიკ ბრძოლას ვუჩაღებდით.

მზე ჯერ კარგად არ იყო ამოსული, ყველანი რომ წამოვიშალეთ. დღეს ახალაღმოჩენილი თოვლიანი უფსკრულის იერიში უნდა დაგვეწყო. ისევ თოკების დახვევა, ფარნების შემოწმება...

და დღეს, როდესაც სამყაროში თითქმის ყველაფერი აღმოჩენილია, თითქმის ყველგან აქვს ადამიანს ფეხი დადგმული, რაღაც შეუცნობელი სიამაყის გრძნობა გეუფლება, როცა გამოუკვლევ უფსკრულში პირველად ფეხს ადგამ. ისევ ვიწრო ნაპრალებსა და ხვრელებში ხოხვა, ღრმა ჭებში თოკებით ჩაშვება, სიცივისაგან ითოშები, ტანსაცმელი გეხევა, მაგრამ სიღრმე გეძახის, გიზიდავს გაღაულახავი ძალით და შენც მიდიხარ, მიდიხარ შეუჩერებლივ, სანამ ძალა გყოფნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეს 70 მეტრ სიღრმეს მივაღწიეთ. თეთრ კედლებზე ... ლიტებივით ეკიდა კალციუმის ნაჯერი წყლის წვეთები, აქ იბადებოდნენ სტალაქტიტები, სტალაგმიტები, რომლებიც წლების შემდეგ მნახველის მზერას დაატკბობენ, გააოცებენ.

ერთ-ერთი დარბაზის ჭერში მიწისქვეშა მყინვარის ენა მოჩანდა.

გზის შემდგომი გაგრძელებისათვის საჭირო იყო ლითონის ჭაღის დამაგრება, რადგან ქვევით ღრმა უფსკრული იწყებოდა.

მეორე დღე დასვენების დღედ იყო გამოცხადებული, მაგრამ უქმად რა გაგვაჩერებდა. ექსპედიციის უფროსმა საინტერესო იდეა წამოაყენა. რუკა გავშალეთ, ჩავუსხედით. ჩვენი ბანაკის ჩრდილოეთით არაბიკას მთა აღმართულიყო. მის მახლობლად კი — უსახელო მწვერვალი, არაბიკაზე მაღალი. გადაწყდა: ოთხი კაცი — დ. ტაბიძე, ჯ. ჯიშკარიანი, ჭ. ჯანელიძე და მე უნდა წავსულიყავით მის დასაპყრობად.

ნისლიანი დღე იდგა. ჩვენმა ოთხეულმა უსახელო მწვერვალისკენ აიღო გეზი. რამდენიმე საათს მივდიოდით აღმართ-დაღმართებზე, თხის ბილიკებზე. გავიარეთ მყინვარეული ხეობები. საქართველოს გვიანდელ გამყინვარებას აქ თავისი კვალი დაეტოვებინა. ხეობა სავსე იყო დიდი და პატარა ლოდებით, მორენებით.

შორს უსახელო მწვერვალი გამოჩნდა. ზამთრის თოვლს აგვისტოს თოვლიც მიმატებოდა, რომელიც, მწყემსების თქმით, ორიოდე კვირის წინ მოვიდა. ქარს თოვლი გადაეყარა, მზეს გაედნო და აქაიქ შერჩენოდა ფერდობებს თეთრ ნაგლეჯებად.

ავდიოდით მწვერვალზე და ძალაუნებურად შედარებას ვახდენდით: აქ მზე თვალს გვჭრიდა, გვცხელოდა, ირგვლივ უზარმაზარი სივრცე, იქ კი, მიწის ქვეშ, სივიწროვე, ხანჯლებივით სტალაქტიტები და, რაც მთავარია, წყვდიადი.

უსახელო მწვერვალი „სპელეოლოგების მწვერვალად“ მოვნათლეთ. აქედან დიდ მანძილზე მოჩანდა კავკასიონის ქედი, ზოგან თაკარა მზით აელვარებული თოვლმუზარადა მწვერვალებით, ზოგან კი პირქუში, ნისლმოხურული.

მწვერვალზე წერილი დავტოვეთ და უკან გამოვბრუნდით, ისევ მორენები, ლოდიდან ლოდზე ხტუნვა. ზოგან დეკა მოსდებოდა კირქვას.

კარგა ხნის შემდეგ, როცა მთვარემ ამოანათა, შორს კოცონი დავინახეთ. იგი ჩვენს ბიჭებს დაენთოთ, რომ მის შუქზე ადვილად მიგვეგნო ბანაკისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა გადამწყვეტი იერიშის დღეც. საჭირო იყო აჩქარება, რადგან სექტემბრის ქარი ჩამუქებული ღრუბლების რემას ერეკებოდა; როცა ბანაკიდან გავედით, უკვე ცრიდა.

თოვლიანი უფსკრულის პირას შევგროვდით და მოვემზადეთ. კლდის შვერილს თოკი გამოვაბით და დახრილ გვირაბში ჩავუშვით. რიგრიგობით ჩავდიოდით. ჩვენი ფარნების შუქზე თოვლის წვრილი კრისტალები ელავდნენ და ლივლივებდნენ, სველი კედლები კი შავად ლაპლაპებდნენ.

ჩავიარეთ თოვლის მთა, მიწისქვეშა მყინვარიც და პატარა ხვრელებსა და ნაპრალებში გაძრომის შემდეგ პირველი მიწისქვეშა შახტის თავზე მოვთავსდით. აქ ძალიან ვიწრო ბაქანია, თანაც ქვევიდან ძლიერად ქრის „მიწისქვეშა ქარი". წვალებით ჩატანილი ლითონის ჭოჭონაქიანი ჭაღი დავამაგრეთ. ჯუმბერ ხომასურიძემ ხის მორის ნაფოტებიდან, გასათბობად, პატარა კოცონი დაანთო. მოგვიანებით შევიტყვეთ უფსკრულის პირას სამორიგეოდ დარჩენილი ამხანაგების გაოცება, როდესაც უამრავი ნაპრალებიდან და თვით უფსკრულის ჩასასვლელიდანაც ამომავალი კვამლის ბოლქვები დაინახეს.

ჩვენ ნელა ჩავუშვით არსენ ოქროჯანაშვილი, ჭიჭიკო ჯანელიძე და ორივე ჯუმბერი. ჭაღთან დავრჩით გიორგი ჩანგაშვილი, ზურაბ ტინტილოზოვი, ჯემალ უნაფქოშვილი და მე. შახტის ძირზე უნდა დარჩენილიყვნენ ჯუმბერ ჯიშკარიანი და ჭიჭიკო. არსენა და ჯუმბერ ხომასურიძე განაგრძობდნენ გზას სილრმისაკენ. ყველას დიდი სურვილი გვქონდა ჩაშვებისა, მაგრამ ვიღა ამოგვიყვანდა? იმ დროს ჯერ კიდევ არ გვქონდა კიბეები, და თოკჩაბმულ მოიერიშეს ბურლაკებივით ვეწეოდით...

გადიოდა საათები. ქვედა ბაქანზე მყოფი ჭიჭიკო და ჯუმბერი ხანდახან გვეპასუხებოდნენ. მათ შეგვატყობინეს, რომ არსენასთან და ჯუმბერ ხომასურიძესთან კავშირი გაწყდა... ხომ არაფერი შეემთხვათ? ბჭობა გავმართეთ.

— ცოტა კიდევ დაველოდოთ. — თქვა გიორგიმ.

აქ თავი იჩინა ჩვენმა დაუდევრობამ, რაც სიჩქარით იყო გამოწვეული — სატელეფონო კავშირი არ დავამყარეთ. უფსკრულში კი აჩქარებას ბევრი ფათერაკი ახლავს. ქვემოთ მყოფი მეგობრები ეპასუხებოდნენ ჩვენს ძახილს, მაგრამ შახტის კედლები მრავალ ექოს გამოსცემდნენ და გუგუნის მეტი არაფერი გვესმოდა. ამას ემატებოდა ცივი ქარი და სინესტე, რომელიც უმოძრაობაში

მყოფთ ძვალსა და რბილში გვიჯდებოდა. ნერვული დაძაბულობა მატულობდა. ისიც არ ვიცოდით, გახშირდა თუ არა ზეგავლენა (ისევ სატელეფონო კავშირის უქონლობა). შევყურებდი ირგვლივ ჩამუქებულ ღია ნაპრალებს და ხვრელებს და წამით წარმოვიდგინე, როგორი ხმაურით და ძალით ჩამოეშვებოდა აქედან ჩანჩქერები. რაღაც უნდა გველონა. გადავწყვიტეთ ერთი ჩვენთაგანი ჩასულიყო შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად და ამხანაგების მისაშველებლად. არჩევანი ზურაბს შეხვდა.

შვიდმა საათმა განვლო იერიშის დაწყებიდან. სანთლები ილეოდა. ფარნების უმრავლესობა მწყობრიდან იყო გამოსული. ზოგი დაიმტვრა, ზოგიც დანესტიანდა.

ზურაბს წელზე თოკი ჩავაბი და ის იყო უფსკრულში გადადგა ფეხი, გადაეკიდა კიდეც, რომ ქვევიდან გუგუნით ამომავალ შეძახილებში ძლივს გავარჩიეთ:

— ბრუნდებიან!

ზურაბი აღარ ჩავუშვით.

სასწრაფოდ დავანთეთ მშრალი სპირტის აბები, გათოშილი ხელები გავითბეთ და მოვემზადეთ. მალე დაიწყო ყველაზე მომქანცველი პროცესი — ჩასული ამხანაგების ამოყვანა... სველი კაპრონის თოკი ხელისგულებს გვწვავდა. გვიჭირდა ამოწევა, რადგან ვიწრო ნაპრალში ვიდექით და ერთმანეთს ხელს ვუშლიდით. ძალიან დიდხანს მოვუნდით არსენას ამოყვანას. ტალახისა და სიცივისგან გალურჯებულ სახეზე ღიმილის ლანდი აჩნდა. კბილი კბილს არ უხვდებოდა. არსენას ჯემალი გავაყოლეთ და ზევით გავუშვით...

ჩვენ აღარ გვქონდა საჭურვლის შეკრების, წესრიგში მოყვანის და ბანაკში გადაზიდვის თავი. ეს ყველაფერი მეორე დღისთვის გადავდეთ და გელგელუკისკენ გავეშურეთ. უფსკრულს კიდევ ჰქონდა დაუძლეველი გაგრძელება სიღრმეში.

წვიმამ იმატა და მალე კოკისპირულად წამოვიდა. ახლა ალბათ უფსკრულში უკვე ნიაღვრები ჩადიოდა.

მთელი ღამე იწვიმა.

ეტყობოდა, რომ ამინდი აღარ გამოკეთდებოდა და ჩვენს დარჩენასაც აზრი აღარ ჰქონდა.

ბაგრატიონის უფსკრულთან დატოვებული საჭურველი ბანაკში ჩამოვზიდეთ. ცხენები დავიქირავეთ, დავტვირთეთ და თავქვე დავეშვით. ცხენების ნაკლებობის გამო ექსპედიციის წევრთა ნაწილი ფეხით უნდა წამოსულიყო. ცხენები მხოლოდ სამს გვყავს: ლევან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარუამვილს და შოთა უნაფქოშვილს — ხანდაზმულ ადამიანებს; მეც ერთი ჯორცხენა მერგო, რადგან უფსკრულიდან ამოსვლისას ფეხი ვიწრო ნაპრალში ჩამივარდა და ვიღრძე.

ქარავანი გრძლად გაიჭიმა, რაც ყოვლად დაუშვებელია მთაში. ჯერ ალმართზე მივდიოდით, მერე კი დაიწყო საკმაოდ ციცაბო დალმართი გიუზლემდე. ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ და უჭირდათ სიარული.

ხალათის უბეში მოკალათებული მიმინო თვლემდა, ალბათ სიამოვნებდა რხევა და სითბო.

გიუზლეში თხუთმეტიოდე წუთი შევისვენეთ. კოლმეურნეები თხის მაწვნით გაგვიმასპინძლდნენ. ისიც გვითხრეს, თქვენმა მეწინავეებმა ერთი საათის წინ ჩაიარესო.

ბინდდებოდა.

— გიუზლეში გავათიოთ ღამე. — ვურჩიე ამხანაგებს, რადგანაც ვიცოდი, რომ აქედან კარგა ხნის სავალზე ტყე იყო, თანაც ბარგით დატვირთული ცხენები გიორგი ჩანგაშვილთან და გამყოლთან ერთად ჩამოგვრჩნენ.

— დაბინდებამდე მოვასწრებთ ტყის გავლას. — თქვა ერთმა და წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარა ჰქონდა, რადგან უმრავლესობა მას მიემხრო.

ტყეში შევედით. ფიჭვები და ნაძვები დუმილით შეგვხვდნენ, აღარც ფრინველთა გალობა ისმოდა. ბინდი ტყეს მალე მოერეოდა და ქვეითად მოსიარულეებს გაუჭირდებოდათ სიარული.

წინ მდინარის ხმაური მოგვესმა. სწორად მივდიოდით. მდინარემდე ციცაბო დალმართი უნდა ჩაგვევლო. ცხენიდან გადმოვედი და წინ გავუძეხი. ყველას ფეხი გვიცურდებოდა ატალახებულ დალმართზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ სინათლის გარეშე დავრჩით. კიდევ ერთი შეცდომა: მიწისქვეშეთში ვიცოდით, რომ სინათლე აუცილებელი იყო და აკი ყოველთვის თან ვატარებდით ფარნებს და სანთლებს. აქ კი მოვტყუვდით. ეს ყველაფერი გიორგის ქარავანში დარჩა.

ზურაბს ჯიბეში სანთლის ნამწვი აღმოაჩნდა. აანთო, მაგრამ მალე ფეხი დაუსხლტა, დაეცა და სანთელიც დაკარგა.

მდინარე გადავლახეთ. ალმართს შევუყევით. სადავემიშვებულ ცხენებს მივენდეთ, რადგან მათ იციან სიბნელეში სიარული.

წინ კაცი აილანდა, ჯუმბერ ხომასურიძე იყო.

— ლევანი დაგვეკარგა! — შეშფოთებით მოგვახალა მან. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც არსენა ჩანს. ლევანი ცხენზე იჯდა, სადმე ხომ არ გადაეჩეხნენ ან გზა ხომ არ აერიათ?

დავიწყეთ ლევანის ძებნა.

— ლევან!.. არსენ!..

დროდადრო ვიღაც გვეპასუხებოდა:

— ლევან!.. არსენ!..

სმენად ვიქეცით. კარგა ხნის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ჭოტი გვეპასუხებოდა.

ზურაბს მეორე ცხენზე დაკრულ ზურგჩანთაში რვეული ეპოვნა, ფურცლებად დაეხია, დაეგრიხა და რიგრიგობით ანთებდა მათ და მაშხალებად იყენებდა. ჯუმბერ ჯიშკარიანი გვერდით მიყვებოდა, ჯემალი ცხენზე თავს ცუდად გრძნობდა.

ირგვლივ არაფერი ჩანდა. ცხენი კი დინჯად წინ მიიწევდა. უცბად შუბლზე ძლიერი დაჯახება ვიგრძენი, თითქოს თავის ქალა გადამხადა. წამიერად გონი დავკარგე და ცხენს დავეკიდე.

— რა დაგემართა! — ჩამესმა ჯუმბერის ხმა.

ბილიკზე, გარდიგარდმო, ერთ წაქცეულ ხეს მეორე მიბჯენოდა. ცხენი მის ქვეშ გავიდა და მეც შუბლით ამ ხეს მივჯახებოდი.

როგორც იქნა ტყეს თავი გავაღწიეთ. ლევანი და არსენა არ შეგვხვედრია. ერთ მდელოზე შევჩერდით. უზარმაზარი კოცონი დავანთეთ, რომ ტყეში მყოფებს ჩვენსკენ გზის გამოგნება გაადვილებოდათ.

დილით ყველაფერი ნათელი გახდა: რადგანაც ლევანი ცხენით იყო, გზას გაყოლოდა, კლუბამდე მიეღწია და გვიან ღამით ის იყო, მშიერი და დაქანცული ძილისთვის ემზადებოდა, რომ ქანცგამოლეული არსენაც თავზე დასდგომია.

ექსპედიციის საჭურვლით დატვირთულ ქარავანს გიორგი ჩანგაშვილის და გამყოლის თანხლებით ბევრი უწვალია. ორი ცხენი ბარგიანად ფერდობზე დაგორებიათ და აქა-იქ გაბნეული ბარგი დიდი ჯაფითა და წვალებით ძლივს შეუგროვებიათ. მერე გიუზლემდის მიუღწევიათ და იქ გაუთევიათ ღამე.

როცა ყველა ერთად შევიკრიბეთ, სხვებზე „დაზარალებული“ მე აღმოვჩნდი. ჯერ ერთი, როდესაც ხესთან შეჯახებისას წამიერად გონი დავკარგე და უბეში მოყუჟულ საცოდავ მიმინოს ის ფრთა, ასე გულმოდგინედ რომ ვუმრთელებდი, მთლიანად მოტყდა. გონსმოსულმა მაშინვე უბეში ჩავიყავი ხელი და გამწარებულმა მიმინომ კლანჭები ჩამიჭირა. ძლივს ამოვიყვანე. ხელიდან სისხლი მდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა. მოკალიო, მეუბნებოდნენ, მაგრამ ვერ გავიმეტე და მწყემსის ბიჭს მივეცი. გარდა ამისა, როცა ჩემი ზურგჩანთა გავხსენი, ელდა მეცა: გაოცებული დავყურებდი საერთო რვეულის ცარიელ ყდას, სად გაქრა დღიური? ჩვენი ექსპედიციის მუშაობის, საველე დაკვირვებების ჩანაწერები? მერე გამახსენდა, რომ ზურაბმა სიბნელეში ვერ გაარჩია და მაშხალებად გამოიყენა ჩემი დღიურის ფურცლები.

მოულოდნელად ჩვენი ყურადღება ჯუმბერ ხომასურიძის რეზინის ჩექმებმა მიიპყრო; გუშინ ისინი მაღალყელიანი იყო, თეძოებსაც კი უფარავდა, დღეს კი ჩექმის ყელი მუხლებს ქვემოთ, შუა წვივამდე ძლივს აღწევდა. ჯუმბერმა აგვიხსნა, რომ როცა ლევანს ეძებდა ტყეში, ერთადერთი სანთელი გაუთავდა და იძულებული იყო ზოლებად დაეჭრა და ისე გაენათებინა გზა.

ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის. მივხვდით, რა შეიძლება მოჰყვეს არაორგანიზებულობას, დაქსაქსვას, რომ შემდგომ ექსპედიციაში მსგავს შემთხვევას ადგილი აღარ ჰქონოდა.

სპელეოლოგიური კვარტეტი

(1962 წლის ექსპედიცია).

ყოველთვის იქონიეთ თან
სინათლის სამი წყარო.
უ. ჰ ო ლ ი დ ე ი

ჩვენი პატარა ქარავანი დინჯად მიუყვებოდა ბერჭილის ქედის ფერდს. იდგა შემოდგომის ალბათ ერთ-ერთი უკანასკნელი ცხელი დღე. მძიმედ დატვირთული ცხენები ფრუტუნით მიიზლაზნებოდნენ დაკლაკნილ ბილიკზე.

— აბა, აჩუ, ჩერქეზ! — გაისმოდა კიაზოს შეძახილი.

— აჩუ, კუკლა! — ამხნევებდა თავის ცხენს კოტე ტაბატაძე. ცხენი მართლაც თოჯინას გავდა, პატარა იყო და კოხტა. პატრონს მისთვის „კუკლა“ დაერქმია და კოტეც იძულებული იყო ასე შეხმიანებოდა მას.

ნელა ავიარეთ ციცაბო აღმართი და გიუზლეს გადასასვლელზე შევისვენეთ. მარჯვნივ, ღრმად ხშირ მწვანეში ჩაფლული ყოვე-კვარას ხეობა საოცრად ლამაზად მოჩანდა.

უკან მოვიტოვეთ ტყის ზონა და ალპურ მდელოზე მზის უკანა-

სკნელი სხივების სიმხურვალე ვიგრძენით. ეს გზა. ზემოეგიტაბუნი
დან ორთე-ბალაგანის თავზე მდებარე უღელტეხილამდე
მომქანცველია. დიდხანს მიდიხარ მოტიტვლებულ კალთებზე, თან
მოკლეზე ვერ ახვალ, ცხენებს უნდა მისდიო, რომლებიც ზიგზა-
გებით მიდიან და ფერდობს გარდიგარდმო მიჰყვებიან.

როგორც იქნა მივაღწიეთ უღელტეხილს და სასიამოვნო სიგრი-
ლე ვიგრძენით. ალტიმეტრი 2200 მეტრს უჩვენებდა ზღვის დონი-
დან. ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე და ნაპრალებში მოჩანდა
თოვლის ლაქები. ქვევით, მყინვარული ტროგის ძირზე ორთე-ბალა-
განის ფიცრულები გამოჩნდა, მწყემსების ბინა. ახლა თავქვე მივ-
დიოდით. ბილიკი კირქვის ლოდებში გაწოლილიყო და აქა-იქ მაღალ
საფეხურებს ქმნიდა. ცხენებს ფეხები უსხლტებოდათ. ხშირად ჩერ-
დებოდნენ და ვიდრე ლაგამს ძირს არ დავქაჩავდით, ფეხს არ იცვ-
ლიდნენ. სიარულში კუდს ვეჭიდებოდით, რომ არ ჩაგორებულიყვ-
ნენ ხეობაში ტვირთთან ერთად.

ორთე-ბალაგანი ისე გავიარეთ, რომ არავინ შეგვხვედრია. შეუ-
ჩერებლივ გელგელუკისკენ მივავალ ბილიკს დავადექით. საცალფე-
ხო ბილიკი ტყის ზედა საზღვარზე გადის. ამ ადგილზე წიფლნარი
თითქმის მიწაზეა გართხმული. ხეები ზვავებისგან გადაღუნულ-გა-
დატეხილია, და „მთვრალ ტყეს“ ქმნიან.

საღამოს, საკმაოდ მოღლილ-მოქანცულებმა გელგელუკს მივა-
ღწიეთ. ბოგორუფშთას მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა ვა-
კეზე მწყემსების ბინებია განლაგებული. აქ, სულ ერთი თვის წინ,
აგვისტოს თვეში, როდესაც ლ. მარუაშვილის ექსპედიციაში ვიყა-
ვი, სიცოცხლე დუღდა, ახლა კი უკაცრიელი სახლები მოწყენილად
გვიყურებდნენ და ხანდახან ჩხიკვის ჩხავილი თუ დაარღვევდა გა-
რემოს მყუდროებას.

სწორედ აგვისტოში, არაბიკის მასივს ესტუმრა დიდი სპელეო-
ლოგიური ექსპედიცია, რომელიც აღჭურვა ახლად შექმნილმა და
საბჭოთა კავშირში ერთადერთმა სპელეოსპორტულმა კომიტეტმა[1].
საიერიშო ჯგუფმა ზ. ტინტილოზოვის ხელმძღვანელობით ვახუშტი-

---

[1] სპელეოსპორტული კომიტეტი შეიქმნა 1962 წელს საქართველოს ფიზიკუ-
რი კულტურისა და სპორტის კომიტეტთან, რომელმაც ინტენსიური მუშაობა
გააჩაღა, მაგრამ სუბიექტური მიზეზების გამო სულ მალე არსებობა შეწყვიტა და
აღნიშნული ექსპედიცია ფაქტიურად ერთადერთი იყო, რომლის ჩატარებაც ამ
კომიტეტმა მოასწრო. აუცილებლად მიგვაჩნია ამ კომიტეტის აღდგენა, რადგან
საქართველოს სპელეოლოგიაში ბევრია გასაკეთებელი.

ბაგრატიონის უფსკრულში 307 მეტრ სიღრმემდე ჩააღწია. სამწუხაროდ შტურმის დროს ექსპედიციის შემადგენლობის ნახევარი ალ. მარუაშვილთან ერთად უფსკრულიდან 20 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა და მეც მათ შორის. შტურმის მეორე დღეს განთიადიდან „იზვესტიის“ კორესპონდენტი ამოსულიყო, რომელმაც გამოაქვეყნა წერილი საბჭოთა კავშირის რეკორდის დამყარების შესახებ. ეს ციფრი (307 მ) უცხოეთის ჟურნალებშიც გამოქვეყნდა და საქართველოს სსრ ატლასშიც ჩაიბეჭდა. მოსკოველმა სპელეოლოგებმა ვ. ილიუხინის მეთაურობით დაიპყრეს ეს უფსკრული და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 307 მეტრის ნაცვლად სულ რაღაც 160 მეტრი სიღრმის აღმოჩნდა იგი. მათ კი თან ჩაიტანეს უამრავი საჭურველი, რომელიც აღარ დასჭირდათ. რასაკვირველია, სპელეოლოგიურ კვლევებში ხშირად აქვს ადგილი შეცდომებს მღვიმე-უფსკრულთა აზომვებში. გავიხსენოთ თუნდაც მსოფლიოში ცნობილი ამერიკის მამონტის მღვიმე, რომლის ჯამური სიგრძე მრავალი წლის მანძილზე ყველა გამოცემაში 160—200 კილომეტრი იყო. უკანასკნელ წლებში კი, როდესაც ზუსტად აზომეს, 72 კილომეტრი გამოვიდა. მაგრამ იქ საქმე ჰქონდათ ათეულ და ასეულ კილომეტრებთან, აქ კი ათეულ და ასეულ მეტრებთან. როგორც ჩანს, დაშვებული იყო უხეში შეცდომა, რომელსაც, სამწუხაროდ, არც ჩვენ მივაქციეთ ყურადღება. ასეა თუ ისე, დღეს საბჭოთა კავშირის რეკორდი სიღრმითი ჩაღწევების კლასით კარსტულ უფსკრულებში დამყარებულია გუდაუთის რაიონში, თოვლიან უფსკრულში, რომლის სიღრმე ჯერჯერობით 770 მეტრია[1]. რასაკვირველია, მთავარი რეკორდების დამყარება არ არის, მაგრამ ესეც კარგია, რადგან სპელეოლოგია მეცნიერების ისეთი დარგია, სადაც სპორტი და მეცნიერული კვლევა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს „კვარტეტს“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის მიერ იყო წარგზავნილი. ექსპედიცია ამჯერად 1,5 კილომეტრში დაბანაკდა ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულიდან.

ამ უფსკრულის იერიში გეგმაში არ გვქონდა და ჩვენს ძალებ-

---

[1] 1976 წლის აგვისტოში საბჭოთა სპელეოლოგებმა შუა აზიაში, ჰისარის ქედზე დაიპყრეს 1080 მ სიღრმის კარსტული უფსკრული, რომელსაც „კიევსკაია“ უწოდეს.

საც აღემატებოდა. მაგრამ თითოეულ ჩვენთაგანში თავგადასავლების მოყვარულმა ეშმაკმა დაიბუდა და მოსვენებას არ გვაძლევდა. ეს ეშმაკი ნაცნობია მკვლევართათვის და მოგზაურთათვის. იგი აიძულებდა ადამიანებს ფათერაკებით აღსავსე ექსპედიციებში წასულიყვნენ და დაეპყროთ ჩრდილო და სამხრეთი პოლუსები, ჯომოლუნგმა და ბერჟეს უფსკრული, უშბა და გამარჯვების პიკი, იალქნიანი ან ბალზის ნავითა და ტივით გადაეცურათ ოკეანეები, ზოგჯერ მარტოდმარტო და სხვა მისთანანი...

ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრული აღმოვაჩინე ზურაბ ტინტილოზოვთან და დემურ ტაბიძესთან ერთად 1960 წლის საზაფხულო კამპანიის დროს. ამჯერად კი, ჩვენი პატარა ჯგუფისათვის ძნელი იყო იმის განმეორება, რაც დიდმა, კარგად აღჭურვილმა ექსპედიციამ გააკეთა ერთი თვის წინ. უბრალოდ, გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია უფსკრული ჩვენთვის ხელმისაწვდომ სიღრმემდე ზედმეტი რისკის გარეშე. ბაგრატიონის უფსკრულში ყოფნა ჩემთვის მეოთხე იყო, თუმცა 70 მეტრზე ღრმად არ ვიყავი ჩასული. კიაზო, ტრისტანი და კოტე კი პირველად ჩადიოდნენ.

30 სექტემბრის დილას ამინდი შეიცვალა. ირგვლივ აღმართული მთებიდან სიგრილემ მობერა და რძისფერი ნისლი უხმაუროდ შემოიპარა სანდრიფშისა და ბოგორუფშთას ხეობებში. ქინქლავდა.

გადავარჩიეთ საჭურველი, ჩავაწყეთ ზურგჩანთებში და გზას გავუდექით. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ უკვე ბაგრატიონის უფსკრულის დაღებულ ხახასთან ვიდექით. თოვლის ენა თვალისმომჭრელად ეშვებოდა უფსკრულის სიღრმეში და სიბნელეში იკარგებოდა. უფსკრულიდან ორთქლი ამოდიოდა. მის გარშემო მოყვითალო-მოთეთროდ ყვაოდა კავკასიური დეკა. ქვევით კი, ტროგული ხეობის ფსკერზე კირქვის ვეება ლოდების სასაფლაო იყო, რომლებიც ათიათასი წლის წინანდელ მყინვარს გაეჩინა. ისინი იწვნენ დედაკლდეებს მოგლეჯილნი და ძლიერი ქარიშხლის დროს უეცრად გაყინულ ზღვის ტალღებს ჩამოგავდნენ.

სულ რაღაც ერთ თვეში უფსკრულის ჩასასვლელი მკვეთრად შეცვლილიყო. თოვლი ნაწილობრივ გამდნარიყო და მის თეთრ სხეულში უამრავი ღრმა ჭა გაჩენილიყო. უფსკრულში ჩაღწევა საგრძნობლად იყო გაძნელებული.

დღის პირველ საათზე ჩასასვლელის თავზე, კირქვის შვერილზე, კაპრონის თოკს ვაბამთ და ჩასვლას ვიწყებთ, ჩავდივართ ნელა,

ერთმანეთის დაცვით. მუხლამდე ვეფლობით დარბილებულ თოვლში. იატაკი სავსეა მრავალრიცხოვანი ყინულის სტალაგმიტებით, რომლებიც კედლს ჩამოჰგვანან, ქვიან ადგილში კი 2 მეტრი სიმაღლის ყინულის სვეტები აღმართულან.

— აგვისტოში ეს ყინულის წარმონაქმნები არ იყო. — ვეუბნები მეგობრებს.

— ასე შეიცვალა ტემპერატურული რეჟიმი? — ინტერესით მეკითხება კიაზო, რადგან იმ პერიოდში იგი მღვიმეთა ყინულოვან წარმონაქმნებით იყო გატაცებული და სამი წლის შემდეგ იუგოსლავიაში, სპელეოლოგთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებაც გააკეთა საქართველოს მღვიმეთა ყინულებზე.

თერმომეტრი ნულს ქვემოთ ნახევარ გრადუსს გვიჩვენებს, ცოტა ხნის წინ კი ამავე დარბაზში +4 გრადუსი იყო.

განვაგრძობთ მიწისქვეშა მოგზაურობას. ზურგჩანთებში თოკები, ტელეფონის აპარატები, სანთლები, ხელსაწყოები, პროდუქტებია და ფრთხილად ვაწვდით ერთმანეთს. იქ, სადაც თოვლის კონუსი თავდება, ყველას ვთხოვ გამორთონ ფარნები. ჯერ სიბნელეა, მერე კი გაოცებული წამოძახილები გუგუნით ბრუნდება დარბაზის თაღიდან და კედლებიდან... სიბნელიდან თანდათან ისახება თოვლის კონუსი, პატარა მთასავით აზიდული; იგი სიმაღლესთან ერთად ვიწროკდება და ჩამოსასვლელიდან ჩამოჭრილ მკრთალ სინათლეზე მოჩანს, როგორ ადის ორთქლი.

ქვევით ვიწრო ნაპრალია, მის შემდეგ კი მოზრდილი ჭა. ძლივს ვეტევით ნაპრალში, ამ ვიწრო მონაკვეთის დაძლევას საკმაოდ დიდი დრო მოვანდომეთ. ბოლოს, როგორც იქნა მივაღწიეთ ღრმა შახტის პირამდე, სადაც ოთხი კაცი ერთად ვერც დადგება და ვერც გაიმართება. შახტის თავზე გადებულ მორებზე 1960 წლის პირველი ექსპედიციის მიერ დამაგრებული რკინის ჩარჩო და ჭოჭონაქი მოჩანს. ვამაგრებთ თოკს და თოკის კიბეს დურალუმინის საფეხურებით. შემდგომი მოძრაობის გეგმა ასეთია: პირველი ჩავალ მე, ჩავიტან ტელეფონის აპარატს და კავშირს დავამყარებ. ჩემს მერე ჩამოვა კიაზო, შემდეგ ტრისტანი, კოტე კი ამ შახტის თავზე უნდა დარჩეს თავის განუყრელ გიტარასთან ერთად და აღარ მოეწყინება.

მხარზე ვიკიდებ, ფოტოაპარატ „ზენიტს“, მძიმე გასანათებელ მოწყობილობას „ლუჩ-59“-ს და საველე ტელეფონს. მარცხენა მხარზე ვიბამ ტელეფონის წყვილი მავთულის ბოლოებს და ვეშვე-

ბი „მეხანძრის“ წესით. კარაბინი ნელა სრიალებს თოკზე ... ტის ფარნის შუქზე შავად ელვარებენ ჩამუქებული კედლები. მავთულებს ტელეფონის აპარატს ვუერთებ.

— ალო!

— გისმენ! — ეს კიაზოს ხმაა.

— ჩამოდი, უკეთესია მეხანძრის წესით.

— მოვდივარ!

თოკი და კიბე ერთმანეთში აიხლართა და სანამ კიაზო მათ აცალკევებდა, ავფოფხდი პატარა ხვრელში, ბერის საკანივით რომ ჩანდა კლდეში, იატაკიდან ორიოდე მეტრის სიმაღლეზე. შევედი პატარა განშტოებაში და თავი ძლივს შევიმაგრე, რომ არ დავცემულიყავი. ფარნის შუქი იატაკისკენ მივმართე და დავინახე თეთრი, ცომისებური მასა, რომელზეც ფეხი დამისხლტა. ეს სპელეოლოგთათვის ცნობილი „მთვარის რძეა“, მღვიმური წარმონაქმნების ნაირსახეობა.

— თამაზ! — კიაზოს ძახილზე ძირს ვიხედები. — ტრისტანი დაშვების ნებართვას თხოულობს, მზადაა!

ცოტა ხნის შემდეგ ზევიდან ისმის ქსილოფონის მსგავსი ხმები. ტრისტანი ჩამოდის კიბეზე და დურალუმინის საფეხურები შახტის შვერილებს ეხლებიან. თანდათან ისახება მისი სილუეტი.

უკვე საღამოს 10 საათია. 9 საათია უფსკრულში ვართ, მაგრამ აქ დროის სრბოლას ვერ იგრძნობ. ჩვენს სამეულს კოტესგან ღრმა მიწისქვეშა შახტი ყოფს.

— ალო, ვინაა ტელეფონთან? — ყვირის კიაზო ტელეფონში და თვალს გვიკრავს.

— ნაბუქოდონოსორი! — პასუხობს კოტე. — ვინ უნდა იყოს, მარტო მე ვარ, როგორც შუა საუკუნეების პატიმარი. ეჰ, ჩვენები ახლა ქალაქში კონცერტებს უსმენენ, კინოს უყურებენ, პლაჟებზე შავდებიან. — ოხრავს კოტე.

— კოტე! დაუკარი რამე, ჩვენც კონცერტი გვექნება. — ეხვეწება ტრისტანი. კოტეს მიწის ზევით ხშირად ხვეწნა სჭირდება, რომ დაუკრას და იმღეროს, აქ კი მაშინვე გვისრულებს თხოვნას.

შორეულ ექოდ გვესმის გიტარის ხმა, რომელსაც უფსკრულის თაღები აძლიერებენ და ორღანს ჩამოჰგავს. კოტე მღერის. აქ სულ სხვაგვარად აღვიქვამთ სიმღერას, მუსიკას. რაღაც იდილიური განწყობილება გვეუფლება...

კოტემ დაამთავრა სიმღერა და ჩვენც მაშინვე ვიგრძენით უფს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალაქტიტების „ჭაღი" სათაფლიის

მღვიმეში

ტყუპებივით მსგავსი სტალაქტიტები ტა-

რიელის მღვიმეში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალაქტიტები და „მთა“ სტალაგმიტი სათაფლიის მღვიმეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვლიანი მღვიმე ბათირ-იფარის ხეობაში.



სლოუპის მღვიმის „ზღაპრული დარბაზის“ ერთი კუთხე (ჩეხოსლოვაკია).



სტალაქტიტები საკიშორეს მღვიმეში (რაჭა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კალციტის სვეტი ცახის მღვიმეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაკარონისებური სტალაქტიტები და მიწისქვეშა ტბა შორანჟის მღვიმეში.



კალციტის ფერადი კრისტალები მღვიმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარსტული ჩანჩქერი მდინარე ააფსთას ხეობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შფოთავს, ბობოქრობს მიწისქვეშა მდინარის ტალღა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოდებისაგან მღვიმის ჩასასვლელის გათავისუფლება.



სხვადასხვა ფორმის სტალაქტიტები ტარიელის მღვიმეში (რაჭა).

მღვიმე მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე.



მიწისქვეშა მდინარის „ყარასუს“ გამოსასვლელი მდ. ჯამპალის ხეობაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მღვიმური მარგალიტის ყელსაბამი



მსბლისებური სტალაქტიტები.

მღვიმეში.

სტალაქტიტები და სტალაგმიტები ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ მღვიმეში.

მაკარონისებური სტალაქტიტები გომბასეკის მღვიმეში (ჩეხოსლოვაკია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თოვლიანი მღვიმის ჩასასვლელი ბზიფის ქედზე

მთა ახ-იბოხი ანუ თურქული ქუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ღამურას ყვირილი.

მღვიმეში ნაპოვნი თაბაშირის ზღარბი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



1964 წლის ექსპედიცია. გიუზლეს უფსკრულის ფსკერზე.

მარინ პულინა.

ვიტოსლავა მორეტტი-ონიშკევიჩი მღვიმეში ჩახვლის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თაბაშირის კრისტალები საფრანგეთის მღვიმეში.

მღვიმური მარგალიტები ბაგრატიონის უფსკრულის ძირზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიუზლეს უფსკრულის იერიშის წინ



ეროვნული
ბიბლიოთეკა



პალმის ღეროს მსგავსი სტალაგმიტები ორინიაკის მღვიმეში (საფრანგეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრულის სიცივე. ამას დაუმატეთ კიდევ მაღალი ტენიანობა და უფს-
კრულის სიღრმიდან მომქროლავი ცივი ნიავი. თუ ყურს მიუგდებ,
გაიგონებ წყლის წვეთების მონოტონურ ხმას და ეს ხმები გამშვი-
დებს. მაგრამ ეს იდილია დროდადრო ირღვევა მორღვეული ლოდე-
ბის გრიალით. ძალაუნებურად კისერს მხრებში მალავ, კედელს
ეკვრი, ფოლადის მუზარადიანი თავი ოდნავ დახრილი გაქვს და
ელოდები, როდის შეწყდება ქვათაცვენა. მრავალჯერ დავრწმუნე-
ბულვარ, რომ ვერტიკალურ კარსტულ მღვიმეებში ანუ უფსკრუ-
ლებში ყველაზე საიმედოა ჯარისკაცული ფოლადის მუზარადი,
რომელიც თუმცა კი მძიმეა, ვიდრე სხვა მუზარადები, მაგრამ გა-
მძლე.

ვდგევართ შახტის ფსკერზე. კუთხეში ხვრელი მოჩანს, რომ-
ელიც სიღრმეში მიდის. ფსკერის ეს ნაწილი ჰაერშია გამოკიდებული
და ერთმანეთში მჭიდროდ ჩაჭედილი ჩამოცვენილი ლოდებისგან
შედგება. საკმარისია ერთი მეწინავე გამოეცალოს, რომ დანარჩენე-
ბი გამაყრუებელი გრიალით ჩაექანებიან მეორე შახტში. სულ ერთი
თვის წინ, ამ მეორე შახტის ფსკერზე, რომელსაც „ქვათაცვენის"
დარბაზი უწოდეს, სამი სპელეოლოგი იდგა და ამოსვლას აპირებ-
და. ესენი იყვნენ არსენ ოქროჯანაშვილი, ჯუმბერ ჯიშკარიანი და
გიორგი ვართანოვი. უკანასკნელი უკვე ამოსვლას აპირებდა, როდე-
საც გაისმა გრიალი და შახტის ჭერის ნაწილი ჩაინგრა. გიორგი
სასწაულით გადარჩა, იგი კედელთან მდგომ ამხანაგებთან გადახტა,
იმ ადგილზე კი, სადაც იგი წამების წინ იდგა, ლოდების გროვა აღი-
მართა. ამიტომაც „მონათლეს" ეს შახტი „ქვათაცვენის დარბაზად".

ასეთი ფათერაკიანი მოულოდნელობისათვის თავი რომ დაგვეღ-
წია, ფრთხილად დავათვალიერეთ ჩასასვლელი ხვრელი და წინ გაჩ-
ხერილ ლოდს ფეხი ვკარით. ისეთი ზათქით მიექანებოდნენ სიბნე-
ლეში გამოცოცხლებული კირქვის ლოდები, რომ დაიწყო ნამდვილი
მიწისძვრა. ეს ქვის ვეებერთელა მასა რამდენიმე წამში შთანთქა
მარადიულმა სიბნელემ და ხმაურიც მიწყდა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ტელეფონის გაბმულმა ზარმა დაარღვია.

— რა მოხდა? — შეშფოთებულად იკითხა კოტემ.

— არაფერი, ჩასასვლელი გავწმინდეთ.

კლდის პალოები მაგრად ჩავასვით, მეორე კიბე დავკიდეთ და
ჩასასვლელად მოვემზადე. კიაზო და ტრისტანი არ მირჩევენ ჩასვ-

ლას, რადგანაც კიბე შახტის ფსკერამდე არ სწვდებოდა და მომიწევდა გზის გაგრძელება.

კიაზო და ტრისტანი ბაქანზე დარჩნენ. უკვე 12 საათია რაც უფსკრულში ვიმყოფებით, გვცივა. მშრალი სპირტის აბებს ვანთებ და სველ ხელთათმანებს ვაშრობ. პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ ყველაზე მეტად ფეხბურთის მეკარის ხელთათმანებია გამოსაყენებელი მიწის ქვეშ. ისინი კარგად იცავენ ხელებს გაჭუჭყიანებისგან, რადგან სპელეოლოგს ფოტოაპარატითაც უხდება მუშაობა. გარდა ამისა, მათი ხორკლიანი ზედაპირი აადვილებს კაპრონის სველ თოკზე მოძრაობას.

ვადარებთ საათებს. საკონტროლო დროდ დილის 7 საათს ვნიშნავთ. ამ დრომდე თუ არ დავბრუნდი, ერთ-ერთი მათგანი უნდა ჩამოვიდეს და მომძებნოს.

ჩავდივარ. თოკის კიბე საშინლად იჭიმება და ქანაობს. რასაკვირველია, ტროსის კიბეები გაცილებით უკეთესი და მოსახერხებელია, მაგრამ იმ დროს ჩვენ ასეთი საჭურველი არ გაგვაჩნდა და ძირითადად თვითნაკეთებს ვხმარობდით.

კიბე მალე გათავდა. ზემოდან ჩამოშვებულ თოკს აბალაკოვის ქამარზე დამაგრებული კარაბინი ჩავაბი და ჩავსრიალდი. შახტის ძირზე უამრავი ლოდია დახვავებული. ამის შემდეგ იწყება ვიწრო ხვრელი, რომელშიც მუზარადით და მეშახტის ფარნით ვერ შევეტევი. ყველაფერს ვტოვებ პატარა ნიშში და ხვრელში მივხოხავ. ხანჯალივით წვრილი და მაგარი სტალაქტიტები კირქვის ბასრი შვერილები ბრეზენტის უხეშ ტანსაცმელზე მეჭიდებიან და წინ გახოხვა მიძნელდება. ხშირად ისე ვიწროვდება ნაპრალი, რომ საჭიროა მთელი ჰაერი გამოუშვა ფილტვებიდან, ჭიაყელასავით გაიწელო, გველივით დაიგრიხო, რომ რამდენიმე სანტიმეტრით წინ გახოხდე, ვიწრო ნაპრალი კი აღარ თავდება.

როგორც იქნა, გაჭირვებით გავაღწიე პატარა, მრგვალ დარბაზამდე, რომელიც ძალიან მდიდარია ათასნაირი ფორმის სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. საკმარისია ოდნავ შეხება და ეს იშვიათი მიწისქვეშა მორთულობანი შესანიშნავ მუსიკალურ ხმებს გამოსცემენ. ამ კირქვის ლოლუებზე თამამად შეიძლებოდა რომელიმე მარტივი მელოდიის დაკვრა. ეს იყო „მუსიკალური სტალაქტიტები“, რომლებიც მსოფლიოს ზოგ მღვიმეშია ცნობილი. მერამდენედ გამახსენდა ნორბერ კასტერეს სიტყვები: „სად შეიძლება განიცადო კიდევ ისეთი მღელვარე წუთები, მიიღო ისეთი ესთეტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაყოფილება, თუ არა მიწის ქვეშ". რასაკვირველია გამოჩენილი ფრანგი სპელეოლოგი სიტყვაში „მიწისქვეშ" მღვიმეებს გულისხმობდა.

ამ „მუსიკალური სალონის" ერთ კუთხეში, პატარა ნიშში დავინახე მინის ქილა, რომელშიც შარშანდელ ექსპედიციას თავისი ბარათი დაეტოვებინა.

„მუსიკალური სალონის" შემდეგ იწყება პატარა შახტები. რადგანაც თოკი მოკლე მაქვს და ჩასასვლელად არ მეყოფა, ისღა დამრჩენია ფოტოსურათები გადავიღო, ჩავატარო ზოგიერთი დაკვირვება და უკან გამოვბრუნდე. წამოსვლის წინ იმ ბარათის ნაცვლად ჩვენი ექსპედიციის ბარათს ვტოვებ და უკან ვბრუნდები.

საათი დილის შვიდის ნახევარს უჩვენებს. უნდა ვიჩქარო, რომ ამხანაგებმა არ იღელვონ. თანაც მოძრაობაში ისე მცხელა, რომ ოფლი წურწურით მდის, ისინი კი უმოძრაოდ არიან და შესცივდებოდათ.

აქ აღარ შევუდგები ვიწრო ნაპრალში მოძრაობის აღწერას, რომლის დროსაც ჩემი ბრეზენტის ტანსაცმელი ნაფლეთებად იქცა. როგორც იქნა გამოვაღწიე იმ ადგილამდე, სადაც მუზარადი და მეშახტის ფარანი მქონდა დატოვებული და მეგობრებს ავძახე. მათი დახმარებით ავაღწიე თოკის კიბემდე და მალე კიაზოს და ტრისტანს შევუერთდი, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მორიგეობით ძვრებოდნენ ერთადერთ საძილე ტომარაში და ერთხელ, როცა ძალიან შესცივდათ, როგორღაც მოეხერხებინათ ერთად ჩაძვრომაც კი.

ვიდრე ვისვენებდი, ტრისტანმა და კიაზომ შახტში ჩაკიდებული თოკი და კიბე ამოიტანეს და დაახვიეს.

— ცოცხალი ხარ? — ამბობს კოტე.

— ხომ არ გაიყინე? — ვეუბნები.

— საძილე ტომარაში ჩავძვერი და მშვენივრად გავთბი. — ამბობს კოტე.

ათის ნახევარზე ასვლა დავიწყეთ. ჩვენს წინამორბედებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მეტნი იყვნენ და აქედან ამსვლელებს ეხმარებოდნენ, წელზე შებმულ თოკს ეწეოდნენ, ჩვენ კი მარტო კოტე რას დაგვეხმარებოდა, ჩვენი მკლავების ძალის იმედი უნდა გვქონოდა.

მთამსვლელობისგან განსხვავებით, სადაც ითვლება, რომ შედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით ასვლა ადვილია, ვიდრე ჩამოსვლა, კარსტულ შახტში ქითაა. ბევრი სპელეოლოგი დაღუპულა მსოფლიოში სწორედ უფსკრულიდან ამოსვლისას, როგორც დაიღუპა შესანიშნავი ფრანგი სპელეოლოგი მარსელ ლუბანი პიერ-სან-მარტენი.

როგორც იქნა ამოვედით კოტეს „რეზიდენციაში". მას მშრალი სპირტის აბების ალზე ყავა მოეხარშა და დიდის ამბით გაგვიმასპინძლდა. ეტყობოდა, ბევრი რამ აინტერესებდა ჩვენი მიწისქვეშა მოგზაურობიდან, მაგრამ ხედავდა, რომ ძალიან დაღლილები ვიყავით და შეკითხვებისგან თავი შეიკავა.

— როგორც თბილისში, კაფე „მეტროში", — თქვა კიაზომ, როცა ყავა მოწრუპა. — კონიაკი გვაკლია მხოლოდ.

კოტემ ხორცის კონსერვები გახსნა და გააცხელა. ძნელი იყო თავის შეკავება, როდესაც ერთი ბოთლი ქართული კონიაკი დავინახეთ. ძმურად გავინაწილეთ. გავთბით.

კიაზომ თუნუქის ტოლჩა მაღლა ასწია და შელის დეკლამაცია დაიწყო.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო შელის პირველი დეკლამაცია მიწის ქვეშ.

— ჰო, ჩვენი მუზარადები ძალიან წააგავს მარგალიტის გვირგვინებს. — იღიმება ტრისტანი და ფოლადის მუზარადს, რომელზეც ზის, ხელს ურტყამს.

— შეიძლებოდა მათთვის მარგალიტისა დაგვერქმია, ბოლომდე რომ ჩაგვეღწია, იქ ძალიან ბევრია მღვიმური მარგალიტი. — ვთქვი და თუნუქის ტოლჩა მეც მაღლა ავწიე. — დღეს უკვე ათი აგვისტოა. ზუსტად ათი წლის წინ პიერ სან-მარტენის უფსკრულიდან ამოსვლისას დაიღუპა მარსელ ლუბანი. შევსვათ მისი ხსოვნის სადღეგრძელო და ვისურვოთ, რომ არასდროს, არსად არ იღუპებოდნენ ადამიანები!

წუთიერი დუმილი, თითქოს უფსკრულიც გაირინდა, შემდეგ კი ღრმად ამოისუნთქა და სადღაც მორღვეული ლოდი რახრახით ჩაექანა სიღრმეში...

კოტემ გიტარა აიღო და სასიამოვნო ჰანგებმა გაავსო მიწისქვეშეთი. ვმღეროდით. ზოგჯერ ხომ სიმღერაც გათბობს...

და ისევ ვიწრო ნაპრალები და ხვრელები, მერე თოვლი. თოვლიან დარბაზში ფარნები ჩავაქრეთ, მაგრამ მოცისფრო სინათლე აღარ აღწევდა ზევიდან. გვიანი საღამო იყო, როცა ზედაპირზე ამოვედით. აქაური 15 გრადუსი სითბო სიცხედ მოგვეჩვენა.

ქარი ამოვარდა და ტყვიისფერმა ღრუბლებმა ცა დაფარა. მალეროვნული ბიბლიოთეკაერთადერთ ვარსკვლავად ტრისტანის ფარანიღა ბჟუტავდა, რომელიც ძლივს გვინათებდა გზას. სინათლის მარაგი ბაგრატიონის უფსკრულის მარადიულმა წყვდიადმა შთანთქა.

1963 წლის ზამთრის იდილია

„ჩამოგვიოცოვა ქედები,
თეთრი დაბურა მანდილი".
ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა.

იანვარი იწურებოდა.

თბილისში კარგი ამინდი იდგა. თბილოდა. ქუჩებში ხშირად დაინახავდით მხარზე თხილამურებგადებულ ახალგაზრდებს. ისინი ბაკურიანისკენ მიეშურებოდნენ.

ერთ საღამოს ვაჟა მაჩაიძემ და ტრისტან ანთიძემ მომაკითხეს. კარგა ხნის საუბრის შემდეგ ტრისტანმა თქვა:

— ბიჭებო, რას იტყვით ბაკურიანში წასვლაზე?

— თანახმა ვარ. — თქვა ვაჟამ.

მე შემომხედეს.

— გავიგე, ბაკურიანში თოვლი არ არის, მხოლოდ ტალახია. თანაც თოვლის მოლოდინში მთელი თბილისი იქაა. რას იტყვით, სხვაგან სადმე რომ წავიდეთ? — მივმართე ბიჭებს.

— სად?

— გაგრის ქედზე.

— ქედზე?

— ჰო. ხომ გახსოვთ, ზაფხულშიც კი შემორჩება ხოლმე თოვლი. ახლა კი ალბათ ორ მეტრზე მეტია. თანაც ნადირობაც შეიძლება.

მათ ჭკუაში დაუჯდათ ჩემი წინადადება და მეორე დღესვე სამზადისს შევუდექით. ვიყიდეთ მშრალი სანოვაგე, ფქვილი, კონსერვები. ტრისტანმა ტყვია-წამლით მოგვამარაგა. ყველაფერი რომ ზურგჩანთებში ჩავალაგეთ და სიმძიმე მოვსინჯეთ, ერთმანეთს გადავხედეთ.

— კარგ დროს გავატარებთ ამ სიმძიმის თრევაში. — თქვა ვაჟამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ზედმეტი არაფერი იყო. ორი კვირის მარაგი მაინც ჭეშდა გვქონოდა. ნანადირევის იმედით წასვლა კი არ შეიძლებოდა, რადგან ზამთარში იმ ადგილებში ჯერ არავინ იყო ნამყოფი.

მატარებელი თბილისი-გაგრა შუაღამისას გადიოდა.

ზურგჩანთები წამოვიკიდეთ, თხილამურები მხარზე გავიდეთ და ქუჩაში გამოვედით. ვაჟას ხელში რადიომიმღები „ტურისტი" ეჭირა. ტორეადორის სიმღერას გადმოსცემდნენ „კარმენიდან". მარშს ფეხი ავუწყეთ და ოდნავ წელში მოხრილები ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გამოვედით. ჯიბრზე კარგა ხანს მანქანა არ შეგვხვდა და ბევრი ვიარეთ ფეხით. მერე ერთმა ტაქსის მძღოლმა ჩვენს გვერდით გააჩერა მანქანა. ძლივს ჩავეტიეთ.

— ბაკურიანისკენ? — იკითხა მძღოლმა.

— ჰო, — ვუპასუხეთ მოკლედ, რადგან იმის ახსნას, თუ სად და რისთვის მივდიოდით, დიდი დრო დასჭირდებოდა.

მატარებელი დაიძრა და დაიწყო ზამთრის პატარა ექსპედიცია.

გაგრაში საბარგო მანქანაში გადავსხედით და მალე სოფელ ბაღნარში ვიყავით, რომელიც ჩვენი ზაფხულის ექსპედიციების ძირითად პუნქტს წარმოადგენდა.

სოფლის კლუბში, სადაც ღამე უნდა გაგვეთია, კინოს უჩვენებდნენ. ბარგი ეზოში დავაწყვეთ, დაველოდეთ კინოსეანსის დამთავრებას.

კინოც დამთავრდა და კოლმეურნეები შემოგვეხვივნენ. სახლებში გვეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჩვენი გავიტანეთ და ცივ ესტრადაზე მოვიკალათეთ. ციოდა, მაგრამ ვიცოდით, მთაში უფრო ეციებოდა, ერთგვარ აკლიმატიზაციასაც გავივლიდით ამ ღამით. ცხენებზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან სოფლიდან სულ ახლოს თოვლი იწყებოდა.

დილის ექვსი საათი იყო, ჯერ კიდევ ბნელოდა, გზას რომ დავადექით. ვიდრე მძინარე სოფელს გავცდებოდით, ძაღლების ყეფა გვაცილებდა. ზოგი ნაგაზი გამოგვიდგა კიდეც, მაგრამ ალბათ ჩვენი უცნაური ჩაცმულობა, ზურგჩანთები და მძიმე ნაბიჯები აშინებდათ, ახლოს არ გვეკარებოდნენ და შორიდან გვიყეფდნენ გაავებით. ერთი მათგანი უფრო გაბედული გამოდგა, ჯერ ყეფით მოგვდევდა, მაგრამ როცა დაინახა, ყურადღებას არ ვაქცევდით, ყეფას თავი დაანება და შორიახლოს გამოგვყვა. სოფელს კარგა ხანია გავცილდით, მაგრამ ძაღლი მაინც მოგვდევდა და თუ რომელიმე ჩვენგანი მიხედავდა, კუდს აქიცინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა სწრაფად ფერმკრთალდებოდა, მალე გათენდა კიდეც და შორს, ზევით, დათოვლილი ბერჭილის ქედი გამოჩნდა, გაგრის ქედის ერთ-ერთი განშტოება.

სიმაღლესთან ერთად თოვლიც მატულობდა. ტყეში მივდიოდით, ტრაქტორების მიერ ზაფხულში გაკვალულ გზაზე, თუმცა გზა აღარ ჩანდა. მხოლოდ გაკაფული წიფლის ხეების მიხედვით იგრძნობოდა მისი კონტურები.

შუადღისას ტყისმჭრელთა ხის სახელდახელო სახლს მივუახლოვდით. ირგვლივ თეთრი დუმილი გამეფებულიყო. ხანდახან ძაღლის ყეფის ხმას თუ გავიგონებდით, რომელსაც მტკიცედ გადაეწყვიტა ჩვენი ექსპედიციის მეოთხე წევრობა.

მსუბუქად ვისაუზმეთ. ძაღლი შორიახლოს ჩამოჯდა და გვიყურებდა. ვაჟამ ორცხობილა გადაუგდო. მანაც სიამოვნებით გადასანსლა მისთვის უცხო ხილი.

გზა განვაგრძეთ. მხრებმა ისევ იგრძნეს სიმძიმე, ახლა უფრო მეტად.

დათოვლილ ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ნადირობის რა მოგახსენოთ, — თქვა ტრისტანმა, — მგონი ტყუილად ვათრევთ თოფებს და ტყვია-წამალს.

— გახსოვს ზაფხულში მძინარე დათვს რომ წავაწყდით მღვიმეში. — გავახსენე ტრისტანს.

თოვლი ღრმავდებოდა და სიარული გვიჭირდა, გზაში შემოგვაღამდა. აცივდა.

გზის პირზე ერთ მყუდრო ადგილას დავბანაკდით. მოჭრილი ტოტებისგან სახელდახელო ქოხიც გავმართეთ და ღამის გასათევად მოვემზადეთ. ვახშმის შემდეგ საძილე ტომრებში ჩავძვერით. ძაღლიც ქოხთან მოკალათდა და დაიძინა.

დილა მზიან ამინდს გვპირდებოდა. ცა მოკრიალებული იყო და ზღვასავით ლურჯად ლივლივებდა. ძაღლი არ ჩანდა. შორიახლოს წყარო იყო და ტრისტანი წყლის მოსატანად წავიდა თხილამურებით. დაბრუნებულმა ის იყო თქვა: თხილამურებით შეუძლებელია სიარული ამ ფქვილივით თოვლშიო, რომ ძაღლის ყეფა და წკავწკავი შემოგვესმა. თოფებს ხელი დავავლეთ და იქით გავეშურეთ, საიდანაც ყეფა ისმოდა. ძლივს მივიკვლევდით გზას. ძაღლმა დაგვინახა, ჩვენთან მოირბინა და კუდის ქიცინი დაიწყო. შეშინებული ჩანდა. ირგვლივ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ტრისტანმა მიაგნო უცნაურ ნაკვალევს, რომელიც ტყის სიღრმეში მიდიოდა. დავიწყეთ თა-

თბილი, გავყოლოდით თუ არა ნაკვალევს, მიუხედავად იმისა, რომ წინ გრძელი და ძნელი გზა გვედო, მაინც წასვლა ვამჯობინეთ.

ვაჟას წინადადებით, თხილამურებისგან ციგა გავაკეთეთ, სამივე ზურგჩანთა ზედ მოვათავსეთ, თოკი გადავუჭირეთ, წინაც თოკი ჩავაბით და მორიგეობით ვეწეოდით ახელდახელო მარხილს.

გიუზლეს მისადგომებთან მარხილი აღარ გამოდგებოდა, რადგან ციცაბო აღმართი იწყებოდა. მარჯვნივ, ტაფობის ძირზე გიუზლეს გადასასვლელის კლდეებიდან ზვავი ჩამოწოლილიყო და ჩვენ კარგა ხანს მოვუნდით გამკვრივებული თოვლის ლოდებით დაფარული ტაფობის დაძლევას და აღმართს შევუყევით. წრიაპებიანი ხამლები ძალიან გვშველოდა. ფეხის ძლიერი დარტყმით თოვლში საფეხურებს ვაკეთებდით და ასე მივიწევდით მაღლა, ვიდრე გიუზლეს ბინებამდე არ ავაღწიეთ. ეს ულამაზესი მიდამო საოცარი დუმილის სამეფოდ გადაქცეულიყო. ეს ადგილი ბაღნარის კოლმეურნეთა დასასვენებელი იყო ზაფხულობით, ოჯახებით ამოდიოდნენ აქ. თავიანთი ტიროლური ტიპის ხის სახლებიც ედგათ. ერთ-ერთი სახლი შევარჩიეთ და დავბინავდით. შორიახლოს ორი კარსტული წყარო მოწანწკარებდა. ზევით ბერჭილის ქედის კალთა მოჩანდა, დათოვლილი და შიშველი. აქ თავდებოდა ტყე და იწყებოდა სუბალპური ზონა. უღელტეხილის თავზე მწყემსების ორი პატარა ბინა მოჩანდა.

მეორე დღეს, ადრე, მიდამოს დასაზვერად და თოვლის სისქის გასაზომად გავედი. ზედა გიუზლისკენ მიმავალ ფერდობს შევუყევი. ძაღლი გამომყვა. რამდენჯერმე შევუტიე, მაგრამ არ მომეშვა და ფერდობის შუაგულზე წინ გამისწრო. მე ცერად მივდიოდი, რომ თოვლი ჰორიზონტულად არ მომეჭრა და უცაბედი ზვავი არ გამომეწვია. თან ვაჟას კინოაპარატი მიმქონდა, რომ ზემოდან გადამეღო ეს იშვიათი სილამაზის მქონე მიდამო.

თხემამდე ცოტაღა დამრჩა. შევჩერდი, კინოაპარატი მოვიმარჯვე, თოვლში ჩარჭობილ წერაყინს დავეყრდნე და ის იყო გადაღება დავიწყე, რომ ზემოდან ძაღლის წკმუტუნი შემომესმა. ავიხედე და გავშეშდი. აქ უკვე უძლური ვიყავი, ძაღლს ვერაფრით მივეხმარებოდი: მან ხომ არ იცოდა ასეთ თოვლიან ფერდობზე სიარულის წესები, განივად უფრო ადვილია სიარული და მანაც უვიცობით ეს იოლი გზა აირჩია. ზვავი არ იყო დიდი, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ძაღლის დასაღუპავად. ვხედავდი როგორ ცურდებოდა თოვლი და მასთან ერთად ძაღლიც, რომელიც საცოდავად წკმუტუნებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შველა შეუძლებელი იყო, რადგან უკვე ამოძრავებულ თოვლს ვეღარაფერი შეაჩერებდა; სიჩქარემ იმატა, აგორდა, შეიკეცა, თითქოს ნახტომისათვის მოემზადა აქოჩრილი თოვლი და უეცრად მოწყდა, სწრაფად დაექანა, ოციოდე მეტრში ჩამიქროლა და ძაღლიც თან ჩაიტანა. წკმუტუნი შეწყდა. ქვევით ფლატე იყო და თუმცა ვერ ვხედავდი, მაგრამ მკაფიოდ გავიგონე ზვავის დაცემის ყრუ ხმა.

გზის გაგრძელების სურვილი გამიქრა. ფრთხილად დავბრუნდი უკან.

ბინაში შევედი და ჯერ გაოცებამ მომიცვა, მერე კი ხარხარი დავიწყე: ცეცხლის პირას ვაჟა დამჯდარიყო და ტრისტანი ხანჯლით პარსავდა წვერს. იმ დროს მივუსწარი, როდესაც ვაჟას მოთმინებამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია და წამოხტა, ცალი ლოყა ვაი-ვაგლახით ჰქონდა გაპარსული.

— აღარ მინდა, მეყოფა. — თქვა და წყალში დასველებული ცხვირსახოცი გაფხეკილ ლოყაზე მიიდო.

საპარსი მოწყობილობანი თან არ გვქონდა წამოღებული. ჩვენს მეტი არავინ იყო ირგვლივ და ამ ყინვაში არც ლირდა ყოველდღე პირის პარსვა. ვაჟას ვეღარ მოეთმინა და ტრისტანსაც თავისი ხანჯლით გაპარსვა შეეთავაზებინა. შემდეგ დღეებში ვაჟას თუმცა ამოუვიდა გაპარსულ ლოყაზე წვერი, მაგრამ მეორე ლოყაზე უფრო მეტი ჰქონდა.

ბიჭებს ვუამბე ძაღლის დაღუპვის ამბავი. ძალიან ეწყინათ. თანაც დამტუქსეს, მარტო რატომ წახვედიო.

ბინოკლში ვხედავდით ზედა გიუზლეს ორ ქოხს, თოვლში ნახევრად რომ იყვნენ ჩაფლული. იქიდან იწყებოდა ორთე-ბალაგანისკენ მიმავალი ბილიკი, მაგრამ ბილიკს ამ თოვლში რა იპოვიდა. დაზვერვამ დაგვარწმუნა, რომ ზამთარში გელგელუკამდე მისვლა ვერტმფრენის გარეშე იოლი საქმე არ იყო. ახლო-მახლო, სადამდეც მისვლა შევძელით, წყაროების წყალი ავიღეთ საანალიზოდ. თოვლის სისქეც გავზომეთ ფერდობებსა და ტაფობებში და რამდენიმე დღის შემდეგ ბაღნარისკენ ავიღეთ გეზი.

თოვლიან ტყეში სიარული ჭირდა, მაგრამ თანდათან თოვლის სისქე კლებულობდა, მეტყევეთა ბინიდან კი სიარული გაადვილდა.

გზაში დაგვაღამდა და ტყის მჭრელთა სახელდახელო ბინებისკენ გავეშურეთ. კაკუნზე კაცმა გამოიხედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვინა ხართ?

— გეოლოგები ვართ, დაგვაღამდა და ღამის გათევა თუ შეიძლება.

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა.

შევედით. ზურგჩანთები მოვიხსენით და მხრებმაც შვება იგრძნეს. ოთახში თუნუქის ღუმელი ენთო და სასიამოვნო სითბო ტრიალებდა.

ორი მასპინძლიდან ერთი სულ ახალგაზრდა იყო, 19—20 წლის. როცა რაღაცაზე ტრისტანს მივმართე, გაიცინა, მეც ტრისტანი მქვია. ადრეც, ექსპედიციების დროს ხშირად შევხვედრივართ ამ რაიონში ტყის მჭრელებად ჩამოსულ სვანებს. ახლა კი უცნაური იყო, რომ მთაში, ხუთ კაცში ორი ტრისტანი აღმოჩნდა.

არყით სავსე ბოთლი დადგეს მაგიდაზე, პური და თხის ყველი. ჩვენც ზურგჩანთებიდან ამოვალაგეთ კონსერვები და რაც კი რამ გვქონდა დარჩენილი. არაყი უგემური იყო, არც ეიპიტაურის გემო ჰქონდა და არც სხვა რამისა, თითქოს კარბიდი გაერიათ მასში, მაგრამ მაინც გაგვითბო შეცივებული სხეული.

დილით, როცა გავიღვიძეთ, ბინაში ჩვენს მეტი არავინ იყო. ზურგჩანთები წამოვიკიდეთ და გარეთ გამოვედით. სხვა ბინებიც ცარიელი იყო. შორიდან ელექტროხერხის ხმაური ისმოდა და ნაჯახის ჩახა-ჩუხი. ტყის მჭრელები ადრე გასულიყვნენ სამუშაოდ.

მძიმე ნაბიჯებით დავადექით გზას.

შუადღისას, ვიდრე სოფელ ბაღნარს მივუახლოვდებოდით, გზის პირას, კლდეში მღვიმის შესასვლელი გამოჩნდა. ერთმანეთს მივეხმარეთ კლდეზე ასვლაში. მღვიმე არ იყო დიდი, მაგრამ უცნაურად ლამაზი, პატარა დარბაზებისგან შედგებოდა. წვრილი სტალაქტიტები და სტალაგმიტები დახუჭუჭებულიყვნენ და საოცარ სილამაზეს ქმნიდნენ. ბოლო, 30-მეტრიან მაღალ დარბაზში თიხა დალექილიყო და ჭერიდანაც ვეება ლოდები ჩამოცვენილიყო. სველ კედლებზე ობობები, ცრუმორიელები და საქართველოს მღვიმეებისთვის დამახასიათებელი მწერი დოლიხოპოდა ეუქსინა დაცოცავდნენ.

შევადგინეთ ამ მღვიმის ჭრილები და გეგმა. შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ბაღნარის მღვიმის სახელით შევიდა.

მალე ბაღნარის სოფსაბჭოს შენობასთან ვიყავით და ვემზადებოდით განთიად-გაგრისკენ გასამგზავრებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრა სპელეოლოგი და ფილმი „არაბიკა“

(1963 წლის ექსპედიცია)

> როდესაც ამბობენ, მღვიმეები მარადიული, თვალისთვის გაუვალი წყვდიადის სამეფოაო, ასე გგონია, რომ ამ ჭეშმარიტებას მტკიცება არ სჭირდება.
>
> ნორბერ კასტერე

1963 წლის აგვისტოში დაგეგმილი გვქონდა სპელეოლოგიური ექსპედიციის ჩატარება არაბიკაზე. რადგანაც მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უმაღლეს და ურთულეს კარსტულ მასივზე დაუსრულებლად შეიძლება მეცნიერული კვლევების წარმოება, სპორტული ექსპედიციების მოწყობა. ყოველ ახალ ექსპედიციას ახალი აღმოჩენები ახლავს, ამავე დროს იწრთობა და კლასს იმაღლებს ქართველ სპელეოლოგთა ძველი და ახალი კადრები.

სპელეოლოგიური ექსპედიცია, ისევე როგორც ყველა სხვა სახის ექსპედიცია თუ მოგზაურობა, წინასწარ სამზადისს მოითხოვს. ჯერ ერთი, უმთავრესია ექსპედიციის შემადგენლობის დაზუსტება, რადგან შეიძლება სპელეოლოგს დიდი სურვილი ჰქონდეს ამა თუ იმ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებისა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს ამას. ამჯერად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სპელეოლოგიური კომისიის არაბიკის ექსპედიციაში მოყვარული სპელეოლოგებიც მოვიწვიეთ. ამ ექსპედიციაში გადავწყვიტეთ კინოფილმის გადაღებაც.

კარგა ხანს ვემზადებოდით. სამუშაო ყველას განაწილებული გვქონდა. მოსამზადებელი ბაზა კოჯრის გზატკეცილზე, ბოტანიკის ინსტიტუტის ეზოში გვქონდა, სადაც სპელეოლოგიური კომისიის საწყობიც იყო მოთავსებული. ხშირად ჩავდიოდით დაბახანის ხეობაში, მთამსვლელთა სავარჯიშო კლდეზე, ჩავკიდებდით თოკს, თოკის კიბეს და ზურგჩანთამოკიდებულები ვვარჯიშობდით, რადგან ძალიან ძნელია საწერ მაგიდასთან თვეების მანძილზე მუშაობა და უცბად, ვარჯიშის გარეშე ექსპედიციაში თოკებზე ასვლა-ჩასვლა.

და აი, დადგა 1963 წლის 3 აგვისტო. თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე ბარგი-ბარხანით შეიკრიბა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის ექსპედიცია.

მორჩილად ვისმენთ გამცილებელთა რჩევა-დარიგებებს.

— ზედმეტი რისკი არ გასწიოთ! — ამბობს ერთი.

— ფრთხილად იყავით! — გვეუბნება მეორე და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემშვიდობებით მეგობარ-ნაცნობებს.

მატარებელი დაიძრა...

თბილისი დიდხანს გვაცილებდა წითლად მოელვარე თვალებით, მთაწმინდის სატელევიზიო ანძიდან რომ კიაფობდნენ...

მეორე დღეს გაგრის სადგურზე საბარგო მანქანა ვიქირავეთ, ექსპედიციის საჭურვლით დავტვირთეთ, ჩვენც ზედ მოვთავსდით და გეზი სოფელ ბაღნარისკენ ავიღეთ. გაგრის პლაჟზე უამრავი დამსვენებელი ეფიცხებოდა აგვისტოს თაკარა მზეს. მდინარე ჟოვეკვარას დასავლეთით, აღმართიდან გამოჩნდა საბჭოთა კავშირის ყველაზე მოკლე მდინარე — რეპრუა. მისი სიგრძე სულ 50 მეტრია. იგი პლაჟზე, კლდიდან გამოდის და იქვე ზღვას უერთდება. ესაა კარსტული, მიწისქვეშა მდინარის გამოსასვლელი, რომელიც სწორედ იმ ქედებიდან იღებს წყალს, საითაც ჩვენ მივეშურებოდით. წვიმისა და თოვლის მდნარი წყალი სწრაფად შთაინთქმება არაბიკის მასივის სიღრმეში უამრავი ხვრელების, ნაპრალების, კარსტული ჭების, ძაბრების საშუალებით და მრავალი კილომეტრის გავლის შემდეგ ზღვის პირას გამოედინება ცივი, გემრიელი სასმელი წყალი, რითაც მარაგდება გაგრის მოსახლეობა.

სადგურ განთიადის შემდეგ იქვე, მარჯვნივ ხაშუფსეს ხეობაში გადავუხვიეთ. ხიდები ადიდებულ მდინარეს წაეღო და მანქანა ძლივს გადიოდა ფონს.

ნაცნობი ადგილები. კირქვაში ღრმად ჩაჭრილი ხეობა. თამბაქოს პლანტაციები. გზა, ხაშუფსეს ერთ-ერთი მთავარი შემადგენლის, მდინარე სანდრიფშის ხეობას მიუყვება და 12 კილომეტრის გავლის შემდეგ ბაღნარის კოლმეურნეობის გამგეობის შენობაც გამოჩნდა. აქ ჩვენი ძველი ნაცნობები შეგვხვდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტრადიციულად დაგვითმო სოფლის კლუბის დარბაზი, რომელიც აქვე, კოლმეურნეობის გამგეობის შენობაშია. გაიმართა საუბარი. გამოგვკითხეს წლევანდელი ექსპედიციის მიზნებზე. მეორე დღისთვის ცხენებს შეგვპირდნენ და ჩვენც ღამის გასათევად კლუბის ესტრადაზე მოვთავსდით.

ხუთი აგვისტოს დილა კარგ ამინდს გვპირდებოდა. შორს მოჩანდა ბერჭილის ქედის ფერდობი, გიუზლეს უღელტეხილით. მზეც ამოვიდა, მაგრამ ცხენები არსად ჩანდა. გამოირკვა, რომ როგორც კოლმეურნეობის, ისე კერძო პირთა ცხენები მთლიანად არეკილი იყო გელგელუკის იალაღებზე. იმ ადგილს კი 30 კილომეტრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილი გვაშორებდა. გადავწყვიტეთ, რომ საბარგო მანქანით გიუ-ზლეს სანახებამდე მივსულიყავით, რითაც თითქმის ნახევარ მან-ძილს მოვიგებდით. მაგრამ ათიოდე კილომეტრიც კი არ გვქონდა გავლილი, რომ მანქანა შედგა. ტყეში მიმავალი გზა მეწყერს გადა-ეკეტა. ამ ადგილებში განთიადის სატყეო მრეწველობისათვის მე-ურნეობის მუშაკები ჭრიდნენ ტყეს და ვეებერთელა „ბიზონებით" ზღვისპირისკენ ეზიდებოდნენ. გზაც მათი გაჭრილი იყო. წელს სხვაგან გადაბარგებულიყვნენ, აქ კი მოუვლელად მიტოვებული გზა წვიმას გადაერეცხა, გაჩეხილი ტყის ნიადაგს ეროზია მორეო-და და ფერდობებიც იმეწყრებოდა. მანქანით გზას ვეღარ გავაგრ-ძელებდით. სხვა არაფერი დაგვრჩენოდა საჭურველი გადმოვტვირ-თეთ, კარვები გავშალეთ და იძულებითი მოთმინებით დაველოდეთ ცხენების ჩამორეკვას.

მეორე დღეს, შუა დღისათვის შვიდი ცხენი ჩვენს კარვებთან წიწკნიდა მეჩხერ ბალახს. საპალნედ შეკრული ტვირთი გულდაგულ ავკიდეთ, ზოგიც ჩვენ ავიკიდეთ და ქარავანი გიუზლეს გავლით გელგელუკისკენ გაემართა, სადაც ძირითადი ბანაკის გამართვა გვქონდა დაგეგმილი.

გელგელუკში, მწყემსების მახლობლად, მდინარე ბოგორუფშ-თის ხეობის მარცხენა ნაპირზე დავბანაკდით და ერთი კვირის მან-ძილზე პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილნი არაბიკის მასივის თხემის უბნებს ვზვერავდით, თან კარსტული ფორმების გავრცელე-ბის სქემებს ვადგენდით, ვაგროვებდით ქანებისა და წყლის ნიმუ-შებს, და ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ექსპედიცია მიზნად ისახავდა.

1963 წლის 12 აგვისტოს ჩვენი ექსპედიცია გელგელუკიდან ვა-ხუშტი ბაგრატიონის უფსკრულისკენ გაემართა.

ცრიდა. სქელი ნისლი ხელს გვიშლიდა, თუმცა კი ნაცნობ „შრატულ ველზე" მივაბიჯებდით. მრავალტონიანი კირქვის ლოდე-ბი გზას ულობავდნენ ქარავანს. დატვირთული ცხენები წარამარა ფორხილობდნენ. უფსკრულამდე 100 მეტრიღა იყო დარჩენილი, როცა ცხენები დადგნენ და აქ უკვე ვეღარავითარი ძალა ვერ აი-ძულებდა მათ წინ წასვლას. არც იყო მიზანშეწონილი, რადგან იწყებოდა კარული ველი, კირქვის გაშიშვლებული შრის წყლისგან დაჭმულ-დაღარული ზედაპირი, რომელზეც მოძრაობა ცხენს კი

არა, კაცსაც უჭირდა. ერთი ჩვენთაგანი ცხენებთან დარჩა, დანარ-
ჩენებმა კი ზურგით ტვირთის გადაზიდვა დავიწყეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფსკრულის პირას დეკა ყვაოდა. თოვლი ახლა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შარშან.

აქ აღარ შევუდგები უფსკრულში ჩვენი ჩასვლის დაწვრილებით აღწერას, რადგან იგი მსგავსია წინა ჩასვლებისა, მაგრამ ზოგი რამ მაინც საინტერესოა.

ჯერ კიდევ თბილისიდან გამომგზავრებამდე ნუგზარ ერქომაიშვილმა საკუთარი კონსტრუქციის კიბე შემოგვთავაზა. წინასწარ დახვრეტილი დურალუმინის საფეხურები ზურგჩანთაში ეწყო სამმილიმეტრიან ლითონის ტროსთან ერთად. 70 მეტრ სიღრმეზე, პირველი მიწისქვეშა შახტის თავზე ტროსის ორი ბოლო მაგრად შევკარით და შახტში ჩავუშვით. თავისუფალ ბოლოებზე რიგრიგობით ვაცმევდით საფეხურებს, ერთს ჰორიზონტალურად, ორს შვეულად და მიიღებოდა დურალუმინის მილების კვადრატი. საფეხურები თავისუფლად სრიალებდნენ ტროსებზე და სიღრმეში უჩინარდებოდნენ. ნახევარ საათში კიბე მზად იყო. დავამაგრეთ და რიგრიგობით ჩავედით. ნუგზარის კონსტრუქციის კიბის უპირატესობა იმაში იყო, რომ იგი არ იჭიმებოდა, არც იგრიხებოდა, როგორც თოკის კიბე და თანაც ტროსზე ჩამოცმული შვეული მილები კარგი ხელმოსაკიდი იყო.

ჩავედი. სიღრმე 120 მეტრი. აქედან მეორე შახტი მიდის სიღრმისკენ. ტელეფონის მავთულების წვერები, მხარზე რომ მქონდა დაბმული, შევიხსენი, ტელეფონის აპარატს მივუერთე და სახელური დავატრიალე.

— ალო, კიაზო!

— გისმენ!

— კიბე ბოლომდე არ წვდება. თოკზე მოგიწევს ჩამოსვლა.

— ჯერ ზურგჩანთას ჩამოვუშვებ!

— კარგი!

ზევიდან ხმაური მოისმა. კიაზო საჭურვლითა და სანოვაგით სავსე ზურგჩანთას უშვებდა ჩემსკენ... მერე თვითონაც ჩამოვიდა ღრეჩოთან მეორე ტელეფონი ჩამოიტანა.

ტელეფონით განუწყვეტლივ ვკარნახობთ ვაჟას დანარჩენი ამხანაგების ჩამოსვლის ამბავს და პირობებს. მალე სხვებიც შემოგვი-

ერთდნენ. 120 მეტრის სიღრმეზე ხუთნი ვიყავით. მოვაწყვეთ მეორე მიწისქვეშა ბანაკი და დავიწყეთ მზადება გზის გასაგრძელებლად.

ლერი და ნუგზარი კინოს იღებდნენ. კიაზო, თამაზი და მე თოკის კიბეს ვამაგრებდით. აქედან იწყებოდა „ქვათაცვენის დარბაზი“.

120 მეტრის სიღრმეზე რჩებიან ლერი და თამაზი. სამმა გზა უნდა განვაგრძოთ.

შახტის პირას დახვავებულ ლოდებს ქვევით ვყრით.

ჩავდივარ. თოკის კიბეზე უფრო ძნელია მოძრაობა. სხეულს ძაბავ, რომ ვერტიკალური მდგომარეობა შეინარჩუნო. კიბე იგრიხება, სადღაც გარბის, ფეხიდან გეცლება... ამ შახტში ჩამსვლელთათვის დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან თოკისა და კიბის მოძრაობას ქვებისა და ლოდების „წვიმა“ მოსდევს.

ჩემთვის ეს ადგილები ნაცნობია, კიაზო და ნუგზარი პირველად ადგამენ ფეხს „ქვათაცვენის დარბაზის“, უფრო სწორად, შახტის ფსკერზე.

თერმომეტრი 2 გრადუსს გვიჩვენებს ნულს ზემოთ. მეორე ტელეფონიც გავმართეთ. ვატრიალებ სახელურს. სადღაც, ზევით ალბათ ზარი წკრიალებს.

— ალო, ასოცი! რომელი ხარ!

— ლერი!

ტელეფონები პარალელურადაა ჩართული და ჩვენი ლაპარაკი ვაჟასაც ესმის.

— ლერი, ვაჟა, გვისმინეთ!

— გისმენთ! — მპასუხობენ ძმები.

— მივდივართ ქვევით. გველოდეთ თორმეტი საათის შემდეგ

— წარმატებას გისურვებთ! — ისმის ყურმილში.

წინ ვიწრო ხვრელია. ძნელია მუზარადებით გასვლა. მივხოხავთ. გზადაგზა სტალაქტიტები და სტალაგმიტებია.

აღარ და აღარ თავდება ხვრელი, თუმცა კი ვიცი, სად არის მისი დასასრული. მივხოხავთ უმუზარადებოთ. მალე ხვრელი იმდენად ვიწროვდება, რომ ტანსაცმლის ნაწილსაც ვიხდით, რადგან პატარა ხანჯლებივით ჩამოკიდული სტალაქტიტები გვეჭიდებიან და წინ არ გვიშვებენ. ზოგან ჰაერი მთლიანად უნდა გამოუშვა ფილტვებიდან, რომ შევიწროვდე და ჭიაყელასავით ოდნავ წინ გახოხდე.

ჩვენ უკვე გვგონია, რომ ველარასოდეს დავაღწევთ თავს ამ სატანჯველ ხვრელს. რა იქნებოდა, იმ წყალს, რომელმაც ათასი წლე-

ბის განმავლობაში ეს მიწისქვეშა ლაბირინთი შექმნა, ეს ხვრელიც ოდნავ გაეფართოვებინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მიგვაქვს კინოაპარატი, რომელსაც თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით. მაინც მოვერიდეთ უფრო ძვირფასი და მძიმე „კონვასის“ წამოღებას უფსკრულში და შედარებით მსუბუქი „აიმო“ მიჭირავს ხელში.

ცოტა და... კიაზოს და ნუგზარს გავძახი:

— ბიჭებო, მუსიკალურ სალონში გავედი!

მათ ალბათ უკვირთ, ხომ არ ბოდავსო თამაზი.

მალე ისინიც ძვრებიან ხვრელიდან და აღტაცების შეძახილით ათვალიერებენ პატარა დარბაზს. ეს ადგილი ყველაზე ლამაზია ბაგრატიონის უფსკრულში. კედლები მთლიანად დაფარულია სანთელივით ჩამოღვენთილი კალციტით. ათასნაირი ფორმის ხუჭუჭა, დავრეხილ სტალაქტიტებს მრავალსაუკუნოვანი სპილოსძვლისფერი გადაკრავს.

ჩაქუჩს ვიმარჯვებ და სტალაქტიტებზე რაღაც მარტივ მელოდიას ვუკრავ. მღერიან სტალაქტიტები, მღერის დარბაზი. კიაზო და ნუგზარი გაოცებულნი უგდებენ ყურს... ეჟვნიანი ცხენები თოვლზე მარხილს მიასრიალებენ... სამრეკლოდან ისმის გუგუნი დიდი ზარისა და მოძახილი ზარაკებისა...

დრო კი ულმობლად და შეუმჩნევლად გარბის მიწისქვეშეთში.

პატარა ნიშში ჩვენი შარშანდელი წერილი ვნახეთ, კიაზომ ჯიბეში შეინახა იგი.

გზას განვაგრძობთ.

თოკს დიდ ლოდზე ვაბამთ და ვეშვებით. ეს შახტი თხუთმეტიოდე მეტრამდე თუ აღწევს სიღრმეში. ეს უკვე მარგალიტების დარბაზია და ბიჭები მოუთმენლად მოელიან თავიანთ ჯერს... მალე სამივენი დავცქერით შახტის ფსკერზე, პატარა ჩაღრმავებებში — „ჯიბეებში“ მოელვარე მღვიმის მარგალიტებს, წყალში თვალისმომჭრელად ელვარებენ ჩვენი ფარნების შუქზე. რა ბევრია, სხვადასხვა ზომის, ზოგი სულ პატარა, თვალით ძლივს შესამჩნევი, ზოგი კი თხილისოდენა. ნუგზარი კინოაპარატს იმარჯვებს, ვანთებთ შუშხუნას...

ამის შემდეგ კიდევ ასეთივე სიღრმის შახტია დასაძლევი. აქ უკვე მარტო ჩავდივარ თოკით. აქაც მარგალიტებია.

ვეძებ ხვრელებს. ორი მათგანი ლოდებითაა ამოვსებული, და

ისე ვიწრეა, რომ გაძრომაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მაგრამ სურვილი ღრმად ჩასვლისა და ახალი გზების პოვნისა იმდენად დიდია, რომ ყურადღებას არაფერს აქცევ. უკან ვიხევ, ტანსაცმელს ვიხდიდ და ისევ ვცდი. ვწევარ ხვრელში და ჩაქუჩით ვცდილობ ხვრელის გაგანიერებას. სამიოდ მეტრს მივხოხავ, ფილტვებში ჰაერის ნატამალიც აღარ რჩება. კიდევ ორი მეტრი, როგორმე, და მოსახვევში ვხედავ, ხვრელი ფართოვდება, მაღლდება, გზა გრძელდება სიღრმეში, მაგრამ უკანასკნელი ორი მეტრის დაძლევა, ნაპრალის გაფართოების გარეშე შეუძლებელია. ვგრძნობ, ისე გავიჭედები, რომ მეგობრებიც ვეღარ გამომათრევენ. სიფრთხილეს მოვუხმე, აღგზნება ჩაქრა და უკან გამოვხოხდი. თერმომეტრი ერთ გრადუსს უჩვენებდა. ტანსაცმელი სველი და დახეული იყო. სიცივისგან ვძაგძაგებდი. მერე გამოირკვა, რომ ამ ხვრელში ორ საათზე მეტ ხანს ვწოლილვარ.

ამოვედი მარგალიტების პირველ დარბაზში, სადაც კიაზო და ნუგზარი მელოდებოდნენ. მერე კი დაიწყო ისევ სატანჯველი ხვრელი, გაუთავებელი და დაუპატიჟებელი სტუმრის მოძულე; ივი თითქოს მუსიკალური სალონისა და მარგალიტების დარაჯად დამდგარა. ჰექატას უზრუნია თავისი საიდუმლოებების დასამალავად და მისაჩქმალად.

რამდენიმე საათის შემდეგ გათოშილები და მოქანცულები მიტოვებულ მუზარადებთან და ტელეფონთან ვართ.

— ალო, ალო!

— გისმენთ ასოცი! გისმენთ სამოცდაათი!

— ნახევარ საათს შევისვენებთ და ამოსვლას დავიწყებთ!

— გელოდებით!

ნუგზარი და კიაზო საჭურველს თოკს უბამენ. ლერი და თამაზი კი თოკს ეზიდებიან და ტვირთი ნელა მიიწევს ზევით. ჩვენ მუზარადები დავიხურეთ და ნიშს შევეფარეთ, რადგან თოკისა და ტვირთის მოძრაობას ხშირად მოსდევდა ლოდების ცვენა. ტვირთი უკვე თვალს მიეფარა, როცა ტელეფონით უსიამოვნო ამბავი გვაცნობეს:

- ტვირთი რაღაცას გამოედო და აღარც ზევით მიდის, აღარც ქვევით.

მეტი გზა არ არის, რომელიმე ჩვენგანი თოკის კიბეს უნდა აყვეს და გამოხსნას კლდის ტყვეობაში მყოფი ტვირთი.

ავდივარ. ისევ იგრიხება თოკის კიბე და ხშირად ვეკვრი კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელს, რომ ზევიდან წამოსულ ლოდებს თავი ავარიდო. შუა გზაზე ჩემი ძალაგამოცლილი ფარანი ძლივს ანათებს თოკებში გახლართულ და კირქვის ქიმზე გამოდებულ ტვირთს.

სადღაც, ქვევით ყოფნის დროს მარჯვენა მკლავი დამიზიანდა და ძალიან მაწუხებს. ძლივს ვმაგრდები გამოშვერილ ლოდზე. ის იყო გამოვხსენი ტვირთი და ახლოს მივითრიე, რომ ზევიდან მორღვეული ქვა დამეცა თავზე. ფოლადის მუზარადმა მიხსნა და კიდევ იმან, რომ ქვა პატარა სიმაღლიდან ჩამოვარდა, თუმცა კი საკმაოდ გავბრუვდი. ქვათაცვენის დარბაზმა ვერ მოითმინა და ერთხელ კიდევ გაამართლა შერქმეული სახელი...

ცოტა ხნის შემდეგ ლერი და თამაზი გადამეხვივნენ. მალე კიაზო და ნუგზარიც შემოგვიერთდნენ და ასოციან ბანაკში ისევ ხუთნი შევგროვდით.

კიაზო, ნუგზარი და მე ვისვენებთ. თამაზი და ლერი შახტში ჩაკიდულ კიბეს ეწევიან, ახვევენ. კოტე წარამარა გვირეკავს, კითხულობს, როგორ ვგრძნობთ თავს. საჭირო ხომ არ არის მისი ჩამოსვლა. ჩვენ ვპასუხობთ, რომ ყველაფერი რიგზეა.

ყურმილში ახლა ვაჟას ხმა მესმის.

— მე და კოტემ თქვენს ლოდინში ჭადრაკი ვითამაშეთ.

— რამდენი ხელი?

— აღარც კი მახსოვს, ალბათ ოცზე მეტი.

— მომილოცავს. თქვენ პირველები ხართ, რომლებმაც ბაგრატიონის უფსკრულში ჭადრაკი ითამაშეთ.

იწყება ყველაზე მომქანცველი შახტის დაძლევა. ტვირთის აზიდვა. ძალაგამოლეულებს გვეხმარება ნუგზარის კონსტრუქციის კიბე. ავდივართ და ტრადიციული ცხელი ყავა მზადაა. კოტე და ვაჟა მეგებებიან. ამოსვლისას მკლავს ძალა დაადგა და მტკივა. უკვე გასიებულა.

ვიდრე ტვირთი ამოაქვთ, სველ ტანსაცმელს ვიხდი და ვისვენებ. მეძინება, მაგრამ ქვევით ამხანაგები იმყოფებიან და თავს ძალას ვატან, ვებრძვი დაღლილ სხეულს და ვაჟას და კოტეს ვუერთდები. მათ უკვე ამოუტანიათ თოკზე მიბმული ტვირთი და ახლა დანარჩენები იწყებენ ამოსვლას.

ვაჟა საინტერესო ამბავს გვიყვება: ჩვენი ქვევით ყოფნის დროს გელგელუკიდან, სადაც ძირითადი ბანაკი გვქონდა, ექსპედიციის ქიმიკოსი ლაშა ცისკარიშვილი ამოსულა, სანოვაგიანი ზურგჩანთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოუტანია უფსკრულში, გზაში ფარანი გასტეხია და ჩვენს მიერ დატოვებულ თოკს სიბნელეში ჩამოჰყოლია.

რიგრიგობით ამოდიან ნუგზარი, ლერი, კიაზო და თამაზი. მერე ვიწრო ხვრელებით თოვლამდე ავდივართ. თოვლიან დარბაზში სიბნელეა. კიდევ ნახევარი საათი და უფსკრულის პირას ვართ, სადაც ადრე ასულები კოცონს ანთებენ. ირგვლივ ყველაფერი ღამის სიბნელეს შთაუნთქავს და თავი ისევ უფსკრულში გვგონია.

სიბნელეში ვტვირთავთ ცხენებს და გელგელუკისკენ ვეშვებით.

ნისლი წამოგვეპარა, ჩვენი ძალაგამოლეული ფარნები ველარ გვინათებდნენ გზას. ირგვლივ არაფერი ჩანს. შუშხუნები ავანთეთ. წინ დიდი გაჭირვებით მივიწევთ. ამ ორკილომეტრიანმა გზამ ისე დაც დაღლილები, უფრო მოგვქანცა, ღამის სამ საათზე ძაღლების ყეფამ მიგვაგნებინა ჩვენი კარვები. ძილ-ღვიძილში ვიხდიდით სველ ტანსაცმელს და საძილე ტომრებში ვძვრებოდით...

გელგელუკიდან სამხრეთით, ბერჭილის ქედის კალთაზე ვეებერთელა ჯამისებური ჩაღრმავებაა, რომელსაც დეკიანის ცირკი ჰქვია. იგი რამდენიმე ათასი წლის წინათ მყინვარის სათავსი იყო. მისი ენა გელგელუკისაკენ ეშვებოდა. დღეს კი მყინვარის ნასახიც კი აღარ არის და კვალად მხოლოდ ეს ცირკიღა შემორჩენილა.

მივდივართ.

გზაზე უამრავი დეკა ყვავის. ჩაღრმავებულ ადგილებში ძველი თოვლია. კალთა ჩრდილოეთისკენაა მიმართული და მზე ვერ ასწრებს თოვლის გადნობას.

დატვირთული ჩერქეზი და „თოჯინა“ ფრუტუნით მოჰყვებიან ციცაბო აღმართს.

ცხელა.

ხანდახან ბუჩქებიდან შურთხი წამოფრინდება და ნერვებისმომშლელად ცხვირწინ ჩაგვიქროლებს, უჩინარდება. ლერი ნანობს, თოფი რომ არ წამოიღო.

ორ საათში შვიდასი მეტრის სიმაღლე ავიღეთ და ზღვის დონიდან 2300 მეტრის სიმაღლეზე მარტელის უფსკრულს მივადექით.

ლერი და ნუგზარი კონვასს ამზადებენ. კიაზო, ვაჟა და კოტე თოკებს შლიან.

უფსკრულის პირველ ბაქანზე ჩავდივარ და ვათვალიერებ. შარშანს შემდეგ უფსკრულის იერში მცირეოდენი ცვლილება მომხდარა უფსკრულის შუამდე ამოღმართული თოვლის ობელისკი

ალაგ-ალაგ ჩამდნარა, დაგლეჯილა, რაც უფრო დიდ და გრანდიოზულ შესახედაობას აძლევს მარტელს. კედლებს ვეება ლოდები მოსწყვეტია, ლავგარდანზე დაგროვილა და თითქოს ოდნავი ხელის კვრაც კი საკმარისია, რომ უფსკრულის სიღრმისკენ გაქანდნენ გაცოცხლებული ლოდები.

1960 წელს ქართველ სპელეოლოგთა პირველმა ექსპედიციამ 60 მეტრ სიღრმემდე ჩააღწია მარტელის უფსკრულში. ერთი თვის შემდეგ სამი კაცით ხელმეორედ მოვხვდი არაბიკაზე და მარტელსაც ვეწვიეთ. იმჯერად 60 მ სიღრმეზე პატარა ხვრელი ვნახეთ და უფსკრულის გამოკვლეული ნაწილი 80 მეტრამდე გაიზარდა. მაგრამ არ შეიძლებოდა აქ დასრულებულიყო სიღრმე, აუცილებლად უნდა ჰქონოდა გაგრძელება. წელს უნდა გვეპოვნა იგი.

კლდეს მოვეჭიდე, ფეხით ლოდების ხროვას მივაწექი და ისეთი გრიალი ატყდა, კაცს ეგონებოდა ვულკანმა გაიღვიძაო. საყრდენგამოცლილი ლოდები რახრახითა და ზათქით მიექანებოდნენ სიღრმისკენ; ზოგი თოვლის ობელისკს ეცემოდა და ანგრევდა. ამ დიდებულ სურათს ნუგზარი და ლერი კინოფირზე აღბეჭდავდნენ.

როცა ლოდების წვიმა საფრთხეს აღარ გვიქადდა, დაცვაზე კიაზო და ნუგზარი დადგნენ და სათითაოდ ჩამოვიდნენ ლერი, კოტე და ვაჟა. მერე კიაზო და ნუგზარიც შემოგვიერთდნენ.

პალოები საიმედოდ ჩავასვით კლდეში, თოკი დავამაგრეთ და სიღრმეში ჩავეშვი.

ზევით მზე მოჩანს, ცხელა, აქ კი სიცივისგან გაჟრჟოლებს. თოვლის მდნარი წყალი ტანსაცმელს ასველებს. 60 მეტრ სიღრმეზე, თოვლის ობელისკში, ხუთმეტრიანი გამოქვაბული გაეჩინა წყალს. კედლები ყინულად იყო ქცეული.

ახალ ხვრელს ვეძებდი და მივაგენი კიდეც. შახტის კედელსა და თოვლის ობელისკს შორის გახსნილიყო იგი. სად მიდიოდა? რას ვნახავდით?

თოკი შევიბი და ჩავეშვი. კიაზო და ნუგზარი მიცავდნენ.

ტანსაცმელი მთლად დასველდა. თოვლი ჩემს ზევით დნებოდა და წვიმა, ნამდვილი წვიმა დამატყდა თავს.

თოვლის ობელისკი სიღრმეში მიდიოდა. საფეხურებს ვჭრიდი და ჩავდიოდი. აქაც პირველად შეიჭრა ფარნის სინათლე და სიბნელეს ერთხელ კიდევ გამოსტაცა ათასწლეულების განმავლობაში უმანკოდ დარჩენილი უფსკრულის სილამაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ვიწრო ხვრელი, მერე პატარა ბაქანი. ვჩერდები და გარემოს ვათვალიერებ. ფარნის შუქი ვერ სწვდება ვიწრო და მაღალი დარბაზის ჭერს.

ასოცდაათი მეტრის სიღრმეზე, პატარა დარბაზში, სტალაქტიტები იბადებოდნენ. ნუთუ აქ თავდება უფსკრული? ვხედავ პატარა ხვრელებს, ვცდილობ გაძრომას ერთში... მეორეში... მესამეში... ვერ ვეტევი. ვრწმუნდები, რომ წელს უფრო ღრმად ჩასვლა შეუძლებელია. ვადგენ უფსკრულის გეგმას. სინანულით ვათვალიერებ ცივ, ყვითლად მოელვარე კედლებს და ასვლას ვიწყებ.

ისევ წვიმის ზღურბლი, საფეხურები თოვლში... მერე მეგობრების გამოწვდილი ხელები მეხმარებიან და ისევ მზე.

მალე სანდრიფშის ხეობიდან ნისლი ამოიპარა და რძისფრად მოეფინა ბერჭილის ქედს...

ვბრუნდებოდით.

ჩამობნელდა. ქარი ამოვარდა და ნისლი გადაყარა. ვარსკვლავები ჭიანჭველებივით მოსდებოდნენ ცას. სადღაც, ქვევით, კოცონი გამოჩნდა.

მალე ბანაკში ვიყავით და გემრიელ ვახშამს შევექცეოდით, რომელიც მზიას და ლაშას დაემზადებინათ.

კარგი დილა გათენდა, მზიანი, უნისლო.

დაქანცულები ვიყავით. ძალებს აღდგენა სჭირდებოდა და დასვენების დღე გამოვაცხადე. ლერის ვთხოვე კინოაპარატი მოემზადებინა, რათა არაბიკის მთისკენ უნდა წავსულიყავით დასაზვერად და გადასაღებად.

ლერის კისერზე მძიმე კონვასი ეკიდა, მე — ზურგჩანთა თოკებით, აპარატურითა და საუზმით.

ცხენებით დავადექით გელგელუკ-არაბიკის გზას.

ცხენი დინჯად მიაბიჯებდა. ირგვლივ შიშველი კლდეები, თეთრი, ნაცრისფერი.

ბილიკი ტბას უვლის ირგვლივ. აქ არც შარშან და არც შარშანწინ ტბები არ ყოფილა. წელს კი კარსტულ ძაბრებში ჩარჩენილი თოვლი დამდნარა და ტბების სახით მოგვევლინა.

ცხენი ტბისკენ მიიწევს, წყალი სწყურია. თანდათან ღრმად შედის და ტორების ცემით მუცელზე წყალს ისხამს. დაცხათ ცხენებს. ლერის ცხენიც იგივეს იმეორებს. მერე წყალში ჩაწოლა მოინდომა, გვერდზე წამოგორდა და ლერიმ ძლივს მოასწრო გადმოხტომა...

არაბიკაც გამოჩნდა. ეგვიპტური პირამიდასავით აღმართულა. მის ძირში კი ტაფობია, დაჩვრეტილი უამრავი ჭებითა და ნაბრეტებით. გოლიათი ადამიანის ჩოფურა სახეს ჩამოჰგავს.

ცხენებს ვტოვებთ და არაბიკის ფერდობზე ავდივართ. გამოფიტულ კალთაზე ყოველნაირი ზომის ლოდები დახვავებულა და ძნელად სავალს ხდის. შუაგზაზე ლერის კინოაპარატს ვართმევ. ავდივართ.

მწვერვალიდან ულამაზესი ხედი მოჩანს. ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი მწვერვალები დამდგარან და ნისლში ეხვევიან. შვიდიოდე კილომეტრში სპელეოლოგების პიკი აღმართულა, შარშანწინ რომ დავიპყარით და მოვნათლეთ კიდეც.

ლერი კონვასს იმარჯვებს და პანორამას იღებს. მე რუკაზე გადამაქვს აქედან დანახული კარსტული ფორმები და ყინვარული ტროგები. კარგახანს ვრჩებით მწვერვალზე ჩვენ — ჩვენი საქმით გართულნი...

ქვევიდან ვიღაც ყვირის, ხელებს იქნევს. ცოტა ხნის შემდეგ ვარჩევთ, რომ ის ჩვენი გამყოლია, რომელიც ძროხებისა და თხების გასარეკად წამოსულა მწყემსის პატარა ბიჭთან ერთად.

გეზს ბანაკისკენ ვიღებთ. ბინდში ძლივს მოჩანს პატარა გემებივით გაშლილი კარვები. ბიჭებს დაუსვენიათ. გიტარის აკორდებს სიმღერა უერთდება. ლაშამ ცეცხლს შეუკეთა, ქვაბს დასტრიალებს, დაღლილ არაბიკელებს გვიმასპინძლდება...

16 აგვისტოს ავიყარეთ. გეგმა ასეთი იყო: კიაზო, ლერი, ნუგზარი და მე წინ უნდა წავსულიყავით და დანარჩენების შემოერთებამდე გიუზლეს უფსკრულს მოვამზადებდით საიერიშოდ.

ორ ცხენზე დავტვირთეთ საჭირო საჭურველი და გელგელუკ-გიუზლეს გზას დავადექით. დარჩენილი ჯგუფის უფროსად ვაჟა მაჩაიძე დავტოვე.

ნიავი ნისლს ათამაშებდა. მერე ნისლი მოერია ნიავს, შესქელდა, დამძიმდა და ჩვენგან მარცხნივ, ჟოვე-კვარას ხეობაში, მარჯვნივ კი სანდრიფშის ხეობაში ჩაწვა.

მარჯვენა მკლავი თანდათან მისივდებოდა. ხვრელებში ხოხვისას, როცა ძირითადად იდაყვებს ეყრდნობი, ისეთი სახიფათო უფსკრულის იერიში, როგორც გიუზლეა, უაზრობა იყო; საკუთარი თავის გარდა სხვებსაც ხიფათში ჩავაგდებდი.

— გადავდოთ. — მეუბნება კიაზო. ნუგზარი და ლერიც იმავე აზრისა არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ ვჩქარობთ. გადაწყდა, გიუზლეს უფსკრულის იერიში მომავალი წლისათვის უნდა გადავდოთ.

ულელტეხილიდან ვხედავთ გელგელუკის მხრიდან მომავალ ქარავანს. ჩვენი მეორე ჯგუფი მოდის. ლაშამ გზადაგზა ტბების წყალი უნდა აიღოს საანალიზოდ.

გიუზლეში მწყემსები, მათი ოჯახები და წვრილფეხობა გამოეფინა ჩვენს შესახვედრად. ნაგაზები გაუთავებლად ყეფენ. დამხვდურთა შორის ბევრი ძველი ნაცნობია. ზოგის სახელებიც კი გვაჯსოვს. ერთი მათგანი, სამოცდაათი წლის მოხუცია, რომელიც გრძელ, თამბაქოს კვამლისგან გაყვითლებულ ულვაშებს ისწორებს და ქართულად გვესალმება. ლაპარაკიდან ირკვევა, რომ ოდესღაც ქართულ დივიზიაში უმსახურია.

მთელი ვედრო თხის მაწონი გამოაქვთ და გვიმასპინძლდებიან...

მალე ვაჟას ქარავანიც შემოგვიერთდა. ყველა ერთად ვართ. კინოაპარატი ფირზე ბეჭდავს გიუზლეს, მწყემსებს, ჩვენ...

არავინ ამბობს, მაგრამ ყველას ვატყობ, რომ გული წყდებათ, გიუზლეს უფსკრულზე იერიში რომ ვერ მოხერხდა. ზოგს წამოსცდა, რომ უჩემოდ ჩავიდოდნენ, მაგრამ საერთო ბჭობამ უკუაგდო ეს წინადადება. უფსკრულის პირველმა დაზვერვამ დამარწმუნა, რომ იგი ადვილად არ ჩაახედებს თავის წიაღში დაუპატიჟებელ სტუმრებს.

გიუზლელებს გამოვემშვიდობეთ და ტყის ბილიკებს დავადექით. დატვირთული ცხენები ძლივს ადგამენ ფლოქვებს ტალახში. გზა ალარ თავდება. უკან მოვიტოვეთ მეწყრები, ერთი, მეორე, მესამე; მერე სწორი გზა დაიწყო და ნაბიჯს ვუმატეთ.

მივუახლოვდით ჩვენს ნაბანაკარს. აქედან ბაღნარამდე თექვსმეტ კილომეტრამდეა. საღამოვდება. უნდა ვიჩქაროთ.

ვასგენი მოსართავებს უჭერს ჩერქეზს. გარეგნულად მშვიდ ცხენს ჩამოჰგავს. შეჯექიო, მეუბნება გამყოლი და თან ეშმაკურად ეღიმება. მარჯვენა მკლავი დოლბანდით კისერზე მაქვს ჩამოკიდებული, საკმაოდ გასივდა და მაწუხებს.

ის იყო უზანგებში ფეხი გავუყარე, რომ ჩერქეზმა ცქმუტვა დაიწყო, მერე ადგილს მოსწყდა, ხის ვეება მორებს გადააფრინდა და გაქუსლა. თავი ძლივს შევიმაგრე გადმოვარდნისგან, რადგან არ ველოდი, რომ ასეთი გარეგნობის ცხენს ამხელა ძალა და ენერგია ექნებოდა. ძლივს მოვწიე მარცხენა ხელით სადავე და სწორედ ამ დროს უკნიდან ვასგენის ხითხითი შემომესმა. ცხენზე შემჯდარიყო და მეწეოდა

— ვიცოდი, ცხენი გიყვარდა. — მეუბნება ვასგენი. — განგებ შევარჩიე, მთელი ზაფხული საძოვრებზე იყო, გაველურებულა. მაგაზე მარტო ჩვენს თავმჯდომარეს შეუძლია ჯდომა. — და იცინის. — ეგ არი, ხელი გტკივა და არ გადმოგაგდოს, თავი დაუჭირე.

ჩერქეზი ლაგამს ღრღნის და თავს იქნევს, რომ როგორმე სადავე წამართვას. დამეწიე-მეთქი. გავძახი ვასგენს და ჩერქეზი ადგილს წყდება. ერთი უცნაურობა შევამჩნიე ცხენს: წინ ფართო და კარგი გზა იყო, მაგრამ სულ ცდილობდა გზისპირა ბილიკებზე, ოღრო-ჩოღროებზე ერბინა, თანაც თუ სადმე წაქცეული ხე ან ღობე შეხვდებოდა, გვერდს არ უქცევდა პირდაპირ ახტებოდა. მთლად გაოფლიანდა, მაგრამ მაინც არ ცხრებოდა. ცხენის გიჟურმა ჭენებამ ამიტაცა, მივქროდი მარტოდ თეთრ კლდეებს შორის, სადაც მღვიმეები მოჩანდა და მსურდა უფრო სწრაფად, უფრო გიჟურად ერბინა ჩერქეზს. უცბად გზაზე მოტოციკლმა გამოუხვია და ჩერქეზი დაფრთხა, გვერდზე გახტა. ცოტაც და გადმომაგდებდა.

სოფლსაბჭოსთან ცხენიდან გადმოვედი და სადავე პატარა ბიჭს მივეცი, გაატარ-გამოატარე მეთქი. ვასგენმა ნახევარი საათის შემდეგ მოაჭენა თავისი გახვითქული ცხენი და თავი იმართლა, უზანგი გამიწყდაო. ამ დროისათვის მე უკვე გავგზავნე საბარგო მანქანა ჩვენი ბანაკისაკენ. საღამოს ცხრა საათზე, ბინდში ჩამოვიდნენ ექსპედიციის დანარჩენი წევრები. სწრაფად გადმოვტვირთეთ მანქანა, ვივახშმეთ და დაღლილები საძილე ტომრებში ჩავძვერით. ნუგზარი დიდხანს იჯდა კლუბის რადიომიმღებთან და მუსიკის ჰანგებინანად ჩაგვესმოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ფილმი დავამონტაჟე და დავარქვი „არაბიკა". ეს იყო პირველი ქართული სპელეოლოგიური ორნაწილიანი ფილმი (მოყვარულთა) 35 მილიმეტრიან ფირზე, რომლის შესაქმნელად დიდი ჯაფა დაადგათ ოპერატორებს ლერი მაჩაიძეს და ნუგზარ ერქომაიშვილს, ხმის რეჟისორს და ოპერატორს ვაჟა მაჩაიძეს. ტიტრები დაგვიწერა ჯიბო ყავლაშვილმა, ავტორის ტექსტი წაიკითხა ირაკლი უჩანეიშვილმა. დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა ჩვენმა ფილმმა კინომოყვარულთა საკავშირო ფესტივალზე მესამე ხარისხის დიპლომი მიიღო, გარდა ამისა მას დიდი წარმატება ხვდა სპელეოლოგთა პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში (1964 წელს) და სპელეოლოგთა მე-4 საერთაშორისო კონგრესზე იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, სადაც მსოფლიოს გამოჩენილი სპელეოლოგები თავიანთ ფილმებს უჩვენებდნენ. „არაბიკამ“ თვალნათლივ უჩვენა მსოფლიოს სპელეოლოგებს, რომ საქართველოშიც არსებობს ძლიერი სპელეოლოგიური სკოლა და ისეთი საინტერესო კარსტული მასივი, როგორიც არაბიკას მასივია. ეს იყო პირველი საბჭოთა სპელეოლოგიური ფილმი, რომელიც საერთაშორისო ფორუმებზე იყო ნაჩვენები და დიდი წარმატებებიც ხვდა წილად. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ისიც მიმაჩნია, რომ მსოფლიოს გამოჩენილ სპელეოლოგთა მიერ გადაღებულ ფილმებში გამოყენებული იყო ძლიერი განათებები, სპეციალური კინოსგადასაღები გამანათებელი მოწყობილობანი, ლიჰტვაგენებიც, ჩვენი ფილმი კი შუშხუნების სინათლეზე იყო გადაღებული და ამით როგორღაც უფრო მეტად ეფექტური და ორიგინალურიც გამოდგა.

1964 წლის ზამთრის ოდისეა

„სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები“.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

1964 წლის ზამთარში კვლავ გადავწყვიტეთ არაბიკის მასივზე ასვლა. როდესაც საჭურველი მოზრდილ ზურგჩანთაში მოვათავსეთ და სიმძიმე მოვსინჯეთ, ცოტა არ იყოს შევფიქრიანდით. შარშანდელი ზამთრის გამოცდილება გვიკარნახებდა, რომ ექსპედიცია კვლავ უცხენებოდ ივლიდა და ტვირთიც ზურგით უნდა გვეტარებინა. შარშანდელთან შედარებით უფრო მეტი და მძიმე საჭურველი დაგვიგროვდა. განსაკუთრებით ძნელი სატარებელი იყო კინოაპარატი „კონვასი“ თავისი ფირებით. მიზნად მქონდა 1963 წლის ზაფხულში გადაღებული მასალისთვის ზამთრის ხედებიც მიმემატებინა და კინოოპერატორ ლერი მაჩაიძეს, რომელიც შარშან ნუგზარ ერქომაიშვილთან ერთად იღებდა ფილმს, ამჯერად დიდი საზრუნავი ჰქონდა. კინოგადასაღები მოწყობილობის სიმძიმეს ემატებოდა სიმძიმე სანადირო თოფებისა და ტყვია-წამლისა, რომ აღარაფერი ვთქვათ სურსათ-სანოვაგეზე, ტანსაცმელზე და საექსპედიციო საჭურველზე.

იანვრის დასაწყისი იყო. გაგრაში იშვიათად ანათებდა მზე. როცა სოფელ ბაღნარს მივუახლოვდით, მანქანის ძარადან დავინახეთ ბერჭილის დათოვლილი ქედი. თვით სოფელში თოვლი აქა-იქ შემ-

დნარიყო. ღამე, ტრადიციისამებრ, ბაღნარის კლუბის ესტრადაზე გა-
ვათიეთ, თუმცა სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნახლოს
გვეპატიჟებოდა.

დილით ადრე წამოვიკიდეთ ჩვენი მძიმე ზურგჩანთები და გზას
დავადექით. თხელ თოვლზე წრიაპებიანი ხამლების ნაკვალევი
რჩებოდა.

ტყეში უფრო გაგვიჭირდა სიარული, რადგან აღმართთან ერთად
თოვლის სისქეც მატულობდა. ხეების კენწეროებს შორის მოჩანდა
ლურჯი, უღრუბლო ცა. მზიანი დღე იყო და ამინდის გაფუჭების
შიში არ გვქონდა, თუმცა მთაში ამინდი სწრაფად ცვალებადია.

ტყეში კარსტული ძაბრების ფსკერი და ფერდობები თოვლით
იყო დაფარული. და იყო საოცარი დუმილი, რომელსაც ჩვენი ფე-
ხის ხმა არღვევდა მხოლოდ.

უკვე შემოღამებული იყო, როდესაც გიუზლემდე მივაღწიეთ და
გორბელის გადასასვლელის ძირში დავბანაკდით. მწყემსების ბინე-
ბი ცარიელი იყო და ერთ-ერთი ავირჩიეთ.

რეზომ ცეცხლი გააჩაღა, სველი ტანსაცმელი გამოვიცვალეთ
და ცეცხლთან მოვკალათდით. კავზე ჩამოკიდებულ ჩაიდანში ჩაყ-
რილი თოვლი დნებოდა და მალე ცხელმა ჩაიმ სხეული გაგვითბო.

მეორე დილით ჭახჭახა მზემ გამოანათა. აელვარებული თოვლი
თვალს გვჭრიდა. რამდენიმე დღე დავდიოდით სხვადასხვა მიმარ-
თულებით. ამ რაიონში გამომავალი რამდენიმე კარსტული წყაროს
სინჯი ავიღეთ საანალიზოდ, შევისწავლეთ თოვლის საფარის სისქე
რელიეფის სხვადასხვა ნაწილებში და გადავწყვიტეთ გელგელუკის-
კენ აგვეღო გეზი.

დილით ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, კარი ვერ გავა-
ღეთ; თითქოს ვიღაც მაგრად აწვებოდა გარედან. როგორც იქნა,
დიდი წვალების შემდეგ შევძელით მისი ნახევრად გაღება და სახ-
ტად დავრჩით: ღამის განმავლობაში ისეთი თოვლი მოსულიყო,
რომ სახლები თითქმის სახურავებამდე დაეფარა. ამიტომ იყო, რომ
კარს ვერ ვაღებდით. ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, რომ გაგრა—განთი-
ადში ამ დროს 16-გრადუსიანი ყინვა იყო, აქ კი თერმომეტრი 30
გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვემოთ.

გზის გაგრძელება გელგელუკისკენ სახიფათოც იყო და შეუძ-
ლებელიც. ამაში მალე დავრწმუნდით, როცა მზემ ამოანათა და ზვა-
ვების კანონადა დაიწყო. ჩვენს პირდაპირ, ბერჭილის ქედიდან სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრიფშის და ყოვე-კვარას ღრმა ხეობებისკენ მიექანებოდნენ ვეება ზვავები, მტვრისებრ ღრუბლებად რომ გვეჩვენებოდნენ.

ლერიმ კინოაპარატი მოიმარჯვა, მაგრამ გაყინული ძრავა არ ამუშავდა. დაგვრჩა წინა დღეებში გადაღებული კადრები, რომლებიც ამ გრანდიოზულ სანახაობას ვერ შეედრებოდნენ. როცა ზვავების კანონადა შეწყდა, კიაზომ და რეზომ თოფები გამოიტანეს, იჭექა ოთხმა ლულამ და ექოს ზვავთა ქუხილიც მოჰყვა. არა, გზის გაგრძელება არ შეიძლებოდა და გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება.

ისევ ზურგზე მოვიკიდეთ ჩვენი ზურგჩანთები, ხელი მოვკიდეთ წერაყინებს და გზას დავადექით. მაგრამ სად იყო გზა, თოვლი მკერდამდე გვწვდებოდა. მეწინავე მკერდით და მთელი სხეულით მიაპობდა თოვლს, და მის უკან ვიწრო დერეფანი რჩებოდა, რომელშიც დანარჩენები მივდიოდით; ორმოცდაათიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მეწინავე იღლებოდა, გვერდზე დგებოდა და მის უკან მიმავალი იკავებდა მეწინავის ადგილს.

ყინავდა, მაგრამ ოფლში ვიწურებოდით. ზურგჩანთები დასველდა და უფრო დამძიმდა. სველი ტანსაცმელიც უსიამოვნოდ გვეკვროდა სხეულზე. მთელი დღე ასე წვალებით მივდიოდით. ღამის გასათევად კი ერთ ადგილზე თოვლი დავტკეპნეთ და საკმაოდ ღრმა ორმოში მოვეწყვეთ. პირველ რიგში გავიხადეთ სველი ბრეზენტის ტანსაცმელი, რომელიც ყინვისგან მაშინვე გახევდა; ჩავიცვით მშრალი, გავბერეთ ლეიბები და ვიდრე საძილე ტომრებში ჩავძვრებოდით, ფეხის თითები კარაქით და მერე სპირტით დავიზილეთ. როგორც მერე გამოირკვა, მაინც მივიღეთ მსუბუქი მოყინვა.

ზემოდან ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაგვყურებდა. გაბერილი ლეიბები და საძილე ტომრები ერთმანეთთან ახლოს გავშალეთ, ერთმანეთს მივეხუტეთ და დაღლილებს მაგრად ჩაგვეძინა.

დილით სიცივემ გამომაღვიძა. ლეიბიდან ჰაერი გამოსულიყო, და ცივ თოვლზე ვიწექი. ასევე დამართოდა ლერის ლეიბსაც.

ისევ მივდივართ. მძიმე ზურგჩანთების ტარებით ძალიან გვტკივა მხრები. კვლავ თოვლის რიგრიგობით გაკვალვა. გამშრალ და დამსკდარ ტუჩებს თოვლით ვისველებთ. მთელი დღე მივდივართ.

მოსახვევში მეტყევეთა მიტოვებული პატარა ქოხი გვეგულება. იქამდე კიდევ ნახევარი კილომეტრი იქნება. ძალა გველევა. ზურგჩანთებს ხის ძირას ვტოვებთ და საოცარი სიმსუბუქის შეგრძნებით, ქოხისკენ მივდივართ. აქ მაინც ძეხორციელთაგან არავინ გამოივ-

ლის და დარწმუნებული ვართ, რომ ზურგჩანთებს ხელს არავინ ახლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ქოხიც. შევდივართ. მიწის იატაკზე თუჯის ღუმელი დგას. შეშაც ბევრია. მალე სასიამოვნო სითბო ტრიალებს ქოხში.

— ბიჭებო, ლობიო! — ყვირის რეზო და თაროზე მიგვითითებს, სადაც ლობიო ყრია. ქვაბსაც ვპოულობთ, თოვლს ვადნობთ და ლობიოს მოსახარშად ვდგამთ ღუმელზე.

ისეთი დაღლილები ვიყავით, რომ ლობიოს ჭამის თავიც კი არ გვქონდა, თანაც უმარილოდ. სითბომაც მოგვთენთა და ჩაგვეძინა.

დილით რეზოს ბუბუნი მოგვესმა. ხელში ცალი ხამლი ეჭირა. მეორე ღუმელზე დაედო გასაშრობად, გადმოღება დავიწყებოდა და ლანჩის შორისი ფისი გამდნარიყო, ლანჩიც გამომწვარიყო და უძირო ხამლიღა ეჭირა ხელში. წინ კი კიდევ ათიოდე კილომეტრი გვქონდა გასავლელი სოფელ ბაღნარამდე.

— იქნებ რაიმე ძველი ფეხსაცმელი იყოს, ტყის მჭრელთა დატოვებული. — თქვა კიაზომ და ძებნას შევუდექით.

— ამის სარგოს რას იპოვი, გემებივითაა. — იხუმრა ლერიმ.

ბოლოს აღმოვაჩინეთ ცალი ჩექმა, მოგლუვებული, გაცვეთილი ლანჩით, რომელიც რეზომ დიდი გაჭირვებით ჩაიცვა. მეორე ფეხზე კი გადარჩენილი ხამლი მოირგო. ბოლოს დიდი ჯოხიც გამოთალა ყავარჯნად და წვერგაუპარსავი, ჭვარტლიანი სახით, ნაჭრებით დაბმული ცალი ჩექმით, იგი ნამდვილ ზღაპრულ მეკობრეს ჩამოჰგავდა, რაზედაც სიცილი ვერ შევიკავეთ. ალბათ ჩვენც ასევე ვიყავით გაჭვარტლულნი, რაშიც ბაღნარის საავადმყოფოში დავრწმუნდით, სადაც ღამე გაგვათევინეს და ცხელი ბორშჩით და ჩაით გაგვიმასპინძლდნენ.

გაგრის აღმასკომში დავრეკე და ვთხოვე „გაზ-69“ გამოეგზავნათ, რადგან ფეხის თითები მოყინული გვქონდა, მაგრამ პასუხი ასეთი იყო: გზები ყინულითაა დაფარული, მანქანები ვერ დადიანო. მეტი რა გზა იყო, ჩვენი ბარგი-ბარხანით ისევ ფეხით წავედით განთიადისკენ, რომელიც ჩვენგან 12 კილომეტრით იყო დაშორებული.

გზაზე ყველაზე მეტად რეზო წვალობდა. მართალია, აქ აღარ იყო ისეთი დიდი თოვლი, როგორც ზემოთ, მაგრამ გზა მოყინული იყო და ჩექმიანი ფეხი წარამარა უსხლტებოდა.

საღამოს 9 საათზე განთიადის ხიდთან ვიყავით. ყინული დღის განმავლობაში შემდნარიყო და სწორედ ამ დროს გამოჩნდა გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიადიდან მომავალი ტაქსის მწვანე სინათლე. ჩვენს ბედზე ცარიელი აღმოჩნდა და ძლივს ჩავეტიეთ ზურგჩანთებით.

— სასტუმრო „გაგრიფშში“ — ვუთხარით ჩვენი იერით შემცბარ მძღოლს.

— სასტუმროში ცოტა ხალხი იყო. ვიდრე ადმინისტრატორთან ნომერს ვაფორმებდით, რამდენიმე კაცი მოგვიახლოვდა, გამოგველაპარაკნენ, მერე ორმა მათგანმა ერთ-ერთი ზურგჩანთის სიმძიმე გასინჯა და ერთმა თქვა:

— რაზე იკლავთ თავს, ბიჭებო.

ავიღეთ თუ არა ნომერი, რესტორანში გავედით სავახშმოდ. თანამშრომლების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთხმა კაცმა ათი კაცის ულუფა მივირთვით, ხოლო ვეებერთელა რეზომ დამატებით ათი თუ თორმეტი ჭიქა ჩაიც დალია.

ცხელი აბაზანის მიღების შემდეგ თავი სამოთხეში გვეგონა.

ასე დამთავრდა ჩვენი ზამთრის ოდისეა.

გიუზლეს უფსკრული და ფანტაზია

(1964 წლის ექსპედიცია)

რომელ სამყაროში შეგვიყვანა ფანტაზიამ?
ვ. ველშე

მარიანი ნელა, სვენებ-სვენებით ადიოდა თოკის კიბეზე. მისი ფარნის სინათლე თანდათან სუსტდებოდა და მაღალი თაღის სიბნელეში იკარგებოდა. იური ავდალოვი ჩემს გვერდით იჯდა და ისიც ზევით იყურებოდა.

— თომაშ! სტოპ! — დაიძახა მარიანმა. (მარიანი პოლონურად გამოთქვამდა ჩემს სახელს).

— გააჩერეთ! — ჩავძახე ყურმილს.

უფსკრულის ჩასასვლელთან, ტელეფონის მეორე მხარეს „მოლოდიოჟ გრუზიის“ კორესპონდენტი თამარა დუბინსკაია იჯდა და ჩემს განკარგულებებს ბიჭებს გადასცემდა, დაცვის თოკს რომ ეწეოდნენ.

მარიანი კიბეზე ისვენებდა, სადღაც, ჩვენს ზემოთ.

— თომაშ! შეიძლება! — მოისმა მისი ხმა.

— ასწიეთ! — ჩავძახე ყურმილს, თან ზევით ვიყურებოდი.

მიწისქვეშეთის მყუდროებას თოკის კიბის დიურალუმინის სა-

ფეხურების ხმა არღვევდა, როცა ეს უკანასკნელნი შახტის შვერილებს ედებოდნენ და წყლის წვეთების ხმასთან შეერთებული ეცნაურ მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდნენ. უეცრად მიწისქვეშეთის სასიამოვნო ხმები გრიალმა დაფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლოდი!— მოისმა ზემოდან მარიანის შეშფოთებული ძახილი და ჩვენც სწრაფად დავხარეთ თავები, მხრებში ავიწურეთ და დავპატარავდით. რამდენიმე ქვა შორიახლოს დაეცა და ის იყო გავიფიქრე, „ჩაიარა-მეთქი", თავის აწევა დავაპირე და სწორედ ამ დროს რაღაც მძიმედ მომხვდა მუზარადზე, მერე სახეში...

ბოლოს გონება ამუშავდა, თავბრუსხვევა ძლიერი იყო. ვიღაც მანჯღრევდა.

— რა მოგივიდა! — როგორც იქნა გავარჩიე იურის შეშფოთებული ხმა.

ტუჩებზე მლაშე სისველეს ვგრძნობდი, თბილი სისხლი იყო. სასიამოვნო იყო სველი იატაკის სიგრილე შუბლზე. ტელეფონი გაბმულად რეკავდა.

— ყურმილი აიღე! — გავძახე იურის.

— თომააშ! — გაისმა მარიანის ხმა ზემოდან. — რა მოხდა?

— არაფერი, ყველაფერი რიგზეა. — ასძახა იურიმ და ყურმილი აიღო.—ალო, ჰო, ასწიეთ!.. არა გვიშავს, ჩაიარა... თამაზი?..— მე შემომხედა. — თამაზი ჰაერის ტემპერატურას ზომავს, მალე დაბრუნდება.

იურის არ სურდა, რომ ზევით მყოფნი აეღელვებინა.

მუზარადი ავიღე და სანთელთან მივიტანე. შუაში ჩაჭყლეტილიყო. მეშახტის ფარანი აღარ ანათებდა, ნათურა ძლიერი დარტყმის შედეგად ფხვნილად ქცეულიყო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ქვამ მომგლიჯა მუზარადი და კიდით მომარტყა კბილებზე.

ამ დროს ტელეფონით გვაცნობეს, რომ მარიან პულინა მშვიდობიანად ავიდა და დანარჩენების ამბებს გვეკითხებოდნენ. იურის ყურმილი გამოვართვი, თამარის ხმა იყო.

— არაფერია, ყველაფერი რიგზეა. — ვუპასუხე.

— გეტკინა? — ეს უკვე ნუგზარ ერქომაიშვილი მეკითხებოდა. სპელეოლოგის ალღომ არ მოატყუა იგი.

— შეიძლებოდა უარესი დამმართოდა.

— გამაგრდი, მოდიხარ?

— არა, ჯერ შენ ადი. — შეიცხადა იურიმ, თან მარცხენა ხელის იდაყვს ისრესდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაგემართა ხელზე?

— ისეთი არაფერი, ქვა შენი მუზარადიდან ასხლტა და რიკოშეტით მკლავში მომხვდა. შენზე შევშინდი. წყეული უფსკრული!

— ნუ ილანძღები, ჯერ უფსკრულის კლანჭებში ვართ. — ვითომ ვიხუმრე. — ჰეკატას ეწყინება.

— ეშმაკსაც წაუღია შენი ჰეკატა. მზადა ვარ.

— ალო, ვინ არის ტელეფონთან?

— მიშა. — მპასუხობს საქართველოს რადიოს კორესპონდენტი მიშა კარასიკი.

— ამოდის იური. მკლავი სტკივა. ძირითადი თოკი ნელა ასწიეთ და მოეხმარეთ.

— მე თვითონ ავალ. — თქვა იურიმ და ასვლა დაიწყო.

ჩვენი არქიტექტორი პატარა ტანისაა, გამხდარი, მაგრამ სტუდენტობის წლებში ჭიდაობით იყო გატაცებული, და მიუხედავად ნატკენი ხელისა, კიბეზე მკვირცხლად ადის. იგი ყოველგვარი თავგადასავლების გარეშე ავიდა მეგობრებთან და მალე ტელეფონით მკითხეს, როდის დავიწყებდი ასვლას.

— ათ წუთში გამოვრთავ ტელეფონს, კიდევ ხუთი წუთის შემდეგ დავიწყებ ამოსვლას.

კავშირი გაწყვეტილია. ტელეფონის აპარატს მხარზე ვიკიდებ. წვრილ ხელსაწყოებს ჯიბეებში ვიტენი. ასვლის დაწყებამდე ორი წუთი კიდევ მაქვს. მხოლოდ ჯიბის ფარანილა დამრჩა; მის მკრთალ სინათლეზე უკანასკნელად ვავლებ თვალს ფათერაკიან დარბაზს. ამ დროს უცნაური განწყობილება მეუფლება. მარტოდმარტო ხარ ჭვესკნელის წინაშე. ახლა უფრო გრძნობ მის სიძლიერეს, თანაც პირქუშ სიდიადეს, რომლითაც შენს ცნობიერებას აწვება და თითქოს სურს გაგანადგუროს...

ვიწყებ ასვლას. ხელები გრძნობენ კიბის გაყინულ საფეხურებს. დროდადრო ვისვენებ და ფარნის შუქზე ვხედავ მკაცრ იერიან ჩამუქებულ ვეებერთელა ლოდებს, ზემოთ რომ გახიდულან და მიკვირს, რა საოცრება აჩერებს მათ ჰაერში, რატომ არ ვარდებიან? ორი წლის წინ, პირველი დაზვერვისას, ტრისტან ანთიძემ და კიაზო რაქვიაშვილმა თოკით ჩამიშვეს. ამოსვლისას, როდესაც საკმაოდ დიდ შვერილს ხელებით და ფეხებით შემოვეხვიე და ვცდილობდი ტანი შემემსუბუქებინა, ლოდი მოირღვა და თოკს და მეგობრების ღონეს უნდა ვუმადლოდე, თორემ ვინ იცის. — გიუზლეს უფსკრული ერთ-ერთი ყველაზე სახიფათოა არაბიკის მიწისქვეშა უფსკრულებს შორის...

ღამის პირველ საათზე მეგობრებს შევუერთდი. უფსკრულთან ახლოს კოცონი ენთო და ალის მოქანავე ენების შუქზე მათი სახეები მოქანცული, მაგრამ კმაყოფილი მომეჩვენა. ბანაკიდან ლაშა ცისკარიშვილი ამოსულიყო, შეშფოთებული ჩვენი დაგვიანებით. მიშა კარასიკი, ამოსვლისას ყველას რომ თავდადებულად გვეხმარებოდა, კმაყოფილი სახით ინახავდა თავის რეპორტიორულ მაგნიტოფონს, რომლითაც მან ჩვენი მიწისქვეშა ხმაური და დიალოგები ჩაიწერა. ალის სინათლეზე თამარა დუბინსკაია დღიურს ამთავრებდა, რომლის შინაარსიც ცოტა ხნის შემდეგ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა სათაურით: „როდესაც ბედნიერი ბრუნდები“. მინდა რამდენიმე სტრიქონი მოვიყვანო ამ წერილიდან, რადგან იგი დაწერილია არა სპელეოლოგის, არამედ ქალიშვილი — კორესპონდენტის მიერ, რომელმაც ცხოვრებაში პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთ ექსპედიციაში და უნდა ითქვას — ძალიან მონდომებით და აქტიურად: „...ამოსვლა ღამით დაიწყეს. პირველი ზედაპირზე ნუგზარი ამოვიდა. მან თქვა — „სალამი“, ჩამოჯდა და სიგარეტი ითხოვა. ხელები არ ემორჩილებოდა, გასიებოდა. ნუგზარმა სიგარეტი მოქაჩა, ცას ახედა და... რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ეხმარებოდა დანარჩენების ამოყვანაში. აქ მოქმედებს კეთილშობილური და სამართლიანი კანონი — შენ ეკუთვნი მეგობრებს. თითოეულს შეურყევლად სწამს მეორის.

გავიდა კიდევ ორ საათზე მეტი, ვიდრე მარიანი და იური ამოვიდნენ. ერთმა თქვა—„ფანტაზიაა!“ — და დაიწყო ამბის მოყოლა. მეორეს, დახეულ კომბინიზონში, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ტუჩები ააცმაცუნა და კოცონთან მივიდა.

თამაზი ბოლოს ამოდიოდა. იგი ტელეფონით ხელმძღვანელობდა ამხანაგების ამოყვანას. ერთ-ერთის ფეხქვეშ ქვა მოწყდა. თამაზმა ვერ მოასწრო გვერდზე გასვლა. დარტყმა ძლიერი იყო. ტელეფონი დიდხანს იყო ჩუმად. შემდეგ თამაზმა ძალიან ყრუდ თქვა: „როგორ არის საქმეები, მოვდივარ“.

იგი ამოვიდა. ჩასასვლელთან ჩამოჯდა. რაღაცაზე ფიქრობდა. მერე თავისთვის თქვა: „ჩვენ დავბრუნდებით მომავალ წელს, დიდი ექსპედიციით...“

...სქელ ნისლში ვბრუნდებოდით. საიდანღაც, წყვდიადიდან მუსიკა ისმოდა. წინ ნუგზარი მიდიოდა თავისი „სპიდოლით“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე კი დიდხანს ვისხედით ქოხში. მიწის იატაკზე ცეცხლი გიზგიზებდა. ხის თაროზე, კუთხეში, სანთელი ენთო.

დილით ჩვენ განთიადისკენ გავემგზავრეთ. სპელეოლოგები კი მთებში რჩებოდნენ იქ, სადაც გაუკვალავი სიღრმეები ელოდებოდათ. ისინი რჩებოდნენ იქ, საიდანაც ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის ანრი მარსელის სიტყვებით: „ყოველთვის უფრო წმინდა და უფრო ბედნიერი ბრუნდები“.

დიახ, მეორე დღეს ჩვენ ვაცილებდით თამარა დუბინსკაიას და მიშა კარასიკს. ისინი თბილისში ბრუნდებოდნენ, ჩვენ კი კიდევ კარგა ხნის სამუშაო გველოდა არაბიკის მთებში. ჩვენს მეგობარ-კორესპონდენტებს მიაცილებდა ახალგაზრდა მეგზური, ადგილობრივი მცხოვრები სერგო კოსიანი, რომელსაც უკან გზაზე პროდუქტები და სიგარეტები უნდა ამოეტანა.

მთელი ღამე წვიმდა. სერგეი მხოლოდ მესამე დღეს ამოვიდა, მთლად სველი. მან გადმომცა თამარის და მიშას ბარათები. აი ისინიც:

„სალუტ! მწვერვალების და პირქუში მიწისქვეშეთის დამპყრობლებო! ძალიან მინდოდა შემესრულებინა თქვენი დავალებები, მაგრამ ამ ღვთისგან მივიწყებულ კუთხეში არაფერია. ერთ გულკეთილ კოლმეურნეს ხუთი კოლოფი სიგარეტი გამოვართვი და ისიც მასწავლა, სად და როგორ მეშოვნა არაყი... აი ასე, ბიჭებო. ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ მხოლოდ თქვენზე. კარგი ბიჭები ხართ. მიულოცეთ ჩემს მაგივრად ნუგზარს დაბადების დღე, 4 ოქტომბერი; მეც ამ დღეს დავიბადე. სადღეგრძელოს შევსვამ ნუგზარისას და ყველა თქვენგანის.

ვისურვებთ ყველაზე ღრმა და ძნელ უფსკრულს მსოფლიოში და კეთილად დაბრუნებას იქიდან.

მაგრად გართმევთ თქვენს ღონიერ თათებს, ნუ დაგვძრახავთ მე და ჩემს მაგნიტოფონს, თავი რომ მოგაბეზრათ. პერსონალური სალამი მარიან პულინას. ჩვენ უკვე ცოტა მოვიწყინეთ უთქვენოდ და არაეითარი „ფანტაზია“ აღარ არის, მხოლოდ პროზა.

თქვენი მიშა“.

და მეორე ბარათი:

„ბიჭებო — მთებო!

ახლა თქვენ გაქვთ არაყი, სიგარეტი და... ექვსი გოგონა გემოვნების მიხედვით (აქ ფანქრით დახატული იყო ექვსი სასაცილო თო-

ჯინა). სასაცილოდ მეჩვენა კაბა და ფეხსაცმელები. დიდი მადლობა. ლაშა ძალიან მეხმარებოდა. მოკლედ, ნახვამდის.

ოთხში ნუგზარის დაბადების დღეა. აჩუქეთ ჩემგან პირად სარგებლობაში მთები, ცა...

ბედნიერად, თამარი".

ბარათების მეგობრულმა სითბომ ჩვენც გაგვათბო, კარგ გუნებაზე დაგვაყენა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მათი მიღება ასეთ წვიმიან, მოწყენილ დღეს.

ორი დღის შემდეგ ჩვენი ბანაკი გადავიტანეთ გელგელუკში. მწყემსების ბინებიდან მხოლოდ ერთი იყო დაკავებული. მოხუცი მწყემსი და პატარა ბიჭი თხებს მწყემსავდნენ. ოქტომბერში არაბიკის თხემზე ხშირად თოვლიც კი მოდის და სექტემბრის შუა რიცხვებში აქაური მწყემსები სოფლებისკენ მირეკავენ საქონელს. მოხუციც ორ-სამ დღეში აპირებდა ქვევით ჩასვლას; მან ერთ-ერთი ბინის კარი გაგვიღო და შემოგვთავაზა, აქ დაბანაკდითო, ამ წვიმაში სად უნდა გაშალოთ კარვებიო.

კვლავ წვიმდა. ამინდი კარგს არას გვიქადდა, დღის მეტი ნაწილი ნისლში იყო ჩაფლული. მუშაობა გვიჭირდა. ორი დღის შემდეგ თოვლიც წამოვიდა, აცივდა. ყოველი დღე ძვირფასი იყო და ჩვენც არ ვაცდენდით. მარიანი იშვიათადღა წამოიძახებდა: „ფანტაზია!"

ჩვენი პოლონელი მეგობარი ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულში ჩავიყვანეთ.

— ჩვენთან, პოლონეთშიც არის მსგავსი თოვლიანი უფსკრული „სნეჟნა", მისი სიღრმე 640 მეტრია.

მარიანმა გვიამბო, რა შეემთხვათ მას და ცნობილ ფრანგ მეცნიერს ჟან კორბელს ამ უფსკრულში. ორივე ერთ თოკში ჩაბმულები ჩადიოდნენ „სნეჟნას" უფსკრულში და რიგრიგობით იდგნენ დაცვაზე. ერთ-ერთი მათგანი მოსწყდა, მეორემ კი სწრაფად მოისაზრა და გადაქანდა შვერილის მეორე მხარეს, რომელზეც იდგა. ორივე ჰაერში დაეკიდა და ასე იყვნენ ვიდრე ამხანაგებმა არ იხსნეს. პოლონელმა სპელეოლოგებმა ამ იშვიათ შემთხვევაზე სახუმარო სიმღერაც კი შექმნეს.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენ უკან ვბრუნდებოდით. დატვირთულ ცხენებს უჭირდათ ახლადმოსულ თოვლში სიარული. უკან მოვყვებოდით და კუდით ვიჭერდით, რომ დაღმართზე არ დაცურებულიყვნენ. გიუზლემდე დიდხანს მოვდიოდით, აუჩქარებ-

ლად, რადგან ყოველ გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეიძლებოდა ხიფათი მოჰყოლოდა. გიუზლეს ქვევით კი თოვლი წვიმამ შეცვალა და მუხლამდე ტალახში ვეფლობოდით. გზა ნაცნობი იყო ამ დაბურულ ტყეში და ღამითაც მოვდიოდით დროის მოსაგებად. წვიმამ გადაიღო, ქარი ამოვარდა და ღრუბლები თან წარიტაცა. მთვარის იდუმალი სინათლე ხეთა ტოტებში იღვრებოდა და ფოთლებზე უცნაურ თეთრ უჯრედებს ქარგავდა. მერე კი ისევ ჩამობნელდა და თოვლი წამოვიდა. როგორც იქნა ხე-ტყის საზიდი მანქანების გზაზე გამოვედით, კარვები გავშალეთ და საძილე ტომრებში გახვეულებს მაგრად დაგვეძინა.

დილით საბარგო მანქანამ ტყისმჭრელები ამოიყვანა. ჩვენგან ორი კილომეტრის დაშორებით მეწყერს გზა გაეფუჭებინა და მანქანა ტალახში ჩაფლულიყო. მივეხმარეთ, ტოტები და კირქვის ლოდები ჩავყარეთ თხრილში და როგორც იქნა ამოვათრიეთ. ჩვენი ბარგი ამ მანქანაში გადავიტანეთ, გამოვემშვიდობეთ ჩვენს გამყოლ სერგეის და კურსი შავი ზღვისკენ ავიღეთ.

გაგრა. ტურბაზა. დამსვენებლები აქ ყოველთვის საკმაოდაა. ჩვენ ყოველდღიურად ავდივართ ჟოვე-კვარის, გაგრიფშის, ციხერვის, ხაშუფსის ხეობებში, ვიკვლევთ პატარა მღვიმეებს და ვიღებთ წყაროების წყალს საანალიზოდ. საღამოს ლაშა შლის თავის საველე ქიმიურ ლაბორატორიას და ანალიზებს აკეთებს.

გაგრის სატრანსპორტო კანტორამ მოგვაქირავა პატარა ავტობუსი. ამჯერად ჩვენი მარშრუტი იყო გაგრა-ბზიფის, გეგას, იუფშარას ხეობები და შემდეგ რიწის ტბა.

ოცადგილიან ავტობუსში ოთხნი ვსხედვართ. შევდივართ ბზიფის ხეობაში და სულ უფრო ხშირდება მარიანის წამოძახილი: „ფანტაზიაა!“ იგი ხან ერთ მხარეს აწყდება ფანჯარას, ხან მეორე მხარეს და მის ფოტოაპარატს ჩხაკუნი გააქვს.

ჯზამ მარცხნივ გადაუხვია და ჩვენი ავტობუსი ქშენით შეუყვა ციცაბო აღმართს, დროგამოშვებით გვხვდებოდნენ ნელა მომავალი, უზარმაზარი მორებით დატვირთული „ბიზონები“.

ჩვენს ქვევით, ღრმა ხეობის ძირზე ქაფმორეული გარბის მდინარე გეგა, ბზიფის მარჯვენა შენაკადი და არაბიკის მასივის ჩრდილო-აღმოსავლური საზღვარი. ერთი საათის შემდეგ კი ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიდიადით და სილამაზით წარმოდგა გეგის ჩანჩქერი, რომელიც კირქვის სალი კლდის შუაგულიდან გადმოჰქუხს 50

მეტრის სიმაღლიდან. ჩვენი ოცნებაა ჩანჩქერამდე ასვლა და მი-
ლაბირინთებში შელწევა. მის მიღმა იმალება ჯერ გამოუკვლეველი
წისქვეშა მდინარის კალაპოტი, რომელიც ვინ იცის სადამდე
გრძელდება.

ჩანჩქერის წყლის ტემპერატურა 7 გრადუსია.

იქვე, ძირში, ხელმარცხნივ ვეება ხახა დაუღია მღვიმეს. აქ მრა-
ვალი სტალაქტიტი და სტალაგმიტია, მაგრამ დიდი შესასვლელის
შემდეგ ვიწრო ხვრელებიღაა და რამდენიმე განტოტება იქვე ბო-
ლოვდება. მღვიმის მაღალი ჭერიდან განუწყვეტლივ წვრილ ნაკადე-
ბად ჩამოდის წყლის ვერტიკალური ჭავლები და ერთ ადგილზე
წყლის ფარდასაც კი ქმნის.

რა ბრწყინვალე ადგილია. აქ შეიძლება მოეწყოს ტურისტული
ბაზა ან პანსიონატი. ტურისტული გზა სულ ხუთიოდ კილომეტრ-
შია, რიწის ტბისკენ მიმავალი....

მარიანსაც უნდა ვუჩვენოთ რიწა, შავი ზღვისპირეთის მარგალი-
ტი. გზა ახლად გაფართოებული და ასფალტირებულია. მდინარე
იუფშარა ხან მიწისქვეშაა ჩაკარგული და მშრალ კალაპოტში დახ-
ვავებული ლოდები და კენჭები მოჩანს, ხან კი კვლავ მიედინება ლა-
მაზ, ხავსმოდებულ ლოდებს შორის და თითქოს ლამობს ვიწროობ-
ების განგრევა-გაგანიერებას, რომლებსაც ეს ლამაზი მდინარე თავის
მძლავრ მარწუხებში მოუქცევიათ. ხშირად მეჩვენება, რომ გზა
კლდეს ებჯინება, მაგრამ ეს მხოლოდ მკვეთრი მოსახვევია, და
შორს კვლავ მოჩანს თოვლით დაფარული მწვერვალები: აცეტუკო
და აგეფსთა. პირველის სიმაღლე 2455 მეტრია, ხოლო მეორისა —
3261. მარცხნივ კი აყუდებულა ფშეგიშხვას კლდოვანი კოშკი.

ავტობუსიდან ჩამოვდივართ და გზას ფეხით განვაგრძობთ. მა-
რიანი ვერ ფარავს აღფრთოვანებას, თუმცა მას მსოფლიოს მრავა-
ლი ქვეყანა აქვს მოვლილი და წარამარა იძახის: „ფანტაზიაა!“ და
ეს წამოძახილი მიმართულია ცად აწვდილი ფერადი კლდეებისადმი,
ბზის კორომებისადმი, ხახადაღებული მღვიმეებისადმი, კლდეებში
რომ მოჩანან.

შალე ჩვენს თვალწინ რიწის ტბა წარმოდგა მთელი თავისი სი-
დიადით და სიმშვენიერით. სიმაღლის მზომი 925 მეტრს გვიჩვენებს
ზღვის დონიდან. მარიანი მაშინვე წყლის ტემპერატურას ზომავს.

— 12 გრადუსია! — ამბობს იგი.

ნაცნობი ბიჭი გვხვდება მოტორიანი ნავით, სტუმართან ერთად
ვსხდებით და ტბის ხავერდოვან ზედაპირზე მივცურავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარსტული ტბაა? — მეკითხება მარიანი.

— არა. ტბის გაჩენამდე აქ მდინარე ლაშიფსე მიედინებოდა და სწორედ ამ ადგილზე მას რამდენიმე შენაკადი ერთვოდა. ფშეგიშხვას მთის ჩამონგრეულმა ნაწილმა გადაკეტა მდინარე და ტბა წარმოშვა. არსებობს ლეგენდაც რიწის ტბის გაჩენაზე. „...ეს იყო ისე დიდი ხნის წინ, არავინ იცის, როდის. არც ათასწლოვანმა ბზამ, არც ველურმა ბზიფმა არ იციან ეს ამბავი. ვერც რუხი კლდეები გვეტყვიან რაიმეს რიწის წარმოშობის შესახებ.

ეს ლეგენდა გაუგონია მწყემსს, რომელიც საძოვრების ძებნაში მაღლა მთაში ასულა. უამბნია ვეებერთელა რკინის მთიდან გამომავალ ნაკადულს. მწყემსს ეს ლეგენდა უამბნია თავისი შვილებისთვის, შვილებს — ხალხისთვის, ხალხმა კი ჩვენ გვიამბო.

ოდესღაც, აფხაზეთის მთებში, იმ ადგილას, სადაც რიწის ტბაა, ღრმა ხეობა იყო, რომლის ძირზეც წყალუხვი მდინარე მიედინებოდა. მას ზღვისკენ მიჰქონდა თავისი წყლები და ისეთი მშვიდი იყო, რომ ბავშვსაც კი არ შეეშინდებოდა მისი გადაცურვის.

მდინარის ნაპირებზე გადაშლილიყო ფართო და მსუყე საძოვრები, რომლებზეც ძროხებს აძოვებდა ქალწული რიწა. იგი ისეთი მშვენიერი იყო, რომ მისი ტუჩების ფერს ვერ ეჯიბრებოდა მთის წითელი ტიტაც კი, ზღვაც კი ვერ უტოლდებოდა მისი ღრმა, ცისფერი თვალების ელვარებას, ხოლო მთის მწვერვალების თოვლი მისი კანის ფერთან შავი მოჩანდა. აქტივით შავი და გველივით გრძელი ნაწნავები კოჭებამდე წვდებოდა.

რიწას სამი ძმა ჰყავდა: უფროსი — აგეფსთა, საშუალო — აცეტუკო და უმცროსი — ფშეგიშხვა. ძმები მთელი დღეების განმავლობაში ფეხმარდ ჯეირნებზე ნადირობდნენ. საღამოობით ბრუნდებოდნენ რიწასთან და სხდებოდნენ კოცონის ირგვლივ, რომელიც ზეცისკენ ტყორცნიდა ნაპერწკლებს. რიწა ხორცს წვავდა, ძმები კი ხმადაბლა ლიღინებდნენ.

ერთხელ ძმები გამოეთხოვნენ დას და სანადიროდ შორეულ მთებში წავიდნენ. გაიარა ცხელმა დღემ, დაისმა მოავარაყა მთები, მაგრამ ძმები არ ჩანდნენ. რიწა დიდხანს ელოდა მათ, მერე ძროხები მდინარის პირზე შეაგროვა და წყლის პირას წამოწვა. იგი უყურებდა ვარსკვლავებს, ვარსკვლავები მას და მხიარულად უპაჭუნებდნენ ბრილიანტის თვალებს. რიწის გული სიხარულით აღივსო. თვალები მილულა და სიმღერა დაიწყო. მისი ხმა ისე ლამაზად იღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა, რომ ჩიტებმაც კი შეწყვიტეს ჭიკჭიკი, ნაკადულებიც გაირინდნენ. სმენადქცეული ბუნება ყურს უგდებდა რიწის ნაზ ხიმღერას.

ეს სიმღერა გაიგონა ტყის ორმა ყაჩაღმა — ძმებმა გეგამ და იუფშარამ. და თქვა გეგამ: „ძმაო ჩემო, იუფშარა! წადი, ნახე, ვინ მღერის იმ ღრმა ხეობაში? ვისმა ხმამ დაატყვევა ჩვენი სმენა?“

იუფშარამ ქუსლი ჰკრა ცხენს და კლდეებს შორის იქით გაქუსლა, საიდანაც რიწის მშვენიერი ხმა ისმოდა. ფლატიდან გადაიხედა იუფშარამ და დაინახა მდინარის პირას წამოწოლილი რიწა. არასოდეს ენახა ასეთი მზეთუნახავი. იმავ წამს ბოროტ გულს მხეცური ყინი დაეუფლა. იუფშარა თავდავიწყებით ეცა რიწას და თავის ღონიერ მკლავებში მოიქცია. საშინელი ხმით შეჰყვირა რიწამ და დაჭერილი ჩიტივით აფართხალდა.

ეს ამბავი მთის შევარდენმა დაინახა. ფრთები გაშალა და ძმებისკენ გაფრინდა, უამბო მათ რაც მოხდა. რისხვით აივსო ძმების გული. საომარი ყიჟინით გამოქანდნენ დის გადასარჩენად.

ეს ყიჟინი არ ესმოდა იუფშარას. მძვინვარე ვნება დაუფლებოდა მის სულს და ვერ უშვებდა რიწას ხელს. დაინახეს ძმებმა ეს სურათი. ფშეგიშხვამ თავისი გოლიათური ფარი ესროლა იუფშარას, მაგრამ ვერ მოახვედრა. ფარი მდინარის გარდიგარდმო დაეცა და დააგუბა. წყალმა იმატა. იუფშარამ იგრძნო ეს და გაიქცა.

რიწა წამოდგა და დაინახა, რომ მის ფეხებთან დიდი ტბა გაჩნდა. სევდამ მოიცვა იგი. ვერ აიტანა შერცხვენა, მწარედ დაიკივლა, ცას შეხედა და ტბაში გადაეშვა...

ძმებმა ეს რომ დაინახეს იუფშარას გამოეკიდნენ, დაეწივნენ და ალყა შემოარტყეს. დაინახა იუფშარამ, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და მუხლებზე დაეცა. აგეფსთამ ძლიერი ხელით ჰაერში აიტაცა იგი და ტბაში გადაუშვა. იუფშარა იხრჩობოდა, მაგრამ წყალი აბობოქრდა და იგი ფშეგიშხვას ფარს აქეთ გადმოისროლა. და გაიქცა იუფშარა სწრაფ მდინარედ თავის ძმა გეგასკენ. იმავ წამს სამივე ძმა გაქვავდა და მაღალ მთებად იქცნენ. ისინი დღესაც ისევე დგანან კამკამა წყლის პირას აღმართულნი და თავიანთი დის, რიწის მარადიულ ძილს დარაჯობენ...“

ერთი თვის შემდეგ მარიან პულინას პოლონეთისკენ ვაცილებდით.

— მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, — ამბობდა მარიანი გამომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდობებისას, — მაგრამ საქართველომ ყველაზე მეტად მომხიბლა თავისი სილამაზით, ადამიანებით, და რაც მთავარია, მღვიმეებით. საქართველო ნამდვილი „ფანტაზიაა“. დიდი მადლობა კარგი მიღებისათვის. მალე შეხვედრამდე ჩვენთან, პოლონეთის მღვიმეებში.

სამი წლის შემდეგ ჩვენ მართლაც ვესტუმრეთ პოლონეთის მღვიმეებს და მარიან პულინაც ვნახეთ.

კიდევ და კიდევ არაბიკაზე

(1965 წლის ექსპედიცია)

> კავკასიის მთები ზაფხულის მზის ამოსვლის მიმართულებით მდებარე ყველა მთებს შორის ყველაზე შესანიშნავია თავისი სივრცითაც და სიმაღლითაც...
>
> ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე

1965 წელი. კვლავ მცირერიცხოვანი ექსპედიცია. ამჯერად ექსპედიციის მიზანი იყო ძირითადად ზედაპირული კარსტული მოვლენების შესწავლა, აგეგმვა და ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებების ჩატარება. ჩვენ უნდა მოგვევლო მასივის თხემური ნაწილი და ღრმა ხეობები, რომლებიც პირდაპირ შავ ზღვაში ეშვებიან...

ამინდი ხშირად იცვლებოდა, ზოგჯერ დღეში რამდენიმეჯერ. ირგვლივ ყველაფერი ნისლში იყო გახვეული და მწვერვალზე ასულები ვეღარ ვხედავდით კარსტული რელიეფის ვრცელ პანორამას.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვიკვლევდით არაბიკის პლატოს. კარვები გელგელუკის წყაროდან 25 მეტრში, ხეობის შემაღლებულ ბორცვზე გვქონდა დაცემული. ერთ დღეს, უფსკრულ პერსპექტიულის მახლობლად შევნიშნეთ მღვიმის შესასვლელი, რომელიც ნახევრად თოვლით იყო ამოვსებული. ეთერისთან ერთად ჩავდივარ უცნობ მღვიმეში. წრიაპებიან ლანჩებს მაგრად ვურტყამ თოვლის ციცაბო კედელს, თან წერაყინს ვიშველიებ.

მალე დახრილ გვირაბს მივყვებით. მღვიმის იატაკზე მრავლად ყრია ჭერიდან და კედლებიდან ჩამოცვენილი ვეება ლოდები. კედლებზე, ზოგ ადგილას ქათქათა კალციტის ნაღვენთებია, პატარა ნიშებში მოჩანს წვრილი, მაკარონისებური სტალაქტიტები. საკ-

შარისია ოდნავ შეეხო და მაშინვე იმსხვრევა. მღვიმის ბოლოს, შემაღლებაზე კამკამა ნაკადული მიედინება; მოსწორებულ კირქვაზე თეთრად მოელვარე კალციტის ფენა დაულექია და მინიატურულ გურებს აჩენს. ნაკადული იდუმალი, ჩვენთვის მიუწვდომელი ნაპრალებიდან გამოედინება და არაფერი აქვს საერთო მღვიმის შემოსავლელში უხვად დაგროვილ თოვლთან.

ასეთი ნაკადულების მთელი მიწისქვეშა ქსელი იქნება, რადგან ზევით, პლატოზე, მრავლადაა თოვლის ლაქები, ფირნები. თოვლი ძალიან ნელა დნება და ნაჟური წყალიც ნაპრალების საშუალებით სიღრმისკენ ილტვის.

ამ მღვიმის სიგრძე 60 მეტრი აღმოჩნდა. შევადგინე მღვიმის გეგმა, ჭრილები, ჩავატარე სხვა დაკვირვებები და უკან გამოვბრუნდით. შუა გზაზე სველ თიხაზე ფეხი დამიცურდა და თავი ორმოში ამოვყავი. ფანარი დაიმსხვრა, თანაც საკმაოდ მეტკინა ფეხი. ეთერიმ თოკი ჩამოუშვა და როგორც იქნა ამოვფოფხდი. გამოსასვლელამდე მისი ფარანი მიშუქებდა გზას.

გარეთ ავთანდილი გველოდებოდა. სამასიოდე მეტრის დაშორებით კიდევ ერთი ახალი მღვიმესთვის მიეგნო და იქით გავწიეთ. გზაზე უამრავი ლოდი გველობებოდა, ფეხნატკენს მიჭირდა სიარული. ავთანდილის მღვიმე 4 მეტრი სიღრმის ჭით იწყებოდა და სიღრმე მცირე ზომის დარბაზში გადადიოდა. აქ საინტერესო ის იყო, რომ ჭა განვითარებული იყო ორი ურთიერთმართობული ნაპრალის გადაკვეთაზე, ხოლო დარბაზი — შრეების დაქანების პარალელური ნაპრალის მიმართულებით.

აქ ყოველ ნაბიჯზეა ჭა, შახტი, უფსკრული, მღვიმე. ოდესღაც, ვიურმულ ეპოქაში, ამ პლატოს ყინვარი ფარავდა. დღეს კი პლატოს ზედაპირი საცერივითაა დაჩვრეტილი. ყოველ პატარა ჭასაც კი შეიძლება გრანდიოზული უფსკრული აგრძელებდეს. უნდა ეძებო, ჩახვიდე, ამოხვიდე, ისევ ჩახვიდე, ეძებო, ვიდრე არ მიაგნებ იმ გრანდიოზულს. და მე ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ახალი ექსპედიციით ვეწვევი არაბიკას, ექსპედიციით, რომლის ძირითადი მიზანი ახლის ძიება, სპორტული ჩაღწევები იქნება. რატომღაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიოს უღრმესი კარსტული უფსკრული არაბიკის მასივის წიაღში იმალება და ელის თავის აღმომჩენს.

რამდენიმე დღე მოვანდომეთ გელგელუკიდან რადიალურ მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრუტებს. ჩვენი საველე ყუთები თანდათან ივსებოდა ქანების ნიმუშებით, საანალიზო წყლის ბოთლებით. ერთ-ერთი მარშრუტი იმდენად სასაცილო და გაუთვალისწინებელი ეპიზოდით დამთავრდა, რომ საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი ექსპედიციების ამ არასპელეოლოგიურ თავგადასავალზეც შევჩერდე, რომელიც სანდრიფშის ხეობაში გადაგვხდა თავს.

არაბიკის მასივის ცხოველური და მცენარეული სამყარო ისევე მრავალფეროვანია და ცვალებადი, როგორც კავკასიონის. ტყეებში უცნაურადაა შერწყმული სითბოსმოყვარული და ყინვაგამძლე ჯიშები. ძალიან თვალწარმტაცია ტყის ის ზონები, სადაც წიწვოვანთა გვერდით მაღალი რცხილნარია აღმართული. პეიზაჟი განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომით, როდესაც რცხილის კორომები აათასფერადებს ტყეს მუქი წითელიდან, ღია ყვითელ ფერებამდე. ტყის საზღვრის ზემოთ, ზღვის დონიდან 1700—1800 მეტრზე მაღლა მასივის ქედების კალთები სუბალპურ და ალპურ მდელოებს დაუფარავს. აქა-იქ მოჩანს გვირილების ან კონკიძველას „ხალიჩები", ისეთი მშვენიერი და უმანკო, რომ გვეძნელებოდა უხეში ხამლებით გავლა. და აქვე, ამ ალპური ბოტანიკური ბაღის გვერდით აღმართულან პირქუში, ნაცრისფერი კლდეები; ღრმად ჩაჭრილან ვიწრო კანიონები უწყლო ფსკერით და ვეება ლოდებით.

არაბიკის „ჯუნგლებში" მივდიოდით. ძლივს გავარღვიეთ ყრუ, დაბურული ტყე და სანდრიფშის ხეობას ავუყევით. ზაფხულში ასეთ ადგილებში ძალიან ცხელა და ჰაერი გაჭღენთილია ათასგვარი ანაორთქლებით. სიცხემ მე და ავთო გვაიძულა პერანგები გაგვეხადა. ეთერის მოკლესახელოებიანი თხელი ბლუზა ეცვა... უეცრად ეთერიმ შეჰკივლა და ხელების ქნევა დაიწყო. ვიფიქრე, გველმა ხომ არ უკბინა-მეთქი (არაბიკაზე ძალიან ბევრია ქვეწარმავალი) და მისკენ გავექანე. ამ დროს შორიახლოს მყოფმა ავთანდილმაც დაიწყო ხელების ქნევა და აკრობატული ილეთების გაკეთება და მალე, როდესაც მეც მათ მივბაძე, მივხვდი რაშიც იყო საქმე: ჩვენ დაუპატიჟებლად შევჭრილვართ კრაზანების სამეფოში. ფრთოსან რაინდთა არმია სამივეს დაგვესია და თავის გრძელ ისრებს სეტყვასავით გვაყრიდა. საცოდავმა მწერებმა არ იცოდნენ, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში თუმცა იმარჯვებდნენ, მაგრამ იარაღს ჩვენს სხეულში ტოვებდნენ და მალე დაიღუპებოდნენ. მაგრამ დაღუპვა ჩვენც გველოდა, თუ დროზე არ გავეცლებოდით „ბრძოლის ველს". ხალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თების ქნევით უკან დახევა დავიწყეთ, მერე გავიქეცით, რომელიც კი ბილიკზე გამოვედით; თითქმის ნახევარ კილომეტრზე გამოგვაცილეს კრაზანებმა; როგორც იქნა მოგვეშვნენ. გამოვედით მზით განათებულ მდელოზე და სული მოვითქვით. მერე დავიწყეთ უცნაურად გრძელი ისრების ამოძრობა სხეულიდან. ერთმანეთს ვეხმარებოდით. თითოეულნა ჩვენგანმა 20—25 ნაკბენი დავითვალეთ. როდესაც ბანაკამდე მივაღწიეთ ჩვენს დანახვაზე რევაზი ჯერ გაოცდა, მაგრამ როცა გაიგო ჩვენი დასივების მიზეზი, ბევრი იცინა. ჩვენ არ გვეცინებოდა, რადგან მიღებული შხამისაგან საკმაოდ გასიებული ადგილები ძალიან გვაწუხებდა. რევაზმა გულმოდგინედ დაგვიწყო მკურნალობა, არყიანი საფენების დადება და სხვა...

ჩვენ რამდენიმე დღე გელგელუკში გვქონდა ბინა. რევაზს და ეთერის არ ენახათ ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრული, მეც დიდი სურვილი მქონდა კიდევ ერთხელ ვწვეოდი მიწისქვეშეთის ამ პირქუშ საოცრებას, კიდევ ერთხელ შემესწავლა მისი მიკროკლიმატი და ყინულოვანი წარმონაქმნები და „შრატულ ველზე" გადავბარგდით. გზაში, ბაგრატიონის უფსკრულის მახლობლად საკმაოდ მოზრდილი შახტი შევნიშნეთ, ავთანდილთან ერთად ჩავედი ამ თოვლიან შახტში, რომელიც ძალიან წააგავდა მარტელის უფსკრულს. ავგეგმეთ, ჩავატარეთ საჭირო დაკვირვებები და ცოტა ხნის შემდეგ ბაგრატიონის უფსკრულთან დავიდეთ ბინა.

უფსკრულის ჩასასვლელი თითქმის მთლიანადაა ამოვსებული თოვლით. კარგა ხანს მოვუნდით მე და ავთანდილი გამკვრივებული თოვლის გარღვევას, კლდის ნაპრალში ვამაგრებთ პალოს, მასზე კაპრონის თოკს და ჩასვლას ვიწყებთ. მოკლე დროში უკვე თოვლიანი დარბაზის ფსკერზე ვიმყოფებით. რევაზი და ეთერი ვერ ფარავენ თავიანთ აღტაცებას. მათ პირველად ნახეს მიწისქვეშეთის საოცარი „ზამთრის პეიზაჟი"; ავთანდილი კი, რომელიც ჯერ კიდევ 1960 წელს, ჩემს პირველ ექსპედიციაში მახლდა, მოჩვენებითი გულგრილობით ათვალიერებდა დარბაზს, შემდეგ კი ფარნის შუქზე ყინულის სტალაქტიტების და სტალაგმიტების ჩახატვას შეუდგა.

თერმომეტრი ერთ გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვემოთ. ამიტომ იყო, რომ „თოვლიან დარბაზში" გაცილებით ჭარბობდა ყინულის წარმონაქმნები, ვიდრე წინა წლებში. მიწისქვეშა „გამყინვარება" იმდენად დიდი იყო, რომ სქელ, ქვასავით მაგარ ყინულს ამოექოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრმა შახტის თავზე მდებარე ნაპრალი და სიღრმისაკენ გზას გვიღობავდა. აზრი არ ჰქონდა მის მტვრევას, რაშიც მალე დარწმუნდა ავთანდილი. ისღა დაგვრჩენოდა შეგვესწავლა „თოვლიანი დარბაზის“ მიკროკლიმატი, ფოტოფირზე აღგვებეჭდა ყინულის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სტალაქტიტები და სტალაგმიტები და უკან გამოვბრუნებულიყავით. როდესაც უფსკრულიდან ამოვედით, კოკისპირული წვიმა მოდიოდა. ორიოდე საათის შემდეგ მთლად სველებმა მივაღწიეთ კარვებამდე. სველი ტანსაცმელი გამოვიცვალეთ, საძილე ტომრებში ჩავძვერით და მაგრად დაჭიმული კარვის ბრეზენტზე წვიმის წვეთების წკარუნი ნანად ჩაგვესმა...

მთაში ხშირად იცვლება ამინდი. აი, ახლა თითქოს ცა ინგრეოდა, ყველაფერი თვალისთვის გაუვალ ნისლში იყო ჩაძირული, ცოტა ხნის შემდეგ კი ჭახჭახა მზემ გამოანათა და ფრინველებმაც საამოდ იწყეს გალობა... მეორე საღამოსთვის გამოიდარა. ჩვენ ვისხედით კარვების წინ და გავყურებდით დასავლეთს, გაგრის ქედის იმ ნაწილს, სადაც ჩამავალი მზის სხივები ზღვიდან სანდრიფშის ღრმა ხეობაში შემოჭრილიყო ალაგ-ალაგ, სხვადასხვა ფერის ზოლებად, ზოგან კი უსწორმასწორო, მეწამულ ნაგლეჯებად დაჰფენოდა ჩამეჭებულ კლდეებს. ზღვის თავზე კი ცა იწვოდა, პრომეთეს ცეცხლის ყველა ფერებით აჭრელებული. კონტრაჟურში ტყე უზარმაზარ, შავ ლაქად მოჩანდა და ფერთა ისეთი საოცარი შეხამება სუფევდა, რომ უნებლიეთ სული გეხუთებოდა. მთების დუმილში, ჩვენს დუმილშიც, იყო რაღაც საზეიმო და დიდებული.

არაბიკის მთიდან ჩრდილოეთით გადაშლილი იყო მთავარი კავკასიონის გრანდიოზული პანორამა. მკაცრად აყუდებულიყვნენ თოვლქუდა მწვერვალები. გამახსენდა ცნობილი ინგლისელი მთამსვლელის, ჯომოლუნგმას დამპყრობი ექსპედიციის ხელმძღვანელის, გენერალ ჯონ ჰანტის სიტყვები: „თითქმის ორმოც წელს ვიმოგზაურე, დავძვრებოდი, დავდიოდი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების მთებზე, მაგრამ იშვიათად მანიჭებდა მთებზე ყოფნა ისეთ დიდ სიხარულს, როგორც კავკასიონი...“

რამდენიმე დღის შემდეგ მთებს ვემშვიდობებოდით, თუმც კი არ გვინდოდა. ეს განშორება ისეთივე ძნელი იყო, როგორც მახლობელთან, სულიერთან, არაბიკის მთებიც ხომ დაგვიმეგობრდნენ და ახლობლებად იქცნენ.

ჩვენ ვუბრუნდებოდით ხმაურიან თბილისს, ყოველდღიურ ჩვე-

ულ საქმიანობას, მაგრამ თან მოგვდევდა ოცნება, კიდევ და კიდევ დაგველაშქრა არაბიკის მთები, სადაც სპელეოლოგს ელის მრავალი უცნობი მღვიმე და უფსკრული, საიდუმლოებით მოცული; სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს; შესაძლოა ეს უფსკრულები ჩვენს პლანეტაზე ყველაზე დიდი და ღრმა იყოს.

მომავალ შეხვედრამდე, არაბიკის მიწისქვეშეთო!

ტყიბულა-ძევრულას მიწისქვეშა ხეობაში

(1965 წლის ექსპედიცია)

1960 წელს ტყიბულელ და ქუთაისელ სპელეოლოგთა ექსპედიციამ 19-საათიანი იერიშის შემდეგ ტყიბულა-ძევრულას მიწისქვეშა ხეობაში 276 მეტრ სიღრმეს მიაღწია. მღვიმეს გაგრძელება ჰქონდა, მაგრამ მისი გამოკვლევა მომავლისათვის გადაიდო.

1965 წლის ზაფხულში ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" სპელეოლოგიურმა სექციამ საქართველოს ტურიზმის საბჭოს რესპუბლიკური სექციის წევრები მიიწვია ტყიბულა-ძევრულას ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად.

ივნისის დასაწყისში ქუთაისში გადავფრინდით, შევუერთდით ქუთაისელ სპელეოლოგებს და უკვე 11 ივნისს გაერთიანებული ექსპედიცია წინწკილასთან დაბანაკდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. გაბელაშვილი (მთამსვლელი, სპორტის ოსტატი, ექსპედიციის ხელმძღვანელი, „ოქროს ჩარდახის" სპელეოტურისტული სექციის თავმჯდომარე), ვ. მინდაძე, ნ. ნემსიწვერიძე, დ. ცომაია — მთამსვლელები და სპელეოლოგები, ამავე სექციის წევრები, და თბილისელები: თ. კიკნაძე (სპელეოტურიზმის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე, გეოლოგი), კ. რაქვიაშვილი და რ. ჯანაშვილი, ორივე ამავე სექციის წევრები, პირველი გეოლოგი, მეორე —ბიოსპელეოლოგი.

„ოქროს ჩარდახის" გამგეობის თავმჯდომარემ, ცნობილმა მთამსვლელმა გ. ყალაბეგიშვილმა დიდი ამაგი დასდო ექსპედიციის მოწყობას.

ჩვენი კარვები წყალდასავლის ქვაბულის ძირზე, მღვიმის შესასვლელთან გავშალეთ. ირგვლივ კირქვის თეთრი, მაღალი კლდეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიდულან. ჩვენ გადმოხურული ლავგარდანის ქვეშ ვართ, რადგან ზემოდან წარამარა „ქვის წვიმა“ მოდის, კლდეს მოწყვეტილი ლოდები და კირქვის ანატკეცები არასასიამოვნო ხმაურით ეცემიან კარვების მახლობლად. ირგვლივ კირქვის უამრავი ნატეხი თუ მოზრდილი ლოდებია დახვავებული, კლდეების გამოფიტვის პროდუქტები. მოშორებით ტყიბულის წყალსაცავი მოჩანს.

მღვიმის შტურმი მეორე დილისთვის გადავდეთ და დასაძინებლად მოვემზადეთ.

გამახსენდა 1957 წლის ზაფხული. თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები გეოლოგიის სპეციალობით, საველე პრაქტიკაზე ვიმყოფებოდით. იმ დროს ტყიბულის წყალსაცავი არ იყო. მდინარე ტყიბულა სწორედ იქ, სადაც ჩვენი კარვები იდგა, ზავთითა და ხმაურით იკარგებოდა მიწისქვეშ და ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ კვლავ მიწის ზედაპირზე გამოედინებოდა სოფელ ძევრთან, ძევრულას სახელწოდებით. შემდეგ მდინარე ტყიბულა ტაფობის ძირზე კაშხალით გადაკეტეს და ტყიბულის წყალსაცავი ააგეს, ხოლო მიწისქვეშა ხეობა, წყალდასავალთან რომ იწყებოდა, წყლისგან განთავისუფლდა და ჩასვლაც შესაძლებელი გახდა. იმ მე-3 კურსელ ახალბედა გეოლოგებიდან, აქ რომ საველე პრაქტიკაზე იყვნენ, კიაზო და მე ვართ ამ ექსპედიციაში.

12 ივნისის დილის 8 საათზე ექსპედიციის შვიდივე წევრმა იერიში დავიწყეთ. ზოგან გზას გვიღობავდა მდინარის მიერ ჩამოტანილი ვეება ხის მორები. მღვიმე საფეხურებად ეშვება და წინ მიმავალი ვალერი გაბელაშვილი ხშირად ამაგრებს ვერტიკალური კედლების თავზე თოკს. ჩავდივართ და ყოველი კედლის დაძლევისას უსიამოვნო გრძნობა გვეუფლება, რადგან მათ ძირში, როგორც წესი, ცივი ტბაა, რომელთა სიღრმე საკმაოა იმისათვის, რომ ზურგჩანთიანად თავი ცივ წყალში ამოყო. ვერტიკალურ მონაკვეთებს ჰორიზონტული გვირაბები ცვლის. აქაც წყალი, ტალახი; ფეხი სხლტის.

ვანგელ მინდაძე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. იგი ზუსტად ასრულებს ექსპედიციის ხელმძღვანელის მითითებებს. მას არც დემური და ნაზიმი ჩამორჩებიან. ყოველი კედლის თავზე ვტოვებთ ჩამოკიდულ თოკებს, რადგან უკან დაბრუნება მათ გარეშე შეუძლებელი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ გვესმის რეზო ჯანაშვილის შეძახილი:

— ბიჭებო, ვიპოვე! — იგი მღვიმის ფაუნას იკვლევს, ეძებს ლა-
დაჭერილ კიბორჩხალას ან ობობას ფორმალინის ხსნარში ათავსებს.
მღვიმური ფაუნის შესწავლა ნათელს ჰფენს მღვიმის განვითარების
ისტორიას, თვით ფაუნის დეგრადირებას, ე. წ. უკუევოლუციას.
მღვიმური სამყაროს წყვდიადი თავის ზეგავლენას ახდენს მასში
მოხვედრილ ფაუნასა და ფლორაზე. თევზები დროთა მანძილზე
უფერულდებიან და ბრმავდებიან, ისევე როგორც სხვა ცხოველები
თუ მწერები, ანუ ტროგლობიონტები.

კიაზოსთან ერთად სამთო კომპასით ვზომავთ მღვიმის ძირითად
მიმართულებასა და განშტოებების აზიმუტებს, ვაკვირდებით ნაპრა-
ლების ხასიათს, რაც ხშირ შემთხვევაში მღვიმის კონფიგურაციას
განსაზღვრავს. ეს ნაპრალები რომ არ ყოფილიყო, მღვიმე ვერ გან-
ვითარდებოდა.

გზას განვაგრძობთ მიწისქვეშა ხეობაში. მივტოპავთ წყალში,
მივბობღავთ სველ კედლებზე და უკვე „მრგვალ დარბაზში" ვართ.
დარბაზის ძირზე ტბაა, ლავგარდანიდან კი „მარგალიტის წყარო"
გადმოსჩქეფს. აქედან იწყება „ტბათა რაიონი". კვლავ თოკებით
ვეშვებით. დროდადრო გაისმის სასტვენის ხმა, რაც იმას ნიშნავს,
რომ სიბნელეში გაუჩინარებული სპელეოლოგი მშვიდობიანად და-
ეშვა კედელზე.

„ბროლის ჭიშკარი". ეს სახელი ტყუილად არ შეურქმევიათ ქუ-
თაისელ სპელეოლოგებს. ჭერიდან შესანიშნავი სილამაზის გაქვავე-
ბული „ჩანჩქერი" ეშვება. ჩვენი ფარნების შუქზე კალციტი ბრწყი-
ნავს და ელვარებს. ჯერჯერობით საქართველოს არც ერთ მღვიმეში
ასეთი ფერის და სილამაზის კალციტის წარმონაქმნი არ შეგვხვედ-
რია.

გავიარეთ „სვეტებიანი დარბაზი", ჩავედით სტალაქტიტების
დარბაზში და ვეშვებით 25 მეტრიან ჭაში. მის ფსკერზე ორიოდ მე-
ტრის დიამეტრის მქონე ტბაა, რომელსაც ნაპირებზე გამყარებული
კალციტის ქერქი გასდევს არშიად. ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლ-
დება შაორის ხარისთვალის ტბა, შაორის წყალსაცავმა რომ შთანთ-
ქა და ამ ლამაზ მიწისქვეშა ტბასაც ხარისთვალს ვარქმევთ. აქედან
კი იწყება მართლაც „ეშმაკის კიბეები", არცთუ ისე ადვილად და-
საძლევი. მის თავსა და ბოლოში ორი მაღალი დარბაზია. ფარნების
სინათლეზე არამიწიერი სითეთრით ციმციმებენ ამ დარბაზების კედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, რომლებზეც კალციტის მოელვარე ქერქია გადაკრული. ამიტომ ვუწოდეთ მათ „თეთრი დარბაზები“.

ვდგევართ 30 მეტრიანი კედლის თავზე და ჩასაშვებად ვემზადებით. ზემოდან ქათქათა სტალაქტიტები დაგვცქერიან. არცთუ ისე სასიამოვნოა სველ კედლებზე ცოცვა, როცა ფეხიც სხლტება, ხელსაც ვერაფერს კიდებ და დამცველი თოკიც სველია. ამ კედლის ქვევით იწყება „ქაოსის რაიონი“. აქ, პირველ პატარა დარბაზში მდინარის მიერ დატოვებულ შლამში თეთრი, შავქუდა სოკოები დავინახეთ, ამიტომ ეს დარბაზი „სოკოს დარბაზის“ სახელით მოვნათლეთ. მარჯვნივ „ლოდოვანი დარბაზია“. მხოლოდ ამ დარბაზშია ჭერიდან და კედლებიდან მოწყვეტილი ლოდები, სხვაგან კი კენჭიც არ შეგვხვედრია. ძალაუნებურად ჟრუანტელი გაგივლის, როდესაც წარმოიდგენ, რა სწრაფად და ხმაურით ივსება „ქაოსის რაიონი“ წყალდიდობის დროს.

„სოკოს დარბაზის“ შემდეგ გზა სიფონმა გადაგვიღობა, ტბაში ჭერიდან ჩამოშვერილ ქიმს ჩაეყვინთა და გასასვლელი არ ჩანდა. არც გვერდითი განშტოებების დაზვერვამ გვანუგეშა. გზის გაგრძელება მხოლოდ სიფონის დაძლევით შეიძლებოდა. კიაზო წელსზევით გაშიშვლდა და სიფონში შევიდა. მას წელზე გამობმული თოკი მიჰყვებოდა. მალე მხოლოდ თოკს ვხედავდით და მის მოძრაობაზე ვხვდებოდით, რომ კიაზო წინ მიდიოდა. გამოირკვა, რომ სიფონის მიღმა მღვიმე გრძელდებოდა. კიაზოს დანარჩენებიც მიჰყვნენ.

სიფონის მეორე მხარეს გრძელი ტბაა, რომელზეც რეზინის ნავით გზას განაგრძობს ვალერი. ვიწრო დერეფანი 15 მეტრის სიღრმის მქონე ჭას აწყდება. ვალერი თოკზე ეშვება და წელამდე წყალში „ნებივრობს“. ჭის ფსკერზეც ტბაა. საერთოდ, შევამჩნიეთ, რომ ტყიბულა-ძევრულას ყოფილ მიწისქვეშა კალაპოტისთვის დამახასიათებელია საფეხურები, რომელთა ძირზეც პატარ-პატარა ტბებია:

ვალერი უკან ბრუნდება და გვამცნობს, რომ ჭის შემდეგ იწყება ვიწრო, ჰორიზონტული გვირაბი, რომელშიც ადამიანი ვერ გაეტევა. იგი წყლითაა სავსე. ეს უკვე ყველაზე დაბალი ნიშნულია, მღვიმის ფსკერი, 291 მეტრ სიღრმეზე, საიდანაც მდინარე სოფ. ძევრთან გადიოდა ძევრულას სახელწოდებით.

ათსაათიანი შტურმი დამთავრდა. დაგვრჩა მღვიმეში მოძრაობის ყველაზე რთული ნაწილი — უკან დაბრუნება, ძნელი და მომქანცველი გზა, თოკის კიბეები, სველი თოკები, ტანსაცმელი და ზურგ-

ჩანთები. ძნელია წყლიდან პირდაპირ კედელზე ასვლა, როცა სველი თოკი იგრიხება, რეზინივით იწელება და ფეხიც გისხლტება. დროდადრო რომელიმე ჩვენგანი უკანვე ვარდებოდა და ცივ აბაზანას იღებდა.

და აჰა, უკანასკნელი იერიში. 14 დაუსრულებელი საათი. ვერტიკალი, მიხვეულ-მოხვეული ჯურღმულები, ლაბირინთი, წყალში დამბალი, საოცრად დამძიმებული ზურგჩანთები... ჯოჯოხეთური დაღლა ვიგრძენით, მაგრამ ამოვდიოდით ზევით, სულ ზევით, ცის კაშკაშა თაღისკენ, მზისკენ!..

განთიადისას, 13 ივნისს მიწის ზედაპირზე ვიყავით. სველი ტანსაცმელი გავიხადეთ, საძილე ტომრებზე წამოვწექით იქვე, სიმინდის ყანაში და მალე ამოსულმა ზაფხულის ცხელმა მზემ სხეულები სასიამოვნოდ გაგვითბო.

რაჭა-იმერეთის მღვიმეებში

(1966 წლის ექსპედიცია)

> აღმოჩენების დიდი სიხარული გავიწყებს მიწისქვეშა გამოკვლევების სიძნელეებს და ხიფათებს.
>
> ნორბერ კასტერე

1964 წელს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს სპელეოტურისტული სექცია. ამავე წელს ჩამოყალიბდა მოსკოვში ცენტრალური სპელეოტურისტული სექცია. მიზანი იყო სპელეოტურიზმის ფართოდ გაშლა და განვითარება. რესპუბლიკური სექციის ერთ-ერთი პირველი ექსპედიცია მოეწყო 1966 წელს;

ექსპედიციის მიზანი იყო იმერეთისა და რაჭის მღვიმეების გამოვლენა, კეთილმოწყობისათვის გამოსადეგი მღვიმეების შესწავლა. ეს ექსპედიცია მივუძღვენით შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

20 აგვისტოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს პატარა ავტობუსმა თბილისიდან ნიკორწმინდაში აგვიყვანა და ჭელიშის უდაბნოში დაგვტოვა, იმ ადგილზე, სადაც ორი მიწისქვეშა მდინარე გამოდის დღის ზედაპირზე, შარაულა და ცივწყალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მწვანე კარვები შარაულას გამოსასვლელთან, მღვიმის თაღის ქვეშ გავშალეთ და რადგან გვიანი საღამო იყო, მეორე დღისათვის საჭურვლის დახარისხებას და მომზადებას შევუდექით.

თამაზს, კიაზოს და მე 1957 წელი გვახსენდება, როცა მესამე კურსის სტუდენტები, უნივერსიტეტის მასწავლებლებმა დოცენტმა ვლადიმერ ქოიავამ და ვარლამ რევიამ აქ მოგვიყვანეს. იმ დროს ჩვენი ახლანდელი ბანაკის ადგილიც კი ლურჯად მოლივლივე ტბის წყლით იყო დაფარული. ჯერ არ არსებობდა შაორის წყალსაცავი და მდინარე შაორა ნიკორწმინდის მახლობლად, შაორას ტაფობში რამდენიმე პირდაღებულ ხვრელში ანუ პონორში უჩინარდებოდა. გაივლიდა მიწისქვეშა ხეობაში 2 კილომეტრამდე მანძილს და გამოდიოდა აქ, უკვე შარაულას სახელწოდებით. გამოსასვლელში ტბა იდგა და ოცდაათიოდე მეტრზე ვრცელდებოდა მღვიმის თაღის ქვეშ. ახლა კი ჩვენს წინ ვეებერთელა მღვიმეს დაეღო ხახა, რომლის ფსკერზეც პატარა მდინარე წყნარად მოჩუხჩუხებდა.

გივი ქანთარია საძილე ტომარაში იყო ჩამძვრალი და კინოფირით ტენიდა აპარატის კასეტებს.

დილით ადრე ავდექით და სახელდახელო საუზმის შემდეგ რეზინის ნავის გაბერვას შევუდექით...

ნელა მივცურავთ წყნარი დინების აღმა. მალე გარედან შემოსული სინათლე ვეღარ აღწევს და ფარნებს ვანთებთ. საკმაოდ ფართო და მაღალთაღებიან გვირაბში მივცურავთ. ნიჩბებისგან გაჩენილი პატარა ტალღები კედლებს ეხლებიან და უცნაურ ხმებს გამოსცემენ, რომლებსაც მღვიმის თაღები აძლიერებენ. ეჩერდებით, სინათლეს ვაქრობთ და ყურს ვუგდებთ: ჭერიდან მრავალ ადგილას მოწვეთავს წყალი და საოცარი „მღვიმური სიმფონია" იქმნება, რომელიც იმდენად საოცარია და თავისებური, რომ როცა უკან გამოვედით, გივი ისევ შებრუნდა მაგნიტოფონით ამ „სიმფონიის" ჩასაწერად.

ახლა კი გივის კინოაპარატი აქვს მომარჯვებული და სპეციალური ბატარეების შუქზე იღებს მღვიმის პანორამას. აგერ, მარცხენა კედელზე ტრავერტინს გაქვავებული „ჩანჩქერი" გაუჩენია. აქა-იქ სტალაქტიტებიცაა ჭერის მაღალ ნაწილებში, სადაც ადრე წყალი ვერ წვდებოდა. მაგრამ სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით ეს მღვიმე ძალზე ღარიბია. მიწისქვეშა მდინარის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, სიღრმე 0,5—3 მეტრი. ზოგან ჩამოშვერილი ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორმასწორო ფორმის შვერილები ზღაპრულ ცხოველებს გვანან. 300 მეტრის გავლის შემდეგ მღვიმე სიფონით თავდება. ჩვენ მის დასაძლევად არ გაგვაჩნია საჭირო საჭურველი და იძულებულ ვართ ამჯერად ამ ნაწილის გამოკვლევით დავკმაყოფილდეთ. აქ შეიძლება მომავალში მოეწყოს მიწისქვეშა სანაოსნო სადგური, სადაც ტურისტებს საშუალება ექნებათ ნავებით ისეირნონ შარაულას მღვიმეში.

მეორე დღეს, ასიოდე მეტრის დაშორებით მდებარე ცივწყალას მღვიმეს ვეწვიეთ. ამ მღვიმიდან უხვად გამოჩქეფს 6-გრადუსიანი წყალი, რომელიც ტყიბულს სასმელი წყლით ამარაგებს.

შესასვლელშივე ჭერიდან ვეება სტალაქტიტები ჩამოშვებულან, ზოგი წყლის დონემდეც დასულა. კვლავ ნავს ვბერავთ და ფრთხილად მივსრიალებთ მიწისქვეშა ტბის ზედაპირზე, რომლის სიღრმე 3—5 მეტრია. ამ ნავით თითქმის 164 მ სიგრძის გზა გავიარეთ. საჭიროა დიდი სიფრთხილე, რადგან შარაულას მღვიმისაგან განსხვავებით აქ უამრავი სტალაქტიტია, წვეტიანი და ბასრი. ზოგან ნავში ვწვებით, რომ ვიწრო და დაბალჭერიან დერეფნებში გავიაროთ. აი წრიული დარბაზი, ფერადი სტალაქტიტებით. ერთი მათგანი წყალში ჩაშვებულა და უცბად ვაწყდებით ჩიხს. აქაც სიფონია. ვზომავთ სიღრმეს: კირქვა ორ მეტრამდე ეშვება წყლის დონის ქვევით, წყლის სიღრმე კი ექვსი მეტრია. ვეძებთ მეორე გასასვლელს, აი ესეც, მაგრამ აქაც სიფონია.

— გესმის ხმა? — ამბობს რეზო.

ვირინდებით. რაღაც შიშინი ისმის. ფარნების სინათლეები დარბიან ნავის კიდეებზე და ქიმთან ვპოულობთ მოზრდილ ნაჩვრეტს. რომელიღაც ხანჯალივით სტალაქტიტს გაუხვრეტია რეზინი და ჰაერი ძლიერად ამოდის. ნახვრეტს ხელს ვაჭერ, რეზო კი ნიჩბებს უსვამს და უკან ვბრუნდებით. აი წრიული დარბაზიც. დრო აღარ ითმენს, რომ ერთხელ კიდევ დავტკბეთ მისი სილამაზით. აქედან მკრთალად, მოცისფრად ილანდება გასასვლელის მახლობლად ჩამოშვებული მსხვილი სტალაქტიტების ჯარი.

შემდეგ დღეს კიაზომ და რეზომ ცივწყალას მღვიმის თავზე მდებარე ფერდობში საყინულეს მღვიმე გამოიკვლიეს, სადაც ერთადერთი პატარა ყინულის სტალაქტიტი ნახეს. დანარჩენები კი შაორის ტაფობის სასულეებს ვიკვლევდით, სადაც წყალსაცავის გაკეთებამდე მდინარე შაორა იკარგებოდა. სამწუხაროდ ყველა მათგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნი ოცი-ორმოცი მეტრის გავლის შემდეგ ამოქოლილი იყო თიხის სქელი ნაფენებით. ჩვენი გეგმა, გაგვევლო შაორა-შარაულას მი-წისქვეშა ხეობა, ვერ განხორციელდა.

ღამეს ნიკორწმინდის ტაძრის ეზოში ვათევდით. მერამდენე ვათვალიერებთ ქართული ხუროთმოძღვრების ამ საოცრებას და მახსენდება დიდი გალაკტიონის:

„გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!“..

ნიკორწმინდიდან ამბროლაურის რაიონში გადავედით. აქ, სოფელ გოგოლეთთან, მდ. შარაულას მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 450 მ., ხოლო მდინარის დონიდან 100 მეტრის სიმაღლეზე შინდის ხეებითა და ბუჩქნარით დაფარულ ფერდობზე მდებარეობს ცახის მღვიმის შესასვლელი.

ვიწრო შესასვლელი მალე ფართოვდება და მოკლე დერეფნით 100 მეტრამდე სიგრძის დარბაზში ვხვდებით, რომლის სიმაღლე შუაგულში 25 მეტრია, ხოლო სიგანე კი 30 მეტრი. აქაა ჭერიდან მორღვეული კირქვის ლოდების ვეებერთელა, ქაოტური დაგროვებანი და დიდი სტალაგმიტები. აი, ერთი მათგანი გუშაგივით დამდგარა დარბაზის ბოლოში, მეორე ჯუჯა კაცს ჩამოჰგავს. ძალიან ლამაზია მოელვარე ქვის ჩანჩქერი. ეს დარბაზი თანდათან დიდ დერეფანში გადადის და თავდება ვიწრო ხვრელით. ამ ხვრელის მიღმაა „ზღაპრების დარბაზი“. მთელი ჭერი მოფენილია წვრილი, მაკარონისებრი სტალაქტიტებით, რომლებიც თვალისმომჭრელად ელვარებენ ჩვენი ფარნების სინათლეზე. დარბაზის ბოლოს სვეტებად ალმართულან სტალაგმიტები. ბევრი მათგანი ჭერს შეზრდია და სტალაგნატი გაუჩენია, ზოგი სვანურ კოშკს ჩამოჰგავს. ესაა სტალაგნატების ხეივანი. აქვე, პატარა ნიშებში ჰელაქტიტებიცაა, დაგრეხილი, გაღუნული, გამჭვირვალე და ნაზი ქმნილებები.

ცახის მღვიმეს ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით 10 კილომეტრი სიგრძე აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში მისი სიგრძე 1 კმ-ს

ადემატება. ჩვენ კი მხოლოდ 300 მეტრი დავთვალეთ. ბევრია ვიწ-
რო ხვრელი, ამოვსებული სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით.
ჩვენში ყველაზე ნაკლები მოცულობის მქონე იურიმ სცადა გაძრო-
ბა, მაგრამ უშედეგოდ.

მაგრამ ეს ლამაზი და გრანდიოზული მღვიმე თავისი ორი დარ-
ბაზით და მორთულობით არ შეიძლება დარჩეს კეთილმოუწყობე-
ლი. ჩვენ მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ რკინის კარები ჩა-
მოვაბმევინეთ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

შემდეგ დღეს მდ. შარაულას დინების მიმართულებით წავედით.
1,5 კმ-ში გოგოლეთიდან ხეობა ისეა შევიწროებული, რომ ქარა-
ფიდან ჩამოვარდნილი კირქვის ლოდი ხიდად გადებულა და ბუნებ-
რივი ხიდი შეუქმნია მდინარიდან 30 მეტრის სიმაღლეზე. ეს ხიდი
ბზითაა დაფარული. გავდივართ ხიდზე და მდინარისკენ ვეშვებით.
ვიწროებში მომწყვდეული მდინარე ბორგავს, ჭორომებს აჩენს და
არცთუ ისე ადვილია მისი დაძლევა. უნდა დავძლიოთ კი, რადგან
მეორე ნაპირზე მღვიმის შესასვლელი მოჩანს, საიდანაც პატარა ნა-
კადული მოჩუხჩუხებს.

მღვიმე აღმავალი გამოდგა. პირველ დარბაზში დახვავებულია
მრავალტონიანი ჩამოცვენილი ლოდები. დარბაზის ბოლოში თიხის
უიშვიათესი სტალაგმიტებია, ზოგი ქოთნისმაგვარი, ზოგი პირამი-
დების, ზოგიც შანდლებისა და სხვა. სტალაქტიტებსაც თიხა აქვთ
გადაკრული.

შემდეგ მღვიმე მაღლა ადის ციცაბოდ. ამ ნაწილშიც მრავლადა
ნაწვეთ-ნაყონი ფორმები. ბოლოში კი პატარა დარბაზია, სადაც გა-
საოცარი სიმრავლითა და მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი
მიწისქვეშა სამყაროს ქვის ყვავილები, მსხლისებური და ბურთისე-
ბური სტალაქტიტები, მოყვანილობითაც და ფერითაც იმერული
ჩურჩხელის მსგავსნი და სხვ.

იმდენად მოგვხიბლა ამ უცნობმა მღვიმემ, რომ მას ტარიელის
მღვიმე ვუწოდეთ.

რაჭიდან იმერეთში გადავედით და მაღარას მღვიმეს ვესტუმ-
რეთ. ეს უცნაური გამჭოლი მღვიმე, რომელიც მდინარე შაბათა-
ღელემ გააჩინა, ორასიოდე მეტრი სიგრძისაა და მაღალთაღებიანი.
აქ ისე გაივლი მთელ მღვიმეს, რომ იშვიათად დაგჭირდება ფარნის
ანთება. მღვიმე ხუთსართულიანია. პროფ. ლ. მარუაშვილის გამო-
კვლევებით იგი 12 სართულია. სართულების მხრივ მაღარას ანუ ცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვათის მღვიმე მსოფლიოში უნიკალურია. მაგრამ მაინც დასადგენია, რამდენი სართულია ნამდვილად, რადგან სხვა მკვლევარებს სხვა აზრი აქვთ ამის შესახებ. ახალი პროექტით გათვალისწინებულია ცუცხვათის მღვიმესთან ტურბაზის აშენება და მღვიმის კეთილმოწყობაც....

ქუთაის-წყალტუბოს რაიონი საოცრად მდიდარია მღვიმეებით. სათაფლიას მღვიმის გარდა, ქუთაისშივეა დავითისა და კონსტანტინეს მღვიმე, რომელიც „ოქროს ჩარდახის" პირდაპირ, რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ვიწრო გასასვლელებში და გვირაბებში მივფოფხავთ. ერთგან წყალშიც კი უნდა ჩაწვე და ისე გახოხდე. მღვიმე ვიწროა, საკმაოდ დახრილი და გამჭოლი. ცოტა ხნის შემდეგ მთლად ტალახიანები რიონის პირას გამოვდივართ და მის ტალღებს ვატანთ მღვიმის თიხას.

ჩვენი შემდეგი მარშრუტი მიმართულია წყალტუბოს რაიონის მღვიმეებისაკენ. თვით წყალტუბოში, მის ჩრდილოეთ განაპირას მდებარეობს წყალტუბოს მღვიმე, რომელიც ჯერ კიდევ 1938 წელს შეისწავლეს აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ და ნ. კანდელაკმა. ამის შესახებ აღვნიშნეთ წიგნის პირველ თავში. მღვიმის ჩასასვლელი განლაგებულია ზღვის დონიდან 75 მეტრის სიმაღლეზე. ვიწრო, ვერტიკალური ჭა, რომელიც საფეხურებად ეშვება 6 მეტრის სიღრმემდე, გადადის სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით მოჭედილ დარბაზებში. დარბაზის სიმაღლე ჩასასვლელი ჭის მახლობლად 5 მეტრამდეა, სიგანე კი 10—15 მ. შემდეგ დარბაზი ფართოვდება 35—40 მეტრამდე, ხოლო ჭერის სიმაღლე 8 მეტრამდე აღწევს.

დარბაზის იატაკი თითქმის ჰორიზონტული და მშრალია. მხოლოდ ორ ადგილასაა პატარა ტბა, ზოგან ტერასებად განლაგებული მშრალი ჩაღრმავებებია, რომლებსაც ირგვლივ საოცარი ფორმის კალციტის ჯებირები აკრავს. შ. ყიფიანი და ზ. ტინტილოზოვი ასე აღწერენ ამ არშიების წარმოშობას: „ისინი მარჯნის ბრაგებს ჰგვანან... ბარიერებს შორის მოქცეულ აუზებში გროვდება მინერალიზებული წყალი, რომელსაც ხელსაყრელ გარემოში კალციტის თხელი აპკი უჩნდება. ეს არის ე. წ. „მცურავი კალციტი", რომელიც უმეტეს შემთხვევაში თვალისთვის შეუმჩნეველია. დროდადრო აპკი სქელდება და იძირება. ზედაპირული დაჭიმულობის გავლენით ფსკერზე დაძირვისას კალციტის ნაწილი პერიფერიებისკენ მიილტვის და წყლის ირგვლივ არშიებივით კრისტალდება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაზე მეტად მნახველის აღტაცებას იწვევენ სპელეოთერები ძვლისფერი ან თოვლივით ქათქათა ათასნაირი ზომისა და ფორმის სტალაქტიტები და სტალაგმიტები. ზოგან საოცარ ჭაღებად ეშვებიან ჭერიდან, ზოგან კი ცალკე კუნძულები შეუქმნიათ. აი ერთმანეთთან შეზრდილი სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების ჯგუფების მიერ გაჩენილი ვეება კოლონა, სტალაგნატი, რომლის სიმაღლე 4 მეტრამდეა, ხოლო გარშემოწერილობა 10 მეტრზე მეტია. სინათლეზე დარბაზები ზღაპრულად ბრწყინავენ და ელვარებენ. იმდენად ქათქათაა ყველაფერი, რომ ამ მღვიმეს „თეთრი მღვიმის“ სახელით ვნათლავ, რადგან იგი ცნობილი იყო როგორც წყალტუბოს გამოქვაბული. შემდგომ, როდესაც ექსპედიციის ანგარიში წარვადგინეთ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოში, მას თან ერთვოდა ამ მღვიმის დეტალური გეგმა-პროექტი, რომელიც იური ავდალოვმა შეადგინა. კიდევ რამდენიმე წელი და დღეს თეთრმა მღვიმემ უკვე სახელი გაითქვა. კეთილმოწყობითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ მის დასათვალიერებლად ფართო გზა გაეხსნათ ტურისტებს. მაგრამ რაც მთავარია, თეთრი მღვიმის მიკროკლიმატური პირობები უებარი წამალი გამოდგა ბრონქიალური და ქრონიკული ასთმით დაავადებულთათვის. მღვიმეში მოეწყო სპელეოთერაპიული სტაციონარი, სადაც ინტენსიურად მკურნალობენ ავადმყოფებს.

თეთრი მღვიმის ჯამური სიგრძე 100 მეტრს აღემატება.

წყალტუბოსა და ქუთაისის რაიონებში მრავალი კარსტული მღვიმეა, რომელთაგან უმეტესობა ჰორიზონტულია. აქ შეიძლება და აუცილებელია შეიქმნას დიდი სპელეოლოგიური კომპლექსი, რომელიც სათაფლიის მღვიმეებთან ერთად გააერთიანებს თეთრს ხომულს, ქვილიშორის, ყურმისთავის, სოლკოტას, საწურბლიას და სხვა მღვიმეებს.

1967 წლის ტრაგიკული ექსპედიცია

„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია“.
რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

ჩემმა მეგობარმა და „მეჯვარემ“ მარიან პულინამ საფუძველი ჩაუყარა ქართველი და პოლონელი სპელეოლოგების თანაშრომლობასა და მეგობრობას. 1967 წელს, ივნისში თერთმეტი ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი სპელეოლოგი, პოლონელი კოლეგების მიწვევით იმყოფებოდა პოლონეთში და ეცნობოდა ამ ქვეყნის მღვიმეებს.

ხოლო 1967 წლის 16 სექტემბერს პოლონელი სპელეოლოგების, ანუ როგორც ისინი უწოდებენ — გროტოლაზების ჯგუფი 11 კაცის შემადგენლობით თბილისს ეწვია. გულთბილად შევხვდით ძველ ნაცნობებს: ჯგუფის ხელმძღვანელს, პოლონეთის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის საზოგადოების სპელეოლოგიური კომისიის თავმჯდომარეს დოცენტ იანუშ ონიშკევიჩს, სტეფან ზვოლინსკის, ელჟბეტა მიშჩაკს, სტანისლავ იოდლოვსკის, კაზიმირ პიოტროვსკის, პეტრე ვოიცეხოვსკის, იანინა რუდნიცკას, იაცეკ ბზოვსკის, ერჟი გიჟიევსკის, ვიტოსლავა ბორეტტი-ონიშკევიჩს, იანუშის მეუღლე, რომელსაც მანამდე იანუშთან ერთად რამდენჯერმე შევხვდით საერთაშორისო კონფერენციებზე და კონგრესებზე.

თბილისში პოლონელებს დავათვალიერებინეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ხოლო მეორე საღამოს იანუში, ვიტოსლავა და ერჟი სტუმრად წავიყვანეთ ჩვენი მეგობრის ოჯახში. გავიხსენეთ პოლონელთა სტუმართმოყვარეობა, როდესაც იანუშის და ვიტოსლავას ოჯახს, ვარშავის ერთი მაღალი შენობის მე-11 სართულზე ვეწვიეთ სოლიკო ხაბეიშვილი და მე. საღამო ხანი იყო და აივანზე, საძილე ტომრებში ორ კაცს ეძინა.

— ეს არგენტინელი სპელეოლოგები არიან, — გვითხრა ვიტოსლავამ. — დაღლილები ჩამოვიდნენ, გრძელი გზა გამოიარეს და ძალიან ძვირი დაუჯდათ. ამიტომ ჩვენთან ათევენ ღამეს, რომ სასტუმროში გადასახადი თანხა მაინც დაზოგონ.

არგენტინელებს ისე ღრმად ეძინათ, რომ ჩვენი სტუმრობა არც კი გაუგიათ.

პოლონელთა მოგზაურობის გეგმა საქართველოში ასეთი იყო: 17 სექტემბერს უნდა გამგზავრებულიყვნენ ქუთაისში, სადაც მოინახულებდნენ ქუთაის-წყალტუბოს რაიონის მღვიმეებს, დაიპყრობდნენ ტყიბულის რაიონში ტყიბულა-ძევრულას მიწისქვეშა ხეობას და გაემგზავრებოდნენ სოხუმში ქართველ სპელეოლოგთა VIII საშეცნიერო სესიაზე. შემდეგ კი სპელეოლოგიურ ექსპედიციებში მიიღებდნენ მონაწილეობას.

17 სექტემბერს კი ისინი ქუთაისისკენ გავაცილეთ, მათ თან ახლდა სპორტის ოსტატი და ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის“ გამგეობის თავმჯდომარე გივი ყალაბეგიშვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 სექტემბრის დილის 6 საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. მატყობინებდნენ, — ტყიბულის რაიონში კოკისპირული წვიმა მოსულიყო. წინწკილას მღვიმესთან, ანუ ტყიბულა-ძევრულას მიწისქვეშა ხეობის ჩასასვლელთან, ტყიბულის წყალსაცავის ტაფობზე ტბა დადგა და წყალი გადაეშვა მღვიმეშიო. იქ კი ამ დროს თურმე თერთმეტი სპელეოლოგი იმყოფებოდა.

შევძრწუნდით. ნახევარი საათის შემდეგ ვანო ღარიბაშვილი, კოტე ჯავრიშვილი და მე მანქანით სამ საათში, თერჯოლის გავლით ტყიბულიდან მე-9 კილომეტრზე, ტაფობის ჩასასვლელთან ვიყავით. უამრავი ხალხი შეგროვილიყო. პარტიის რაიკომს და აღმასკომს მეშახტეთა მაშველი რაზმები მოეყვანათ, მაგრამ...

როცა მღვიმის შესასვლელთან მივედით, წყალი აღარ იდგა.

— ყველა გადაარჩინეთ? — იყო პირველი კითხვა.

— ერთი დაილუპა, ქალი, ხელმძღვანელის მეუღლე.

დამცეცხლა. ვიტოსლავა, ანუ ვიშკა მორეტტი-ონიშკევიჩი დაღუპულა...

— დანარჩენები?

— ტყიბულის სასტუმროში არიან, ისაუზმეს და სძინავთ.

მაშველ ჯგუფს მივეხმარე ტალახიანი მღვიმიდან ვიშკას გვამის ამოტანაში. ზევით, გზამდე ავიტანეთ, სასწრაფო დახმარების მანქანაში მოვათავსეთ და ტყიბულის საავადმყოფოს პროზექტურისკენ ავიღეთ გეზი.

დავყურებდი პოლონელი ქალის განაწამებ, ტალახიან სახეს და მახსენდებოდა მისი კეთილი ღიმილი, ლამაზად დამტვრეული რუსული. მიჭირდა იანუშთან შეხვედრა და სასტუმროში ფეხს ვითრევდი. როგორ ვანუგეშო? რა ვუთხრა?

სახტად დავრჩი, როცა სასტუმროში სუფთად ჩაცმული, ნასაუზმები, საოცრად მშვიდი იანუში შემხვდა. გადავეხვიე, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მე ვიყავი მისი მეუღლის დაღუპვის მიზეზი.

იმავე დღესვე ქუთაისში წამოვედით და სასტუმრო თბილისში დავბინავდით. მეორე დღეს ვიტოსლავა უნდა გადმოესვენებინათ ქუთაისში. როგორც გამოირკვა, სათანადო საბუთების გაფორმებას ცხედრის გადასატანად პოლონეთში ორ კვირაზე მეტი დასჭირდებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ დროებით ვიშკა ქუთაისის კათოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთა სასაფლაოზე დაგვეკრძალა. იანუშის თხოვნით კათოლიკე მღვდელიც კი მოვნახეთ. ამასობაში კი დროგამოშვებით ველაპარაკებოდი თბილისს, იქნებ საკავშირო მთავრობა დაგვხმარებოდა და პოლონეთის საელჩოსთან მოლაპარაკების შემდეგ დაერთოთ ნება ცხედრის გადასვენებაზე ვარშავაში.

კოტე ჯავრიშვილი და მე იანუშს არ ვტოვებთ. ვატყობთ, არ იმჩნევს, მაგრამ ნებისყოფის საოცარი დაძაბვით აღწევს ამ მოჩვენებით სიმშვიდეს. ვარშავაში ნათესავებთან დეპეშა გააგზავნა: „ვიშკა დაიღუპა მღვიმეში!“.

პოლონელთა ჯგუფი, უკვე 9 კაცის შემადგენლობით სოხუმისკენ გაემგზავრა.

თბილისიდან პასუხის მოლოდინში გავათხრევინეთ საფლავი, სამგლოვიაროდ მოირთო „ოქროს ჩარდახის“ შენობა და დარბაზები.

— დამნაშავე არავინ არის, მხოლოდ სტიქია. — გვიამბობს იანუში. — ყველაფერი წესრიგში იყო. ჩასასვლელთან გივი ყალიბეგიშვილთან ერთად დარჩნენ სტეფან ზვოლინსკი და იანინა რუდნიცკა. ჩვენ ცხრანი კი, ორ ქუთაისელ მთამსვლელ-სპელეოლოგებთან ნ. ნემსიწვერიძესთან და ვ. მინდაძესთან ერთად დავიწყეთ წინწკილას შტურმი, 19 სექტემბრის დილის 6 საათზე მშვენიერი ამინდი იდგა და ცაზე ღრუბლის პატარა ნაგლეჯიც კი არ ჩანდა. ჩვენმა ჯგუფმა წარმატებით, სარეკორდო დროში გაიარა უფსკრული და სიფონამდე მივიდა. უკან გამობრუნებისას, როდესაც გასასვლელამდე ასიოდე მეტრი და ერთი 5-მეტრიანი საფეხური დარჩა, შევამჩნიეთ, რომ წყალმა სწრაფად დაიწყო მატება, მალე თითქმის მთლიანად დაფარა საფეხურის თავზე ხვრელი და მქუხარე ჩანჩქერად გადმოეშვა ჩვენსკენ. რამდენიმემ მოასწრო ასვლა და მღვიმის უწყლო განტოტებაში გადასვლა. ჩვენ დავასვით პალოები, გავმაგრდით და დავიწყეთ დანარჩენების ამოყვანა. ვიშკას თოკი ჩავაბით წელზე და როგორც კი ზევით ამოვწევდით, მას წყლის გამძვინვარებული ნაკადი უკანვე ისროდა. დაიღალა. სამი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ბოლოს, როცა ღონემიხდილი კვლავ გადააგდო წყალმა, მეგონა თოკი გაწყდა და იმის შიშით, რომ წყალი გაიტაცებდა და დაახრჩობდა, გადავხტი მისაშველებლად, მაგრამ თოკი არ იყო გაწყვეტილი, მე კი წყალმა გამიტაცა, ფარანი ჩამიქრო და ორასიოდე მეტრი მახოხიალა მღვიმეში. იქით კი მახსოვდა, 30-მეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანი, საფეხური იყო, სადაც ბობოქარ ჩანჩქერად ეშვებოდა მდინარე. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიფე და ახლაც არ ვიცი, როგორ გავჩერდი საფეხურიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. აბსოლუტურ სიბნელეში უკან გამოვბრუნდი და იმ ადგილას მივედი, სადაც ჩემი მეგობრები ცდილობდნენ უგონოდ მყოფი ვიშკას დახმარებას. მეც ჩავერიე; არც ხელოვნურმა სუნთქვამ უშველა, არც უშუალოდ პირიდან პირში ჰაერის ჩაბერვამ, ვგრძნობდი როგორ ცივდებოდა მისი ტუჩები... ამასობაში ზევით ასულმა ელუბეტა მიშჩაკმა გივი ყალიბეგიშვილს შეატყობინა საშიშროების ამბავი (მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ ვიშკა დაიღუპა) და გივიმ ნახევარ საათში ტყიბულიდან მოიყვანა სამთო-მაშველი ჯგუფი. მათი დახმარებით ყველანი უვნებლად ავედით ვიშკას გარდა.

იანუშს ცრემლები ერეოდა, მაგრამ თავს იკავებდა...

მეორე დღეს ვიშკა ტყიბულიდან ქუთაისში ჩამოასვენეს. ცხედარს 500 ტყიბულელი მეშახტე მოჰყვებოდა. სწორედ ამ დროს ქალაქის აღმასკომიდან შეგვატყობინეს, რომ ცხედრის ვარშავაში გადასვენების ნებართვა მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თხოვნით.

თვითმფრინავი ქუთაისის აეროდრომიდან ნახევარ საათში გადიოდა. სასწრაფოდ აეროდრომისაკენ ავიღეთ გეზი. მსუბუქ მანქანას, რომელშიაც მე და იანუში ვიჯექით, ცხედრიანი საბარგო მანქანა ჩამორჩა. აეროპორტის უფროსმა, რომელიც საქმის კურსში იყო, ოდნავ შეაყოვნა თვითმფრინავის გაფრენა.

იანუშს ხელში გამხმარი ეკლის ტოტი ეჭირა. ეგ რა არის-მეთქი — ვკითხე. ვიტოსლავას მოეწონაო წინწკილას წინ, ქვებში ამოსული და ვარშავაში აპირებდაო წაღებას, — მიპასუხა.

ტუ-104-ის სანათურში მოვათავსეთ თუთიის სარკოფაგი, გამოვემშვიდობეთ იანუშს და თვითმფრინავიდან ჩამოსულმა დავინახე, რომ ილუმინატორიდან მომზირალ პოლონელ მეგობარს ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ერთხელ კიდევ ავბრუნდი თვითმფრინავში და ნუგეში ვეცი. მგზავრებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ და თანაგრძნობით უყურებდნენ იანუშს, რომელსაც ხელში ვიშკას მიერ წინწკილას მღვიმესთან მოწყვეტილი ეკლის ტოტი ეჭირა...

იანუშმა ვარშავაში წაიღო ტყიბულის ქალაქკომისა და აღმასკომის სახელით სამგლოვიარო მიტინგზე სათქმელი სიტყვის ტექსტი. მიტინგი არ შემდგარა, რადგანაც სასწრაფოდ გამგზავრების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო აღარ რჩებოდა. გამოსვლის ტექსტი კი გამოქვეყნდა ვარშავის სპელეოლოგიურ ჟურნალში „ვერტიცა“-ში, იმ ნომერში, რომელიც მთლიანად ვიტოსლავა ბორეტტი-ონიშკევიჩის ხსოვნას მიეძღვნა. მომყავს ამ ტექსტიდან რამდენიმე ნაწყვეტი:

„ძვირფასო მეგობრებო,

პატივცემულო პოლონელო სტუმრებო!

ყველანი შეძრწუნებული ვართ იმ ამბით, რაც ტყიბულთან მოხდა. ტრაგიკულმა შემთხვევამ ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი პატივცემული სტუმარი, ცნობილი მკვლევარი-სპელეოლოგი ვიტოსლავა ბორეტტი-ონიშკევიჩი. უძლეველი სტიქიის ძალამ დაარღვია ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა...

ქართველმა ხალხმა და ქართულმა მიწამ სიხარულით მიიღო თავისი ძვირფასი სტუმრები და რა სამწუხაროა, რომ ვერ შევძელით პოლონელი მეგობრებისთვის ქართული სტუმართმოყვარეობა და გულითადობა ბოლომდე გვეჩვენებინა.

ჩვენი გულები სავსეა ტკივილით და თვალები ცრემლით.

ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ გამბედავ ხალხს ასეთი უბედურება შეემთხვევოდა.

რამდენი ქართველი მებრძოლი შეუფარებიათ პოლონელ პატრიოტებს, რამდენი დაჭრილი მეომარი გადაურჩენიათ ფაშისტებისგან და გაუყვიათ მათთვის უკანასკნელი პურის ნატეხი.

პოლონელ და ქართველ მოღვაწეთა ურთიერთობა მე-19 საუკუნიდან იწყება. კაზიმირ ლაპშინსკი პირველი იყო, რომელმაც პოლონურად თარგმნა ცნობილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ბევრი პოლონელი მეგობარი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ჩვენი ხალხების დიდ დღესასწაულში.

ძვირფასო პოლონელო მეგობრებო, ღრმა თანაგრძნობას გიცხადებთ ამ უბედურებაში, რომელმაც ყოველი ჩვენთაგანი შეაძრწუნა.

26 საათს გაგრძელდა მღვიმეში აბობოქრებულ ნაკადთან ბრძოლა. ჩვენმა სამაშველო რაზმებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს და სამშვიდობოს გამოიყვანეს ექსპედიციის ყველა წევრი, მაგრამ ვიტოსლავას უკვე აღარაფერი ეშველებოდა.

მწარე ცრემლებით დავტირით ვიტოსლავას, ნაზ ასულს, რომლის იდეალი იყო სიძნელეებთან ბრძოლა, მღვიმეთა გამოკვლევა და დაპყრობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელით ღრმა თანაგრძნობას გიცხადებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო პოლონელო მეგობრებო ძვირფას პანი ვიტოსლავას დაღუპვის გამო.

დღეს ისინიც ტირიან, ვისაც თქვენ არ იცნობდით და ვინც თქვენ არ გიცნობდათ.

გულები სავსეა ტკივილით და მწუხარებით, და არა მარტო ტყიბულის მოსახლეობის, არამედ მთელი ქართველი ხალხის.

საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტი,
მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის საქალაქო
საბჭოს აღმასკომი".

ვიტოსლავა, პროფესიით გეოლოგი, მუშაობდა ვარშავის უნივერსიტეტში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გატაცებული იყო მთამსვლელობით და სპელეოსპორტით. მრავალი ქვეყნის მღვიმეში და უფსკრულში ჩაეშვა იგი იანუშთან ერთად. ვიშკა იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ღრმა კარსტული უფსკრულის სნეჟნას (პოლონეთი) დამპყრობი, — ჩავიდა ამ უფსკრულის ძირამდე, 640 მ სიღრმემდე. მონაწილეობდა მსოფლიოს უღრმეს ბერჟეს (საფრანგეთი) უფსკრულში მოწყობილ ექსპედიციაში, მაგრამ უამინდობის გამო მხოლოდ 250 მ სიღრმემდე შეძლო ჩასვლა, ხოლო ბუფურტოს უფსკრულში (სიღრმე 680 მ) — 220 მ სიღრმემდე. მისი არაერთგზის ჩასვლები სნეჟნას უფსკრულში: 300, 430, 550 და 560 მეტრ სიღრმეებამდე, შემდეგ კი 640 მეტრამდე სარეკორდო იყო მსოფლიოს ქალ-სპელეოლოგებს შორის და ვიტოსლავას, ქალების სპელეოსპორტის ისტორიაში მე-5 ადგილი ეკავა. ვიშკაზე ღრმად ბერჟეს უფსკრულში ჩააღწიეს: კლოდ ლეკომტმა (საფრანგეთი) — 750 მ, ტერეზა იანაშმა (პოლონეთი), ელენ კომბერტმა (ლიბანი) და აბელ ლავინმა (საფრანგეთი) — 650 მეტრ სიღრმემდე 1956 წელს.

ვიტოსლავა იყო ვარშავის სპელეოკლუბის აქტიური წევრი, ჰქონდა სპელეოინსტრუქტორის წოდება...

...მეორე დღეს ვანო ღარიბაშვილი, კოტე ჯავრიშვილი და მე ჩავედით სოხუმში, სადაც დაიწყო მუშაობა სპელეოლოგთა სამეცნიერო სესიამ. პოლონელების ჯგუფი სესიის დამთავრების შემდეგ წავიყვანეთ აფხაზეთის მღვიმეებში, აბრსკილაში, ახალი ათონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდამოებში და სხვ. ყოველი ჩვენგანი ცდილობდა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მათთვის ის განცდები, რაც ვიტოსლავას დაღუპვით იყო გამოწვეული...

სწორედ იმ დღეებში გამოვიდა ჩემი წიგნი „არაბიკის უფსკრულები“ რუსულ ენაზე და პოლონელ მეგობრებს სათითაოდ ვუსახსოვრე....

რამდენიმე კვირის შემდეგ მივიღე იანუშის წერილი და ვიტოსლავას უკანასკნელი გეოლოგიური შრომა. გვარი შავ ჩარჩოში იყო ჩასმული...

ედუარდ ალფრედ მარტელი და არაბიკა

არაბიკადან და ხირკადან იშლება მსოფლიოს
ერთ-ერთი ულამაზესი ხედთაგანი.

ე. მ ა რ ტ ე ლ ი

მეცნიერული სპელეოლოგიის მამამთავრად გამოჩენილი ფრანგი გეოლოგი ედუარდ ალფრედ მარტელი ითვლება. თუ თვით ტერმინი „სპელეოლოგია“ 1893 წელს შემოიღო აგრეთვე ფრანგმა მეცნიერმა-არქეოლოგმა ემილ რივერმა, მარტელს ეკუთვნის ამ მეცნიერების საფუძვლების ჩამოყალიბება. მარტელის მიერ თითქმის რვა ათეული წლის წინათ გამოთქმული მოსაზრებები მღვიმეთა განვითარებისა და კარსტული რაიონების ჰიდროგეოლოგიის შესახებ დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას, მაგრამ ამჯერად ედუარდ მარტელის მეცნიერული მოღვაწეობის მიმოხილვა არა გვაქვს მიზნად. ჩვენი სურვილია მკითხველს გავაცნოთ ამ საოცარი კაცის ცხოვრების ერთი ხანა, რომელიც საქართველოსთანაა დაკავშირებული. მრავლისმნახველმა მეცნიერმა და მოგზაურმა ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოშიც იმოგზაურა. გაეცნო უფლისციხის გამოქვაბულ-ქალაქს და სპეციალური წერილიც მიუძღვნა მას პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში. იგი გულდასმით იკვლევდა შავი ზღვის სანაპირო რაიონებს და ვრცელ მონოგრაფიაში „რუსეთის ლაჟვარდოვანი სანაპირო (კავკასიის რივიერა)“ საინტერესოდ აღწერს როგორც ამ კვლევებით მიღებულ შედეგებს, ასევე პირად შთაბეჭდილებებს მოგზაურის დღიურის სახით. ამ სქელტანიანი წიგნის მე-

ოექვსმეტე თავი მთლიანად ეთმობა არაბიკის კარსტულ მოგზაურობას, რომელშიც მშვენივრადაა შერწყმული მეცნიერული მოგზაურის დაკვირვებები მწერლურ თუ ჟურნალისტულ ნიჭთან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმდროინდელი სამეცნიერო ლიტერატურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბელეტრისტიკასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტელის არაბიკის მასივზე მოგზაურობის შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა და მე ჩემს მეგობრებთან ერთად შევუდექი ამ ფრიად საინტერესო და მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი მასივის, სპელეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ კვლევას, რასაც 10 წელი მოვანდომე. შედეგი იყო საკანდიდატო დისერტაცია არაბიკის მასივის კარსტის ჰიდროგეოლოგიის შესახებ. ჩემს ექსპედიციებში არაბიკაზე მეგზურის მაგივრობას ხშირად მიწევდა მარტელის დასახელებული ნაშრომი. ამ ექსპედიციების თავგადასავლები წინამდებარე წიგნის თავებშია აღწერილი. ახლა კი მინდა განვახორციელო დიდი ხნის სურვილი და მკითხველს შემოკლებით მივაწოდო თითქმის შვიდი ათეული წლის წინათ მარტელის მიერ დაწერილი მონოგრაფიის იმ თავის თარგმანი, რომელიც არაბიკის მასივს ეხება.

თავი XVI

არაბიკის მასივი

ადლერის აღმოსავლეთით ჩვენ შევიცვალეთ მიმართულება, რომელიც თავდაპირველად ზღვის ნაპირს მიყვებოდა. წყალდიდობის ჟამო მზიმთას რკინის ხიდი აგებული იყო ადლერიდან 6 კმ-ის დაშორებით, კრასნაია პოლიანას გზის განშტოებასთან. დაჭაობებული ნიადაგზე სიარულის თავიდან აცილების მიზნით მრავალჯერ ავედით და ჩამოვედით დაუსრულებელი, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით 140, 120 მეტრამდე და ა. შ., ვიდრე საბოლოოდ არ დავეშვით ვესიოლოეში[1] და არ მივუახლოვდით ზღვას იმ ადგილას, სადაც მას ფსოუ ერთვის. ამ მდინარის უძველესი ალუვიონი, რომელიც რიყის სიპი ქვებით არის მოფენილი, 6 მეტრამდე სისქისაა. შორს, მეხადირთან ჩვენ გადავუხვიეთ გზატკეცილიდან და ღამის გასათევად პილენკოვოში[2] შევჩერდით. მანამდე მოვინახულეთ საბ-

[1] ამჟამად ლესელიძე.
[2] ამჟამად განთიადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრიფშის უძველესი ბიზანტიური ეკლესიის საინტერესო ნანგრევე-
ბი. იგი თანდათან უფრო მეტად ინგრევა. სულ ახლახანს გაქრა მარ-
მარილოს სვეტები ჩუქურთმიანი ლავგარდანებით. ჩრდილოეთის
დაბალი მხარე დანგრეულია, სამხრეთისა კი შენარჩუნებული. ტაძ-
რის შიგნითა, ცენტრალური ნაწილი ოთხთაღიანია და აბსიდიანად
20 მეტრი სიგრძე და 6 მეტრი სიგანე აქვს. მას მოსდევს ფარული
კარი. ფასადი დასავლეთითაა. ქვები ბევრად უკეთაა გამოთლილი
და უფრო მომცროებია, ვიდრე გაგრის სამლოცველოში.

19 სექტემბერი (2 ოქტომბერი) — გავემგზავრეთ ზუსტად და-
ნიშნულ დროს. ვართ სამნი — სერგიევი, ვოლოდკევიჩი და მე.
ჩვენთვის და ტვირთისათვის გვყავს 8 ცხენი და 8 გამყოლი. ნათე-
ლი დღეა. გავცდით თუ არა სოფელს, გზა ფლატეებს და ნაკადებს
გაუყვა. იქ ვერასოდეს გაივლის შვეიცარული ჯორი, რადგანაც ცხე-
ნებს მთელ გზაზე ტალახში და წყალში ჰქონდათ მუცლები. ერთი
წუთით სული მოვითქვით სარწყავი არხის შემაღლებულ წყალსა-
ცავთან, რომლის გასწვრივაც რამდენიმე ასეული მეტრი გავიარეთ.
მაგრამ ერთგან, წნულ ბოგირზე ცუდად დატკეპნილმა მიწამ ვერ
გაუძლო საპალნიანი ცხენის სიმძიმეს და ჩაიქცა ერთი მათგანის
ფეხქვეშ. ცხენი თავის ტვირთიანად არხში აღმოჩნდა. მილის ნაპ-
რალში წყალმა ამოხეთქა. ცხენის ამოყვანაში, საპალნის გაშრობასა
და ნაპრალის ამოვსებაში ორი საათი დავკარგეთ! ყოველ შემხვედრ
თხემზე მივბობღავთ, შემდეგ კი ისევ ხევში ვეშვებით... 2660 მეტრ
სიმაღლეზე არაბიკაზე ასასვლელად ჩვენ ვიბობღეთ დაახლოებით
5500 მეტრი, ბარომეტრის ძლიერი რყევის დროს და ისიც ოთხ
დღეში! პირველ დღეს აღმოვჩნდით მშვენიერ, ხშირ ტყეში, სადაც
სიამოვნება მოგვანიჭა მდელოზე ლაღად გაშლილი კამეჩების ნახი-
რის ხილკამ (ფოტო წყალში ჩაგვივარდა!); 635 მეტრის სიმაღლე-
ზე წყაროს 9,8° ჰქონდა. 15 მეტრით მაღლა პირი დაუღია 5—6
მეტრი სიღრმის ნაპრალს. ავდივართ კიდევ 100 მეტრზე (750 მ),
საიდანაც იწყება კარრები — არბას ტყის მსგავსად (ქვედა პირენე-
ები); შემდეგ ხელახლა ვეშვებით 640 მეტრამდე, ვკვეთთ ნაკადს, რო-
მელიც ვიწრო ხევში მოედინება. ათ საათში ჩვენ დავფარეთ 22 კმ
და ავფოფხდით 760 მეტრის სიმაღლეზე, ვიდრე არ მივაღწიეთ ხა-
შუფსეს მონასტერს. ნამდვილი პოემაა: გაშლილ მინდორზე, ხრა-
მის პირას, რომლის სიღრმესაც უზარმაზარი ხეები ფარავენ, გამო-
ფიტული კირქვის ქარაფებისა და ვეება ნაძვების ძირში მოულოდ-

ნელად შევნიშნეთ ხის ტალანებიანი ფართო ნაგებობა, რომელიც ალპურ ფაცხასავით ძელებზე იდგა. იქიდან წვერებამდე თმებამდე შეებული ოთხი თეთრანაფორიანი ბერი გამოვიდა. ჩვენ ვარჩიეთ ისევ ჩვენს კარვებში, იქვე, ჩარდახის ქვეშ მოვწყობილიყავით. როგორც ჩანდა, ამ საიდუმლო და ღვთისმოსავ თავშესაფარში სავარცხელი და საპონი არ იხმარებოდა. ჩვენმა მწირებმა შემოგვთავაზეს რაც კი გააჩნდათ: კარტოფილი, სიმინდი, ვაშლი. შემდეგ კი გვთხოვეს წასვლა... დათვის მოსაკლავად, რომელიც ყოველღამ მოდიოდა მონასტერთან და ანადგურებდა მათ მოსავალს. გავგზავნეთ დავითი და ჩვენი მხლებელი სამი ტყის მცველი, მაგრამ ჩასაფრებული მეცნიერის მიერ დაჭრილმა მხეცმა გაქცევა მოასწრო. ველარ გავსინჯავ მისი შემწვარი თათის გემოს და რა თქმა უნდა ველარ წავიღებ ტყავს! მთვარეც შეწუხებული გაგვეყარა.

20 სექტემბერი (3 ოქტომბერი) — ვდგებით 4 საათზე (2 საათია მზის ამოსვლამდე, ცა კი შავი ზღვის ჰორიზონტზე ნაცრისფერი ღრუბლებითაა დაფარული: იწვიმებს), გავედით კი მხოლოდ 7-ზე! 1000 მეტრის გავლას პირველ გადასასვლელამდე (1750 მ) ქვეითად მოსიარულე ანდომებს 4 საათს, ცხენი კი ხუთს. ეს იყო ყველაზე ძნელად გასავლელი მანძილი. სული მოვითქვით 1470 მეტრის სიმაღლეზე, სადაც შემოღობილი იყო ვეტერინალური საგუშაგო. შემდეგ კი სრული უგზოობის გამო ძლივსღა მივდიოდით. ერთ-ერთი ცხენი უფსკრულის პირას შეაჩერა ხემ, რომლის ტოტებზეც მისი საჯალნე ჩამოეკიდა. დავწინაურდი, რათა ჩალვადრის უბედურება არ დამენახა.

არაბიკის ექსკურსია წარმატებით დავასრულეთ მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებული 4 დღის ნაცვლად 6 დღე მოვანდომეთ.

უღელტეხილზე გველოდა შავი ზღვისა და კავკასიონის შესანიშნავი ხედები. აქ მხოლოდ ღრუბლები აღწევენ ჩვენამდე. ტყის სიღრმიდან ისმის ცხენების ჭიხვინი და გამყოლთა შეძახილები, მე მათ ველოდები. ბოლოს გამოჩნდა არაქათგამოცლილი და დაღლილი ვოლოდკევიჩი.

— რამდენი გვაკლია?

— არც ერთი! შესანიშნავია! ხევში კი ბევრჯერ ჩავგორდით!

— რა ექსპედიციაა!!

— ნიჩევო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ვიკარგებით ნისლში, რომელიც უფრო და უფრო სქელდება. მივყვებით მოლიან დაუსრულებელ ფერდობებს. მოულოდნელად, 2100 მეტრის სიმაღლეზე თავი ამოვყავით ლურჯი ცის ქვეშ და ჩვენს თვალწინ გადაიშალა ზღვა, უნაპირო და უსაზღვრო. მაგრამ ეს ხომ თეთრქულა ღრუბლების ზღვაა, რომელსაც აღმოსავლეთით, დომბაი-ულგენისაკენ (4040 მ) კოდორის ხეობის ყინულოვანი მწვერვალები, ხოლო დასავლეთით იალბუზი აკრავს. შესანიშნავი სანახავია შავ ღრუბლებში ჩამავალი წითლად აელვარებული მზე, მშვენიერება, რომლის სრულყოფილი გადმოცემა მხოლოდ გუსტავ დორემ შეძლო და რის ნახვაც ამაზე უფრო მეტ დაღლადაც ღირს.

ბილიკი ჩამონაზვავმა გადაგვიჭრა. ავდივართ 2250 მეტრზე და შემდეგ ხელახლა ვეშვებით 1825 მეტრამდე. ტყისპირზე ვეძებთ წყალს, სადაც დავბანაკდებით კიდევაც. მივაგენი ძლიერ დაბზარულ კირქვას (ცხადია ცარცული პერიოდის) უამრავი ნაპრალებით (ერთ მათგანში პატარა მღვიმეცაა), სადაც ინთქმება წვიმა, რომლის წყლებიც არ უერთდებიან ხევის ნაკადებს. აქ იწყება მიწისქვეშა გზა, რომლის მეშვეობითაც ეს წყალი 1800 მეტრიდან ჩადის იდუმალ, გაუვალ წყაროებამდე, რომლებიც გაგრის მიდამოებამდე, თვით ზღვის სანაპირომდე ფარულნი რჩებიან.

ეს ქანები საშინლად ცუდი სავალია. ყოველ ნაბიჯზე მოსალოდნელია ცხენის ნალების მოქცევა კარსტული ზედაპირის ხაფანგში.

კარვების გაშლა დამთავრებული არ გვქონდა, რომ ღამე ჩამოწვა. დაიწყო წვიმა. ქარი ჩვენსკენ ერეკებოდა ხის ფოთლებს, ჩვენი ცხენები რომ გემრიელად შეექცეოდნენ. მათ კოღოების მთელი ჯარი შეეფარა, მაგრამ საბედნიეროდ ესენი არ იყვნენ ანოფელესები. აუტანელი ღამე იყო, ცივი, დელგმიანი, ქარიშხლიანი. ერთ-ერთი კარვის წინ ჩვენს ბიჭებს ცეცხლი დაუნთიათ. სველი ხე ტკაცუნობს და კვამლი გვჭვარტლავს.

21 სექტემბერი (4 ოქტომბერი) — კარავში 2°-ია. ველოდებით გათენებას, რომ ავიშალოთ. 6 საათზე უკვე ინათა. შორს, დაბლა, შავ ზღვაზე და მის სანაპიროს თავზე გაფანტულ ღრუბლებში აქაიქ ნათელი ადგილები გამოჩნდა. გზას დავადექით. ბორძიკით მივდივართ კარსტულ ზედაპირზე, მშრალ ღარტაფებზე და გამყოფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხემებზე, მთების მთელ მწკრივზე — 1900 მ — 1600 მ — 2000 მ — 1800 მ — 2000 მ.

გავიარეთ ტყე ბუმბერაზი ხეებით, ალაგ-ალაგ პატარა მდელოებით და მშთანთქმელი კირქვებით (ეს უკანასკნელნი ცხადია ცარცულია, თეთრი და შავი კაჟით), რომლებიც სავსეა ნაპრალებით და ძაბრებით და მომაგონებენ ვერკორის ქვაბულს. გზა უფრო და უფრო უარესდება. ვიწრო ბილიკის ავლას ორი საათი მოვუნდით. მისი დახრა დაახლოებით 50°-ია. ცხენებს ვხსნით საპალნეებს და ზურგით 20-მდე ფუთა აგვაქვს; განსაკუთრებით ვუფრთხილდებით ტვირთს, სადაც 30 კგ პური და 40 კოლოფი კონსერვია. ისინი შეიძლება არც კი გვეყოს ექსპედიციის დასასრულამდე, თუ ჩვენი ნელი სვლა და დაბრკოლებები არითმეტიკული პროპორციით გაიზრდება.

წვრილთასმიანი გრძელი შოლტები (სწორედ ისეთი, პირენეელ ვამყოლებს რომ აქვთ) აიძულებენ ცხენებს იბობღონ აღმართებზე. საცოდავი სანახავია ეს ცხოველები, როცა თითქმის აღმართის პოლომდე ასულები უკანვე ცურდებიან სველ ნიადაგზე და ტენიან ფოთლებზე. ყველაზე უარესი კი განუწყვეტელი შიშია ფათერაკისა, რომელიც შეიძლება მოულოდნელად დაგვატყდეს თავს ცხენებსაც და ადამიანებსაც.

საბედნიეროდ გამოიდარა. არც წვიმს და არც ცივა. ღრუბლების ნაფლეთები ირევა ველების, ტყეების, ფერდობებისა და ზღვის თავზე. დაახლოებით 3 საათისათვის ავიარეთ ბოლო აღმართი და მივაღწიეთ მწვერვალს (2000 მ). ჩვენს თვალწინ გადაიშალა ბზიფის ხეობის პანორამა, უზარმაზარი უფსკრულები და თხემებიანი მთები, რომელთა შორისაც 1800 მეტრით დაბლა ელავს მდინარის ვიწრო კალაპოტი. მთების დიდებული, გრძელი ჯაჭვი მიმზიდველად გვიღიმის ჩამავალი მზის სხივებზე, ქარი კი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიერეკება ღრუბლების ქულებს, რომელთა ნაფლეთები უწესრიგოდ მიყვებიან ერთმანეთს ბზიფის უფსკრულების თავზე, ციცაბო ნაპირები და ფრიალო კლდეები ტყეებით რომ აქვთ შემოსილი; მარცხნივ კი აღმართულია არაბიკის მთა (სადაც ჩვენ ხვალ ავალთ) თოვლით დაფარული და გულგრილი.

ვეშვებით ქვევით, წყლისა და ცხენების საძოვრის მოსანახად. აქ ჩვენ ხუთ საათს ვჩერდებით რომელიღაც მწვერვალის ძირში, რომელიც ცივი ნიავისგან გვიფარავს და საიდანაც შესანიშნავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახავია ღამის დადგომა ბზიფის კალაპოტის გასწვრივ. მის ცენტრში ფსიში და მისი თანამგზავრები ვარდისფრად არიან გაჩირაღდნებული. ვუცდით მთვარის ამოსვლას, რომლის ვერცხლისფერ შუქზეც მკვეთრად ისახება მიდამო. ეს გუშინდელ სანახაობაზე უფრო მშვენიერია. დაღლილობა გადაგვავიწყდა. ახალმა გასართობმა მიიქცია ჩვენი ყოჩაღი ბიჭებისა და გამყოლების ყურადღება: მაგნიუმის ალზე გადავიღე ჩვენი ვახშმობა და ბანაკი. ელვარე სინათლემ ყველა გააცარა; დავითს ხომ მთლად ლუციფერის სახე ჰქონდა, თუმცა ტემპერატურა 7°-დან 3°-მდე დაეცა.

22 სექტემბერი (5 ოქტომბერი) — კარავში ვართ. 5 საათი და 30 წუთია. ჩაიდანში წინა დღის ჩაი გაიყინა. გარეთ — 3°-ია. ცა ულრუბლოა. ფსიშის მარჯვნივ, გრძელი, თოვლიანი ჯაჭვის უკან, რომელიც დღის ფონზე მუქად მოჩანს, ამოდის სხივოსანი მზე, ღამე კი თითქოს მიწისქვეშეთს უბრუნდებაო, ბზიფის ხეობის სილრმეებში ეშვება. ზღვა კი ალმასის მტვერით ფარავს ბრჭყვიალა ნიჟარების უსაზღვროებას. ნუთუ ასეთი კონტრასტები იმ ქვეყანაშია, სადაც დღის ხანგრძლივობა 12 საათია? დაპირისპირებათა სიმრავლე თავგზას მთლად გვიბნევს. უნდა იყო ფრანგული ლიტერატურის ისეთი დიდოსტატი, როგორიც იყო ფრომენტინი, დოდე ან ლოტი, რომ სრულყოფილად გადმოსცე ამ ბანაკების თვალწარმტაცი მომხიბვლელობა, თავისუფალი და განმარტოებული ბუნების მთელ ამ უმანკოებასა და სიდიადეში.

არაბიკის აღმართი ადვილი ასასვლელია. სასიამოვნოა სიარული ტვირთის გარეშე, მით უმეტეს, რომ ამ საღამოსვე დავბრუნდებით ბანაკში...

დაახლოებით 2200 მეტრის სიმაღლეზე ცხენებიდან ჩამოვდივართ, რადგან კარსტული ზედაპირი იმდენად უსწორმასწოროა, რომ თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვჭირდება ლოდიდან ლოდზე გადახტომა. ძლიერი მსგავსებაა ვერკორის, დევოლუს, პარმელანის და სხვა პლატოებთან. ჭარბი ღრმულები, ძაბრები, ქვაბები კრიალოსანივითაა აწყობილი და ძირითადი ნაპრალების გადაკვეთაზე ხშირად ქმნიან მძლავრ ტექტონიკურ ნაოჭებს. უფრო მეტად დანაპრალებული მხარე დანაკვთულია, თუმცა ნაკლებად ღრმად, პლატის უდაბნოსა (ზემო სავოია) და უკან — შაბრიერის (ზემო ალპები) მსგავსად. როგორც ყველა კარსტულ ზედაპირებში აქაც დასტურდება ადრინდელი დანაპრალების გადამწყვეტი როლი;

შემდეგ კი — წყლის ნაკადების სვლამ, შთახთქმული წვიმის ეროზიამ, მცენარეული საფარის კოროზიამ დაასრულეს ზედაპირული მოჩუქურთმება. ამასთანავე კლდეების გარეგნობაც მოწმობს უსვლელესი მყინვარებისა და ფირნების ხახუნის მოქმედებას. ამ უზარმაზარი მშთანთქმელი გარემოს ხვრელები დაცობილია ლოდებით, ნიადაგის ან თოვლის გროვებით. მხოლოდ წვიმა ატანს ამ ქაფქირში, ან უფრო სწორად, ამ საცერში, მიწისქვეშა წყლების ამ უზარმაზარ აუზში, რომლებიც (წყალი) 2000 მეტრით დაბლა ქმნიან გაგრის წყაროებს. ამასთანავე ეს უკანასკნელნი, დალმაციისა და ფრანგული წინა-ალპების წყაროების მსგავსად, ძალიან ცივია, 4-დან 5°-მდე ცელსიუსით, რადგან ისინი წარმოიშობიან არაბიკის მაღალი პლატოების ნაპრალებში დაბალი ტემპერატურის წყლებიდან.

ამ ცარცული პერიოდის კავკასიონის სრულყოფილი მსგავსებაპროვანსის, დოფინეს, სავოიის, შვეიცარიის, პირენეების, კარსტისა და კოსის ანალოგიურ წარმონაქმნებთან, საბოლოოდ ადასტურებს ახალ ცნობებს, რომლებიც მივიღე 1888 წლიდან ევროპაში ჩემი მიწისქვეშა გამოკვლევების საშუალებით კირქვებში მიწისქვეშა წყლების მოძრაობის შესახებ...

არაბიკის მწვერვალამდე გვხვდება ქვიანი ცარცული წარმონაქმნები (რუხი კაჟიანი კირქვები), მომრგვალებული, სწორი, დანაოჭებული. ამასთანავე სქელი ნიადაგებით სავსე ფერდობები ურიცხვი ნაპრალებითაა მოცული, სადაც თოვლის გვიანი დნობა და სიმაღლე ქმნიან ტენიანობის წყაროს. იქვე ვხედავთ მარდი არჩვების ჯოგებს, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ჩვენს ახლოს კუბტრუშობენ. ერთი მათგანი, ბებერი ვაცი, რომელიც გუნდის მეთაურს ჰგავდა და თითქოს ალღოთი გრძნობდა, რომ ჩვენი თოფები ბანაკში იყო დატოვებული, რამდენიმე მეტრზე მოგვიახლოვდა და ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა. დავითი, რომელსაც ეე უმოწყალოდ დავცინოდი დათვთან მისი მარცხის შემდეგ, წუხდა, რომ უბრალო ქვას არ შეეძლო შეეცვალა ტყვია და საფანტი. გაგრის მომავალი სპორტსმენები ჩემის აზრით აქ მშვენიერ სანადირო ადგილს იპოვნიან, მაგრამ ფრთხილად! ფეხქვეშ პირდაღებული ნაპრალებია!

დიდებული სანახაობა გადაგვეშალა უღელტეხილის ძირში, რომელიც ანცალკევებს (ან აერთიანებს, როგორც გნებავთ) ორ მწვერ-

ვალს — არაბიკას (2660 მ) და ხირკას (2522 მ)[1]. ფართო დეპრესიის სიღრმეში, რომელიც უზარმაზარ დახურულ აუზს წარმოადგენს გაჭრილობენული ბიბლიოთეკა
რე შენაკადების გარეშე, დევოლუს და კარსტის[2] უფსკრულებს მსგავსად პირი დაუღია უშველებელ კოსის უფსკრულს. აქ ინთქმება წვიმისა და უფრო მეტად კი გამდნარი თოვლის წყლის უზარმაზარი რაოდენობა. წყლებს ერთ ნაპრალში გაუფართოებიათ ეს მშთანთქმელი უფსკრული.

აი პარმელანის, დევოლუს, პლატეს, უკანის, უებერჰორენის, ალპების (ზალცბურგი), კარენ-ალპების (შვეიცარია) და სხვათა ნაპდვილი თოვლიანი ჭები. ზამთრობით თოვლი გროვდება უფსკრულში და პირამდე ავსებს მას. ზაფხულობით დამდნარი თოვლი ნელა შეიწოვება შემოდგომამდე; დნობის შედეგად მიღებული ცივი წყლების შესრუტვა კირქვული ნაპრალების მიერ გავლენას ახდენს იმ წყაროების ტემპერატურაზე, რომლებიც ამ წყლებით იკვებებიან. ამ უკანასკნელთა ტემპერატურა საშუალო წლიურთან შედარებით უფრო დაბალია, ისევე როგორც კარსტის, დოფინეს და სიმპლონის გვირაბის წყაროებისა. და ბოლოს მცირე მანძილი (რამდენიმე სმ ან დმ) თოვლის (ან ყინულის) საცობსა და კლდის კედელს შორის მოწმობს იმას, რომ ეს უკანასკნელი თავისი საკუთარი ტემპერატურით ხელს უწყობს დნობას...

2435 მეტრზე კვლავ გადასასვლელია. ჩვენს თვალწინ ხელახლა იშლება მთელი დასავლეთ კავკასიონისა და მისი მყინვარების პანორამა. 200 მეტრიღა დაგვრჩა არაბიკას მწვერვალამდე (2662 მ), მაგრამ ეს მანძილი გასავლელია ჩამოშლილ ქვებზე და უსწორმასწოროდ აჭრილ თხემებზე, რომლებიც ძლიერ მაგონებს კლერესა და სერვიეტის გამოფიტულ მწვერვალებს. ვგრძნობდი, რომ ვიღლებოდი. ამიტომ აღარ გავყევი სერგიევსა და ვოლოდკევიჩს, რომლებიც უჩემოდ აცოცდნენ ბოლო კონუსზე (იგი მართლაც მომქანცველი იყო, რადგან ასვლა-ჩამოსვლას 3 საათი უნდოდა). მე კი დავითთან ერთად ჩემი ფოტოგრაფიული ხელსაწყოები მარჯვნივ, ხირკას ნაკლებად ციცაბო მწვერვალისაკენ (2522 მ) მივმართე. აქედან ხედი პირდაპირ ხეობებზე იშლება; მიუხედავად ამისა მე ვერ დავინახე რიწის ტბა (სიგრძე 3 კმ), რომელიც იუფშარას სიღრმეში, ბზიფის

---

[1] სინამდვილეში ხირკას სიმაღლე 2432 მ-ია, ხოლო არაბიკისა — 2656 მ (თ. კ.).

[2] იგულისხმება პლატო კარსკი იუგოსლავიაში.

შენაკადის სათავიდან აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ერმოლოვს ძალიან უნდოდა, რომ მე ეს ტბა მენახა (ბოლოს ლიც დიდებულია, ფიორდივით შეჭრილი 555 მეტრის სიმაღლეზე, 500 და 600-მეტრიან ციცაბო ნაპირებში) ან ქვევიდან, ბზიფის აყოლებით, ან ზევიდან, მზიმთას გასწვრივ აგეფსთას ირგვლივ. ამისათვის მთელი ერთი კვირა იყო საჭირო.

მინდა აღვნიშნო, რომ არაბიკიდან და ხირკადან იშლება მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ხედთაგანი: ზღვა სამხრეთ-დასავლეთით, ღრმა ხეობები სამხრეთით და აღმოსავლეთით. ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაჭიმული მყინვარების გვირგვინი. აქ მდებარეობს ჩემი მოგზაურობის ძირითადი ტოპოგრაფიული წერტილი. ჩვენგან 18 კილომეტრზე აგეფსთას აღუმართავს თავისი კენწერო 3261 მეტრამდე. 170 კილომეტრზე იალბუზის გუმბათი მოჩანს (5629 მ)[1], მის მარცხნივ კი ფსიში აღმართულა (3788 მ). მთელი ეს ჯაჭვი დიდებულადაა გამოკვეთილი გამჭვირვალე ცის ლურჯ ფონზე.

სამწუხაროდ იძულებული ვართ მზერა მოვწყვიტოთ არაბიკა-ხირკას მწვერვალების ამ დაუვიწყარ ჩვენებას. ადვილად მოვნახეთ ცხენები და ბანაკში დავბრუნდით, რათა იქ ხელახლა დავტკბეთ ჩვენთვის უკვე მშობლიურად ქცეულ კოპწია ფსიშზე მზის ჩასვლითა და მთვარის ამოსვლით.

23 სექტემბერი (6 ოქტომბერი) — ცივი, ნაცრისფერი დღეა. კარავში 8°-ია, გარეთ 5°. მზე არ ამოსულა. არაფერი ჩანს. ვბრუნდებით გაგრაში. 1825 მეტრი ციცაბო დაღმართი, აქედან 1500 მეტრი საშინელი სავალია გაუკვალავ ბილიკებზე, სიბნელეში, ლიპ, სრიალა ტყის ფერდობებზე. რამდენჯერმე გზა აგვებნა. 1795 მეტრის სიმაღლეზე პატარა წყაროსთან ცხვრის ფარეხია, რომელიც 2 დღის განმავლობაში ნოყიერი რძით გვამარაგებდა. ერთგან, გაკაფულ ტყეში ჩვენ ვნახეთ გაშმაგებული ქარიშხლის ნამოქმედარი, რომელსაც ამოეგლიჯა უზარმაზარი, დაახლოებით 50-მეტრიანი ფიჭვი. მის ფესვებზე შერჩენილი იყო კლდოვანი ნიადაგის ნამტვრევები. ერთმანეთში შერეული ქვებისა და ფესვების მასა 3 მეტრამდე დიამეტრის და 2 მეტრამდე სისქის გროვას ქმნიდა, რომლის მოცულობა 12 $м^3$-ს აღემატებოდა.

---

[1] იალბუზის სიმაღლე 5633 მ-ია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე უამრავი წაქცეული ფიჭვი გვხვდება. იძულებული ვხდებ-ბი, შემოვუაროთ, რადგან ცხენებს აღარ შეუძლიათ გადააბიჯონ 1 მეტრამდე დიამეტრის მქონე მორებს. ერთ-ერთი მათგანი ხომ ისეა ძალაგამოლეული, რომ ყოველ დაღმართზე ვარდება. საბოლოოდ მისი ტვირთი სხვა ცხენებს ავკიდეთ და განთავისუფლებული ცხენი ძლივს ჩავიყვანეთ ბოლომდე უვნებლად.

მშთანთქმელი ძაბრები გვხვდება გაგრიფშისა და ჟოვე-კვარას გამყოფ თხემზეც. ისინი კვებავენ მათ წყაროებს. 1645 მეტრის სიმაღლეზე ტრიგონომეტრიული ნიშანია. 1620 მეტრზე დამრეცი მთის ფერდობი, რომელსაც ჩვენ ბანაკიდან მოვყვებით, გაგრასთან მოულოდნელად ციცაბდება. 1300 მეტრის სიმაღლიდან კვლავ აუტანელი გზა გვაქვს ტყეში და ჩვენ წყევლა-კრულვას ვუთვლიან ხეებს, ადამიანის წყურვილისა და ჯანმრთელობის ამ მეურვე ღმერთებს.

310 მეტრ სიმაღლეზე კლდიდან გამოდის წყარო, რომელიც გაგრამდეა გაყვანილი. წყალსადენის გასწვრივ გზა უმჯობესდება და მოჭრილი ხეების გადაზიდვას ემსახურება. ვუახლოვდებით ცივილიზაციას. ქვიშიანი პლაჟის გასწვრივ ზღვის აქაფებული არშიაა შემოვლებული. აი გამოჩნდა მთის ძირში აღმართული გაგრის სასტუმრო.

მარტელის შემდეგ კორბელი

(ფრანგებთან ერთად არაბიკაზე 1968 წლის ექსპედიცია)

> „ყველაზე მეტად გამახსოვრდებოდა ნათელი, ცისფერი თვალები, რომლებიც, ჩემი ცოლის კოხტა გამოთქმით, „შესაძლებლობას აძლევდნენ მას ყველაზე ღრმა და ბნელ უფსკრულებშიც კი თან ჩაეტანა ლაჟვარდი ცის პატარა ნაჭერი“.
>
> ნორბერ კასტერე მარტელის შესახებ

ჩვენ დაუსწრებლად ვიცნობდით ერთმანეთს — მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ლიონის კარსტოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის ლაბორატორიის დირექტორი, პროფესორი ჟან კორბელი და მე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიის (ამჟამად საბჭოს) სწავლული მდივანი. 1964 წელს, როდესაც საბჭოთა სპელეოლოგები და კარსტოლოგები პირველად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფორუმში (ჩეხოსლოვაკია, ბრნო), გავიცანი პოლონელი სპელეოლოგი მარიან პულინა, რომელმაც დიდი სურვილი გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლასა და ექსპედიციაში მონაწილეობაზე. მისი ეს სურვილი ახდა, რომელიც აღწერილია ამ წიგნის თავში „გიუზლეს უფსკრული და ფანტაზია".

მარიან პულინამ, რომელიც ხშირად მუშაობდა პროფ. კორბელის ლაბორატორიაში, გადმომცა ამ უკანასკნელის მოწადინება, რათა ჩვენთან ერთად ემუშავა საქართველოს მღვიმეებში.

საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე ჟან კორბელს ვერ შევხვდით, რადგან იგი ყოველთვის ამ დროისათვის ხან შპიცბერგენზე იყო, ხან კოსტარიკაში, კუბაზე, ავსტრალიაში და ვინ მოთვლის რამდენ ქვეყანაში ატარებდა კვლევებს ეს დიდი მეცნიერი. რასაკვირველია, ასეთი სახელის მქონე მეცნიერთან ურთიერთობა ყველასათვის სასიამოვნო იქნებოდა.

პულინას წასვლის შემდეგ კორბელმა ჩემთან გააჩაღა მიწერ-მოწერა. წერილებში იგი ჩამოსვლის დიდ სურვილს გამოთქვამდა და განახორციელა კიდეც 1968 წლის სექტემბერში.

1968 წლის 1 სექტემბერი. ჩვენ თბილისის აეროპორტში ვიჯყოფებით და მოსკოვიდან ჩამოფრენილ მგზავრებს ვათვალიერებთ. აბა თუ ვიცნობთ ჩვენს სტუმრებს, ისინი ხომ არასოდეს გვინახავს?.. აი ისინიც.

შორტებში გამოწყობილი პროფესორი ჟან-კორბელი—46 წლის, მაღალი, ხმელი კაცი მოქანცული სახით და ოდნავ მოჭუტული, მორცხვად მომღიმარე თვალებით.

საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი, შავგვრემანი ახალგაზრდა, კორბელის ლაბორატორიის ქიმიური განყოფილების გამგე ჟილბერ გალო.

საშუალო სიმაღლის, გამხდარი, წვერმოშვებული ახალგაზრდა, მათემატიკოსი, ქიმიკოსი და პროფესორის ასისტენტი (მერე გავიგეთ — სიძეც) ალან ბურჟა.

ერთმანეთი გავიცანით, მათ მიერ ჩამოტანილი პორტატიული საველე-ქიმიური ლაბორატორია მანქანაში მოვათავსეთ და თბილისისკენ გამოვეშურეთ.

ჩვენ წინასწარ დაგეგმილი გვქონდა ექსპედიცია, მარშრუტები, მონაწილეები. სურსათ-სანოვაგე და საექსპედიციო საჭურველი გამზადებული იყო. ექსპედიცია უნდა ჩაგვეტარებინა არაბიკას კირქვულ მასივზე. სწორედ არაბიკას მასივზე იმოგზაურა ედუარდ ალფრედ მარტელმა, სპელეოლოგთაგან ერთ-ერთმა პირველმა და საფრანგეთის სპელეოლოგიის მამამთავარმა.

ჩვენმა სპელეოლოგებმა მის პატივსაცემად არაბიკის ერთ-ერთ გრანდიოზულ კარსტულ უფსკრულს მარტელის უფსკრული უწოდეს.

— ძალიან სასიამოვნოა, — ამბობს ჟან კორბელი, — ჩემს თავს, ისევე როგორც ჩემი მეგობარი ნორბერ კასტერე, მარტელის მოწაფედ ვთვლი.

— მარტელმა არაბიკის მასივის შესახებ შრომაც გამოაქვეყნა პარიზში. — განაგრძობს კოტე ჯავრიშვილი.

— მაგ შრომას დეტალურად გავეცანი წამოსვლამდე, ისევე, როგორც ჩემი კოლეგის შრომებს, — თქვა კორბელმა, ხელი გადამხვია და განაგრძო, — მინდოდა წარმოდგენა მქონოდა იმ რაიონზე, სადაც წასვლას ვაპირებდი.

— მარტელმა ჩვენი ცნობილი ხელოვნური ციხე-ქალაქი უფლისციხეც მოინახულა და გამოქვაბულთა ამ შესანიშნავ კომპლექსზეც გამოაქვეყნა შრომა თქვენს სამშობლოში. — დაუმატა კოტემ.

გადავწყვიტეთ არაბიკაზე გამგზავრებამდე ჩვენი ფრანგი სტუმრები უფლისციხეში წაგვეყვანა...

უფლისციხე, ჩვენი შორეული წინაპრების მიერ შექმნილი საოცრება. კვერნაქის სერის სამხრეთ კალთაზე, ქვიშაქვის კლდეებში გამოუკვეთიათ უცნობ ხუროებს იგი, — და თანაც როდის, ძველი წელთაღრიცხვის II—I საუკუნეებიდან თამარ მეფის ეპოქამდე.

ვათვალიერებთ ანტიკური ხანის გამოქვაბულ თეატრს, თამარ მეფის სასახლეს — მიწისქვეშა დარბაზს, მტკვრისკენ ჩამავალ ხელოვნურ გვირაბს, საფეხურები რომ გაცვეთილა დროთა მანძილზე...

— შესანიშნავია, — ამბობენ ფრანგი სტუმრები, — რა ხელმა გამოკვეთა ასეთი დიდებული რამ?!

უკან გზაზე, ბინდისას მცხეთაში ვივახშმეთ. სუფრა აივანზე გავაშლევინეთ და შემოღამებულზე შორს, ზეცაში გამოკიდებულივით მოჩანდა განათებული ჯვრის მონასტერი...

და აი, ჩვენი შვიდკაციანი ექსპედიცია გაგრას ეწვია და აქედან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბარგო მანქანით არაბიკის ექსპედიციების ძირითად საწყისულ პუნქტში, სოფ. ბაღნარში ავიდა. აქედან ცხენებით უნდა გაგვეგრძელებინა გზა, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან საუბრის შემდეგ გამოირკვა, რომ არცერთი ცხენი სოფელში არ იყო.

დრო კი არ ითმენდა. საჭირო იყო სასწრაფოდ სხვა ზომების მიღება.

უკვე გვიანი საღამო იყო და ვერტოდრომის უფროსს სახლში მივაკითხეთ. გამახსენდა 1960 წლის ექსპედიცია ლ. მარუაშვილის ხელმძღვანელობით. თბილისიდან შეთანხმებულები ვიყავით ადლერის აეროპორტის მაშინდელ უფროსთან, და როდესაც დატვირთული მანქანით მივადექით, სასტიკი უარი გვითხრა. არაფერმა გაჭრა და იძულებული ვიყავით ბაღნარში დავბრუნებულიყავით და ცხენები გვეძებნა. „ესეც უარს ხომ არ გვეტყვის?“.

ვერტოდრომის უფროსი სიმპატიური და კეთილი კაცი გამოდგა. გულდასმით მოგვისმინა და ბოლოს გვითხრა:

— ერთადერთი გამოსავალია. სოხუმის მიდამოებში ერთი საბარგო ვერტმფრენი გაიჩხირა მთებში. ხვალ დილით ჩვენი ვერტმფრენი მიდის დასახმარებლად. შეიძლება გაყვეთ მას. ოციოდე წუთი დაგეკარგებათ სულ და ეგ არაფერია.

დიდი მადლობა ვუთხარით და ბაღნარში დაბრუნებულებმა ექსპედიციას ვახარეთ ეს ამბავი.

ახლა ყველაფერი ამინდზე იყო დამოკიდებული.

მეორე დილით საბარგო მანქანა დავტვირთეთ საჭურვლით, ჩვენც ზედ მოვთავსდით და მალე ადლერის აეროპორტში ვიყავით.

ბარგი-ბარხანა ვერტმფრენში ავზიდეთ.

— რომელიმე თქვენგანმა შტურმანობა უნდა გაგვიწიოს, — თქვა პილოტმა.

პილოტის გვერდით მოვთავსდი, ლარინგოფონიც გამიკეთეს და მალე ზემოდან დავყურებდით ზღვას. მერე ვერტმფრენმა ჩრდილო-აღმოსავლეთით აიღო გეზი. გადავუფრინეთ მდ. ფსოუს, არაბიკის მასივის დასავლეთს. მასივის დიდი ნაწილი ხელისგულივით მოჩანდა. ამინდი კარგი იყო, მზიანი, მაგრამ, როგორც კი გიუზლეს მივუახლოვდით, მფრინავმა „ფანჯრების“ ძებნა დაიწყო სქელ ღრუბლებსა და ნისლში. ვერტმფრენი ხაფანგში მომწყვდეული თაგვივით აწყდებოდა აქეთ-იქით.

— უკან უნდა დავბრუნდეთ! — განაცხადა პილოტმა, — არაფერი ჩანს, შეუძლებელია ასე ფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელგელუკში ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ქვევით ხანრიოვნული
დახან გამოჩნდებოდა ყოვე-კვარას ხეობა, მაგრამ ორიენტირად
ასეთი მკაცრი რელიეფის პირობებში იგი არ გამოდგებოდა.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ პილოტი დავითანხმე, რომ ცოტა კიდევ გვეფრინა, და იქნებ არაბიკის მთის მახლობლად სადმე დავმჯდარიყავით.

კიდევ რამდენჯერმე სცადა პილოტმა, მაგრამ, როგორც კი ვერტმფრენს „ფანჯარაში" გააძვრენდა, წინ აღმართული მთების ფერდობები გვხვდებოდა.

ბოლოს ერთი ასეთი „ფანჯრიდან" კუნძულივით გამოჩნდა სახლივით შენობა, მის წინ — მოსწორებული მოედანი, მოშორებით პატარა ტბა.

— აქ დავჯდეთ. — თქვა პილოტმა.

მეტი გამოსავალი არ იყო და დავეთანხმე. რუკაზე ჩანდა, რომ ეს ჭამხონას სანახები იყო.

ვერტმფრენი ხმაურით დაეშვა და სახლს, რომელიც სახელდახელო ფერმა გამოდგა, ბრეზენტის სახურავი გადახადა ჰაერის ძლიერი ჭავლით.

საჭურველი გადმოვტვირთეთ, პილოტებს დავემშვიდობეთ და ვერტმფრენმა სოხუმისკენ აიღო გეზი.

ფერმიდან რამდენიმე კაცი და ქალი გამოსულიყო; ჩვენსკენ მოდიოდნენ. ერთ მათგანს ეტყობოდა, უფროსი უნდა ყოფილიყო.

— ფიფია. — გაგვეცნო იგი.

ბოდიში მოვუხადეთ სახურავის უნებური გადახდის გამო და საერთო ძალებით მალე გადავხურეთ.

კარვები გავშალეთ, დავბინავდით და მივიხედ-მოვიხედეთ.

ექსპედიციის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: პროფესორი ჟან კორბელი, ჟილბერ გალლო, ალან ბურჟა, კიაზო რაქვიაშვილი, ვაჟა მაჩაიძე, თარჯიმანი ვალერი სახაროვი და მე...

მოსაღამოვდა და აცივდა. მწყემსებმა ნახირი მორეკეს და ესტონელმა ქალებმა, რომლებიც აქ ზაფხულის სეზონზე ამოდიან, ძროხების მოწველა დაიწყეს.

ჟან კორბელი დაუფარავი სიამოვნებით უყურებდა ამ სანახაობას; მერე ვეღარ მოითმინა და გვითხრა, რომ ძალიან უყვარს ახალმოწველილი რძე. როდესაც ეს ფიფიას ვუთარგმნეთ, ბინიდან მოზრდილი ტოლჩა გამოიტანა, კორბელს ხელი დაუქნია, და მწველავ

ქალთან მიიყვანა. ქალმა გაუვსო ტოლჩა და მიაწოდა. უნდა გენახ-
ხათ, როგორი სიამოვნებით სვამდა რძეს ფრანგი პროფესორი.

დილით, ის იყო გავიღვიძეთ, რომ ფიფიას ძახილი შემოგვესმა:

— მუსიე მალაკო, მუსიე მალაკო!

კარვიდან გავედით და დავინახეთ, რომ მწველავები კვლავ წველიდნენ ნახირს, იალაღებზე გარეკვამდე, ფიფიას კი რძით სავსე ტოლჩა დაეჭირა ხელში და კორბელს უძახდა. ისიც კარვიდან გამოძვრა და ძუნძულით გაეშურა ფიფიასკენ. ასე შეარქვა ფიფიამ ფრანგ პროფესორს „მუსიე მალაკო" და საერთოდ ასე მიმართავდა მას. კორბელს ეს სრულებითაც არ სწყინდა და ფიფიას ყოველ დაძახებაზე, დილით და საღამოს, სიამოვნებით გარბოდა მისკენ.

სექტემბრის შუა რიცხვები იყო და მთაში საკმაოდ აცივდა. გავიდოდით თუ არა მარშრუტზე, საიდანღაც თვალისთვის გაუვალი ნისლი წამოგვეპარებოდა და მთვარეულებივით მივაბიჯებდით. თან ერთმანეთს ხშირად ვეპასუხებოდით, რომ გზა არ აგვრეოდა.

ერთ დღეს არაბიკის მწვერვალს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მივადექით. ღრმა ტაფობზე უამრავი წკვარამი და თოვლიანი ჭა მოჩანდა. ტაფობის ბოლოს კი არაბიკის ფლატეები აყუდებულიყვნენ. აქედან ასვლა ფრთების გარეშე შეუძლებელი იყო და რადგანაც ფრთები არა გვქონდა, აღმოსავლეთით გავუხვიეთ. ღრმა ძაბრის კედელში მართკუთხა ხვრელი მოჩანდა. ახალი მღვიმის აღმოჩენის სურვილით შეპყრობილებმა ხვრელს მივაშურეთ და თავი ვრცელ დარბაზში ამოვყავით, რომელშიც თოვლი არ იყო. თოვლის ნაცვლად ჭერიდან იშვიათი სილამაზის წვრილი სტალაქტიტები ეშვებოდნენ, რომელთა შორის ჯავშნიანებიც აღმოჩნდნენ.

გამოვიკვლიეთ რამდენიმე მღვიმე. შევისწავლეთ ზედაპირული კარსტული ფორმები, რომლებიც კორბელს ძალიან აინტერესებდა. თოვლისა და წყლების ქიმიურ ანალიზებს ჟილბერ გალლო ადგილზევე აკეთებდა საველე ქიმიური ლაბორატორიის საშუალებით.

დაიწყო წვიმიანი დღეები. დრო ცოტა გვქონდა. თბილისში უნდა დავბრუნებულიყავით, რადგან ფრანგების მოგზაურობის შემდეგი პუნქტი ტაშკენტი იყო.

კარვები დასველდა და კორბელმა მიტოვებულ, ნახევრადდანგრეულ მწყემსების ქოხში გადაინაცვლა. და ერთ დილით, როდესაც ჩვეულებისამებრ გაისმა ფიფიას „მუსიე მალაკო!" — კორბელმა ქოხის კარები გამოაღო, გარეთ გამოვიდა და იმავ წამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა ხარხარმა ძროხებიც კი შეაკრთო: პროფესორი თავიდან ფეხებამდე ქათმის ბუმბულში იყო ამოგანგლული. ჯერ ვერ გაიგო რაზე ვხარხარებდით, მერე დაიხედა, მიხვდა რაშიც იყო საქმე და ჩვენთან ერთად ახარხარდა. როცა ქოხში შევედით და ნახევრად ცარიელი საძილე ტომარა ავწიეთ, ყველაფერი ნათელი გახდა. ძილის დროს კედლიდან გამოშვერილ ლურსმნებს რამდენიმე ადგილას გაეფხრიწა საძილე ტომარა და ბუმბულიც უხვად გამოსულიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ფიფიამ შეპირებული ცხენები მოიყვანა, დავტვირთეთ და გიუზლესკენ ავიღეთ გეზი. ბილიკი ვიწრო იყო, ტალახიანი და ჩვენც და ცხენებსაც ხშირად გვისხლტოდა ფეხი. განსაკუთრებით გაგვიჭირდა გიუზლეს გადასასვლელთან, რომელსაც აღმოსავლეთიდან მივადექით და ციცაბო ფერდობს შევუდექით.

— საფრანგეთში სპელეოლოგიურ კვლევებს ასი წლის ისტორია აქვს, ჩვენ კი სულ ათიოდე წელია შევუდექით მღვიმეთა ინტენსიურ კვლევას. — ვიმართლეთ თავი. — მალე გაგრიდან გამოიყვანენ საბაგირო გზას და არა მარტო მეცნიერებს, არამედ ყოველ ტურისტსაც და დამსვენებელსაც შეეძლებათ ძალის დაუხარჯავად ამოვიდნენ აქ.

ღამე გიუზლეში გავათიეთ. ამ საკოლმეურნეო კურორტზე ხალხი უკვე აღარ იყო. სადაცაა თოვლიც მოვიდოდა და დილითვე განვაგრძეთ გზა ბაღნარისაკენ, შემდეგ კი გაგრისაკენ.

დარჩენილ დღეებში გაგრის რაიონის ხეობებს ვესტუმრეთ.

12 სექტემბერს ვაჟას დაბადების დღე იყო და გადავწყვიტეთ რიწის ტბაზე აღგვენიშნა იგი.

როცა ზღვაში ამომავალ სუბმარინულ ანუ წყალქვეშა წყაროებს ვიკვლევდით, შევხვდით გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციას. ჩვენ პატარა ავტობუსი გვქონდა დაქირავებული და ყველა ჩავეტიეთ.

— მთელ ამ გზაზე, — ვეუბნები კორბელს, როცა ცისფერ ტბას გავცდით და გეგას ხეობას ავუყევით, — მარიან პულინა მხოლოდ ერთ სიტყვას გაიძახოდა.

— რა სიტყვას?

— ფანტაზია!

— მართლაც რომ ფანტაზიაა, — ამბობს კორბელი და დანარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენი ფრანგებიც კვერს უკრავენ, — მრავალი ქვეყანა მინახავს, ასეთი დიდებული და მშვენიერი არა.

როდესაც ციცაბო ალმართი ქშენით აიარა ავტობუსმა და გეგის მღვიმურ ჩანჩქერს მივადექით, ახლა ალან ბურჟამ იყვირა:

— ფანტაზიაა!

რიწის გზაზე ფრანგ სტუმრებს ვუამბეთ ტბის წარმოშობის მიზეზი და ლეგენდაც.

— პერმშიც მინდა მოვასწრო წასვლა. — განაცხადა ერთ დღეს კორბელმა.

— პერმი ძალიან შორსაა აქედან, იქ რა გინდათ?

— პროფესორ მაქსიმოვიჩის ნახვა მსურს.

— მაქსიმოვიჩს დღესვე შეგახვედრებთ, — ვუთხარი კორბელს. მან გაკვირვებით შემომხედა. — აქვე ისვენებს, სოჭში, თბილისში წერილი მივიღე მისგან.

მართლაც წავედით სოჭში, მაგრამ მაქსიმოვიჩი ვერ ვნახეთ. ბინაში, სადაც იგი იყო გაჩერებული, წერილი დავტოვე და ვთხოვე, თუ შეძლებდა, მეორე დღეს გაგრაში ჩამოსულიყო.

და აი, 1974 წლის 15 სექტემბერს გაგრაში ერთმანეთს შევახვედრე ორი დიდი მეცნიერი, ფრანგი ჟან კორბელი და რუსი გიორგი მაქსიმოვიჩი, კარსტმცოდნეობის ფუძემდებელი და პერმის უნივერსიტეტთან არსებული კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი.

მთელი დღე ერთად ვიყავით. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ხშირად ცხარე კამათში გადაიზრდებოდა. დღის მეორე ნახევარი ბიჭვინთაში გავატარეთ და საღამოს გიორგი მაქსიმოვიჩი სოჭისკენ გავაცილეთ. ჩვენ კი თბილისისკენ გამოვემგზავრეთ.

საღამოს ჟან კორბელმა მოხსენება გააკეთა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

17 სექტემბერს ფრანგები ტაშკენტში გაფრინდნენ. მაგრამ ტაშკენტიდან დაბრუნებულებთან კიდევ მომიხდა შეხვედრა მოსკოვში.

ვიდრე პარიზში გაფრინდებოდნენ, ჟან კორბელმა ჩემს მეგობრებთან ერთად მიმიპატიჟა თავის ლაბორატორიაში, რაც 1969 წელს განხორციელდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამტყელიდან ყარა-სუმდე, მერე აბრსკილში

(1973 წლის ექსპედიცია)

> შორს არ არის ის დრო, როდესაც აფხაზეთის ეს მღვიმე, ევროპის უშესანიშნავეს მღვიმეებივით, პოპულარული გახდება
>
> ლ. მარუაშვილი

გასცდებით თუ არა სოხუმს თბილისისკენ მიმავალ გზაზე, მარცხნივ, გადასახვევია. ეს გზა მიუყვება მდ. მაჭარას ლამაზ ხეობას წებელდისაკენ და ზევით, ბილიკებით ამტყელის ტბისკენ. ეს რაიონი საოცრად მდიდარია მღვიმეებით, მიწისქვეშა ნაკადებით, და სხვ.

ჩვენი პატარა ექსპედიცია, საბარგო მანქანით, სოხუმიდან ცივწყალას ხეობაში ავიდა და ბზის კოროვებით შემოფარგლულ მდელოზე დაბანაკდა.

აქვე, ასიოდე მეტრში მდ. ცივწყალა გვერდითი პონორებით მიწისქვეშ იკარგება ამავე სახელწოდების მღვიმეში. ჩვენი პირველი მარშრუტიც აქეთაა დაგეგმილი.

ჩავდივართ მღვიმეში. სიგრილე გვეგებება. გარეთ აგვისტოს მცხუნვარე მზეა, აქ კი ჰაერის ტემპერატურა 16 გრადუსს არ აღემატება. მდინარის წყალი შხუილით იკვლევს გზას მღვიმეში და ორი მეტრი სიღრმის კანიონიც კი ჩაუჭრია კირქვაში. მერე კი ჭაში ჩანჩქერად ეშვება, ჰორიზონტულ ფსკერს მიუყვება და ღორღში უჩინარდება.

მღვიმე ორსართულიანია. ზედა სართულის გამოსასვლელი მდინარის დონიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზეა. ათასეული წლების წინ, როდესაც ცივწყალას აქამდე ჰქონდა ჩაჭრილი ხეობა, ამ ხვრელში იკარგებოდა მისი წყლის ნაწილი, შემდეგ კი, ხეობის გაღრმავებასთან ერთად ქვედა სართული გააჩინა და ახალი შესასვლელი მდინარის დონეზეა.

ფარნების შუქზე ლაპლაპებენ სველი კედლები. დახრილი მივდივართ, მერე მივხოხავთ. პატარა, ოვალურ დარბაზში ვიმყოფებით და მღვიმის ამ ნაწილს ვათვალიერებთ. რამდენიმე ხვრელიდან წყალი ხმაურით შემოდის და კანიონისკენ მიექანება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საოცარია, საიდან მოხვდა აქ ეს ვეება ლოდები? — ამბობს თამაზ სიხარულიძე.

მართლაც საოცარია. ირგვლივ ვეება, მოგლუვებული გრანიტის ლოდები გაპრიალებული ზედაპირებით ირეკლავენ ჩვენი ფარნებია სხივებს. ამ ხვრელებში, საიდანაც ჩვენ ჩამოვძვერით, ეს ლოდები ვერ შემოეტეოდნენ. ისინი არც აქაურებია, რადგან აქ სულ კირქვაა. მათი დედაქანები აქედან რამდენიმე კილომეტრზეა, კელასურის გრანიტული მასივის სახელით ცნობილი. რამდენ ხანს აგორა მდინარემ ისინი, რომ აქამდე ჩამოეტანა, ან რა ძალა უნდა ჰქონოდა იმ ძველ მდინარეს? დიახ, ეს იყო მრავალი ათასი წლის წინათ, როდესაც ხეობა იმ ფართო ხვრელამდე იყო ჩაჭრილი, ზევით, მეორე სართულზე რომ მოჩანს. მაშინ იძალა მდინარემ და უკვე გაკაფულ მიწისქვეშა გვირაბში ჩამოაგორა ეს ვეება კაჭრები.

კიაზო ჭის თავზე ამძვრალა, პატარა შვერილზე, და იქიდან გადაჰყურებს ჩანჩქერად დაშვებულ, უკვე მიწისქვეშა მდინარეს. მიწისქვეშა ხეობის მაღალი თაღები მრავალჯერ აძლიერებენ ამ პატარა ჩანჩქერის ხმას და ისეთი გუგუნია, თითქოს ნიაგარის გრანდიოზულ ჩანჩქერთან ვიდგეთ.

საით მიდის ეს წყალი? ყარასუს ცნობილ ვოკლუზურ წყაროებს ხომ არ კვებავს, მდ. ჯამპალის ხეობაში, კოდორის მახლობლად რომ გამოდიან? თუ ეს ასეა, მიწისქვეშ 6 კმ-ზე მეტი სიგრძის ლაბირინთი იმალება, მქუხარე მიწისქვეშა მდინარის ხეობა, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

მღვიმის დეტალური აგეგმვის შემდეგ გარეთ გამოვდივართ და იქვე მდებარე სხვა მღვიმეებს და ნიშნებს გულმოდგინედ ვიკვლევთ. აი, ერთ მათგანში ოდნავი მოჩიჩქნითაც კი ქვის ნაჯახები, კაჟის ნუკლეუსები, საფხეკები, ფრინველთა და ცხოველთა ძვლები იშლება ჩვენს წინ. თითქოს თვალწინ ცოცხლდებიან ის პირველყოფილი, ქვის ხანის ადამიანები, აქ რომ სახლობდნენ, ნადირობდნენ, თევზაობდნენ.

შემდეგი ჩვენი მარშრუტი მიმართულია ამტყელის ტბისკენ. ბილიკი ცივწყალას ხეობაში, დაბურულ ბზის კორომებში გადის. ხავსმოდებული ძარღვიანი ხეები ქარაფებიდან მოწყვეტილ კირქვის თეთრ ლოდებთან ერთად მშვენიერ სანახაობას ქმნიან. შეუძლებელია ფერად ფირზე არ აღვბეჭდოთ ეს შესანიშნავი ეგზოტიკური ხეობა. ერთი კილომეტრის შემდეგ იწყება გრანდიოზული ნაზვავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის ძირშიც შვიდგრადუსიანი პატარა ჩანჩქერი გადმოდის, ცივ-
წყალას რომ აძლევს დასაბამს. ზევით ამტყელის ხეობაა, რომლის
მარცხენა ნაპირი 1891 წლის მიწისძვრის გამო ჩამოზვავდა და დიდ
მანძილზე გადაკეტა ხეობა. ამის შედეგად გაჩნდა ეს ტბა, რომლის
სიგრძე 2,5 კმ-დეა, ხოლო სიგანე ნახევარი კილომეტრი, სიღრმე კი
120 მეტრს აღემატება.

ძალიან ცხელა. ავდივართ მზით განათებულ მომქანცველ ბი-
ლიკზე, რომელიც ვეებერთელა ლოდების ზვავს მიუყვება და სულს
ოდნავ ვითქვამთ, როცა აღმართის შემდეგ ტყეში შევდივართ. მა-
ლე ამტყელის ტბის პირას ვდგავართ და მიდამოს ვათვალიერებთ.
არაფერი შეცვლილა აქ წლების მანძილზე. ისევ ისეთი მოტიტვლე-
ბული ნაპირი. თამაზ სიხარულიძე ტბაში ეშვება და ნახევრად-
დაშლილი ტივისკენ მიცურავს, ნაპირიდან მოშორებით წყალზე
რომ ტივტივებს. ნაპირზე მეთევზეები საქმიანობენ. დროდადრო
ჰაერში ვერცხლისფრად ელვარებს ანკესზე წამოგებული ამოსრო-
ლილი თევზი.

თამაზ სიხარულიძე უკვე ტივზეა და სიცივისგან კანკალებს. მე-
რე მათარას კარგად რეცხავს და საანალიზოდ ტბის წყლის სინჯა
იღებს.

ჩვენგან მარცხნივ, იქ, სადაც მდ. ამტყელის ხეობა მიწისძვრამ-
დე გრძელდებოდა, ხის მორებსა და ტოტებს ბუნებრივი „კაშხალი"
შეექმნათ. ამ „კაშხალში" ტბის წყალი საკმაო რაოდენობით ჩაედი-
ნება და 8—9 კილომეტრი მანძილის შემდეგ ჯამპალის ხეობაში
ყარა-სუს სახელწოდებით გამოდის. ქართველი კარსტოლოგის გი-
ვი გიგინეიშვილის მიერ ამტყელის ტბაში ჩაყრილმა ფლუორესცეინ-
მა სწორედ ამ წყაროს წყალი შეღება და საბოლოოდ დადგინდა მო-
საზრება მიწისქვეშა ამტყელის მოძრაობის შესახებ.

მეორე დღეს სწორედ ყარა-სუს მღვიმესთან ვატარებდით კვლე-
ვით სამუშაოებს. აქვეა შაქურანის ცნობილი მღვიმეები, რომლებიც
მრავალი სპელეოლოგის კვლევის ობიექტებად იქცნენ. აი მდინარე
შაქურანის ხეობაც. ამ მდინარის დონიდან 20 მეტრის სიმაღლეზე
წრიული გაფართოებაა, რომლის ფსკერზე ტრავერტინია დალექი-
ლი, ზევიდან კი ჩანჩქერის კვალი ჩანს. მარჯვნივ მიმავალ ბილიკს
შაქურანის მღვიმეებამდე ავყავართ. შესასვლელი გვირაბის ფსკე-
რი სავსეა ტალახით და წყლით. ამ გვირაბის სიგრძე 80 მეტრია.
შემდეგ იგი მდინარის ხეობასავით დაკლაკნილი, სამხრეთ-დასავ-

ლეთით უხვევს. ჭერის სიმაღლე თითქმის მთელ სიგრძეზე 5 მეტრს აღწევს. ახლა, მღვიმის ფსკერზე გამავალი მდინარე საკმაოდ წყალმცირეა, მაგრამ თიხების ნაფენები და კედლებზე შერჩენილი წყლის მიერ შემოტანილი ხის ტოტები იმაზე ღაღადებენ, თუ როგორ ადიდდება ხოლმე იგი ზოგჯერ. ამ მღვიმის სიგრძე 530 მეტრია.

უფრო ქვევით განლაგებულნი არიან შაქურანის მე-2, მე-3 და მე-4 მღვიმეები, რომელთაგან ყველაზე დიდია აღმავალი ხასიათის მქონე მე-3 მღვიმე. მისი სიგრძე 1300 მეტრია. ეს მღვიმეები კარგად აქვთ შესწავლილი შალვა ყიფიანს, ზურაბ ტინტილოზოვს და დემურ ტაბიძეს. ამ უკანასკნელმა შეადგინა შაქურანის მღვიმეების და ცივწყალას მღვიმის ბლოკური დიაგრამები, რომლებიც წარმოდგენას იძლევიან მათ მოყვანილობაზე და გავრცელებაზე.

აი, მიწისქვეშა ამტყელის ანუ ყარა-სუს გამოსასვლელიც. ერთი კი არა, რამდენიმე. აქ შესვლა მხოლოდ ზედა სართულით შეიძლება, რადგან ქვედა გვირაბიდან, რომელიც მდინარის დონეზეა, დიდი სისწრაფით გამოედინება ყარა-სუს წყალი. ზედა სართულის გვირაბი შესასვლელიდან თაღოვანია, შემდეგ კი ვერტიკალურ ნაპრალში გადადის, ისევე, როგორც ქვედა სართული, ზედა სართულის ფსკერიც ოდნავ დაქანებულია და 15 მეტრის შემდეგ უერთდება ქვედა სართულს, რომელშიც გაედინება მიწისქვეშა მდინარე. დანარჩენი გზა რეზინის ნავითაა სავალი და შესასვლელიდან 90-ე მეტრის შემდეგ ჯერჯერობით გაუვალია. მთლიანად კი ამ მღვიმის ორივე სართულის სიგრძე 130 მეტრია. ვინ იცის როგორ ლაბირინთებს მალავს თავის წიაღში მიწისქვეშა მდინარე ამტყელი!

რამდენიმე დღის კვლევების შემდეგ საველე მასალით დატვირთულები ვტოვებთ წებელდის მასივს და გეზს ვიღებთ აფხაზთა მითოლოგიური გმირის აბრსკილის „საპყრობილისკენ", მღვიმისკენ, რომელიც ოჩამჩირის რაიონში, ფანავის ქედის ძირში მდებარეობს. ამჯერად ჩვენი ძირითადი ექსპედიციის შემადგენლობა ერთისამად გაიზარდა. ჩვენმა მეგობრებმა, რომლებიც კინდღში ისვენებდნენ, აბრსკილის ნახვის დიდი სურვილი გამოთქვეს, რომელზეც გაზეთებიდან თუ წიგნებიდან ბევრი ჰქონდათ გაგონილი.

ცნობისმოყვარეებით და ექსპედიციის წევრებით დატვირთული საბარგო ავტომანქანა, რომელიც გეოლოგიის ინსტიტუტის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამშრომლებმა გვათხოვეს, ქშენით აუყვა აღმართს. აი სოფელი ჭლოუც, რომლის მახლობლადაც იხსნება მღვიმის შესასვლელი.

სოფლსაბჭოსთან რამდენიმე აფხაზი კოლმეურნე გვხვდება და როცა ჩვენი სტუმრობის მიზეზს იგებენ, გვეკითხებიან, როდის დაიწყება ამ მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

— შარშან და წელსაც იყვნენ თბილისიდან ინჟინრები, იკვლევდნენ მღვიმეს და წყალს. — გვეუბნება ერთი.

— რობერტ ნავერიანი და იური ავდალოვი იქნებოდნენ. — ვეუბნები ბიჭებს.

ერთიც და მეორეც სპელეოლოგია, იური ჩემი უკანასკნელი ექსპედიციების ხშირი წევრი, ხოლო რობერტს, გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციასთან ერთად მრავალი მღვიმე აქვს დაპყრობილი. ორივე „საქსახქალაქმშენპროექტში“ მუშაობს და საქართველოში მღვიმეთა კეთილმოწყობის ერთ-ერთი პიონერები არიან. მათ წინასწარი სამუშაოები ჩაატარეს აბრსკილის მღვიმეში და პროექტიც უკვე მზად არის.

უკანასკნელად აბრსკილის მღვიმეში 1967 წელს ვიყავი, პოლონელ სპელეოლოგებთან ერთად, ვიტოსლავას დაღუპვის შემდეგ....

ტანსაცმელს ვიცვლით, ვამოწმებთ ფარნების მდგომარეობას და მღვიმეში შევდივართ. ამ მღვიმეს რამდენიმე სახელი აქვს: ჭლოუ, აჩხეტიზგო, ოტაფი, აბრსკილა, მაგრამ უკანასკნელი სახელწოდება უფრო ფართოდაა ცნობილი. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ საკავშირო პრესაში ვიღაცამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ აბრსკილის მღვიმეში გაიხსნა სპელეოთერაპიული სტაციონარი და ატყდა წერილების წერა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, თხოულობდნენ განგვემარტა, სად შეიძლებოდა საგზურის შეძენა. ასეთი რამ კი სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

სამიოდე ათეული წლის წინ ლევან მარუაშვილმა რამდენჯერმე გამოიკვლია აბრსკილის მღვიმე და იქ მღვიმური დათვის ძვლები და პალეოლითელი ადამიანის ქვის ხელნაჯახიც იპოვა. დათვის ძვლები მომდევნო პერიოდის ექსპედიციებმაც ნახეს.

მღვიმეში შესვლისთანავე აღტაცების შეძახილები გაისმის. აქ მაშინვე იწყება ათასნაირი ფორმის სტალაქტიტები. მდინარე აჩხეტიზგო, მღვიმის ფსკერზე გასასვლელისკენ რომ მიედინება, თითქოს უძრავია, მხოლოდ ჩვენი წყალში ტოპვის ხმა არღვევს დარბაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მყუდროებას. პირველ დარბაზს, მისი შესანიშნავი მორთულობის გამო ჭაღის დარბაზი ჰქვია. შემდეგ კი აბრსკილის დარბაზია: ზევით მოჩანს ვეებერთელა სტალაგნატი ანუ სვეტი, რომლის განიკვეთიც 1,5 მეტრია. თქმულების თანახმად სწორედ ამ სვეტზე მიაჯაჭვა განრისხებულმა ღმერთმა აბრსკილი, აფხაზური ეპოსის ამირანი ანუ პრომეთე.

მღვიმის ჭერზე, თითქმის მთელ სიგრძეზე, ათასნაირი სტალაქტიტების ტყეა. ზოგან ძლიერ უნდა დაიხარო, ან მუხლის ჩოქვით გახოხდე, რომ ეს ნაზი და მყიფე ქმნილებები არ დააზიანო.

მალე ჩვენი ნაფეხურები მღვიმის თიხიან იატაკზე რჩება. მდინარე გვერდით უხვევს და ჩვენ მცირე გასაჭირის შემდეგ ავდივარ ზღაპრულ „ფარდებიან დარბაზში". აი თითქმის 3 მეტრი დიამეტრის მქონე ვეება ქათქათა სვეტი, ჰელიქტიტები, ფარდებად ჩამოშვებული სტალაქტიტები.

თამაზ სიხარულიძე აღტაცებას ვერ მალავს და ფოტოაპარატს იმარჯვებს. წარამარა ელავს ფოტოგანათება. სამწუხაროდ ფირის სიბეჟლის გამო იყო თუ ობიექტივის დაორთქვლისა, აბრსკილის მღვიმეში გადაღებული ფოტოებიდან არცერთი არ გამოსულა...

მე ამ მღვიმის ჰიდროგეოლოგია უფრო მაინტერესებს. აი, მდინარის დონიდან 1 მ სიმაღლეზე კედლიდან გადმოჩუხჩუხებს მიწისქვეშა წყარო, მოშორებით, ჩაღრმავებაში, ჭერიდან წყლის წვრილი ჭავლი ჩამოედინება და პატარა ტბას აჩენს. ამაოდ ვეძებთ მღვიმურ მარგალიტებს. გიგანტების დარბაზში ჰელაქტიტების უამრავი რაოდენობაა. ირგვლივ ყველაფერი ლივლივებს და ელავს...

მართლაც საჭირო და აუცილებელიცაა ამ შესანიშნავი მღვიმის კეთილმოწყობა, რომ ყველას შეეძლოს მისი ზღაპრული მშვენიერებით დატკბობა. პირველი პროექტი 17 წლის წინ შეადგინეს, მაგრამ... ახლა მეორე პროექტიც უკვე მზადაა; აქ მღვიმის გარკვეულ ნაწილში შეიძლება ნავით მოგზაურობა, ისე როგორც ჩეხოსლოვაკიის, მსოფლიოში სახელგანთქმულ მაცოხაში. სიტყვა მშენებლებზეა, რომლებმაც საამისო გამოცდილება უკვე მიიღეს ახალი ათონის (ივერიის) მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარებისას.

აბრსკილის მღვიმის ჯამურ სიგრძეს 2—3 კმ-მდე ანგარიშობენ. ვინ იცის, იქნებ უფრო მეტი სიგრძეც აქვს მას და უფრო გრანდიოზული დარბაზებიც იმალება ფანავის ქედის წიაღში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახ-იგოხი ანუ თურქული ქუდი

(1974 წლის ექსპედიცია)

საჭიროა კლდეზე ასვლა, მაგრამ
კიბეები არა გვაქვს.

მ ე რ ი მ ე

არაბიკის მასივის აღმოსავლეთით გაჭიმულია ბზიფის მაღალი ქედი, რომელიც ბევრ ახალ და საინტერესო აღმოჩენას ჰპირდება სპელეოლოგებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფართოდ გაიშალა სპელეოლოგიური კვლევები, ეს მასივი, ისევე როგორც ოჩახჩუეს, რაჭის და სხვა კირქვული მასივები დღემდე გამოუკვლეველია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეცნიერ სპელეოლოგებს თავისი საქმე აქვთ, მათი ექსპედიციები მცირერიცხოვანია და სიღრმით ჩასვლებზე ფიქრიც კი ზედმეტია. აი როგორ აღწერს ნორბერ კასტერე პიერ-სან მარტენის 1953 წლის ექსპედიციას:

„...მძიმედ დატვირთული ჯორები ადიოდნენ სასაზღვრო გადასასვლელზე, ამ დროს კი პოში განლაგებული საჰაერო-სადესანტო სამხედრო ბაზის თვითმფრინავმა ოთხი გაფრენით შეასრულა პარაშუტების ძალიან ეფექტური დაშვება უფსკრულის მახლობლად მდებარე საძოვრის ციცაბო ფერდზე. 36 პარაშუტმა, ხასხასა ფერადი ქოლგებივით რომ იშლებოდნენ და ლამაზად იხატებოდნენ ლურჯ ცაზე, ჩვენს ფეხებთან ჩამოუშვეს 3 ტონამდე სხვადასხვა მასალა: საჭურველი, ტროსები, თოკები, სანოვაგე, ხელსაწყოები და სხვ.

თვითმფრინავს ეჯიბრებოდა ოლორონის ჯანდარმთა ბრიგადა, რომელმაც პიერ-სან-მარტენში და ბასკურ სოფელ სენტ-ეგრასში გამოაგზავნა ჯანდარმების მრავალრიცხოვანი ჯგუფი გადამცემი და მიმღები რადიოპოსტების მოსაწყობად, რათა მუდმივი და სწრაფი კავშირი ყოფილიყო ექსპედიციასა და გარე სამყაროს შორის...“[1]

ეს ადგილი ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის წიგნიდან იმიტომ მოვიყვანე, რომ ნათელი გახდეს ის სიძნელეები, რასაც სპელეოლო-

---

[1] Норбер Кастере. Тридцать лет под землей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გები ხვდებიან ექსპედიციების დროს. და ეს მაშინ, როდესაც საერთველო სპელეოლოგიური თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოს სახელგანთქმულ სპელეოლოგიურ ქვეყნებს და პირველი სპელეოსპორტული კომიტეტი პირველად საბჭოთა კავშირში 1962 წელს საქართველოში შეიქმნა. შეიქმნა და მხოლოდ ერთი წელი იარსება...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს გეგმით 1974 წელს გათვალისწინებული იყო 2 ექსპედიციის ჩატარება. ერთი რაჭის, მეორე კი აფხაზეთში, ბზიფის მასივზე. ივლისის მეორე ნახევარში რაჭის ექსპედიცია კიაზო რაქვიაშვილის ხელმძღვანელობით შქმერში გაემგზავრა. აფხაზეთის ექსპედიცია კი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, 3 აგვისტოს თბილისიდან გავიდა.

იმ წელს უცნაური აგვისტო იდგა შავი ზღვის სანაპიროზე. გამუდმებული კოკისპირული წვიმები მომაბეზრებელი იყო დამსვენებელთათვის და, მით უმეტეს, ჩვენთვის.

პირველსავე დღეს სოფ. დურიფშში დავბანაკდით, სადაც შევიტყვეთ, რომ მოსკოველი სპელეოლოგების დიდი ექსპედიცია ვერტმფრენით გადასულიყო „თოვლიანი“ უფსკრულის დასალაშქრავად. ჩვენი ოთხკაციანი ექსპედიცია სპორტულ ჩასვლებზე ამჯერად ვერც იფიქრებდა: არ გაგვაჩნდა საჭირო საჭურველი და სპელეოლოგთა რაოდენობაც მცირე იყო, მიზანსაც მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევები და მღვიმეთა ინვენტარიზაცია შეადგენდა.

მოსკოველ მოყვარულ სპელეოლოგებს უკვე დაემთავრებინათ „თოვლიანის“ შტურმი — 770 მ სიღრმე და ხიფათის წინაშეც მდგარან, რადგანაც კოკისპირული წვიმის წყალი უფსკრულში ჩაედინებოდა და შიგ მყოფი ოთხი სპელეოლოგი ძლივს გადაერჩინათ. ახლა კი დარჩენილი ჯგუფი ვერტმფრენს ელოდებოდა ექსპედიციის საჭურვლის გადმოსატანად, მაგრამ ძლიერი წვიმები ხელს უშლიდათ და ისინიც მოთმინებით ელოდნენ გამოდარებას.

ჩვენ დროს უქმად არ ვკარგავდით და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილზე წვიმის წყალსაც ვიღებდით საანალიზოდ.

გავიარეთ ბზიფის ხეობა, ბზიფის ქედის თხემის დასავლეთი ნაწილი და შემდეგ სოფ. ხაბიუში ნაშოვნი ცხენებით ახ-იბოხისკენ ავიღეთ გეზი.

გზა მდ. აფსთას (ბაკლანოვკას) მიუყვება. ესაა აფხაზეთის ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ულამაზესი ხეობა, ბზის კორომებით დაბურული. მაღალი კლდეებიდან ლამაზი ჩანჩქერები ხმაურით ეშვებიან, ხოლო თვით მდინარის წყალი ბევრ ადგილას, კანიონის ძირში გახსნილ მღვიმეებში, ნაპრალებში და პონორებში იკარგება.

ბილიკთან, მდინარის პირას, მაღალი ჩანჩქერის პირდაპირ ვჩერდებით. აქ ობელისკია აღმართული, რომელსაც აწერია: „აქ გარდაიცვალა ცნობილი გეოლოგი ვ. კუროჩკინი". ვ. კუროჩკინმა ძალიან ბევრი გააკეთა აფხაზეთის გეოლოგიურად შესწავლაში. გარდაიცვალა, როგორც იტყვიან, საბრძოლო პოსტზე, ექსპედიციაში...

აღარ წვიმს, მაგრამ ძნელია ატალახიანებულ ბილიკზე სიარული. ტალახში დათვის ახალი მოზრდილი ნაკვალევი მოჩანს. გზაზე შეეარაღებული მეტყევეები გვხვდებიან და ირკვევა, რომ სწორედ ამ დათვის კვალს მიყვებიან. ჩვენც ვფრთხილობთ, ყურადღებით ვათვალიერებთ გარემოს, რადგან ზოგ ადგილზე ბილიკი ნამდვილ ჯუნგლებში გადის...

როდესაც გუდაუთიდან სოხუმისკენ მიმავალი შარაგზიდან სოფ. აჭანდარისკენ გადავუხვიეთ, კარგა ხანს მოჩანდა ბზიფის ქედი, თვით მწვერვალი ახ-იბოხიც, საითაც გეზი გვქონდა აღებული. იძულებული გავხდით გავჩერებულიყავით: წინ წვიმით გამოწვეულ მეწყერს გადაეკეტა გზა, მარცხნივ კი ფლატე იყო და ძირს, სიღრმეში ააფსთა ლამაზ ჭორომებს აჩენდა.

ცხენები გადმოვტვირთეთ, ერთმანეთს გადავაწოდეთ ზურგჩანთები და მეწყერის მეორე მხარეს გადავიტანეთ. მერე უფსკრულის ნაპირზე, მეწყერის ბოლოს ბილიკივით რაღაც გავაკეთეთ, ძირს გავმაგრდით და ცხენები მეწყერსა და ჩვენს შორის დიდის წვალებით გავატარეთ, კვლავ დავტვირთეთ და გზა განვაგრძეთ.

გუნურხვა, მწყემსების მიტოვებული ბინა, ირგვლივ ტყე, წყაროსთან მდგარი პატარა ფიცრული, სადაც ღამე გავათიეთ. თვალი ვერ მოვხუჭეთ, თაგვებმა ისე შეგვაწუხეს. საწოლზეც კი ამორბოდნენ და დასუნსულებდნენ. მხოლოდ ჩვენს გამყოლს, ხაბიუელ აფხაზ ბიჭს ეძინა მაგრად. მერე ტრისტანმა ზურგჩანთაში დაიწყო ქექვა, ორცხობილა ამოიღო, დაამტვრია და მიწის იატაკზე დაყარა. თაგვებმა დროებით თავი დაგვანებეს, საწოლებიდან იატაკზე ჩავიდნენ და როცა ფარანი ავანთეთ, ორცხობილას ნამცეცებიც კი ვე-

ღარ დავინახეთ, ხოლო ერთი წრუწუნა ზურგჩანთაზე ამძვრალიყო და იქიდან გვიყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარედან ხშირად მოისმოდა ხმაური, ჭოტის კივილი, ტოტების ლაწალუწის ხმა და ცხენების ჭიხვინი. იძულებული ვიყავი რამდენჯერმე გავსულიყავი და ცხენები დამეწყნარებინა.

როგორც იქნა გათენდა და გზას დავადექით. ბილიკი ციცაბო აღმართზე მიდიოდა და ცხენები მძიმედ ადგამდნენ ფეხებს. როცა ტყე თავდებოდა, წვიმის ღვარებს ისე ღრმად და ვიწროდ ჩაეჭრათ ბილიკი, რომ ჩვენ კი არა, ცხენებსაც გაუჭირდათ, მუხლებამდე ვეფლობოდით ტალახში და ძლივს მივდიოდით.

ტყეც გათავდა და სიარული გაადვილდა, მაგრამ დროებით. ტალახის ნაცვლად ახლა კირქვის შიშველი ფერდობები იყო უამრავი ნაპრალებით, კარული ველებით.

წინ ახ-იბოხი აღიმართა თავისი სიდიადით. ნისლი ქუდივით ეხურა, თვითონაც მოყვანილობით ჩალმას ჩამოჰგავდა და ამიტომ უწოდეს თურქული ქუდი.

ქვევით, ტაფობში, ტყის პირას ბინოკლში დავინახეთ ქოხის მსგავსი რაღაც და კაციც. ჩავედით.

-- დათო ხაგბა. — გაგვეცნო ჭარმაგი აფხაზი, რომელსაც ძველი, გახუნებული ჯარისკაცური გიმნასტურა და გალიფე ეცვა.

ჩვენც გავეცანით.

— მწყემსები არა ვართ. მწყემსები ზემოთ არიან, ბათირ-იფარას ტაფობში — ხაგბამ ხელი გაიშვირა ახ-იბოხის აღმოსავლეთით.

როცა ჩვენი სტუმრობის მიზეზი გაიგო, მიგვიპატიჟა, ჩვენთან დარჩითო. ჩვენც იქვე დავბანაკდით.

მალე მისი ვაჟიშვილი და ერთი მწყემსი მოვიდა. ვეება ტომრით ახალთახალი ბალახი მოიტანეს ახლადდაბადებული ხბოსათვის, რომელიც იქვე დაკუნტრუშობდა.

— აქ ვისვენებთ. — თქვა კუკუშამ, — ცოტა ფილტვებში ვერა გვაქვს კარგად საქმე, აქაური ჰაერი კი მისწრებაა.

მართლაც თავისუფლად ვსუნთქავდით. ზემოდან კი ახ-იბოხი დაგვყურებდა.

იქვე წყარო იყო, ცივი, ექვსგრადუსიანი.

დათომ და კუკუშამ აფხაზური ღომი დაამზადეს, მამალიგას რომ

ეძახიან, პირდაპირ სუფთა ხის მაგიდაზე ჩამოარიგეს და ერთმანეთს გავუმასპინძლდით.

ღამე საკმაოდ ციოდა, საძილე ტომრებშიც კი, სამაგიეროდ დილა გათენდა მზიანი, მშვენიერი. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ იყო. და ამ ლურჯი ცის ფონზე რერიხის ნახატს წააგავდა ახ-იბოხი. მთის წვერში სათვალესავით მოჩანდა ორი ხვრელი, მთლიანად რომ კვეთდა მწვერვალს.

მარშრუტზე გავედით.

როდესაც ახ-იბოხისკენ ავიწიეთ, ჩვენ თვალწინ გრანდიოზული სანახაობა გადაიშალა. სამხრეთით ტყეებით დაბურული დაბალი ქედები მოჩანდა, ოდნავ დანისლული; ჩრდილო-დასავლეთით ძიშრა აღმართულიყო. ჩრდილოეთით ბზიფის ღრმა ხეობის მიღმა, შორს, ჰორიზონტზე ლურჯად ლივლივებდა კავკასიონის მთავარი ქედი თითქმის აჟარიდან ფსიშის მწვერვალამდე. ბინოკლში თვალს გვჭრიდა მყინვარები და თოვლის ვეება ლაქები, მზეზე რომ ბრწყინავდნენ....

ახ-იბოხის ვერტიკალურ კლდეებში მღვიმეთა შესასვლელები მოჩანს, მაგრამ ასვლა შეუძლებელია. ჩვენი საჭურვლის პატრონებს მხოლოდ ოცნებაღა შეგვიძლია, როცა შევძლებთ ამ უაღრესად საინტერესო რაიონის დეტალურ გამოკვლევას. შესაძლებელია ეს მღვიმეები და მათი რელიქტები ასაკითაც აფხაზეთის და მთელი საქართველოს მღვიმეებზეც კი ყველაზე უხნესი გამოდგეს.

ბათირ იფარას ტროგულ ხეობაში ვიმყოფებით. აქაც, როგორც არაბიკაზე ვიურმულ ეპოქაში გამყინვარებას ჰქონდა ადგილი და სახსოვრად მყინვარს მხოლოდ ეს ხეობა დაუტოვებია. მაგრამ ჩვენს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც უამრავი კარული ველები დავინახეთ. არც საქართველოში, არც ევროპაში არ მინახავს კარრების ასეთი მრავალფეროვნება და სიუხვე. აქ თითქმის საერთაშორისო კლასიფიკაციებით ცნობილი ყველა ტიპის კარრები იყო წარმოდგენილი, მიკროკარებიდან ცალკეულ ფილებად დანაწევრებამდე.

ტრისტანი, გამყოლი და მწყემსი დაგვცილდნენ, ისინი თხემის მეორე მხარეს ზვერავენ. შამილი, კუკუშა და მე ერთ ვიწრო ხვრელს ვუტრიალებთ. ჩავდივარ. ხვრელი ვერტიკალურია, თანდათან ვიწროვდება და იძულებული ვარ ქამარი სამთო კომპასიანად მოვიხსნა. ვცდილობ ღრმად ჩასვლას. მაგრამ ისეთი სივიწროვეა, რომ

მთლიანად ვუშვებ ჰაერს ფილტვებიდან, თავს ვერ ვაღწევ ბასრ შვა-
რილებს, რომლებზეც ჩემი ხალათის ნაფლეთები რჩება და ფარანს ეკა-
ნათებ სიღრმეში. ვახერხებ რამდენიმე ქვის ჩაგდებას და ვრწმუნ-
დები, რომ ხვრელი ფართოვდება და ღრმა შახტში გადადის; მაგრამ
ჩახერგილ ლოდებს გზა გადაუკეტავთ. ერთი ზედმეტი მოძრაობა
და შეიძლება ასასვლელიც დაიკეტოს. შამილი და კუკუშა მოუთ-
მენლად მელიან. ძლივს ავდივარ, გასასვლელში მაინც ვიჭედები და
შამილის დახმარებით ვაღწევ თავს.

კიდევ ორასიოდე მეტრი პატარა თხემის გადაღმა და ტრისტანის
ჯგუფს ვხვდებით. მათ უამრავი, ერთმანეთთან ახლოს განლაგებუ-
ლი თოვლიანი შახტები და ჭები უნახავთ.

აი, ის შახტებიც. ზოგი ჩანგრეულია. ვეება ლოდები ქაოტურად
დახვავებულან. თითქოს კატასტროფულზე უფრო ძლიერ მიწისძვ-
რას თუ პირველყოფილ მთათა წარმომშობ ძალებს ვეება ლოდე-
ბად უქცევიათ ისინი.

მართლაც საოცარი სანახაობაა. ასეთი რამ თვით კარსტის სამ-
შობლოში, იუგოსლავიის დინარის მთებშიც კი არ შეგვხვედრია.

ჩავდივართ ერთ-ერთ დახრილ მღვიმეში.

მღვიმის შესასვლელთან თოვლია; იგი თანდათან მაღლდება და
მღვიმის წინა დარბაზში დახრილად ეშვება.

ვიღებთ თოვლის სინჯს ქიმიური ანალიზისთვის. მერე ქაღალდ-
ზე გადაგვაქვს მღვიმის კონფიგურაცია და ვიწყებთ ტოფოგადაღე-
ბას.

შამილი მღვიმის თაღოვან შესასვლელთან დგება და მკლავებგა-
შლილი, ბეჭებით ჭერს ებჯინება. „ატლანტი“ მხრებით იკავებს
კლდეს.

უკან გზაზე დანარჩენები მისწრებენ. ყოველ ნაბიჯზე იმდენ სა-
ინტერესოს და თავისებურს ვხედავ, რომ ძალაუნებურად ჩა-
მოვრჩი.

მწყემსი მიუძღვება ჩვენებს თავისი ქოხისაკენ. მე გავძახი ტრი-
სტანს, რომ არ დამელოდონ, წავალ პირდაპირ ბანაკში.

ნელა მივყვები აღმართს. მარჯვნივ ახ-იბოხის შვეული კედლე-
ბია აღმართული, რომელთა ძირზეც სხვადასხვა ზომის ქვებისა და
ლოდებისგან შემდგარი გამოფიტვის კონუსებია ნაწილობრივ თოვ-
ლით დაფარული. იქ, სადაც მზის სხივები ხვდებიან, თოვლი დნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქვებს შორის პატარ-პატარა ნაკადულები მოჩუხჩუხებენ ამ უწყლო რაიონში.

ავდივარ თხემზე და აქედან კარგად მოჩანს ორივე ხეობა. ერთის დასაწყისში, ტაფობის ძირზე, ტყის საზღვართან ჩვენი ბანაკია, მეორეში კი მწყემსის ის ბინა, სადაც ექსპედიციის დანარჩენი წევრები ალბათ უკვე კერიას უსხედან და ელოდებიან როდის შეიწვება შამფურზე წამოგებული, შაშხივით, აფხაზურად შებოლილი თხის ხორცი.

ბინოკლით შევხედე ჩვენს ბანაკს და ფერდობზე ვეშვები. საღამოვდება. არემარეს უკვე ტყვიისფერი დაკრავს. ზოგან ვარდისფერი კირქვების კლდეები მოჩანს. ერთ-ერთ ასეთ კლდეში ნაპრალს ვხედავ და გეზს იქით ვიღებ.

ნაპრალიდან წყლის ხმაური მოისმის. შევდივარ თუ არა სიბნელეში, ფარანს ვანთებ. ჩემს ქვევით ვერტიკალური სიცარიელეა, რომელიც სიღრმისკენ მიდის. სველ, ტალახიან კედლებზე ფეხი სხლტება და ჩასვლა მხოლოდ იდაყვებისა და მუხლების საშუალებით შეიძლება. მერე ნაპრალი ფართოვდება და მოძრაობის ტაქტიკაც უნდა შეიცვალოს.

წყლის ხმაური ძლიერდება და მალე ცივი წყლის ჭავლის ქვეშ ვხვდები. როდესაც ვრწმუნდები, რომ ნაპრალში ჩახერგილი ლოდების აფეთქებისა და ხვრელების გაწმენდის გარეშე სიღრმეში გზის გაგრძელება შეუძლებელია, წყლის სინჯს ვიღებ და დღის სინათლეზე ამოვდივარ. მცივა, სველი ვარ და ქვენა ქარიც გაძლიერებულია. „ეს წყალი ალბათ იმ წყაროს ასაზრდოებს, ბანაკთან რომ არის. მაგრამ საიდან მოდის, რა გზით? ამის გამოკვლევა მომავლის საქმეა. ამ სიმაღლეზე ბზიფის ქედზე წყალი იშვიათია. როდესაც ლაბორატორიაში წყაროს წყლისა და მღვიმეში გამდინარე წყლის სინჯებს ანალიზს გაუკეთებენ, ალბათ დამტკიცდება მათი იდენტურობა“. — ამ ფიქრებით ვბრუნდები ბანაკში. მალე მწყემსის მასპინძლობით კმაყოფილი ბიჭებიც ბრუნდებიან და დაძინებამდე ხაგბების კოცონს ვუსხედვართ....

რამდენიმე დღის შემდეგ მასპინძლებს დავემშვიდობეთ. ახ-იბოხის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ააფსთას ხეობისკენ დავეშვით და დაზვერვითი მარშრუტები ჩავატარეთ. გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ ბზიფის ქედი მსოფლიოში ერთ-ერთი საინტერესო და პერსპექტიული რაიონია სპელეოლოგიური კვლევებისათვის და სპორ-

ტული ჩაღწევებისათვის. მაგრამ როდის შევძლებთ ამ ოცნების განხორციელებას? როდის შეიქმნება საქართველოში ისეთი ცენტრი, რომელსაც შეეძლება დიდი ექსპედიციების მოწყობა? ექნება სპელეოლოგიური კვლევებისთვის საჭირო საჭურველი, ხელსაწყოები. სპელეოლოგიური კვლევების ჩატარება დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმეა, გარდა ამისა, მღვიმურ სპორტს და მღვიმურ ტურიზმსაც მეტი გაქანება და წინსვლა სჭირდება ჩვენს რესპუბლიკაში. ამის შესაძლებლობები არის და საქმის გადადება მიზანშეუწონელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წიგნი პირველი

სპელეოლოგიური ანბანი 3
საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები ჩვენი ერის საუნჯეა . . 8
სიცრუისა და ჭეშმარიტების ჭიდილი 17
ხელოვნების მარადისობის საწყისებთან 30
მღვიმე, ლეგენდები, პოეზია და ხელოვნება 48
ღამურები — მღვიმეთა უწყინარი ბინადარნი 60
საბიფათო თავგადასავლები მღვიმეებში 63

წიგნი მეორე

წინაპართა გამოძახილი 72
ჯოჯოხეთის კარიბჭესთან 79
სპელეოლოგიური კვარტეტი 91
1963 წლის ზამთრის იდილია 101
ცხრა სპელეოლოგი და ფილმი „არაბიკა“ 107
1964 წლის ზამთრის ოდისეა 121
გიუზლეს უფსკრული და ფანტაზია 125
კიდევ და კიდევ არაბიკაზე 135
ტყიბულა-ძევრულას მიწისქვეშა ხეობაში 140
რაჭა-იმერეთის მღვიმეებში 144
1967 წლის ტრაგიკული ექსპედიცია 150
ედუარდ ალფრედ მარტელი და არაბიკა 157
მარტელის შემდეგ კორბელი 167
ამტყელიდან ყარა-სუმდე, მერე აბრსკილში 175
ახ-იბოხი ანუ თურქული ქუდი 181

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ერისთავი
მხატვარი ტ. შეყილაძე
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი მ. ანუაშვილი
კორექტორი ნ. სარჯველაძე
გამომშვები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 9/VII-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-77 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1 60×84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11.16+1.16 ჩაკვრა
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.83
უე 06940 ტირაჟი 20.000 შეკვ. № 2199
ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Тамаз Захарьевич Кикнадзе

Потайными тропами подземного царства

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
მალე გამოსცემს:

კ. გოლუბოვი — ქალაქ თბილისის გეგმა
რ. გაჩეჩილაძე — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები
თ. ნატროშვილი — მაშრიყით მაღრიბამდე
ს. ზაქარაია — თბილისი-ბორჯომი-ვარძია

ეროვნული
ბიბლიოთეკა